კვირის პალიტრა

გზა

N32 (270) 11/VIII.-17/VIII.2005. ფასი

გზავნილები — ზაფხულში უცოლშვილოდ დარჩენილი მამაკაცების ოინები

„თუ ბიჭი ხარ, ცდუნებას გაუძელი...“

1168
2005

„კაგებს“ აგენტი დოლიძის ქუჩაზე მუშაობს

მოხეტიალე რაინდი ანუ ქართველი „სიყვარულის ელჩი“

ახალი ამპლუა

„პარლამენტარის ცოლი“ და იმავე დროს „გათახსირებული“ ქალი...

ლილიკო ნემსაძის საიდუმლო

„გულში, ყველა სიმღერას ვილაცას ვუძღვნი...“

გამოვიდა აგვისტოს ნომერი

ლიტერატურული პოლიფონია

- ვასო გოგსაძვილი
- პეტრე ხვედელიძე
- სანდრო ყასაბოვი

მონატრება

- თამაზ მიმბელაური
- ლილი ოთხმამაშვილი

პოეზია

- ვახტანგ ჩაკვეტაძე
- დავით მიქელაძე
- ირმა მიმბელაიშვილი
- ჭელმ ვ. ყვინი

ორმაგი დაბლეევა (ამერიკული ბესტსელერი)

- ფანიერ ჭემინგუეი

აღმოხდების მზე (ფიესტა)

№ 8 (11), აგვისტო, 2005

ფასი 1.5 ლარი

თქვენ ხელ გამოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

№32 (270)
11 - 17 აგვისტო
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„შვეტე, იასონ!“ ანუ ქართული ფეხბურთის „ბოლო მერცხალი“ 3
ჭრელი მსოფლიო 4
სახელმწიფო
ერთი ყლუპი წყალი ჯარისკაცებს ანუ თავმოუბმელობის გამო დაკარგული ტერიტორიები... 6
სახე
ანი გიუნტერი ახალ ამპლუაში: „პარლამენტარის ცოლი“ და „გათახსირებული“ ქალი 10
მოხეტიალე რაინდი
„სიყვარულის ელჩი“ კავკასიაში 11
კრიმინალი
- განსასჯელს სამინელ დანაშაულში საკუთარი შვილი ამხელს 13
- „იქ რა გინდოდა? მოგკლავ!“ – დაგარალებულის თქმით, ასე მიმართა მას დამნაშავემ 14
- დაცვის უფროსმა ინსპექტორმა ახალგაზრდა ქალბატონის გაუპატიურება სცადა 15

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 16
ქალი საჭესთან
„გონკაობა“ მძღოლ ბიჭებთან, „მოპარული“ მანქანა და „რუჩნიკი“, რომელმაც გამოუცდელი თათა შეაცბუნა 16
გზავნილები
მხარგე შემჯდარი ეშმაკი ანუ ყურში მარილის ჩაყრის მაგარი „რეცეპტი“ 18
პერსონა
„სანამ ცოცხალი ხარ, გამოწვევებისთვის მგაგ უნდა იყო...“ 22
ბედისწერა
ქართველი ქალისგან განწირული გოგონა თურქმა ბიზნესმენმა განსაცდელისგან იხსნა 24
შემოქმედი
ლილიკო ნემსაძის საიდუმლო: „გულში, ყველა სიმღერას ვიღაცას ვუძღვნი...“ 27
დასვენება
დატვირთული გაფხული, იაპონური შთაბეჭდილებები და უალკოჰოლო სასმელი წყნარ რესტორანში... 29
ჯანმრთელობა
- ცივი სასწაული 30
- თუ თქვენ გაწუხებთ... 31

საკითხავი ქალებისთვის
- როგორ ვებრძოლოთ თმის ცვენასა და ქერტლს 32
- არასოდეს თქვა „არასოდეს“ 33

ერთი ყლუპი წყალი ჯარისკაცებს ანუ თავმოუბმელობის გამო დაკარგული ტერიტორიები...

ბევრი კითხვა, რომელიც 1992-93 წლების ომში ჩვენს დამარცხებას უკავშირდება, დღესაც პასუხგაუცემელია. ბევრს ვერც სამხედრო საკითხებში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი, გენერალი ვალერი ქვარაია მოჰფენს ნათელს, თუმცა აფხაზეთში მომხდარი მოვლენების მონაწილეს, ჩვენთვის არაერთი მოგონების გაზიარება შეუძლია...

6

„პარლამენტარის ცოლი“ და „გათახსირებული“ ქალი...

„წელსაც, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდებს აღარ ვაბარებდი, ზუსტად იმ პერიოდში დამეწყო ხელების კანკალი, როცა გამოცდები მეწყებოდა. ეს ალბათ, რაღაც ფსიქოლოგიური მომენტია. ამის გამო მეგობრები, რა თქმა უნდა, დამცინოდნენ და ბევრს ხუმრობდნენ“.

10

„სიყვარულის ელჩი“ კავკასიაში

უცნაურობათა გამო ახლობლები კი ჩამოსცილდნენ, სამაგიეროდ, სამყარო „დაიმეგობრა“. ქვეყნიდან ქვეყანაში, ზარჩამოკიდებული, ფეხით დადის და სანთლებს არიგებს. ამბობს – თუ ადამიანებთან სიყვარული მიგაქვს, ცუდი არსად არაფერი დაგემართებაო...

11

„გონკაობა“ მძღოლ ბიჭებთან, „მოპარული“ მანქანა და „რუჩნიკი“, რომელმაც თათა შეაცბუნა

„ძალიან მინდა, მყავდეს „ტიგრას“ ახალი მოდელი. საერთოდ, ასეთი ჩვეა მაქვს: რა ფირმის საგანსაც შევიძენ, იმ ფირმას არასოდეს ვღალატობ და თუ გამოვცვალი, მხოლოდ იმავე ფირმის ახალი მოდელით. მაგალითად, პირველად რომ ვიყიდე „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი, დღემდე იმავე ფირმის ტელეფონს ვაგარებ...“

16

ტაქარი
„...რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა... და მრავალს აცდუნებენ...“ 34
ადამიანი
მემაწვნე მაგდანას შთამომავალი, „აგენტი“ მოგზაური და თავადაც მემაწვნე 35
ვარსკვლავები
ყველაზე ერთგული ჰოლივუდური წყვილი 38
ბომონდი 41
ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. მანიაკის ძღვენი (გაგრძელება) 42
ასპარეზი
როგორ მოაგებინა დერიუგინმა საბჭოთა ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატი 46
ავტო 49
პირველი პაემანი
სპორტსმენი ბიჭების მოყვარული ნინო ორდენიძე ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიტიკოსმა დაინტერესა 50
ფესტივალი
ტიტულოვან ნორჩებს შორის მოხვედრილმა ია ორჯონიკიძემ პირველი ჯილდო მოიპოვა 52
შოუბიზნესი
იკბინებიან თუ არა ჯგუფ „ცეცეს“ ბიჭები? 53
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 54
ფავორიტები
რობინიო – „სამეფო კლუბის“ ახალი სუპერვარსკვლავი 55
აქსესუარი
გაქვთ პრეტენზია, კარგი და ძვირფასი სამკაული ატაროთ? თანხის გადახდაც არ უნდა დაგენანოთ... 57
შეუცნობელი
წინასწარმეტყველებათა ლაბირინთში 58
ჰოროსკოპი
კვირის (11-17 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი მამაკაცებისთვის
გადაიხდი თუ არა ვერცხლის ქორწილს? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ქართველი ქალისგან განწირული გოგონა თურქმა ბიზნესმენმა განსაცდელისგან იხსნა



„როცა ოთახში იავერი შემოვიდა, მე ამ დროს ჩუმად ვტიროდი. შევებრალე, რადგან კარგად იცოდა, როგორ ხვდებოდნენ ბიძამისთან გოგოები და ხელი არ დამაკარა. ბიძამისიც გააფრთხილა, რომ ჩემთან კლიენტი არ შემოეშვათ...“

24

მემაწვნე მაგდანას შთამომავალი, „აგენტი“ მოგზაური და თავადაც მემაწვნე

„ხალხმა იცოდა, ჯგუფში აგენტის არსებობის შესახებ, მაგრამ „კაგებე“ სპეციალურად ისეთ ადამიანებს არჩევდა, რომელთა აგენტობას ჯგუფის წევრები ვერ მიხვდებოდნენ. აბა, ჩემს აგენტობას ვინ წარმოიდგენდა?!. ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და ერთმანეთში რომ ჩურჩულებდნენ – ნეტავ, ვინ არის აგენტიო?.. – გულში მეცინებოდა“.

35

გუფონი ფილოსოფოსზეა შეყვარებული

მათ პაპარაცების გააქტიურება დისკომფორტს სულაც არ უქმნის. საგულისხმოა ისიც, რომ მეკარისთვის, რომელსაც საშუალო სკოლაც არ დაუმთავრებია, ქორწინება ორმაგად სასარგებლო იქნება. ალენა ხომ არაჩვეულებრივ ფიგურასთან ერთად, ფილოსოფიურ მეცნიერებათა მაგისტრის წოდებასაც ფლობს.

56

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიაშვილი

– მგონი, მართლა შემეშალე, შვილო. ლევანასთან დაგინახე და მაგის წუპაკი გოგო მეგონე, – გამიცინა საფრთხობელამ. ახლა უკვე აღარ ჰგავდა არაადეკვატურ შეშლილს, ცისფერი თვალები ხალისიანად უცინოდა.

– მე თომა ვარ, აქა ვცხოვრობ, ხეზე, ჩიტივითა... – მისმა კეთილგანწყობილებამ გამბედაობა შემმატა.

42

„შვეცე, იასონ!..“

ანუ ქართული ფეხბურთის „ბოლო მერცხალი“

ქართველებს ერთი კარგი თვისება გვაქვს: რაიმე საკითხში რომ გაგვიჭირდება, გამოსავლის ძიების ნაცვლად, წარსულით ტრაბახს ვიწყებთ. მაგრამ ახლა რომ ვთქვა, ფეხბურთი ქართველების მოგონილია და ჩვენი გმირი წინაპრები ლომებივით იბრძოდნენ მარტყოფის, მარაბდისა და დიდგორის „მოედნებზე“ თითო – ათის წინააღმდეგ-მეთქი, ნამეტანი მომივა. თუმცა, ჩვენი ფეხბურთის ისტორიაშიც ყოფილა გამონათებები: მარტო 1981 წლის 13 მაისი რად გვიღირს! გნებავთ, უფრო შორს წავიდეთ: „პირველი მერცხლის“ კაპიტანი იასონ კვირკველია პენალტით ტეხდა თხმელის „შტანგას“ და მეკარეს „ტყლიპს უხეთქავდა“.

აბა, ახლა რა ჯანდაბამ დაგვრია ხელი, მარილწყლით გაბერილი ფაქიზოსავით რომ წაგვექცა გუნდი შუა გზაზე და ძვრა აღარ აქვს?! დავასიეთ ქართული ფეხბურთის „დოხტურები“, იმსჯელეს და დიაგნოზიც დასვეს: „გუნდის ტვინის შერყევა და



პოტენციის დაქვეითება, რაც იწვევს მეტოქის კარში გოლის გაუვალობას და საკუთარი დაცვის ქრონიკულ მოშლილობას“.

წავიდა გუნდის სასწრაფო გადახალისება: ზოგი გავყიდეთ, ზოგი – გავაჩუქეთ, ზოგიც – „გადავკრასკეთ“ და ისე გადავაგდეთ, ვინმეს რომ არ ეცნო და არ მოებრუნებინა – ბიძია, ეგი შენ დაგივარდაო... – ზოგიც, გლახა ძაღლივით, შორს წავიყვანეთ და დავტოვეთ, მაგრამ მაინც მოაგნო „სახლს“ და მობრუნდა...

მოკლედ, ამ მეთოდმა რომ არ გაამართლა, გაგვახსენდა – „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილიო“ – და მწვრთნელი შევცვალეთ. ჯერ, ვინც წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი გვყავდა, ცოტ-ცოტა ხნით ყველა „წავატრენერეთ“ – არაფერი ეშველა ჩვენს მტერს!.. მერე უცხოელებზე გადავედით, არ დავაკელით შუშაკი და ჟირესი. ახლაც გამოვაცხადეთ ვაკანსია მთელ მსოფლიოში, განცხადებაც დავბეჭდეთ გაზეთში, მორბენალი სტრიქონიც შევუკვეთეთ ტელევიზიაში, მაგრამ ვინ ჭკუათმყოფელი დათანხმდება ახლა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას, როცა გუნდს თეორიული შანსიც არ აქვს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის – ეს ხომ გილიოტინაზე თავის დადების ტოლფასია!..

ამიტომ ვიპოვეთ „ბოლო მერცხალი“, ისევ ქართველი გავიმეტეთ და ისეთი კაცი გავწირეთ, რომელიც იჯდა ფედერაციაში წყნარად, პატიოსნად და კაციშვილს არ აწუხებდა თავისი არსებობით.

არადა, რა უნდა „ტრენერობას?!“ დურუ ხუნჭუასი არ იყოს, „ტრენერი“ ხომ ის კაცია, რომ იგინება!.. ჰოდა, ვიპოვოთ ვინმე ისეთი, მიუხედავად ამდენი წაგებისა, მაინც რომ დადის სტადიონზე და ერთ თამაშსაც არ აკლდება. „ტრენერობას“ ის გვიჩვენებს, როგორი უნდა!..

ბოლოს და ბოლოს, ინგლისმა, ბრაზილიამ და გერმანიამ იკითხონ, თორემ, ჩვენ მწვრთნელის პოვნა გაგვიჭირდება? დიდი „ფეოლაც“ ხომ ქართველი იყო! ვიაროთ მის მსგავსად კარდაკარ, ვიძახოთ „ბე-სი-კი-ი“ და ისეთ გუნდს შევკრებთ, მტერს თვალები დაუდგება! მერე გუნდი შევაჯიბროთ „ტრენერს“: თუ მოსწავლე აჯობებს, მასწავლებელს მოვაჭრათ თავი, თუ მასწავლებელი აჯობებს, მაინც ის დავსაჯოთ და ვიყოთ ასე მხიარულად.

ერთი გზა ვიცი კიდევ: მოვკიდოთ ხელი ამ ჩვენს გუნდს, მივიყვანოთ ვინმე დიდგვაროვანთან და ვთხოვოთ, ერთი-ორი კარგად შემოულაწუნოს!..

P.S. საგანგებო თათბირი ფეხბურთის ფედერაციაში:

– რა არის მიზეზი ჩვენი გუნდის წარუმატებლობისა?

– მე მგონი, მწვრთნელის ბრალია, გუნდს ვერ ათამაშებს კარგად.

– მე კი მგონი, გუნდის ბრალია, რას ვერჩით მწვრთნელს?

– ჩემი აზრით, გუნდიც კარგი გვყავს და მწვრთნელიც, მაგრამ კომენტატორები არ გვივარგა, თორემ, კარგი კომენტატორი რომ გვყავდა, ისე სწრაფად მიჰყავდა რეპორტაჟი, რომ ფეხბურთელები ძლივს ეწეოდნენ...

პროვოკატორი

1–ლი აპრილიდან, ოღონდ – არა სახუმაროდ...

უკვე რამდენიმე დღეა, ნიუ-დელის მცხოვრებთ ავტობუსის მოლოდინში ქუჩებში საათობით უწევთ ყოფნა და როგორც ფოტოზე ხედავთ – არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში. საქმე ის გახლავთ, რომ რაოდენობა ავტობუსებისა – რომელიც ამ მრავალმილიონიან ქალაქში ერთადერთი საზოგადოებრივი სატრანსპორტო სა-



შუალებაა, 1-ელი აპრილიდან 5-ჯერ შემცირდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მუნიციპალურმა ხელისუფლებამ, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მხოლოდ იმ ავტობუსებს დართო ხაზზე გასვლის უფლება, რომლებიც თხევად აირზე მუშაობენ. თუმცა, გადაწყვეტილება გასული წლის 30 სექტემბერს მიიღეს, მაგრამ ის უარყოფითი შედეგები, რომელიც ამან მოსახლეობას მოუტანა, მხოლოდ ახლაღა გამოიკვეთა.

ეტყობა, ქვეყნის ჩინოვნიკებს მომავლის წინასწარჭვრეტა არც ინდოეთში სჩვევიათ. ■

ᲩᲥᲚᲘᲚᲘ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ...

უახლოეს დრომდე უნგრეთს, გეოგრაფიული მდებარეობისდა გამო, სამხედრო-საზღვაო ფლოტი არ ჰყავდა. მაგრამ სამშობლოს პატრიოტს –

ცნობისმოყვარე სლოვენიელი ტურისტი კონფლიქტის ზონიდან გააძევეს

სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიიდან სლოვენიის მოქალაქე გააძევეს. ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსი“ შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლებზე დაყრდნობით იუწყება.

სლოვენიის მოქალაქე, მატრიც განიცი სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში მდებარე დასახლებული პუნქტის, წნელისის მიდამოებში დააკავეს, სადაც ის გაერთიანებულ შტაბთან შეუთანხმებლად იმყოფებოდა.

დაკავებულმა განაცხადა, რომ საქართველოში ტურისტად ჩამოვიდა, კონფლიქტის ზონაში კი „ცნობისმოყვარეობის გამო“ შევიდა.

სლოვენიის მოქალაქე საქართველოს შს სამინისტროს გადაეცა, – განაცხადა სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენელმა. ■

დე ფაქტო პრემიერი ალექსანდრე ანქვაბი „უფროს ძმასთან“ ვიზიტით კმაყოფილია

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი მოსკოვში დასრულებული ვიზიტის შედეგებითა და ინვესტორებთან გამართული მოლაპარაკებებით კმაყოფილია.

ანქვაბის განცხადებით, უახლოეს ხანებში რუსული ინვესტიციებით აფხაზეთში ბეტონის, ხილისა და ხეტყის გადამამუშავებელი ქარხნების, ასევე გზების მშენებლობა დაიწყება.

თვითაღიარებული პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, მოსკოვში ვიზიტისას მას შეხვედრები ჰქონდა ინვესტორებთან, რომლებთანაც მიღწეულია შეთანხმებები: 10 მილიონი დოლარის – აფხაზეთის ხილის კომბინატში, 3 მილიონი დოლარის – ხეტყის გადამამუშავებელ ქარხანაში, ხოლო 1 მილიონი დოლარის – ბეტონის ქარხანაში ჩადების შესახებ. მისივე თქმით, 0,5 მილიონი დოლარი მეფრინველეობისა და მეღორეობის განვითარებას მოხმარდება. რაც შეეხება აფხაზეთის გზებს – ანქვაბის ინფორმაციით, კომპანია „ტულა-პროექტი“ და ამავე პროფილის რამდენიმე ორგანიზაცია შეიმუშავებენ პროექტებს ფსოუ-სოხუმის და ბზიფი-რიწის გზებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად. ■

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მსოფლიო ფასებზე გავლენას მოახდენს

როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობმა უკვე საქართველომდე მოაღწია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. „იმედი მაქვს, რომ ამ პროექტის რეალიზაცია გავლენას მოახდენს ნავთობის საერთაშორისო ფასებზე და ამ ფასებს დაასტაბილურებს“, – განაცხადა ნოღაიდელმა. მისივე თქმით, ნავთობსადენიდან საქართველო გაისად, სერიოზულ შემოსავალს მიიღებს.

მიმდინარე წლის სექტემბერში კი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პრეზენტაცია მოეწყობა. ■

ბათუმი 40 ერთეული რუსული მძიმე ტექნიკით „შემსუბუქდება"

საქართველოს ტერიტორიას ბათუმის №12 რუსული სამხედრო ბაზის კუთვნილი მძიმეუხლუხებიანი ტექნიკა ტოვებს. მას რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალების ორი სადესანტო ხომალდით გაუყენებენ გზას. როგორც ბათუმის გარნიზონის კომენდანტმა გოჩა ნინიძემ განაცხადა, სადესანტო ხომალდებით – „ნიკოლაი ფილჩენკო" და „აზოვი" – 40 ერთეულს: 20 ტანკს, 10 საზენიტო კომპლექსს, 5 საზენიტო თვითმავალ დანადგარს და 5 ჯავშანმანქანას ნოვოროსიისკში გადაიტანენ. ეს პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონტროლის ქვეშ ხორციელდება.

აღნიშნული ტექნიკა საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2005 წლის 30 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე გადის. როგორც ცნობილია, ამ შეთანხმების თანახმად, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი 2008 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

■

სასამართლო წესით დევნა – პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით?

საქართველოს ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას პარტიის წევრების წინააღმდეგ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებს და საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაწყვეტისკენ მოუწოდებს.

როგორც პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, პირადად პრეზიდენტის დაკვეთით, ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივნის, კახა კოხრეიძის მამა, შოთა კოხრეიძე დააპატიმრეს. ნათელაშვილის თქმით, „საქსტანდარტის" ყოფილი დირექტორის ასევე ყოფილ მოადგილეს ოფიციალურად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ, თუმცა, რეალურად – მისი ვაჟის საქმიანობის გამო დაისაჯა. ნათელაშვილი შოთა კოხრეიძეს და მიხეილ ჯანიკაშვილს პოლიტპატიმრებს უწოდებს და აცხადებს, რომ მათი გათავისუფლება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაზე საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად არის შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლომ „საქსტანდარტის" ყოფილ გენერალურ დირექტორს, მიხეილ ჯანიკაშვილსა და მის პირველ მოადგილეს, შოთა კოხრეიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

■

- ალკოჰოლიზმი
- ნაბახუსევი („ზაპოი")
- გულძმარვა
- ნევროზი (აგრესიულობა, დეპრესია)
- ღვიძლი
- ნაღვლის ბუშტი

მცენარეული პრეპარატების მიღება შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც

☎ 98-42-49 (11⁰⁰–17⁰⁰სთ. კვირის გარდა); 893 965032

77-71-22 (სალამოს); 893-35-45-35 თამრიკო

რუბრიკა მომზადებულია სააგენტო „ინტერპრესნიუსის" მასალების მიხედვით

ვინმე გულა ფორინტოშს მიაჩნია რა, რომ მისი ქვეყნის პრესტიჟზე წყალქვეშა ფლოტის უქონლობა უარყოფითად მოქმედებს, გადაწყვიტა, თავისი წვლილი შეეტანა ამ ეროვნულ საქმეში და ექვსი წლის წინ, საკუთარ ეზოში წყალქვეშა ნავის მშენებლობა წამოიწყო. პირველი ორი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ მიმდინარე წლის მაისში დაუცხრომელი გულა წყალში რიგით მესამე მოდელის – სახელწოდებით Polaris ჩაშვებას აპირებს. ფორინტოშის ბოლო შედევრი სიგრძით დაახლოებით 20 მეტრია და 22 ტონას იწონის.

თუკი საცდელი ექსპერიმენტი წარმატებით ჩაივლის, პირველი უნგრული წყალქვეშა ნავი, თავისი შემქმნელის მეთაურობით და 3-5-წევრიანი ეკიპაჟის თანხლებით, მსოფლიო კრუიზში გაემგზავრება.

■

რა ღირს სახელმწიფო

როგორც ცნობილია, დღეს სიძნელეს არ წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა ღირს ვთქვათ, ესა თუ ის ბინა, სახლი ან ქარხანა. მაგრამ დიდი ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახური ამან არ დააკმაყოფილა და გადაწყვიტა, მთელი სახელმწიფოს ღირებულების მეთოდიკა შეემუშავებინა. მასში გათვალისწინებულია: მიწის, უძრავი ქონების, სამრეწველო საწარმოების, საავტომობილო გზების, სატრანსპორტო საშუალებების, აქციების ღირებულება და უამრავი სხვა ფაქტორი. ბუნებრივია, რომ ბრიტანელმა სტატისტიკოსებმა პირველ რიგში, საკუთარი სამშობლოს ფასი დაადგინეს და აი, რა გამოვიდა: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ჯამური ღირებულება თურმე, 4 ტრილიონ 983 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

■

ერთი ყლუპი წყალი ჯარისკაცებს ანუ თავმოუბმელობის გამო დაკარგული ტერიტორიები...

დასავლეთ საქართველოდან მომავალ ადამიანს არ შეიძლება, შეუმჩნეველი დარჩეს თბილისის შემოსასვლელში დადგმული დიდი ბილბორდები, რომლებიც დაკარგული ტერიტორიების არდავიწყებისკენ მოგვიწოდებს: „აფხაზეთი — ჩვენი ტკივილი“, „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ ყველა პატრიოტის სანუკვარი სურვილია, დავიბრუნოთ ის დაკარგული ტერიტორიები, რომლისთვისაც ბრძოლას ბევრი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

სამწუხაროდ, ბევრი კითხვა, რომელიც 1992-93 წლების ომში ჩვენს მწარე დამარცხებას უკავშირდება, დღესაც პასუხგაუცემელი რჩება. ბევრ მათგანს ვერც დღევანდელი რესპონდენტი — სამხედრო საკითხებში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი, გენერალი ვალერი ქვარაია მოჰფენს ნათელს, თუმცა აფხაზეთში იმ დროს მომხდარი მოვლენების თვითმხილველსა და ერთ-ერთ მონაწილეს, ჩვენთვის არაერთი საინტერესო მოგონების გაზიარება შეუძლია.

სოფო ჭონიმვილი

— როგორ დაიწყო თქვენი სამხედრო კარიერა?

— 1971 წელს დავამთავრე თბილისის საარტილერიო სასწავლებელი. შემდეგ, 3 წლის განმავლობაში ვმსახურობდი ჩინეთის საზღვართან, სადაც გახლდით საარტილერიო ჯარის ოცმეთაური, შემდგომში კი ასმეთაური. სამხედრო კარიერის მანძილზე, ბევრი საფეხური მაქვს გავლილი — როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში. ვიყავი არტილერისტი, სარაკეტო და საარტილერიო დივიზიის მეთაური... აფხაზეთის ომის დროს, ვხელმძღვანელობდი ათასობით უმართავ მეომარს... ომის დაწყებამდე გამგზავნეს ახალციხეში, მე-10 დივიზიის მისაღებად. დივიზიის გადაბარებისთვის შექმნილი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გახლდით. ერთი თვის განმავლობაში ვიბარებდი ამ დივიზიას, პარალელურად ვქმნიდი სამხედრო ნაწილებს. ის-ის იყო, ჩამოვაყალიბეთ საარტილერიო პოლკი, რომ აფხაზეთში ომიც დაიწყო. გავგზავნეთ ერთი დივიზიონი სოხუმში. ამ დივიზიონს ემზარ ჯოჯუა მეთაურობდა. ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, ის სოხუმიდან გაგრაში გადაგზავნეს, გაგრაში კი, მალე, აფხაზებმა ალყაში მოაქციეს. სულ რამდენიმე კაცი გადარჩა... ჩამოვაყალიბეთ მეორე დივიზიონი და ამჯერად, უკვე მეც თან გავყევი. ჩავედით სოხუმში, სადაც 2-3 თვის განმავლობაში, არტილერიის სარდლის მოვალეობას ვასრულებდი. პარალელურად დავინიშნე ერთ-ერთი კორპუსის შტაბის უფროსად, ბოლოს კი — კორპუსის მეთაურად. მე თვითონ არ მინდოდა ამ თანამდებობაზე ყოფნა, რადგან ამ დროს არ არსებობდა რეგულარული ჯარი, არ გვყავდა მეთაურები, არმია ძირითადად, მოხალისეებით იყო დაკომპლექტებული. მათ არ გააჩნდათ სამხედრო განათლება და რაც მთავარია, არ ჰქონდათ გამოცდილება.

ისიც ვუთხარით, რომ არ გვყავდა მეთაურები და ვინც გვყავდნენ, ისინიც არაპროფესიონალები იყვნენ (გენერალი ვალერი ქვარაია ცენტრში)

— ომში დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ალბათ, ეს იყო, ხომ?

— როცა კამკამიძე დანიშნეს სარდლად, მთელ საქართველოში მოკრიბეს 33 სამხედრო მოსამსახურე. ისინი კომისარიატებიდან გამოგზავნილი ოფიცრები — კომისრები, განყოფილებების უფროსები და მათი მოადგილეები იყვნენ, რომლებიც ჩვენ უნდა დაგვენიშნა სხვადასხვა სამხედრო თანამდებობაზე. პაატა დათუაშვილმა (მაშინ ის კორპუსის მეთაური იყო), შესთავაზა იმათ ბრიგადის, ბატალიონის შტაბების უფროსობა. ისიც ვუთხარით, რომ არ გვყავდა მეთაურები და ვინც გვყავდნენ, ისინიც არაპროფესიონალები იყვნენ. მაგრამ შეთავაზებული თანამდებობების დაკავებაზე მათ უარი გვითხრეს, მხოლოდ 3 კაცი დათანხმდა. ამიტომაც, ჩვენი არმია პროფესიონალური კადრებით ვერ დაკომპლექტდა. როცა მე კორპუსის მეთაურად მნიშნავდნენ, უარი ვთქვი ამ თანამდებობაზე და იქ შეკრებილ ხელმძღვანელებს — სიგუას, კიტოვანს, ნადარეიშვილს, ბატონ პრეზიდენტს ვუთხარი: მე სამხედრო კაცი ვარ და აქ არ არის ის სიტუაცია, რომ მე ჩემი საქმე ვაკეთო-მეთქი... მათ მითხრეს, რომ ერთ თვეში მოძებნიდნენ შემცვლელს და მე გამათავისუფლებდნენ აღნიშნული თანამდებობიდან. ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო. არ გვყავდა რეზერვი, რომელიც ომში აუცილებელია; აღმოსავლეთიდან გვიგზავნიდნენ ბატალიონებს, რომლის შემადგენლობაშიც 150-200 კაცი შედიოდა; იყო ასევე 200-300-კაციანი შავნაბადას ბატალიონი, რომელიც 2-3 თვე რეზერვის ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო: ყველაზე ცოტა, რეზერვში 1500 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო. რატომღაც ეშინოდათ რეზერვის, არ უნდოდათ, რომ რეზერვისტები ყოფილიყვნენ.

— რატომ არ უნდოდათ?

— მე არ მინდა ახლა, ბოლომდე გავხსნა ყველა საიდუმლო: ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ამისათვის ჯერ არც მე ვარ მზად და არც არსებული სიტუაცია; დაუფარავად რომ ვთქვა ყველაფერი, ბევრი ჩემი ნაცნობი, მეგობარი, ახლობელი ადამიანი დამიპირისპირდება, ჩათვლიან, რომ რაღაც ზღვარს გადავაბიჯე... მაშინ, გარკვეული მიზეზებისა და პრობლემების გამო, დავწერე პატაკი და წამოვედი ჯარიდან. ვხედავდი, რომ შეუძლებელი იყო ასეთ სიტუაციაში ხელმძღვანელობა. ერთი თვის განმავლობაში, სახლში ვიყავი. 1993 წლის 2 ივნისს, როცა აფხაზებმა ტამიშში დესანტი გადმოსხეს, ეს ინფორმაცია ტელევიზიით მოვისმინე, მაშინ კი ყველანაირი წყენა დავივიწყე, ჩავჯექი თვითმფრინავში და ჩავფრინდი სოხუმში. ვიცოდი, რომ მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. კორპუსის შტაბში დამხვდნენ ედუარდ შევარდნაძე და პაატა დათუაშვილი, იქვე შემომთავაზეს თანამდებობა, მითხრეს — სადაც გინდა, იქ დაგნიშნავთო. — ვუპასუხე — სადაც საჭიროა, იქ წავალ-მეთქი. დამნიშნეს პირველი კორ-

პუსის — აღმოსავლეთიდან ჩამოსული ჯარის ხელმძღვანელად, რომელსაც ტამიშის მიმართულებით უნდა ემოქმედა. ამ დროს, ტამიშში ბრძოლები უკვე დაწყებული იყო, ბევრი ჩვენიანი ალყაშიც მოექცა. 2 საათის განმავლობაში 354 ჯარისკაცი დავკარგეთ... შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში, დავრჩი ტამიშში, სიტუაცია გამოვასწორე, გავუმჯობესეთ პოზიციები და ტერიტორიებიც დავიბრუნეთ.

— ედუარდ შევარდნაძის მრჩევლად როდის დაინიშნეთ და როგორ გადაწყდა ეს საკითხი?

— გია ყარყარაშვილმა *(მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა. — ავტ.)* გამოგვიძახა მე და ნიკოლეიშვილი და გვითხრა, რომ პრეზიდენტმა დაავალა — სამხედრო მრჩეველი მჭირდება და ქვარაია ან ნიკოლეიშვილი გამომიგზავნეო. ყარყარაშვილმა გვკითხა — რომელი წახვალთო? ჩვენ ვუპასუხეთ, რომ სულერთი იყო, რომელი წავიდოდით. — მაშ, შენ წადიო, — შემომთავაზა.

— თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, თქვენ მიერ ორგანიზებული და წარმატებით დამთავრებული სამხედრო ოპერაცია?

— 1992 წლის 15 ოქტომბერს გაგრის დაცემის შემდეგ, მეორე საარტილერიო ჯგუფს ჩავყევი სოხუმში. იმ დღიდან — მაისის ბოლომდე ვხელმძღვანელობდი არტილერიას, მოწინააღმდეგის ყველა შემოტევის დროს. რა თქმა უნდა, უშიშროების სამსახურიც გვეხმარებოდა. მისი მონაცემებით ვხვდებოდით, რომ აფხაზების მხრიდან სერიოზული იერიშები იგეგმებოდა. მათი ყოველი შეტევის წინ, საოცარი წინათგრძნობა მქონდა. თითქოს რაღაც მკარნახობდა, როდის გადმოვიდოდნენ აფხაზები შეტევაზე. ამიტომ ყოველთვის წინასწარ ვემზადებოდით. 15-16 მარტის შემოტევამდე, 14 მარტის გაკვეთილი ჩავატარე, როგორც კორპუსის შტაბის უფროსმა. მოვიწვიე მეთაურები და შევიმუშავეთ გეგმა, აფხაზების შემოტევისას, თითოეულ მათგანს რა უნდა გაეკეთებინა. ვიხილავდით სხვადასხვა ვერსიას. 3-4 ნოემბრის შემოტევის დროს, რომელშიც აფხაზებთან ერთად ჩეჩნებიც მონაწილეობდნენ, პირველად დაიჭრა შამილ ბასაევი, საერთო ჯამში კი, მათ 175 კაცი დაკარგეს. ჩვენ იმ ბრძოლაში 42 ჯარისკაცი დაგვეღუპა. შეტაკებებისას, დიდი როლი ითამაშა არტილერიამ, რომელიც შეწყობილად და შეთანხმებულად მოქმედებდა. ასევე მოხდა 4 იანვრის შეტევის დროს, როცა აფხაზების მხარიდან 115 კაცი დაიღუპა, ჩვენ კი 4 ჯარისკაცი დავკარგეთ. როცა აფხაზებმა ათონის მხრიდან შემოგვიტიეს, ჩვენ დროულად მივიღეთ უსაფრთხოების ზომები და გუმისთასთან მოახლოება არ დავანებეთ — თითქმის მთელი

იყო შემთხვევები, როცა ძალოვანი მინისტრები შეუფერებელ ადამიანებს წარუდგენდნენ თანამდებობებზე დასანიშნავად

შენაერთი გავანადგურეთ. მიუხედავად ამისა, გუმისთის გადმოლახვა 40 კაცმა მაინც შეძლო. შემდეგ გაირკვა, რომ ეს ჯგუფი აფხაზეთის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ყოფილა. ამ 40 კაციდან 25 ჩვენს ნაპირზე დაიხოცა, დანარჩენები კი – მდინარეზე გადმოსვლის დროს. ამ ბრძოლის დროს, ჩვენ სულ 3 ჯარისკაცი დავკარგეთ. მე საკუთარ დღიურში ვინიშნავდი, თუ რომელი შეტევის დროს რამდენი ჯარისკაცი დავკარგეთ, ამიტომ ზუსტად მახსოვს ეს ციფრები. შემდეგ უკვე აღნიშნული მონაცემები აფხაზეთის თავდაცვის მინისტრთანაც დავაზუსტე: 1994 წლის იანვარში, მას სამშვიდობო მოლაპარაკების დროს შევხვდი. მან დაუფარავად მითხრა – 15-16 მარტის შეტევის დროს 260 ჯარისკაცი დაგვეღუპა და 600 დაიჭრაო. ისიც გამიმხილა – მაშინ თქვენ რომ შეტევაზე გადმოსულიყავით, ჩვენ დავმარცხდებოდითო... ამ შეტაკების დროს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ქართველმა ჯარისკაცებმა. ამბობდნენ კიდეც, რომ ქართველებს ბრძოლა შესძლებიათო. მაგრამ ჩვენი ჯარი სასტიკად დამარცხდა ტამიშის ორთაბრძოლის დროს, მიზეზი ამ დამარცხებისა, ჩვენი ხელმძღვანელების უყურადღებობა იყო. მათ იცოდნენ, რომ აფხაზები შეტევაზე უნდა გადმოსულიყვნენ, მაგრამ რატომღაც არანაირ ზომებს არ მიმართეს. აფხაზებმა ტანკი ზღვის მხრიდან გადმოიყვანეს; ჩვენი ჯარისკაცები ამ დროს სახლებში იყვნენ, ზოგს ეძინა, ზოგიც – ნასვამი იყო. ამ ტანკმა გაისროლა და რამდენიმე ათეული ადამიანი მოგვიკლა. სანაპიროზე მყოფი, 40-კაციანი ჯგუფიც ისე მოულოდნელად დაგვიხოცეს, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა ერთი გასროლაც კი ვერ მოასწრეს...

ყველაფრის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ აფხაზეთში მოუმზადებელი ადამიანები ჩამოდიოდნენ საბრძოლველად. ტამიშის ბრძოლის დროს, ჩემ გვერდით ერთი ახალგაზრდა ბიჭი იდგა, რომელმაც ცეცხლი გახსნა და ჩვენი 4 მებრძოლი დაჭრა

— თუ ამ შეტევის შესახებ წინასწარი ინფორმაცია ჰქონდათ, მეთაურებმა თავდაცვის ზომებს რატომ არ მიმართეს?

– ამ ყველაფრის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ აფხაზეთში მოუმზადებელი ადამიანები ჩამოდიოდნენ საბრძოლველად. ტამიშის ბრძოლის დროს, ჩემ გვერდით ერთი ახალგაზრდა ბიჭი იდგა, რომელმაც ცეცხლი გახსნა და ჩვენი 4 მებრძოლი დაჭრა. რა თქმა უნდა, ამ პიროვნებას ავტომატი ჩამოვართვი და მის მეთაურს ვუთხარი, ეს კაცი მომაცილე-მეთქი. თუმცა, იქ ნამდვილი პროფესიონალებიც იყვნენ და სულით და გულით იბრძოდნენ...

— ამბობენ, ომის დროს არაერთხელ გაცემულა ბრძანება, რომ ჩვენს შენაერთებს დაკავებული პოზიციებიდან უკან დაეხიათ. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

– 2 ივნისს, როცა ტამიშის მიმართულებით შეტევა განვახორციელეთ, ხიდთან უნდა შევხვედროდით ოჩამჩირიდან მომავალ სამხედრო ძალებს. დანიშნულ ადგილზე მისვლამდე 3 კმ გავიარეთ. გზად აფხაზებმა 4 ჯარისკაცი მოგვიკლეს. მივედით ტამიშის ხიდთან. არც ერთ ჯარისკაცს არ ჰქონდა არც ზურგჩანთა, არც მათარა. მხოლოდ მე მქონდა ერთი მათარა წყალი, რომელსაც იმ შემთხვევაში ვაწვდიდი ამა თუ იმ ჯარისკაცს, როცა ძალიან გაუჭირდებოდა, ისიც – ერთ ყლუპზე მეტის დალევის ნებართვას არ ვაძლევდი... მათ მხოლოდ ავტომატი ეჭირათ ხელში. ჯარისკაცი როცა იერიშზე გადადის, 1000 ტყვია მაინც უნდა ჰქონდეს... ჯარისკაცებს საჭმელ-სასმელი არ ჰქონდათ. ჰოდა, ერთ დღეს, გამექცნენ, მხოლოდ ბატალიონისა და ასეულის მეთაურები დარჩნენ. მეორე დღესაც ივნისს... ბოლოს უკვე 6 კაცი ვიდექით ხიდთან – იმ მომენტამდე, სანამ ზურგიდან არ მოგვადგნენ აფხაზები და ალყაში არ მოგვაქციეს... ასე რომ, პოზიციებს იმიტომ კი არ ვტოვებდით, რომ ვიღაცა ზემოდან გვიბრძანებდა. აქ ერთი მთავარი მიზეზი იყო: აფხაზებმა გვაჯობეს. ხშირ შემთხვევაში, ისინი, ვინც პოზიციებს ტოვებდნენ, თავის გამართლების მიზნით, ამბობდნენ, რომ ვიღაცამ უბრძანა. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი შემთხვევებიც იყო. მაგალითად, ბოლოს სოხუმის დაცემის წინა დღეებში, რამდენიმე კაცმა მითხრა, რომ ვიღაცამ, ჩემი სახელით და ჩემი ხმით ჯარისაცებს უბრძანა, პოზიციები დაეტოვებინათ. სოხუმში ბოლოს, მე-6 ბატალიონი იყო დარჩენილი.



შეკითხებოდა ამა თუ იმ პიროვნებაზე – ვინ იყო და რას წარმოადგენდა...

თუ მშვიდობიანი გზით ვერ მოვახერხებთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მაშინ ბრძოლაზე არ უნდა ვთქვათ უარი...

— თქვენ ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი ბრძანდებოდით. რა რჩევას აძლევდით პრეზიდენტს?

— როცა პირველად მივედი მასთან, როგორც მრჩეველი, მაშინ მას ვუთხარი — ბატონო ედუარდ, თქვენ, გამოცდილ კაცს, მე რა უნდა გირჩიოთ-მეთქი?!.. რჩევებს ძირითადად, სამხედრო კადრების შერჩევისას ვაძლევდი. მეკითხებოდა ამა თუ იმ პიროვნებაზე — ვინ იყო და რას წარმოადგენდა. მე, რა თქმა უნდა, სიმართლეს ვეუბნებოდი, არც დადებითს ვუმალავდი და არც უარყოფითს. იყო შემთხვევები, როცა ძალოვანი მინისტრები შეუფერებელ ადამიანებს წარუდგენდნენ თანამდებობებზე დასანიშნავად. ამას ყოველთვის წინააღმდეგობას ვუწევდი, ვეუბნებოდი — ეს ადამიანი არ იმსახურებს ამ თანამდებობაზე დანიშვნას-მეთქი. ერთი კურიოზიც შემიძლია გავიხსენო: პრეზიდენტთან ურთიერთობისას, თითქმის ყოველდღე მიწევდა მასთან კაბინეტში შესვლა დოკუმენტებით, რომლებიც მას უნდა წაეკითხა და ხელი მოეწერა. იყო შემთხვევები, როცა ხან ამტკიცებდა ამ დოკუმენტებს, ხან — არა. ვხვდებოდი, რომ ამ საბუთების და დოკუმენტების კითხვის დროს, ძალიან იღლებოდა, ამიტომ შევთავაზე, რომ საბუთები ორ ნაწილად გაგვეყო: ერთი იქნებოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მეორე — შედარებით უმნიშვნელო; მნიშვნელოვანს გადაიკითხავთ და ხელს მოაწერთ, უმნიშვნელო შეგიძლიათ, არ წაიკითხოთ და ისე მოაწეროთ ხელი-მეთქი. დამთანხმდა. მეორე დღეს შევუტანე ორი საქაღალდე, ერთი — პირველხარისხოვანი საბუთებით, მეორე — მეორეხარისხოვნით. მნიშვნელოვან საბუთებს ხელი წაუკითხავად მოაწერა, უმნიშვნელოს კი, მთელი საათის განმავლობაში კითხულობდა: ამით მიმანიშნა იმაზე, რომ არ არსებობს, უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი დოკუმენტები...

— ბატონო ვალერი, აფხაზეთის ომში რუსების როლზე რას იტყვით?

— რუსებს ის როლი ჰქონდათ, რა როლიც დღესაც აქვთ. ის, რაც აფხაზეთში მოხდა, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მზადდებოდა. საბჭოთა ხელმძღვანელებმა იცოდნენ, რომ ამერიკა ცდილობდა საბჭოთა კავშირის დაშლას. ამიტომ, ეს ყველაფერი რუსეთის მიერ წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა. მარტო გეგმაზეც არ არის საუბარი — კადრებიც საკმაოდ მომზადებული და სხვადასხვა სტრუქტურაში „ჩასმული" ჰყავდათ: ჯერ ამზადებდნენ, შემდეგ — ასრულებდნენ იმ გეგმას, რასაც საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება ჰქვია.

— როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი? ხელისუფლება ამბობს, რომ ეს მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს. თქვენ რას გვეტყოდით?

— პრეზიდენტმა ააკაშვილმა განაცხადა — აფხაზეთი ძალისმიერი მშვიდობიანი გზით უნდა დავიბრუნოთო. პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ხელისუფლება ამ საკითხის მოსაგვარებლად ბევრ რამეს შესაძლებელზე მეტს აკეთებს. თუმცა, შეცდომებიც არის. თუ მშვიდობიანი გზით ვერ მოვახერხებთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მაშინ ბრძოლაზე არ უნდა ვთქვათ უარი... ■

ის, რაც აფხაზეთში მოხდა, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მზადდებოდა. საბჭოთა ხელმძღვანელებმა იცოდნენ, რომ ამერიკა ცდილობდა საბჭოთა კავშირის დაშლას. ამიტომ, ეს ყველაფერი რუსეთის მიერ წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა

ტელეკომპანია „202“-იდან გაუჩინარების შემდეგ, ანი გიუნტერს მაყურებელი მალე ცნობილ ქართულ სერიალში — „ყავა და ლუდი“ იხილავს. ანი გადაღებებში მონაწილეობით კმაყოფილია. ის პარტნიორობას ცნობილ მსახიობს, გია როინიშვილს უწევს. გარდა ამისა, თურმე მიღებული აქვს სხვა საინტერესო შემოთავაზებებიც, თუმცა ჯერჯერობით, არ გადაუწყვეტია, დათანხმდება თუ არა. როგორც თვითონ ამბობს — კარგად უნდა დაფიქრდეს, რა უნდა და რა სჭირდება...

ანი გიუნტერი ახალ ამპლუაში:

„პარლამენტარის ცოლი“ და „გათახსირებული“ ქალი...

სოფო ჭონიშვილი

— ანი, ამჟამად რას საქმიანობ, რით ხარ დაკავებული?

— ამჟამად ვისვენებ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სახლში ვარ და ვდიასახლისობ.

— „202“-დან რატომ წახვედი?

— დაიხურა პროექტი, რომელშიც დაკავებული ვიყავი. სექტემბრიდან მივხედავ ახალ საქმეებს და შემოთავაზებებს. ჯერ უნდა დავფიქრდე, გავარკვიო — რა მჭირდება და რა — არა. ისე, დასაქმებით, ნებისმიერ მომენტში შემიძლია დავსაქმდე. ერთ ადგილზე ყოფნა არ მინდა, რაღაც, ერთი საფეხურით მაინც, წინ მინდა წავიდე.

— ტელესერიალში — „ყავა და ლუდი“ — ვინ მიგიწვია?

— რეჟისორმა ზაზა ბუაძემ. გადაღებული ვარ ორ სერიაში, რომლებსაც ოქტომბერში იხილავს ტელეკომპანია „იმედის“ მაყურებელი. როგორც იცით, ამ სერიალში მსახიობები თითო-თითო სერიაში არიან გადაღებული, თუმცა არიან ძირითადი პერსონაჟებიც — ისეთები, როგორებიც, მაგალითად, ჩვენ *(ანი, ზვი, შონზო, ალეკო და ნიკა იყვნენ. — ავტ.)* ვიყავით „მუსკულებში“.

— რა როლს ასრულებ?

— ჩემი პერსონაჟი, ყოფილი „მის თბილისია“. ამ როლისთვის იმიჯის შეცვლა დამჭირდა: ვარ ტიპური თბილისური გარეგნობის ქალი, ზოგისთვის — მოსაწონი, პირადად ჩემთვის კი — ცოტა მიუღებელი. ჩემთვის ეს სტილი და იმიჯი მისაღები რომ იყოს, ცხოვრებაში მის შესანარჩუნებლად ვიზრუნებდი... ფილმში ვარ მდიდარი პარლამენტარის ცოლი და ამავე დროს, „გათახსირებული“ ქალი. ჩემი პერსონაჟის ქმარს მსახიობი გია როინიშვილი განასახიერებს. როგორ მთავრდება ეს ფილმი ჯერჯერობით ვერ ვიტყვი — ამაშია მთელი ინტრიგა.

— ანი, რატომ დარჩი თბილისში? დასასვენებლად არ მიდიხარ?

— კი, ვაპირებ ქალაქიდან გასვლას, მაგრამ სად — ჯერ არ ვიცი. ალბათ, ზღვაზე წავალ, მთაში წასვლა წელს რატომღაც არ მინდა.

— საერთოდ, უპირატესობას მთაში დასვენებას ანიჭებ თუ ზღვაზე?

— ყოველთვის ისეთ ადგილზე ვისვენებდი, სადაც მთაც იყო და წყალიც. წელს ჯერჯერობით, წინასწარ ვერ ვგეგმავ, თუ სად წავალ. შარშანაც არ ვიცოდი, სად წავიდოდი, მაგრამ შემდეგ, ტურნე მქონდა — მთელი საქართველო მოვიარე.

— ისე, შენს სურვილზე რომ იყოს, სად ისურვებდი დასვენებას?

— კანარის კუნძულებზე არ ვიტყოდი უარს, რაც წელს არ გამომდის... მომავალ წელს, იმედი მაქვს, ამ სურვილს ავისრულებ. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვისთან ერთად ვისვენებ. წელს ერთი პრობლემა მაქვს — ჩემი მეგობრები წასულები არიან, ზოგი — ზღვაზე, ზოგი — მთაში ან სოფელში. აგვისტოში ყველანი დაბრუნდებიან და ერთად წავალთ ზღვაზე. ყოველთვის მშურს ისეთი ხალხის, ვისაც საშუალება აქვს, ჩავიდეს სოფელში ბებიასთან, ნათესავებთან. ბებია კი მყავს, მაგრამ თბილისშია. სოფელი, სამწუხაროდ, არ გამაჩნია.

— პასიური დასვენება უფრო გიყვარს თუ აქტიური?

— პასიური არაფერი მიყვარს, დასვენებაც კი. რა აზრი აქვს ისეთ დასვენებას, მთელ დღეს ჰამაკში ჩაწოლილი, წიგნის კითხვაში თუ ატარებ?! ვცდილობ, რომ ყოველთვის მაქსიმალურად გამოვიყენო დასვენებისთვის განკუთვნილი დრო. ჩემთვის გარემოს შეცვლა უკვე ძალიან დიდი დასვენებაა. დისკოთეკაზე სიარული არ მიყვარს.

— ხომ არ გაიხსენებდი ზღვაზე თავს გადამხდარ რომანტიკულ თავგადასავლებს?

— ძალიან ბევრი მოგონება მაქვს, ბევრი თავგადასავალი გადამხდენია, მაგრამ ახლა ძველ ამბებს არ გავიხსენებ... იმედი მაქვს, რომ წელს უფრო კარგი და საინტერესო თავგადასავლები მეენება და შემდეგ ვილაპარაკოთ ამ თემაზე. სამწუხაროდ, არასდროს მახსოვს წინა წელს მომხდარი ამბები. ყველა ზაფხული თითქმის ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ყველა, რა თქმა უნდა, თავისებურად კარგია.

— ყველაზე მეტად წელიწადის რომელი დრო გიყვარს?

— რატომღაც ყველაზე მეტად გაზაფხული მიყვარს. მე ხომ სპეციალურ სკოლაში ვსწავლობდი, ამიტომ როცა სხვა ბავშვები დასასვენებლად მიდიოდნენ, მე ამ დროს გამოცდებს ვაბარებდი. წელს არის პირველი წელი, როცა გამოცდები აღარ მაქვს ჩასაბარებელი. ახლა რასაც ვიტყვი, ამის გამო არ დამცინო: ზაფხულის დადგომასთან ერთად ვიგრძენი, რომ გამოცდები მაკლია. გამოცდების ჩაბარების წინ, ნერვიულობისგან ყოველთვის მეწყებოდა ხელების კანკალი; დამთავრდებოდა გამოცდები და ხელების კანკალიც მიქრებოდა... წელსაც, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდებს აღარ ვაბარებდი, ზუსტად იმ პერიოდში დამეწყო ხელების კანკალი, როცა გამოცდები მეწყებოდა. ეს ალბათ, რაღაც ფსიქოლოგიური მომენტია. ამის გამო მეგობრები, რა თქმა უნდა, დამცინოდნენ და ბევრს ხუმრობდნენ.

— თბილისში როგორ ერთობი ამჟამად?

— ავდივართ ხოლმე კოკორში, წყნეთში, მცხეთაში — რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად. ჯერჯერობით, მოწყენილი ნამდვილად არ ვარ. შეიძლება ითქვას, რომ ახლა თბილისი უფრო მიყვარს, იმიტომ, რომ ამჟამად აქ ვარ. ყოველთვის მიყვარს ის გარემო და სიტუაცია, სადაც ვიმყოფები. არა ვარ ისეთი პიროვნება, რომ ვოცნებობდე — აუ, რა კარგი იქნება, სხვაგან რომ წავალ და დავისვენებმეთქი. ვცხოვრობ იმ მომენტით, რომელიც ამწუთას დგას და კმაყოფილი ვარ იმით, როგორც ვარ და სადაც ვიმყოფები.

— შენს საზაფხულო გარდერობზე რას გვეტყვი?

— რა თქმა უნდა, საზაფხულო ტანსაცმელს ყოველთვის განსაკუთრებულად ვარჩევ. რაც შეეხება ზღვას — იქ გადატვირთული გარდერობი არასოდეს მიმაქვს. არ არის აუცილებელი, 5 კაბა და 8 წყვილი ფეხსაცმელი წაიღო. თუმცა, შარშან კი მქონდა წაღებული 7 წყვილი ფეხსაცმელი და 5 კაბა... აზრი არა აქვს ბევრი ტანსაცმლის წაღებას. უნდა გქონდეს ერთი-ორი და პრაქტიკული... ■

უცნაურობათა გამო ახლობლები კი ჩამოსცილდნენ, სამაგიეროდ, სამყარო „დაიმეგობრა“. ქვეყნიდან ქვეყანაში, ზარჩამოკიდებული, ფეხით დადის და სანთლებს არიგებს. ამბობს — თუ ადამიანებთან სიყვარული მიგაქვს, ცუდი არსად არაფერი დაგემართებაო... ხალხს ის ეროვნებითა და რელიგიით არ ასხვავებს და ყველგან ზოგადსაკაცობრიო სიყვარულს ქადაგებს. ადამიანებს მოძღვრავს — ძმებო, ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს, სიყვარულისთვის შეგვქმნა ღმერთმაო! მისი მოგზაურობები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დალოცა...

პაატა მოისწრაფიშვილმა გახურებული ომების დროს მოიარა ქვეყანა — „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. თან 3000 სანთელი წაიღო. წვეროსანი გურჯი თივის ზვინებსა და გადამწვარ აულებში ათევდა ღამეს და „ბოევიკებს“ ქართული სიმღერებით უთბობდა გულს. როგორც თვითონ ამბობს, იქაურებს თურმე, სულაც არ მოსჩვენებიათ უცნაურ კაცად...



მოვიდა პატარა ჩეჩენი ბიჭი, შამიტო მქვიაო, — მითხრა, ხურდა ფული გამომიწოდა. — ეს რა არის-მეთქი? — პურის ფულიაო, — მიპასუხა... ავტირდი კაცი...

„სიყვარულის ელჩი“ კავკასიაში და... პაჩუკუნას მინდვრის მესაფლავე

ეთერ ერაძე

— ბატონო პაატა, რაღა მაინცდამაინც კბილებამდე შეიარაღებულ კავკასიელთა ქვეყნებში გადაწყვიტეთ მოგზაურობა?..

— კაცს ტყვიის არ უნდა ეშინოდეს... ვითომ რატომ არ უნდა წავსულიყავი კავკასიაში?! მიწა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ხომ ჩვენი იყო! მართალია, აღარ გვეკუთვნის, მაგრამ იქ ვინც ცხოვრობს — ოსია, ადიღელი, ყარაჩაელი თუ ჩეჩენი — დაე, იცოდნენ, ვინ ვართ ქართველები, რამხელა სიყვარული შეგვიძლია... ისე დავშორდით ერთმანეთს, სისხლმა და ომებმა ისე გაუქვავა ამ ხალხს გულები, აღარც აინტერესებთ, ვინ ვართ, მაგრამ თუ აუხსნით, თუ გულს გაუთბობთ, იცით, ვის მიიღებთ?.. საუკეთესო ხალხს, მაგათ ვენაცვალე!.. გადამწვარ ოჯახებში შევდიოდი და თავის წილ ლუკმას მიყოფდნენ.

— რით მოეწონეთ?

— დაინახეს, რომ ისინი მიყვარდა — მეტი არაფერი. ყელზე რომ იერუსალიმში ნაჩუქარი, სპილენძის გული და ზარი მეკიდა, ის იყო ჩემი სიყვარულის ნიშანი.

— გული კიდევ მესმის — ზარს რატომლა ატარებდით?

— როგორ?! წკარუნობდა — ხალხს ხომ უნდა გაეგო, რომ გზაზე კაცი მოდიოდა... ხომ უნდა მოსულიყვნენ, რომ გამარჯობა მეთქვა!

— ასე თავისუფლად მისეირნობდით?

— ზოგჯერ მაპატიმრებდნენ... 6 საათი გამაჩერეს ჩეჩნეთის საზღვართან და 6 საათი შეუსვენებლივ ვლაპარაკობდი. მოულბათ გული. როგორ შეიძლება, კაცი, რომელიც ფანდურზე უკრავს და გიმღერის, დააპატიმრო?!. გამიშვეს და ბოდიშიც მომიხადეს: — თუ რამე გაწყენინეთ, გვაპატიეო. საჩუქრად იქვე, ბეტონებზე გულები დავუხატე, სანთლებიც დავურიგე...

— სხვა რამე დაგეხატათ, უფრო სამახსოვრო ვერაფერი მოიფიქრეთ?

— სიყვარული გულშია. ადამიანი გულია. ამიტომაც ვხატავდი გზაზე გულებს. გროზნოში ხატვა რომ დავიწყე, ავტომატიანი კაცი დამადგა — ვინ ხარ, რას აკეთებო? — ქრისტიანი ვარ და გულს გიხატავ-მეთქი. — ვის უნდა შენი გული, აქედან წაეთრიეო!.. ამოვიღე ზარი. — ეს რაღააო?! — ეს ის არის, რაც გაგაგებინებს, რომ შენი არ მეშინია, რადგან სამეგობროდ მოვედი; ეგ ავტომატი მოიხსენი — შენ სიყვარულისთვის ხარ გაჩენილი-მეთქი!.. თვალდაჭყეტილი შემომყურებდა. მოვახსენე მდინარე კავალაში რომ ვარ ნაბანავები — ეს მდინარე ყარაყუმის უდაბნოშია, მიწის ქვეშ, მასში ნაბანავებ კაცს მუსლიმანები პატივს სცემენ... და ამ კაცმა თოფი დაუშვა. გამოვემშვიდობე. ვიარე, ვიარე და ქვაზე ჩამოვჯექი. მოვიდა პატარა ჩეჩენი ბიჭი, შამიტო მქვიაო, — მითხრა, ხურდა ფული გამომიწოდა. — ეს რა არის-მეთქი? — პურის ფულიაო, — მიპასუხა... ვხედავ, ნახევარ პურსაც ვერ იყიდის, მაგრამ იმას მთელი ქონება ჰგონია, როგორ გინდა, არ გამოართვა?! ავტირდი კაცი... არადა, რომ ვკითხე — როცა გაიზრდები, ვინ გახდები-მეთქი? — მითხრა — „ბოევიკიო“...

— როგორც ჩანს, ისეთი არავინ შეგხვედრიათ, ვისთანაც თქვენი „გულები“ და სიმღერა არ გაჭრიდა...

— რას ჰქვია, არ შემხვედრია?! კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა დამიჭირეს. ეს რა ხალხია, იცით?.. თვალის დახამხამებაში აცლიან თავებს!.. ავუხსენი: არ მესროლოთ, სიყვარული მოგიტანეთ-მეთქი! ერთმა ტყესთან მიმიყვანა და ხელი მკრა — მაგ გზით წადიო... ისე კი მითხრა — სიყვარულის დრო ახლა არ არისო... ტყეში ძალიან გამიჭირდა. ისე ციოდა, ჰაერიც კი გაყინული იყო. მაგრად დავიღალე და დავჯე-

ქი. ეს კი ნაღდი სიკვდილია ყინვაში. ამ დროს ფიქრობ – ახლა ავდგები, ახლა ავდგებიო, – და იყინები!..

— როგორლა წამოდექით?

– ასეთ დროს, ღმერთი მშველოდა. ინგუშეთში ღამის გასათევი ადგილიც ვერ ვიპოვე. ვიფიქრე – ალბათ, აქ მოვკვდები-მეთქი და ამ დროს, ბოსელიც დავინახე. იქამდე მისვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ თოვლში გვირაბის გათხრა დავიწყე. დავიქანცე და ძილი მომერია. ხმა ჩამესმა – ადექიო! რა ხმა იყო, არ ვიცი, მაგრამ კიდევ 500 მეტრი ვიფორთხე... მაინც ვერ მივაღწიე ბოსლამდე. ამასობაში, მკრთალი შუქი დავინახე და ვიყვირე. ვინ ხარო? – გამომძახეს. მოგზაური ვარ, თქვენთან სიყვარული მომაქვს-მეთქი! ხანმოკლე პაუზა კი გააკეთეს, მაგრამ მერე დამიძახეს – რა სიყვარული, რის სიყვარულიო?!. – ქართველებმა გამომატანეს-მეთქი, – ვუპასუხე... გამომათრიეს, გამათბეს, მაჭამეს... ვხედავ, დუდაევის ფოტო უკიდიათ ვაგონში. გულზე ჩამომკრა – გამიხარდა: კაცს სახლი გადამწვარი აქვს, ვაგონში ცხოვრობს, მაგრამ ვიღაცა იმდენად უყვარს, რომ მისი ფოტო მაინც დაკიდა-მეთქი. გახარება რომ შემატყვეს, „დუდაევი“ ჩამოხსნეს და მაჩუქეს... აბა, მე რაღა ტვირთი მინდოდა, მაგრამ უარს ხომ ვერ ვეტყოდი!.. გეფიცებით – იმ ფოტომ ერთიორჯერ ნაღდ სიკვდილს გადამარჩინა... ახლა ერთ ამბავსაც გეტყვით: ჩერქეზეთში შორ გზაზე ძაღლების ხროვა დავინახე... შემამჩნიეს თუ არა, ჰაერი დაყნოსეს და ჩემკენ გამოექანნენ – აბა, რა იქნებოდა: სოფლები გადამწვარი იყო, საჭმელი კაცს არ ჰყოფნიდა და ძაღლს რაღა ექნებოდა?!. ჩამოვუშვი ხელები და ვთქვი: მამით, ძითა და სულიწმიდით – გამშორდით!.. ორ წუთში ვიგრძენი, შეჭმული რომ არ ვიყავი. გავახილე თვალები და რას ვხედავ – უკან არ გარბიან!.. საერთოდ, ბევრი მშიერი ძაღლი მხვდებოდა. ყაბარდო-ბალყარეთში მდინარე ლაბას ნაპირზე ფიჩხი შევაგროვე. ვიფიქრე, ცეცხლს დავანთებ და გავთბები-მეთქი. ვიწვალე და ვერ დავანთე. იმედი გადამეწურა. შორ მინდორზე გაყინული ძაღლი ეგდო. გულში „გამოველაპარაკე“ – მალე დავემსგავსებით ერთმანეთს – მეც შენსავით გავიყინები-მეთქი... უეცრად, ამ ფიქრმა შემზარა და უფალს მხურვალედ შევთხოვე – უფალო, აქ ნუ აღმასრულებ-მეთქი!.. მერე ავიღე ასანთი, კიდევ ერთხელ გავკარი და – შეშას ცეცხლი მოეკიდა! საღამო იყო, ვიღაც გზაზე მოდიოდა; ცეცხლი დაინახა, ჩამოვიდა, რძე დამალევინა და გადამარჩინა – თურმე, თან ჰქონია.

— იქ ქრისტიანულ ტაძრებში ხომ არ გილოცია?

– მაშ, სიყვარული ლოცვის გარეშე როგორ იარსებებს?.. ჩრდილოეთ ოსეთში მთაზე წმინდა გიორგის ტაძრამდე ავფოფხდი... იქიდან კოსტა ხეთაგუროვში (სოფელია ასეთი) ჩავედი. ხალხს დავუნახავვარ, დამპატიჟეს – ეკლესიიდან მოდიხარ, მშიერს ვერ გაგიშვებთო... ერთი იყო მათ შორის, ვალერა ერქვა. სუფრა გაშალა, მეზობელს დაუძახა. მაგრამ ბოლოს მითხრა – სტუმარი ხარ და იმიტომ მიგიღეთ, მაგრამ სხვა ქართველებს ვერ დავინდობ – თქვენს კისერზე ოსების სისხლიაო... რა უნდა მეთქვა?.. ვერც ვერაფერი ვთქვი, მხოლოდ ფანდური ამოვიღე და ვიმღერე მთელი გულით. სულგანაბულები მისმენდნენ, რა ტკბილიაო! – თქვეს. – ჰოდა, ჩემი მიწაც ტკბილია, ის მიწა რომ წაგართვან, სადაც ეს სიმღერა გაჩნდა, სადაც ეს ფანდური გათალეს, სადაც შენი ცოლ-შვილი და დედა ცხოვრობენ, რას იზამთ-მეთქი? – არ დავთმობთო! – ჰოდა, ჩვენც არ დავთმობთ, ამიტომ ვიბრძვით-მეთქი. ბოლოს ძმად გავიფიცეთ. იცით, რა მითხრეს?.. ქართველს აღარ ვესვრითო... გეფიცებით – მჯერა. იმ ხალხს ხომ გავუთბე გული სიყვარულით! ეს მინდოდა, სხვა არაფერი. თუ უბრალო ხალხს ასე დალაპარაკების საშუალება მოგვეცემა, გეფიცებით, ქართველებს კავკასიელებზე უკეთესი ძმები არ გვეყოლება...

— მომავალში სად მიემგზავრებით?

– ჯერ არ ვიცი, სიარული უნდა შევძლო: დარუბანდში მანქანა დამეჯახა, ხევში გადამაგდო და ფეხი რკინებით მაქვს აწყობილი. აქამდე შეუსვენებლად დავდიოდი... ბათუმიდან იერუსალიმში ჩავედი ფეხით და მცხეთიდან კასპიის ზღვამდე ვიარე. ყარაყუმის უდაბნო მაქვს გადავლილი...

— თქვით, მანქანა დამეჯახაო... თქვენს ოჯახში იცოდნენ ამის შესახებ?

– ცოლ-შვილი რატომ უნდა შემეშინებინა?! ღვთის ნებით გაჩენილი ადამიანი, თუ ის გიყვარს, ყველგან გიპატრონებს. იქაურმა ხალხმა მიპატრონა... ხევიდან მილიციელებმა ამომიყვანეს. საოპერაციო მაგიდაზე გარეჯელი მამების ნაჩუქარი ჯოხი მოვითხოვე – თუ არ მექნება, ოპერაციას არ გავიკეთებ-მეთქი. წავიდნენ, ეძებეს-ეძებეს ორმეტრიან თოვლში და მომიტანეს. სამთვე-ნახევარი ვიწექი და ვხატავდი. ბოლოს, საავადმყოფოში „მინდისტური“ ნახატების გამოფენა მოვაწყვე – ეს ჩემი მხატვრობა „მინდას“ ნიშნავს, ამ ნახატებს ბავშვი იწყებს და უფროსი ამთავრებს. ბავშვებს ენაცვალოთ ჩემი თავი! რაც სიკეთე და სიყვარული შემხვდება, მაგათ ვაგებინებ ხოლმე. ჩემს უბანში, დიდ დიღომში ყველა ბავშვი მიცნობს. სადარბაზოები მოვუხატე, შეხედავენ – გაუხარდებათ! ვენაცვალე – მკვდარ ჩიტს რომ ნახავენ, ჩემკენ მოარბენინებენ, ერთად ვასაფლავებთ: აგერ, დიღომში, ბაჩუკუნას მინდორზე ჩიტების სასაფლაო გვაქვს... სხვათა შორის, ბათუმში ქუჩებს ვკეტავდი და ბავშვებს ზედ ვახატვინებდი. ამისთვის პოლიციაში მივყავდი ხოლმე.

— ძალიან მაინტერესებს, მეგობრები რას გეუბნებიან?

– მსახიობი ვარ და ხომ იცით, მსახიობს რამდენი მეგობარი ჰყავს... უმეტესობა ჩამომცილდა. ყველას გიჟი ვგონივარ. მეც ვცდილობ, არ გავაღიზიანო და მათგან შორს ვიყო... მერე რა ვუყოთ... ოდესმე ხომ მაინც მიხვდებიან, რომ იმაზე უკეთესი საქმე არ არსებობს, რასაც მე ვაკეთებ – ადამიანებში სიკეთეს ვთესავ!..

■

„ძმის მკვლელობისთვის შურისძიებას თვითონ ვაპირებდი“...

„თანხის გადაცემის მომენტი არ დამინახავს, მაგრამ დიდი ფული რომ ჩაყარეს, ცხადია“, – აცხადებს ადვოკატი, რომელიც ბანკირებს ხულიგნობაში ადანაშაულებს

მეგი ცანავა

ამ საქმეში ბევრი ცნობილი გვარი ფიგურირებს. უმრავლესობა, საქართველოში მოქმედი, ორი საკმაოდ მსხვილი ბანკის წარმომადგენელია.

როგორც ამბობენ, ზოგი მათგანი პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის დანაშაულთან, ზოგიც ფაქტის თვითმხილველია და მომხდართან დაკავშირებით ბევრის თქმა შეუძლია. მიუხედავად ამისა, 3 წლის წინ რესტორან „გურჯაანში“ მომხდარი მკვლელობის დეტალები დღემდე ბუნდოვანია...

იმ დღეს, რესტორანში ბანკირებს შორის ურთიერთშელაპარაკებასა და ჩხუბს შპს „კოდაკოს“ ხელმძღვანელის, 40 წლის კობა კობერიძის სიცოცხლე შეეწირა. დაზარალებული მხარის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბრალდებულის – 36 წლის ბესარიონ აბულაძის გარდა, მომხდარში „წვლილი“ სხვებსაც მიუძღვით, თუმცა, პროკურატურამ ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ბუნდოვანი საბრალდებო დასკვნა შეადგინა. გაურკვეველია, იქვე ჩადენილი ხულიგნობისა და ორი ადამიანის (მათ შორის, „საქართველოს ბანკის“ ვაკე-საბურთალოს ფილიალიას მმართველის) დაჭრის ფაქტებიც. ხულიგნობასთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ შეგროვდა, დაჭრის ფაქტზე კი, პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა, იმ მოტივით, რომ დამნაშავეთა ვინაობა არ გამოიკვეთა და არც დაზარალებულები – დაჭრილები ჩიოდნენ მომხდარის გამო. დაზარალებულის – კობერიძის მხარე კი, დღეს ამის მიზეზად, საქმეში თანამდებობის პირთა ჩართვას ასახელებს. *„ვინ ვის და როგორ გადასცა თანხა, მე არ დამინახავს, მაგრამ ცხადია, რომ ამ საქმეში დიდი ფულია ჩაყრილი“*, – აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი **ლერი ლურწკაია**. ის რესტორანში ჩადენილ ხულიგნობაში ბანკის თანამშრომლებს, მათ შორის იმ დროისათვის „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს – თამაზ მაღლაკელიძეს ადანაშაულებს. ამას პროკურატურაც და თავად მაღლაკელიძეც უარყოფენ. მაღლაკელიძე ბრალდებულის – აბულაძის დეიდაშვილი გახლავთ. მისი თქმით, მას არ დაუნახავს, თუ რა ვითარებაში დაიჭრა კობერიძე. ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს აბულაძეც. ამჟამად ის დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული აქვს ერთი ჩვენება, სადაც მომხდარის შესახებ წერს, მაგრამ მის მიერ კობერიძის დაჭრას არ ადასტურებს. ადვოკატის თქმით, აბულაძე სრულიად უდანაშაულოა და პროკურატურას მის წინააღმდეგ არც ერთი მყარი მტკიცებულება არ გააჩნია.

ფაქტია, რომ კობა კობერიძე რესტორანში სასიკვდილოდ დაჭრეს და ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე – კერძოდ, გულმკერდისა და ბარძაყის არეში დანით მიყენებული 9 ჭრილობა დააფიქსირეს. თუმცა, ცხრავე ჭრილობა ერთი და იმავე დანით არის მიყენებული თუ არა, გამოძიებით დადგენილი არ გახლავთ. ეჭვი იმის შესახებ, რომ ჩხუბისას რამდენიმე დანა იქნა გამოყენებული, ორივე მხარის ადვოკატს უჩნდება. ამასთან, ორივე მხარე უკმაყოფილოა პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით. სისხლის სამართლის საქმე თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში 2002 წლის 28 დეკემბერს აღიძრა. დანაშაული წინა დღეს – 27 დეკემბერს მოხდა.

იმ დღეს, ბესარიონ აბულაძეს დაბადების დღე ჰქონდა. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, მან რიყეზე მდებარე რესტორან „გურჯაანში“ ნათესავები და მეგობრები დაპატიჟა. მათ შორის იყვნენ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ წარმომადგენლებიც. იქვე გახლდათ აბულაძის ცოლ-შვილიც, მისი ცოლისძმა – მერაბ თავართქილაძე, დეიდაშვილი – თამაზ მაღლაკელიძე, ასევე: გ. ყუფარაძე, ი. ახვლედიანი, თ. პავლიაშვილი, ფ. ყიფიანი, ი. ანთაძე, კ. ფაილოძე, თ. ჯაფარაშვილი და სხვები.

ამავე რესტორანში, გვერდით სუფრას უსხდნენ „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლები. ისინი რესტორანში შპს „კოდაკოს“ ხელმძღვანელს – კობა კობერიძეს ჰყავდა მიწვეული. სტუმრებს შორის იყვნენ: „საქართველოს ბანკის“ ვაკე-საბურთალოს ფილიალის მმართველი თ. თენეიშვილი, ნ. წიტაიშვილი, თ. ხუხუნაშვილი, გ. სილაგაძე, ნ. გელაშვილი, ი. ბასილაშვილი და სხვები. ამ ორ სუფრასთან მსხდომთა შორის, ნაცნობებიც აღმოჩნდნენ. კერძოდ, თენეიშვილი იცნობდა ყუფარაძეს და მაღლაკელიძეს, ხოლო სილაგაძეს ახლო ნაცნობობა ჰქონდა თ. ჯაფარაშვილთან და მის მეუღლესთან, ი. ახვლედიანთან. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ, რის შემდეგაც, თავიანთ სუფრებზე განაგრძეს ქეიფი. მთელი საღამოს მანძილზე, არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. სიტუაცია რესტორანში მხოლოდ მას შემდეგ დაიძაბა, როცა მთვრალი მოქეიფეები უკვე სუფრიდან წამოიშალნენ და შინ წასვლა დააპირეს. მაშინ, დაახლოებით ღამის 2 საათი იყო. გასასვლელისკენ ორივე სუფრის წევრები ერთად გაემართნენ. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ზოგი მათგანი ძალზე მთვრალი იყო. თენეიშვილს თავისი ხელით მიჰყავდა ყუფარაძე ავტოსადგომისკენ. სწორედ ამ დროს, საქმის მასალების მიხედვით, მას შელაპარაკება მოუხდა მაღლაკელიძესთან. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ თენეიშვილს ვიღაცამ უკნიდან ხელი გაარტყა. თუ ვინ იყო ის, დასკვნაში არ სახელდება, თუმცა, ერთ-ერთი მოწმის, კერძოდ – ნ. წიტაიშვილის ჩვენების მიხედვით, ეს მაღლაკელიძე უნდა ყოფილიყო.

ნ. წიტაიშვილის ჩვენებიდან:

„კ. კობერიძემ რესტორანში სხვებთან ერთად მეც დამპატიჟა. სუფრაზე თამადა გახლდით. დაახლოებით ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა წამოვიშალეთ. გარეთ მეზობელი სუფრის წევრებთან ერთად გავედით. გამოსვლისას შევნიშნე,

ოფებოდა და მკვლელობის მომენტს შეესწრო, – არც წინასწარ გამოძიებას და არც სასამართლოს დაუკითხავს. პროკურორის თქმით, წინასწარი გამოძიების პერიოდში, ბრალდებულს იგი საერთოდ არ უხსენებია და პირველად მის შესახებ მხოლოდ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

განსასჯელის ადვოკატმა, აღნიშნული მოწმის დაკითხვის თაობაზე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა. მოსამართლემ მას ეს შუამდგომლობა დაუკმაყოფილა. მოწმის დაკითხვა მომდევნო სხდომისთვისაა დაგეგმილი. განსასჯელის ადვოკატი იმასაც აცხადებს, რომ სოლომონიანი უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ამ პოზიციას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბრალდების მხარე. პროკურორის თქმით, მართალია, სოლომონიანს პატიმრობის ვადა 2005 წლის სექტემბერში ეწურება, მაგრამ ამ ეტაპზე, ის უკანონო პატიმარი არ გახლავთ. *„ადვოკატს ამის დამტკიცებელი საბუთი არ აქვს. რაც შეეხება საპატიმრო ვადის ამოწურვას, ადვოკატი ამ ფაქტით სარგებლობს ცდილობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სასამართლო პროცესი გაჭიანუროს. ის, რომ სოლომონიანმა განზრახ მკვლელობა ჩიდინა, გამოძიების მასალებით დადგენილია“*, – აცხადებს პროკურორი.

მანველ სოლომონიანი, ოფიციალური ცნობის თანახმად, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. თუმცა, დაზარალებული მხარე ირწმუნება, რომ რუსეთში ცხოვრების პერიოდში, მან ჩხუბისას ორი ადამიანი დაჭრა და იქიდან საქართველოში სწორედ ამის გამო გამოიქცა. მოკლულის დედის თქმით, ჩადენილი დანაშაულისთვის ის ძებნილი გახლდათ, სახეზე ნაიარევიც სინამდვილეში, მაშინ მიიღო.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებს განსასჯელის მხარე. პროკურატურა კი აცხადებს, რომ სოლომონიანის მიერ რუსეთში ჩადენილი დანაშაულისა და მისი ძებნის შესახებ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი არ არის.

■

„იქ რა გინდოდა? მოგკლავ!“ – დაზარალებულის თქმით, ასე მივარდა მას დანაშავეთ

2004 წლის თებერვალში, ქალაქ წყალტუბოში სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობის მცდელობისთვის 38 წლის ზაზა კუჭავა გაასამართლეს. ცოლშვილიანი კუჭავა წარსულში ერთხელ უკვე იყო ნასამართლევი, ამჯერად კი მან, როგორც განაჩენშია აღნიშნული, მკვლელობა შურისძიების მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა.

2004 წლის 18 თებერვალს, კუჭავამ თავის საცხოვრებელ სახლში ალკოჰოლური სასმელი მიიღო და მთვრალმა ნაცნობი ქალბატონის, ი. აფხაძის ნახვა გადაწყვიტა. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, აფხაძის ნახვა მას სატელეფონო საუბრისას წარმოქმნილი უთანხმოების გასარკვევად უნდოდა. იმავე დღეს, დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის, კუჭავა, აფხაძის საცხოვრებელ სახლთან მივიდა. ზარი რამდენჯერმე დარეკა, მაგრამ ბინიდან მას არავინ გამოეხმაურა. ამ ფაქტმა კუჭავა იმაში დაარწმუნა, რომ აფხაძე ბინაში მარტო არ იმყოფებოდა და სწორედ ამიტომ არ გაუღო მას კარი. განაწყენებული კუჭავა ეზოში ჩავიდა და იქვე, სადარბაზოსთან დაელოდა აფხაძის ბინიდან უცნობი პირის გამოსვლას. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ კუჭავას თან დანაც ჰქონია სახლიდან წამოღებული. სადარბაზოსთან ჩასაფრებულმა, დანა ქურთუკის ჯიბიდან ამოიღო და უცნობის გამოჩენას დაელოდა. ცოტა ხანში, მან გაიგონა კიდეც კარის გაღებისა და კიბეზე ნაბიჯების ხმა. მაშინვე გაიფიქრა, რომ სწორედ აფხაძის ბინაში მყოფი პირი ჩამოდიოდა, მოიმარჯვა დანა და შენიშნა თუ არა სადარბაზოდან გამოსული მამაკაცი, დანით ხელში გაემართა მისკენ. მამაკაცმა, რომელიც დათო მანდარია აღმოჩნდა, დაინახა, რომ უცნობი პირი მას საეჭვოდ უახლოვდებოდა და ამიტომაც, ნაბიჯს აუჩქარა, რათა სწრაფად გასცლოდა იქაურობას. მაგრამ კუჭავა მას მალე დაეწია და დანა სხეულში ზედიზედ ორჯერ ჩაარტყა. მანდარია წაიქცა, თუმცა ცდილობდა კუჭავასგან თავის დაღწევას და თან ხმამაღლა ყვიროდა, საშველად უხმობდა იქვე მცხოვრებ ხალხს. მაგრამ, როგორც საქმის მასალებშია ასახული, კუჭავა არც ამან შეაჩერა, ის მანდარიასთვის დანის დარტყმას კვლავ განაგრძობდა. მანდარიამ ჭრილობები გულმკერდის, თეძოსა და მტევნის არეში მიიღო. ამასობაში, დაჭრილის ყვირილზე მოსახლეობაც გამოვიდა ქუჩაში. მანდარიას საშველად გამოსული პირები უკვე უახლოვდებოდნენ შემთხვევის ადგილს, როცა კუჭავამ ისინი შენიშნა, მაშინვე გაეცალა დაჭრილს და დანიანად მიიმალა. დაჭრილი წყალტუბოს საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ გაწეული დროული სამედიცინო დახმარების შედეგად, ექიმებმა ის სიკვდილს გადაარჩინეს.

რამდენიმე დღეში, კუჭავა სამართალდამცველებმა დააკავეს. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, წყალტუბოს შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, დანასთან ერთად, 8,6 გრამი ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანაც აღმოაჩინეს. როგორც სამართალდამცველები აღნიშნავენ, ნარკოტიკი პოლიეთილენის გამჭვირვალე პარკში იყო გახვეული და საძინებელ ოთახში, საწოლის ლეიბის ქვეშ იდო. მათივე თქმით, კუჭავამ ის გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა.

სასამართლო პროცესზე კუჭავამ მომხდარი ფაქტი დაადასტურა, მის მიერ მანდარიასთვის დანის ჩარტყმაც აღიარა, მაგრამ პროკურატურის ბრალდებას – დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობაში დადანაშაულებას – არ დაეთანხმა. განსასჯელის ადვოკატის თქმით, დაზარალებულის მოკვლის სურვილი იმ მომენტში კუჭავას არ ამოძრავებდა. რაც შეეხება, ნარკოტიკულ ნივთიერებას – მისი თქმით, კუჭავას ის გამოძიებამ ჩაუდო, ბრალის დამძიმების მიზნით. ამ მოტივით, ადვოკატმა საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნება მოითხოვა.

„მან კარი იმიტომ არ გამიღო, რომ ნასვამი ვიყავი. იმანაც დამაეჭვა, რომ სახლში მარტო არ იყო. ამის შესამოწმებლად დავრჩი მის სახლთან. კიბეზე ჩამომავალი უცნობი კაცი მის სტუმრად ჩავთვალე, სადარბაზოდან გამოსულს გავეკიდე და დანა რამდენჯერმე დავარტყი“, – თქვა პროცესზე განსასჯელმა.

რაც შეეხება დაზარალებულს – მისი თქმით, უცნობი პირი მას საეჭვოდ უახლოვდებოდა და თან დაბალი, ბოხი ხმით ამბობდა: იქ რა გინდოდა? მოგკლავო!..

განზრახ მკვლელობის მცდელობასთან ერთად, კუჭავა ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვაშიც ცნეს დამნაშავედ და ჩადენილი დანაშაულებისთვის მას სულ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

■

დღეის ეფარეთან ინსპექტორმა ახალგაზრდა ქალბატონის გაუპატიურება სცადა

1950 წელს დაბადებული გურამ ტორაძე (ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელები შეცვლილია) თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ახალგაზრდა ქალბატონის გაუპატიურების მცდელობისთვის გაასამართლა. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული, სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის დაცვის სამმართველოს ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი გახლდათ. ამასთანავე, ის ცოლშვილიანიც იყო. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, დაზარალებულ ქალბატონს ის ადრეც იცნობდა, თუმცა, მათ მხოლოდ ნაცნობობა აკავშირებდათ და ტორაძის მხრიდან მსგავს ძალადობას მომხდარ ფაქტამდე ადგილი არ ჰქონია. ასეთი შემთხვევა პირველად, 2004 წლის თებერვალში დაფიქსირდა.

თბილისში, რკინიგზის სადგურის შენობაში განთავსებულ ოქროულობის სავაჭრო ცენტრში ნინო დოლაბერიძე პირად საქმეზე მივიდა. მას სწორედ გურამ ტორაძესთან ჰქონდა საქმე. ტორაძე ამ შენობის დაცვაში მუშაობდა. დოლაბერიძე მას ფირმის მეპატრონესთან უნდა შეეხვედრებინა. დახმარება აღუთქვა კიდეც, მაგრამ ვიდრე მეპატრონე სამსახურში მივიდოდა, ტორაძემ ნაცნობი ქალბატონი იქვე, ფირმის ტერიტორიაზე მდებარე კაფეში დაპატიჟა. დოლაბერიძეც დათანხმდა და გაჰყვა. კაფეში ტორაძემ არაყი დალია და დათვრა. რამდენიმე ხანში, ქალმა შინ წასვლა დააპირა, მაგრამ ფირმიდან გასასვლელი კარი დაკეტილი დახვდა. ამ დროს ტორაძემ მას მკლავში ჩაავლო ხელი, ძალით შეიყვანა იქვე მდებარე, პოლიციის საგუშაგო ჯიხურში და გამოუცხადა, რომ იმ დღიდან, ის „მისი ქალი“ გახდებოდა. დამორჩილების მიზნით, მან ქალს ცემა დაუწყო. ნინო დოლაბერიძე ტკივილისგან წელში მოიკეცა, ტორაძე კი მაინც არ ეშვებოდა, ძალით გახადა პალტო, ჯემპრი და თან ეუბნებოდა, რომ გააუპატიურებდა მას. დოლაბერიძემ კივილი დაიწყო და შველას ითხოვდა. ტორაძემ, ქალი რომ გაეჩუმებინა, ყელში წაუჭირა მას ხელი და ცხვირზეც ძლიერად უკბინა; შემდეგ, ძირს დააგდო და მუშტებითა და წიხლებით ცემა დაუწყო. დოლაბერიძის ყვირილი შენობაში მყოფმა რამდენიმე ადამიანმა გაიგონა. მათ პოლიციას უხმეს, რის შემდეგაც, შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მივიდნენ.

„საგუშაგოდან ყვირილი შემოგვესმა. იქ რომ მივედით, კარი ჩაკეტილი დაგვხდა. შიგნიდან ქალის კივილი ისმოდა. რამდენჯერმე დავუძახეთ ტორაძეს – კარი გააღე-თქო, – მაგრამ არ აღებდა. ამის გამო, მინას ფეხი ჩავარტყით და გაიბზარა. ეს რომ დაინახა, ტორაძემ კარი გააღო. დოლაბერიძე წელს ზევით შიშველი იყო და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. სველი ქსოვილის ნაჭერი მივაწოდეთ... შემდეგ ის საავადმყოფოში წაიყვანეს“, – წერს ერთ-ერთი პოლიციელი ჩვენებაში.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნით, დაზარალებულის სახეზე ნაჭდევები, სისხლნაჟღენთები და ჭრილობები დაფიქსირდა, რაც, ექსპერტის თქმით, მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით უნდა ყოფილიყო მიყენებული.

ტორაძე პოლიციის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზევე დააკავეს და განყოფილებაში წაიყვანეს.

სასამართლოში ტორაძემ თავი დამნაშავედ არ ცნო, მისმა ადვოკატებმა კი განაცხადეს, რომ პროკურატურის მიერ საქმე სრულყოფილად გამოძიებული არ იყო. ადვოკატების თქმით, არ იყვნენ დაკითხული მოწმეები, რომელთაც ოქროულობის სავაჭრო ცენტრში წესრიგის დაცვა უშუალოდ ევალებოდათ. ისინი აგრეთვე, დაზარალებულის ტანსაცმლისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებას მოითხოვდნენ. სასამართლომ ადვოკატთა ეს პოზიცია არ გაიზიარა და მიიჩნია, რომ წინასწარი გამოძიების მიერ ტორაძის ბრალის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულებები იყო მოპოვებული. საბოლოოდ, სასამართლომ ტორაძე დამნაშავედ ცნო და მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

მსჯავრდებულის ადვოკატებმა განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს და ზემოთ აღნიშნული მოტივით, მისი გაუქმება და საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნება მოითხოვეს. მაგრამ პალატის მოსამართლეებმა მათი მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალეს და განაჩენი უცვლელად დატოვეს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. პოლ გოგენი 5 შვილის მამა იყო.
2. „უშბა“, სვანურად „უკარებას“ ნიშნავს.
3. მოლოტოვი სტალინს შენობით ელაპარაკებოდა.
4. ჩერჩილის შვილი რენდოლფი, II მსოფლიო ომში იბრძოდა.
5. ინგლისელი მწერალი უილიამ თეკერეი ინდოეთში იყო დაბადებული.
6. სტალინის მეორე ცოლმა, ნინა ალილუევამ რევოლვერით მოიკლა თავი.
7. „ჩვენს ქვეყანაში დედისერთათა ეგოისტი თაობა იზრდება“, – წუხან ჩინელები.
8. ძველ კოლხეთში მეომრებს ოთხგან უკრავდნენ ხელ-ფეხს და ისე წვრთნიდნენ ცურვაში.
9. არქეოლოგებს ხშირად, ფეხშიშველებს უწევთ მუშაობა, რათა მიწაში ნაპოვნი საგნები არ დააზიანონ.
10. „დიდი ჰერცოგი“ ბუს ჯიშია. ევროპელი ბაზიერები მას წვრთნიან და შებინდებისას ნადირობენ.
11. ბილ კლინტონი ბავშვობაში ჯეფერსონის გვარს ატარებდა. მერე გადავიდა მამინაცვლის გვარზე და კლინტონი გახდა.
12. წიწამურის ტრაგედიის დროს, მძიმედ დაიჭრა ილია ჭავჭავაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი.
13. VII სიმფონიის წერისას, ბეთჰოვენს უკვე პიანინოზე ყური ჰქონდა დადებული და თითქმის აღარაფერი ესმოდა.

14. ამბობენ: „მრავალჟამიერი“ ღმერთმა დაწერა, ანგელოზებმა იმღერეს და ქართველებს მოასმენინესო.
15. „ჩვენს მტრებს ბედი არა აქვთ“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც ბუშის ვიზიტის დროს ხელყუმბარის სროლის ამბავი შეატყობინეს და უთხრეს, რომ ის არ აფეთქდა.
16. „ახლა ესენი ყვირიან, რას შვრება მიშა, რას ფიქრობს, სად არის ცხელი ხაჭაპურიო! სად არის და გოუგრილდა-მეთქი! გრილი არ გვინდა, ცხელი გვინდაო!..“ – ჰყვებოდა ოტია იოსელიანი.
17. „ვისაც დანახვა არ შეუძლია, თვალებიც არ სჭირდება“, – ღაღადებს ჩინური სიბრძნე.
18. შოტლანდიელები მიიჩნევდნენ, რომ გუდა-სტვირის ხმა ჯარისკაცებში პა-

ბუნებით მშვიდი თამთა ვარდანაშვილი საკმაოდ გამოცდილი და გაწონასწორებული მძღოლია. მოძრაობის წესებს იშვიათად არღვევს. უყვარს წყნარი სიარული და თავს არიდებს სახიფათო თავგადასავლებს. ამჟამად ის OPEL TIGRA-ის მფლობელია, რომელიც საკუთარი დანაზოგით 6.000 დოლარად შეიძინა.

„ვინცოლობა“ მძღოლ ბიჭებთან, „მაჯამიკლი“ მანქანა და „ბუჩნიკი“, რომელმაც გამოუცდელი თამთა შეაცბუნა

ეკა მინდაძე

– პირველად საჭესთან ბიძაჩემმა დამსვა, 4 წლის ასაკში, „გაზ-21“-ზე. სერიოზულად კი, მანქანის მართვა 18 წლის შესრულებისთანავე დავიწყე, როგორც კი მართვის მოწმობა ავიღე.

— მანამდე, არასოდეს წაგიყვანია მანქანა, მშობლების უკითხავად?

– კი, როგორ არა. ხშირად ვეწეოდი ავტოხულიგნობას *(იცინის)*. ამას ჩემი მშობლები ძალიან განიცდიდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, მამამ ჩემი შეშინება გადაწყვიტა: ხელის მუხრუჭი ამოსწია, „რუჩნოის“ რომ ეძახიან. ამის გამო, მოძრაობისას მანქანა მოცურდა და მეც შემეშინდა, რადგანაც ეს მოულოდნელი იყო. როცა მამამ ჩემი გაფითრებული სახე დაინახა, მაშინვე მითხრა: აი, ხომ ხედავ, რომ ჯერ წესიერად ტარება არ იციო!..

— რა ხნისაა შენი მანქანა?

– „ოპელ ტიგრა“ 1999 წელსაა გამოშვებული. 2 წლისაც არ იყო, როცა შევიძინე.

— პატრულთან პრობლემები გექმნება ხოლმე?

– არა. იმიტომ, რომ მოძრაობის წესებს იშვიათად ვარღვევ. ძალიან ფრთხილი ვარ. მანქანას საკმაოდ კარგად ვმართავ. ძალიან მეშინია ნაკლებად გამოცდილი მძღოლების, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, გზა დავუთმო და ჩემთვის წყნარად გავიარო. არ მიყვარს შუა ქუჩაში შეჯიბრის გამართვაც. უფრო მეტიც: არ არსებობს, წითელზე გავიარო, იმიტომ, რომ საიდან რომელი გიჟი გამოვარდება, არ ვიცი... მიუხედავად ამისა, მეც მაჩერებენ ხოლმე. მახსოვს ერთხელ, პატრულმა გამაჩერა, არადა, იმ დღეს, მართვის მოწმობა სახლში დამრჩენია. ამის გამო, ნამდვილად შემექმნა პრობლემა. მივხვდი, მათ ეჭვი გაუჩნდათ, მანქანა მოპარული ხომ არ იყო. სწორედ ამიტომ მათ ვუთხარი: თბილისში მგონი, ასეთი მანქანა ერთადერთია და რანაირად შეიძლებოდა, მოპარული მანქანით ამდენი მემოძრავა-მეთქი?.. ამის შემდეგ, ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მე მანქანის მომპარავი არ ვიყავი.

— ვერ გიცნეს?

– მაშინ – ვერა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, რომ მცნობენ, სწორედ იმიტომ მაჩერებენ ხოლმე: არაერთხელ გავუჩერებივარ მარტო იმისთვის, რომ მომსალმებოდნენ...

— მანქანის ტარებისას, რაიმე ხიფათი არ შეგმთხვევია?

– კი, როგორ არა. მახსოვს ერთხელ, ზაზა ორაშვილი მივიყვანე შინ და იქიდან წამოსული, შუაღამეზე, ორმოში ჩავვარდი. საბურავი გამისკდა. რა უნდა მექნა, ავდექი და დასახმარებლად ჩემებს დავურეკე.

— დიდი სიჩქარით სიარული თუ გიყვარს?

– არა. იმ შემთხვევაში, თუ ტრასა თავისუფალია და მანქანაში მარტო ვზივარ, შეიძლება მოვუმატო სიჩქარეს, მაგრამ ასე ძალზე იშვიათად ვიქცევი.

— დაასახელე ყველაზე დიდი სიჩქარე, რომლითაც გივლია.

– „ამიქაჩავს“ 200 კმ/სთ-მდე ან უფრო მეტიც. მაგრამ გააჩნია, სად იმყოფები. მაგალითად, როცა თურქეთში მივდივართ მთელი ოჯახი, იქ არის ერთი ტრასა, სადაც ძალიან ჩქარა უნდა იარო, რადგანაც იმ გზაზე ნელი სიარული პრაქტიკულად წარმოუდგენელია. აი, იქ მეც დიდი სიამოვნებით დავდიოდი ჩემი მანქანით

სწრაფად. შუა ქალაქში კი, სწრაფად სიარულს ვერიდები.

— მანქანით კიდევ სად წასულხარ შორ მანძილზე?

— მაგალითად, შარშან საკუთარი მანქანით საქართველოს დელეგაციას გამოფენაზე გავყევი. თავდაპირველად, შუაგულ თურქეთში ჩავედით, გავიარეთ სტამბოლში, გადავედით ბაშადასში, შემდეგ — უკან, სტამბოლში დავბრუნდით და იქიდან თბილისში წამოვედით. სულ დაახლოებით 6000 კილომეტრი გავიარეთ.

— მანქანაში რა მუსიკას უსმენ ხოლმე?

— არანაირს. მანქანის მართვისას ვფიქრობ, სულაც არ არის სასურველი, ხმამაღლა მუსიკის მოსმენა, იმიტომ, რომ შეიძლება, რაღაც მომენტში, მუსიკას აჰყვე, ყურადღება გაგეფანტოს და სახიფათო სიტუაცია შექმნა. ამიტომ როცა საჭეს ვუზივარ, ვცდილობ, მუსიკა არ ჩავრთო. მანქანაში მუსიკის მოსმენა მიყვარს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საჭესთან არ ვზივარ.

— არასოდეს „გიგონკავია“?

— კი, ადრე ხშირად ვეჯიბრებოდი ამა თუ იმ მანქანას, როცა საჭესთან ბიჭი ივჯდა, მაგრამ როგორც კი გავუსწრებდი, მაშინვე ვანებებდი თავს „გონკაობას“... დღეს ამგვარ სახიფათო რაღაცებს თავს ვარიდებ.

— რომ დაგჭირდეს, თუ შეძლებ მანქანაში მარტივი ხარვეზის აღმოფხვრას?

— კი. მანქანის გაკეთებას თუ ვერ შევძლებ, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც გავიგებ, რა სჭირს. ალბათ დამეთანხმები, რომ ქალისთვის უხერხულია მანქანაში ჩაძრომა და თითების გასვრა, ამიტომაც მირჩევნია, ხელოსანს გავაკეთებინო.

— საბურავი თუ გამოგიცვლია საკუთარი ხელით?

— არა. მაგრამ თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდები, რა თქმა უნდა, ამასაც მოვახერხებ.

— მანქანა თუ გაგირეცხავს შენი ხელით?

— რა თქმა უნდა. ზაფხულში არაერთხელ გამირეცხავს მანქანა. სიცხეში ეს სასიამოვნოც კია.

— მანქანა თუ გითხოვებია ვინმესთვის?

— კი, როგორ არა. ძალიან ხშირად, ჩემს დას ვათხოვებ ხოლმე. სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ ადრე, სანამ ჩემი მანქანა ახალი იყო, უფრო მიჭირდა ვინმესთვის მისი თხოვება. დღეს კი ამაზე ნაკლები რეაქცია მაქვს.

— ზაფხულში დასასვენებლად ოჯახი თუ წაგიყვანია სადმე შენი მანქანით?

— კი, ოღონდ — მამაჩემის მანქანით. აბა, ჩემს მანქანაში ვინ ჩაეტევა? ის მარტო მე და ჩემს შვილს გვყოფნის.

— შენმა შვილმა თუ იცის მანქანის მართვა?

— იცის, მაგრამ მე არ მინდა, მანქანას გაუშინაურდეს, რადგან ჯერჯერობით ამისათვის პატარაა. ის ხშირად მართმევს მანქანის გასაღებს და ჯდება საჭესთან. ეს უფრო მეტად, ღამით ხდება, ისიც — ჩემი სახლის წინ.

— შენი აზრით, როგორი მძღოლი ხარ?

— ალბათ, კარგი.

— მამაკაცები ამბობენ, რომ ქალი საჭესთან საშიშია, რადგან მას სწრაფი რეაქცია არა აქვსო...

— მე ამას არ ვეთანხმები. ყოველ შემთხვევაში, ჩემს თავზე ამას ვერ ვიტყვი.

— მომავალში რა მანქანის ყოლას ისურვებდი?

— ძალიან მინდა, მყავდეს „ტიგრას“ ახალი მოდელი. საერთოდ, ასეთი ჩვევა მაქვს: რა ფირმის საგანსაც შევიძენ, იმ ფირმას არასოდეს ვღალატობ და თუ გამოვცვლი, მხოლოდ იმავე ფირმის ახალი მოდელით. მაგალითად, პირველად რომ ვიყიდე „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი, დღემდე იმავე ფირმის ტელეფონს ვატარებ, ოღონდ — ახალ მოდელს.

— მერე, ახალი მანქანის ყიდვას როდის აპირებ?

— ძალიან მინდა, 35 წლის რომ გავხდები, ჩემს თავს ახალი მანქანა ვუყიდო საჩუქრად. ვნახოთ, გამომივა თუ არა... ■

მანქანის მართვისას ვფიქრობ, სულაც არ არის სასურველი, ხმამაღლა მუსიკის მოსმენა...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

ტრიოტულ გრძნობებს აღძრავდა და მტერს შიშის ზარს სცემდა. მესტვირე ბრძოლის დროს ყოველთვის წინ მიუძღოდა ჯარს.

19. ჰოკეისტი პაველ ბურე ცნობილი მესაათის პაველ ბურეს შთამომავალია. „პაველ ბურეს“ საათს დათა თუთაშხია ატარებდა.

20. ნაპოლეონი, გოეთე, რუსეთის მეფე პავლე II, სუვოროვი და ჰერბერტ უელსი, კალის ჯარისკაცებს აგროვებდნენ.

21. რუსეთის იმპერატორმა საკუთარი ხარჯებით დაკრძალა პეტრე ჩაიკოვსკი. ასეთი პატივი მანამდე მხოლოდ ალექსანდრ პუშკინს ხვდა წილად.

22. ალასკაზე ოქროს ციებ-ცხელების დროს, ოქროს მაძიებლები ყიდულობდნენ და ყიდდნენ ნაკვეთებს. მყიდველისათვის რომ თვალი აეხვიათ, მფლობელები გასაყიდ ნაკვეთზე ხშირად, მცირე რაოდენობით ოქროს ქვიშას ყრიდნენ. ასეთ ქმედებას ისინი „მარილის მოყრას“ ეძახდნენ.

23. ლენინი ახალი გარდაცვლილი იყო, როდესაც სერგო ორჯონიკიძესა და ვსევოლოდ მოლოტოვს შორის კამათი გაიმართა. მოლოტოვმა თქვა — ზინოვიევი ლენინელი არ არისო, რამაც ორჯონიკიძე საშინლად აღაშფოთა. ისინი კიროვმა შეარიგა, მაგრამ ორჯონიკიძე მაინც გაიქცა სტალინთან და ყველაფერი უამბო. სტალინმა ამ კამათს ორი სიტყვით დაუსვა წერტილი: „მოლოტოვ პრავ!“

24. ქალაქ ბუდაპეშტში ერთ-ერთი ტაძრის ეზოში ამავე ტაძრის 1,5 მეტრის სიმაღლის ზუსტი ასლი დგას. იგი უსინათლოთათვის არის განკუთვნილი, რათა მათ შეძლონ, ხელებით შეეხონ მას და ასე მაინც შეიგრძნონ მისი სილამაზე.

25. მიქალანჯელოს ქანდაკება „დავითი“, რომელიც ფლორენციის მოედნის შუაგულში უნდა დაედგათ, ფლორენციის მმართველმა დაიწუნა — ცხვირი აქვს დიდიო. მიქელანჯელომ საჭრეთელს მოჰკიდა ხელი და ფლორენციის მმართველი ხედავდა, როგორ ცვიოდა ძირს ქვის ნამტვრევები. სამუშაო მალე დასრულდა, მაგრამ ქანდაკება სინამდვილეში ოდნავადაც არ შეცვლილა. მიქელანჯელო ფლორენციის მმართველის თვალის ასახვევად ქვებს საკუთარი ჯიბეებიდან ყრიდა.



ქალაქში მარტოდ დარჩენილი მამაკაცები

მხარზე შემჯდარი ეშმაკი ანუ ყურში მარილის ჩაყრის მაგარი „რეცეპტი“

„მოცემულმა თემამ — მარტოდ დარჩენილი მამაკაცები — ისინი გულახდილობის გუნებაზე დააყენა. იმდენი მესიჯი მომწერეს და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თბილისში ჩემსა და მათ გარდა აღარავინაა დარჩენილი. ჰოდა, რაღა აქვთ ცოლებს სანერვიულო? ქალაქში ქალის ჭაჭანება აღარ დარჩენილა, მათი ქმრები კი ერთმანეთთან ქეიფითა და „გზავნილებში“ მესიჯების წერით არიან დაკავებული.

— თბილი ლუდი გიყვარს? — ეკითხება შეფი თანამშრომელ მამაკაცს.

— არა, რას ბრძანებთ?! — იჭყანება ხელქვეითი.

— ოფლიანი ქალები?

— არა, არა, ოფლიანი ქალები — მით უმეტეს...

— ჰოდა, მაშინ შვებულებაში ზამთარში წახვალ! — გამოუტანა განაჩენი უფროსმა.

თუ თქვენც ასეთი „მზრუნველი“ შეფი გყავთ, მაშინ მოგიწევთ, ცოტა ხნით ცოლ-შვილს შეელიოთ, თბილისის სიცხეს მარტო გაუმკლავდეთ და ისევე იცელქოთ, როგორც ბავშვობაში, როდესაც დედიკო და მამიკო „დიდების კინოში“ მიდიოდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში, შინ მარტო რჩებოდით.

მარი ხაფარიძე

მაგარი ნაშა, მაგარი დაქალი და... მარცხი

,,უკვე 2 კვირაა, ჩემი ცოლ-შვილი დასასვენებლად გავუშვი. მე კი შინ უკეთესად ვისვენებ მათ გარეშე. ჩემი სიძე მებრალება, სიდედრთან (ჩემს ცოლთან) ერთად რომ არის წასული. რას დაისვენებს, ის უბედური?.. თუმცა, საკუთარ თავს დაბრალოს. ვეუბნებოდი — დარჩი, მე და შენ აქ უკეთ ვიქნებით-მეთქი, მაგრამ ცოლს გაეკიდა და იყოს ახლა იქ. მე კი თავს მშვენივრად ვგრძნობ. როცა მინდა, მივდივარ, როცა მინდა, დავლევ და თუ მოვისურვებ, ტელევიზორის წინ ტანისამოსიანად დავიძინებ. კარის მეზობლად ძალზე კარგი ოჯახი ცხოვრობს. მათი 22 წლის ბიჭი დამიმეგობრდა ამ მარტობის ჟამს. საღამოობით ჩემთან შემოივლის ხოლმე და ხან ნარდს ვთამაშობთ, ხან — ტელევიზორს ვუყურებთ, ხანდახან ლუდსა და არაყზე ვქეიფობთ. გოგიტაზე ორჯერ უფროსი ვარ, მაგრამ მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს. ერთ საღამოს მთხოვა — მაგარი ნაშა გავჩითე, მაგრამ ფული არ მაქვს, რომ სასტუმროში წავიყვანო, სხვაგან ვერსად შევაფარებთ თავს, უნდა მიშველო, შენი ბინა 2-3 საათით უნდა დამითმო. ჯერ უყოყმანოდ დავთანხმდი — რაზეა ლაპარაკი, თუ გინდა, მთელი ღამით წავალ-მეთქი, — ვუთხარი, მაგრამ მერე პირობა შევცვალე: მაგ მაგარ ნაშას მაგარი დაქალიც ეყოლება, თუ შეგიძლია, ჩემთვის დაითრიე, პურმარილს მე ვიკისრებ-მეთქი. უარი არ უთქვამს და სულ მალე, ოთხივე, სუფრას მივუსხედით. კარგად მოვილხინეთ, მერე გოგიტა და თავისი ქალი ერთ ოთახში შევუშვი, მე კი ჩემს ანგელოზთან ერთად მეორე ოთახში განვმარტოვდი. ეს, ჩემი და ჩემი ცოლის სამინებელი გახლდათ. არ ვიცი, ამან იმოქმედა თუ იმან, რომ გოგონა ჩემი შვილის ტოლი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ არაფერი გამომივიდა. დილით უთენია, შერცხვენილი გავედი შინიდან და ისინი დავტოვე. უკან დაბრუნებულს, აღარავინ დამხვდა. გოგიტა საღამოს ისევ მესტუმრა. დავიწყეთ ნარდის თამაში. ცოტა ხნის შემდეგ მითხრა — გოგოები შემპირდნენ, რომ შენს შესაფერის ქალბატონს გამოგიგზავნიან და ალბათ, წუთი წუთზე კარზე მოაკაკუნებს, წინააღმდეგი ხომ არ ხარო? უარს ვერ ვიტყოდი, რადგან ეს თავის შერცხვენა იქნებოდა და წინა ღამის მარცხი საყოველთაო განსჯის საგნად იქცეოდა. იმ ღამით იქვე ,,ზალაში“, დივანზე მოვთავსდით და ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. გოგიტამ კი დილაუთენია მოგვიკაკუნა და რომ მიხვდა, ყველაფერი რიგზე იყო, კმაყოფილი გაბრუნდა უკან... ამის შემდეგ, უკვე მეხუთე დღეა, ჩემს სახლში ყოველ ღამით ერთი ამბავია. გოგიტა და თავისი ნაშა — ერთ ოთახში, მე და ჩემი ქალი — ,,ზალაში“. სად შემიძლია ამდენი? განა 22 წლის ვარ?!. ერთი დღით შესვენება მჭირდება, ხალხო! ხომ მერჩია, ჩემი ცოლი აქ ყოფილიყო!..“

აი, ასეა — მამაკაცებს ჯერ ერთი სული აქვთ, როდის წავა ცოლ-შვილი კურორტზე, შემდეგ კი წუწუნებენ... — ძვირფასო, ხომ არ ფიქრობ, რომ ჩვენ ცოტა ხნით ერთმანეთისგან უნდა დავისვენოთ? — რა თქმა უნდა, საყვარელო, რა დრო დაგჭირდება ამისთვის?.. ასეთ, ფსიქოლოგის თვალსაზრისით სწორ მიდგომას მხოლოდ ტელესერიალებში თუ წააწყდები, რეალურ ცხოვრებაში კი ყველაფერი სხვაგვარად ხდება...

ეშმაკი ბებია, ,,დაცემა“ შვილიშვილი და დანგრეული ოცნებები

,,ერთი თვის წინ, დილაუთენია გამაღვიძა სამზარეულოდან გამოსულმა ჭურჭლის მსხვრევის ხმამ. წამოვხტი და საშველად გავიქეცი — ვიფიქრე, ჩემს ცოლს ხელი ხომ არ გაეჭრა ან ხომ არაფერი დაუშავდა, სასწრაფოდ უნდა მივეხმარო-მეთქი. გაოცებისგან პირი დავაღე. ჩემი საკუთარი სახლის სამზარეულოში ვიღაც უცხო, ,,დაცემა“ ნაშა იდგა და ჭურჭელს რეცხავდა... ,,ტრუსიკიანი“ დავადექი თავზე. მისი მოკლე კაბისა და დეკოლტირებული მკერდის დანახვაზე ენა ჩამივარდა. თვალები მოვიფშვნიტე — ხომ არ მეჩვენება-მეთქი? — მაგრამ ქალი არ გაქრა. ახლა ბარძაყზე ვიპაწკინე... არა, სიზმარში ნამდვილად არ ვიყავი... ჩემი ცოლის მობილურის ნომერი ავკრიბე. ვიფიქრე, ახლა თუ ამ ქალმა მიპასუხა, ნამდვილად კეთილი ჯადოქრის ოინი ყოფილა და ჩემი ცოლი მაგარ ნაშად გადაუკეთებია-მეთქი, მაგრამ ის ქალი ღიმილიანი სახით აგრძელებდა ჭურჭლის რეცხვას, ყურმილის მეორე ბოლოდან კი ცოლის ხმა მესმოდა — შე უმაქნისო, აღარ შემიძლია შენთან გაჩერება, უნდა დავისვენო შენგან, ახლა ზღვისკენ მივქრი ბავშვთან ერთად, შენი თავი კი მაგ ბებრისთვის ჩამიბარებია, იმედია, დედასავით მოგივლისო... — რამდენი ხნით მიეთრევი ზღვაზე-მეთქი? — შევუღრინე ტელეფონში. — როცა მომწყინდება, მაშინ ჩამოვალ, ნება იბოძე და ზედმეტი რეკვით თავი არ მომაბეზრო... უცებ აღვიდგინე ერთი კვირის წინ მომხდარი ჩხუბი ჩემსა და ჩემს ცოლს შორის და

გავიაზრე, რომ მისი ასეთი საქციელი სწორედ იმ დღის შედეგი იყო, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ ეძახდა ამ ახალგაზრდა, ულამაზეს ქალს, ბებერს და რას აკეთებდა ის ჩვენს სახლში. თურმე რაში ყოფილა საქმე: როდესაც ჩემმა ცოლმა გადაწყვიტა, ჩემგან დაესვენა (წინათ ყოველთვის ერთად მივდიოდით ხოლმე კურორტზე), თავისი დედისთვის უკითხავს — ხომ არავინ გეგულება ისეთი, ვინც ჩემი შინ არყოფნის დროს, სახლსა და ქმარს მიხედავსო? იმასაც გაუკითხ-გამოუკითხავს და ჩემი ცოლისთვის 65 წლის ქალი გაუცნია. ფასზე მოლაპარაკებულან და საქმეც გადაუწყვეტიათ. ეს გოგო, ლიკა, რომელიც ახლა ჩემს სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა, იმ ქალის შვილიშვილი ყოფილა და თურმე, დიდი ხანია, სამსახურს ეძებდა. ოჯახში დამხმარედ არავის უნდოდა, რადგან ძალზე ლამაზი იყო და ცოლები ხელებს ასავსავებდნენ უარის ნიშნად. ახლა კი ეშმაკობა უხმარიათ. ჩემს ცოლს ბებია მოელაპარაკა, სამუშაოდ კი შვილიშვილი გამოუშვა. მეც მეტი რა მინდოდა? იმ დღიდან დაიწყო ჩემი აღმაფრენა. სახლში ასეთი მშვენიერი ქალი მყავდა, რომელსაც ცოლმა დაუბარა, ჩემს ქმარს შვილივით მიხედეო. ისიც ყურადღებას არ მაკლებდა. მთელი დღე მივლიდა, მეფერებოდა და მარტო, ღამითაც არ მტოვებდა. შინიდან გასვლაც კი აღარ მინდოდა. მეც შვებულება ავიღე და დავჯექი სახლში. ცოლი მხოლოდ მაშინ მახსენდებოდა, როცა გავიფიქრებდი, რომ ადრე თუ გვიან, ეს ყველაფერი დამთავრდებოდა, როდესაც ჩემი „ანეინა“ შინ დაბრუნდებოდა. უკვე ვფიქრობდი, რომ ცალკე ბინა მეყიდა, სადაც ლიკასთან ერთად ტკბილად და ბედნიერად ვიცხოვრებდი, მაგრამ ორი დღის წინ, ჩემი ცოლი დაბრუნდა და ოცნების კოშკებიც დამენგრა... ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი ბედნიერება. ნუთუ, ასე მალე დაისვენა?!.“

ჩვენს რესპონდენტს სწორედ იმ მებადურივით მოსვლია, ოქროს თევზი რომ დაიჭირა და მერე ნამეტანი მოინდომა — ლამაზი ქალი, შვებულება, ცალკე ბინა და განცხრომა... ცოლის დაბრუნებამ კი ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩააყენა... ეჰ, მამაკაცებო, თქვენ არც კი იცით, რომ თქვენი ცოლები სულგანაბული ელიან „გზავნილებს“, რათა თითოეული ამბავი კარგად შეისწავლონ და საკუთარი ქმრები ამოიცნონ. ნახეთ, რას მწერს ერთ-ერთი თქვენი „კოლეგის“ ცოლი: „მარი, ერთი სული მაქვს, როდის მოვა ხუთშაბათი, რომ „გზავნილები“ წავიკითხო. ჩემი ქმარიც მარტოა დარჩენილი თბილისში, ვიცი, ხშირად გიმესოჭებთ ჩუმ-ჩუმად და თუ რომელიმე ამბავში მისი ოინი ამოვიცანი, მერე მიფრთხილდეს!..“ ნუ შეშინდებით, ახლა ერთ ამბავს მოგიყვებით, რესპონდენტი სახელს მაინც არ გვიმესოჭებს და თამამად შეგიძლიათ დაიბრალოთ...

„თუ ბიჭი ხარ, ცდუნებას გაუძელი...“

„ოჯახი 16 წლის შინ შევქმენით. უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი. რაც ცოლი მოვიყვანე, დავფიცებ, რომ სხვა ქალისკენ არ გამიხედავს. ხანდახან ძმაკაცებისთვის მითქვამს — წუხანდელი უძილო ვარ, მაგარ ქალთან ვიყავი-მეთქი, — მაგრამ დამივჯერეთ, ეს წმინდა წყლის ტყუილი იყო. ამას იმიტომ ვამბობ ხოლმე, რომ არ დამცინონ. რატომ ითვლება სირცხვილად, თუ ცოლის ერთგული ხარ, ვერ გამიგია... 20 დღეა, ჩემები სოფელში დასასვენებლად გავუშვი. უკვე ყოველდღე ვურეკავ ჩემს ცოლს — მალე ჩამოდი, უშენოდ ველარ ვძლებ-მეთქი, — მაგრამ ის ჯერ არ აპირებს დაბრუნებას, მე კი უკვე აღარ შემიძლია... ამ რამდენიმე დღის წინ, ძმაკაცმა დამპატიჟა — ცივი საზამთრო და არაყი მაქვს, მეწვიეო. აღმოჩნდა, რომ ცოლ-შვილი მასაც დასასვენებლად ჰყოლია გაგზავნილი და შინ მარტო იყო. მარტო კი არა, სამ ქალთან ერთად დამხვდა! დიდი მიხვედრილობა არ სჭირდებოდა იმას, რომ ქალი, რომელიც კალთაში ეჯდა, მისი იყო. დანარჩენი ორიდან კი, არჩევანი მე უნდა გამეკეთებინა. ცუდ დღეში ჩავვარდი: ხომ ვერ ვეტყოდი — ცოლს ვერ ვუღალატებ-მეთქი!.. ერთი ქალბატონი „ნამეტნავად“ აღფრთოვანდა ჩემით და გადამეტებულ ყურადღებასაც მაქცევდა. ხან თავის მკერდს მომახუტებდა, ხან — ფეხს... გადავირიე კაცი. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს გადავწყვიტე — რაც იქნება, იქნება, რას გაიგებს ჩემი ცოლი, თანაც, მხოლოდ ერთხელ ვუღალატებ-მეთქი... თან იმ ქალს გავხედე. ანგელოზივით იყო ის შობელძალი და ისეთი გამოხედვა ჰქონდა, რომ გულისცემა ამიჩქარდა... მერე ჩემს თავს ვუთხარი — ახლა ეშმაკი ღალატისკენ გიბიძგებს, თუ ბიჭი ხარ, გაუძელი ცდუნებას და ეშმაკს არ აჰყვე-მეთქი.. ეს საკმარისი იყო საიმისოდ, რომ ავმდგარიყავი და შინ წამოვსულიყავი. ჩემი ძმაკაცი გადაირია — სად მიდიხარო? — ამ რამდენიმე კვირის წინ ერთი ქალისგან რაღაც „ავიკიდე“, ახლა ვმკურნალობ და არ შეიძლება ჩემთვის ქალთან ურთიერთობა-მეთქი, ვუთხარი. წამოვედი და სინდისის ქენჯნაც მომეხსნა. ჩემი ძმაკაცის გაქანება რომ ვიცი, სამივეს მშვენივრად „გაუმკლავდებოდა“. ქალო, ჩამოდი დროზე, თორემ, ერთხელაც შემიჩნდება ეშმაკი და...“

თურმე ასეთი ერთგული ქმრებიც არსებობენ. XVI საუკუნეში მოღვაწე იტალიელი ლორენცო პიზანო კი წერდა — ეს იქნებოდა სამრცხვინო ყმობა, სახელად სიყვარული რომ არ ერქვასო... მაგრამ თუ ერთნი ასე ერთგულობენ ცოლს, ზოგიერთს წინაპართა გამონათქვამიც კი არ ახსოვს — მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო, რომ გვეუბნება.

„შენ ხელი მომისვი!..“

„გავისტუმრე ცოლ-შვილი სოფელში და დავრჩი მარტო. შვებით ამოვისუნთქე. ჩემს თავს ვუთხარი — არავითარი ქალები, არავითარი სასმელი, მხოლოდ სამსახური და სახლი-მეთქი. მეორე საღამოს, ტელევიზორს ვუყურებდი, როდესაც კარზე მეზობელმა ქალმა მომიკაკუნა. უკვე საკმაოდ გვიანი იყო და გამიკვირდა. თუ შეიძლება, ტელეფონით დამარეკვინეთო, — მთხოვა. უარს ხომ არ ვეტყოდი?! შილიფად ჩაცმული იყო და უღილები ხალათი ნესვივით მკერდს ვერ უფარავდა. თვალი ავარიდე. მან კი რაღაც ნომერი აკრიბა, ცოტა ხანს უსმინა, მერე ჩაიბურტყუნა — ავტომოპასუხე აქვს ჩართულიო, — და წავიდა. არც მადლობა, არც — ბოდიში, გაიხურა კარი და გაიყოლა ჩემი ღრმა ოხვრა... მეორე ღამეს უკვე მეძინა, როცა ისევ დააკაკუნა. ზუსტად იგივე სცენა განმეორდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ცოტა მეტხანს შეყოვნდა. ასე იარა მთელი კვირის განმავლობაში მშვენიერმა ელიზავეტამ და ნერწყვი მაყლაპვინა... ერთ საღამოს, ისევ რომ მოაკაკუნა და ისევ უბოდიშოდ დააპირა წასვლა, ვუთხარი — ქალო, ან მადლობა თქვი, ან მოიბოდიშე-მეთქი... იცით, რა მითხრა? — ავტომოპასუხეს მაინც ვერაფერს გავაგებინებ და რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი?.. მივხვდი, რომ ეს „ნამიოკი“ იყო: მე მეუბნებოდა — მაინც ვერაფერს მიგახვედრებ და შენთან საუბარიც არ მინდაო. ვთხოვე — შინ მარტო ვარ, ყავა მინდა, მოდუღება კი არ ვიცი, იქნებ, დამეხმარო-მეთქი... თავისთვისაც მოადუღა. შემდეგ ცოტა ხანს ვისაუბრეთ. ხან ერთ ფეხს გადაიდებდა, ხან — მეორეს. ამ დროს ხალათი ეხსნებოდა და ისე მადისაღმძვრელად მოჩანდა მისი ფეხები, რომ ველარ მოვითმინე და კომპლიმენტი ვუთხარი — ლამაზი ფეხები გაქვს, შენ სულ მოკლე კაბით უნდა დადიოდე-მეთქი. — ხელი მომისვი, როგორი გლუვი კანი მაქვსო, — მითხრა... ჰოდა, ამ ხელის მოსმას რაც მოჰყვებოდა, ხომ ხვდებით?.. იმის შემდეგ, ელზას ტელეფონზე დარეკვა აღარც გახსენებია. ყოველ საღამოს მოდიოდა და — ყავა ხომ არ მოგიდუღოო? — მეკითხებოდა. ერთხელ დავინტერესდი, სად იყო მისი ქმარი და აღმოჩნდა, რომ დასასვენებლად ყოფილა წასული. აი, ასე ვატარებდით დროს ორი მიტოვებული მეზობელი და ერთმანეთს მარტოობას ვუადვილებდით...“

ტელეფონი მხოლოდ მეზობლის მამაკაცთან რომანის გასაბმელად როდია საჭირო. ის შესაძლებლობას იძლევა, დაუნიშნო პაემანი სასურველ ადამიანს. თუ დანაშაულზე წავასწრეს, ამ დროს ერთი დაუწერელი კანონი არსებობს: აღიარე უფრო მსუბუქი დანაშაული და კატეგორიულად უარყავი ის, რომელშიც ბრალს გდებენ. ამასთან დაკავშირებით ჯერ ანეკდოტს მოგიყვებით, შემდეგ — საინტერესო ამბავს:

საპასპორტო განყოფილებაში მივდა არაბი, რომ პირადობის დამდასტურებელი მოწმობა აელო. საჭირო გახლდათ ანკეტის შევსება: — თქვენი სახელი? — ჰკითხეს არაბს. — უსამ... — ეს რომელი უსამ, ცოლი რომ ბოზი ჰყავს?.. გაბრაზდა უსამ და გადაწყვიტა ეჩივლა. აღშფოთებული მიადგა საპასპორტო განყოფილების უფროსს. — რა გქვიათ? — დაუსვეს იგივე კითხვა. — უსამ. — რომელი, ცოლი რომ ბოზი ჰყავს?.. იგივე გამეორდა ქალაქის მერიაში და უსამმ გადაწყვიტა, პოლიციაში ეჩივლა. — რა გქვიათ? — ჰკითხა მორიგე პოლიციელმა. — უსამ... — რომელი უსამ, ბინ ლადენი? — არა, ბინ ლადენი კი არა, ის, ცოლი რომ ბოზი ჰყავსო, — უპასუხა ფერდაკარგულმა მომჩივანმა...

პანიკაში ჩავარდნილი დონჟუანი და ტყუილი აღიარება

,,ეს ამბავი შარშან ზაფხულს მოხდა. შვებულება ზაფხულში არ მომცეს და იძულებული გავხდი, თბილისში მარტო დავრჩენილიყავი. ჩემს დღეში აღმოჩნდა ჩემი რამდენიმე ძმაკაცი და მარტო რომ დავრჩით, იცოცხლე, გავშალეთ ფრთები. ლამის ორგიებს ვაწყობდით ხან ერთის, ხან — მეორის ბინაში. ამასობაში, ერთი ქალი გავიცანი, რომელიც ძალზე სერიოზულად ჩამივარდა გულში და ყოველდღე ვხვდებოდი. ჩვენ შორის მხურვალე რომანი გაჩაღდა. ჩემი ძმაკაცები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ მათთან ერთად აღარ ,,ვდვიეენიობდი''. მაგრამ ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ მე და ნინუცელა ერთად ვიყავით. თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ: ხან კახეთში მივდიოდით, ხან — გურიაში, ხან — სამეგრელოში. ათასგვარ გასართობს ვიგონებდით და მოსაწყენად ვერ ვიცლიდით. როცა ჩემი ოჯახის დაბრუნების დრო დადგა, ლამის პანიკაში ჩავვარდი. შოკში მაგდებდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ასე თავისუფლად ვეღარ შევხვდებოდი ჩემს შავტუხა გოგოს. მინდოდა თუ არა, ცოლ-შვილი დამიბრუნდა. ერთ საღამოს ნინომ დამირეკა და შემეხვეწა — შენი ნახვა მინდა, მენატრები და უარს ნუ მეტყვიო. ხვეწნა რად მინდოდა?.. პაემანზე შევთანხმდით. ამ დროს, მეორე ოთახში ვიყავი გასული, ცოლს რომ არ მოესმინა ჩემი საუბარი. მას კი საეჭვოდ მოსჩვენებია, რომ ტელეფონმა დარეკა და მე სხვა ოთახში გავედი. უკან გამომყოლია და ყველაფერი მოუსმენია. რომ გამოვბრუნდი, ღია კარში დოინჯით იდგა. დამცხა...

— სად მიბრძანდები, ვაჟბატონო? — დამისვა ჩამჭრელი კითხვა. მე თვითონ არ ვიცი, როგორ მომადგა ენაზე ის, რაც ვთქვი: შენ რომ წასული იყავი, ჩვენი მეორე ბინა დავაგირავე, ფული კი შემომეჭამა. ახლა სწორედ მაგ საქმეზე მივდივარ, ფული უნდა ვიშოვო, რომ ბინა გამოვისყიდო-მეთქი. თან ბინის გირავნობის მოწმობა ვაჩვენე. ტყუილი არ მითქვამს. ბინა მართლაც დაგირავებული მქონდა, ფული კი ჩემი და ნინოს მოგზაურობებსა და დროს ტარებას შევწირე. ეს იმდენად შოკის მომგვრელი იყო ჩემი მეუღლისთვის, სულ დაავიწყდა, რომ უნდა ეეჭვიანა... მოკლედ, გამოვძვერი, მაგრამ ახლა რა მეშველება, არ ვიცი. ჩემი ცოლი უჩემოდ აღარსად მიდის. მე კი მარტო ყოფნა მინდა, თუმცა ბინას ვეღარ დავაგირავებ და შარშანდელივით ვერ მოვილხენ, მაგრამ ნინოს ხომ თავისუფლად შევხვდები! მთავარი სწორედ ეგ გახლავთ. პატივისცემით, გოგი''.

თუ იმ ანეკდოტს შეგახსენებთ, კარადაში კაცი რომ ზის და ,,ტრამვაის ელოდება'', ყველა იფიქრებთ, რომ ახლა ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო თავგადასავალს მოვიყვებით. დასკვნის გამოტანას ნუ იჩქარებთ. თურმე, შესაძლოა, კარადაშიც კაცი ეკდეს, შინაც მხოლოდ კაცი იყოს და ამ დროს კარზე ცოლმა მოაკაკუნოს... რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი, ამის შესახებ ჩვენი მომდევნო რესპონდენტი გვიამბობს.

ცოლმა იკივლა, ქმარი დაიღუპა, ზურას შერცხვა...

,,რაც ცოლი მოვიყვანე, ყოველ ზაფხულს მარტო ვრჩები. მირჩევნია, ოჯახი დასასვენებლად გავუშვა და მე მარტო ყოფნით დავტკბე. როცა ჩამოდის, ვახვედრებ გასარეცხი ტანისამოსის მთას, დაულაგებელ სახლს და გასარეცხ თეფშებს. ამის გამო სულ ვჩხუბობთ. ყოველ ზაფხულს, წასვლის წინ, მოიკითხავს ლექციას თემაზე — როგორ მოვიქცეთ, როდესაც ცოლი კურორტზე მიდის. არ გეგონოთ, ქალების მუსუსი ვიყო და აქეთ-იქით ხვადი ძაღლივით დავძრწოდე. ჩემი სისუსტე გახლავთ ქეიფი და დროს ტარება. ჰოდა, ამ ზაფხულს ცოლისგან კატეგორიული გაფრთხილება მივიღე — თუკი კიდევ ვილოთებდი და შინ ძმაკაცებს მოვიყვანდი, მიმატოვებდა და ცალკე გადავიდოდა საცხოვრებლად. მორჩილი ბავშვივით ვუქნევდი თავს და პირობას ვიძლეოდი, რომ აღარ გამეორდებოდა ის, რაც წინა წლებში ხდებოდა. ბოლოს, ცოლი დამემუქრა — იცოდე, თუ იგივე სიტუაცია დამხვდა, ეს იქნება შენი ბოლო ზაფხული, რომელსაც მარტო გაატარებ; არ იფიქრო, რომ დასასვენებლად არ წავალ — დედაჩემს ჩამოვიყვან და დარაჯად მოგიჩენო... გეფიცებით, გულმოდგინედ ვცდილობდი, რომ კარგად მოვქცეულიყავი. ყოველდღე ჩემი ძმაკაცის საყვარელი მოდიოდა და მისი თხოვნით, ჩემი სახლი წესრიგში მოჰყავდა. ხანდახან კი, ჩემი ძმაკაციც მოდიოდა — წავიქეიფებდით და ეგ იყო... ერთ საღამოს, ისევ დავლიეთ. ჯერ ჩემს ცოლს დავურეკე და ვკითხე — როდის მოდიხარ-მეთქი? რომ გავიგე, წინ კიდევ მარტოობის 3 დღე მქონდა, ძმაკაცს შევთავაზე, ჩემთან დარჩენილიყო. შუადღემდე გავაბით ძილი. უეცრად, კარზე დააკაკუნეს. საჭვრეტში გავიხედე და რას ვხედავ? ჩემი ცოლ-შვილი დაბრუნებულა. გავაღვიძე ჩემი ძმაკაცი, სასწრაფოდ კარადაში დავმალე, მაგიდაც შეძლებისდაგვარად ავალაგე და კარი გავაღე... ბავშვები ჟივილ-ხივილით შემოცვივდნენ. ცოლი კი აქეთ-იქით იყურებოდა (მამხილებელ ფაქტებს ეძებდა), მაგრამ ვერ მივართვი — ყველაფერი დალაგებულ-დაწკრიალებული გახლდათ. ცოლი მომეხვია, მადლობის ნიშნად გადამეხვია და გადამკოცნა. ტვინს ვიჭყლეტდი იმაზე ფიქრით, როგორ გამეპარებინა ზურა სახლიდან, მაგრამ ვიდრე რამეს მოვიფიქრებდი, ცოლმა გარდერობის კარი გააღო... იქ კი ტრუსში გამოწყობილი კაცი დახვდა. ქალმა იკივლა. მე გავიფიქრე — დავიღუპე-მეთქი, ზურა კი დარცხვენილი გამოძვრა გარდერობიდან. ცოლმა ეჭვით სავსე მზერა მტყორცნა... მე... მე... — დავიწყე ლუღლუღი... ძლივს დავაჯერე ცოლი, რომ ზურასთან სექსუალური ურთიერთობა არ მქონდა და იძულებული ვიყავი, სრული სიმართლე მომეყოლა. ახლა არ ვიცი, რა იქნება გაისად, მართლა დამიტოვებენ თუ არა სიდედრს ყარაულად და საერთოდ, წავა თუ არა ჩემი ცოლი დასასვენებლად, მაგრამ მთავარია, ცოლი ჩემს სწორ სექსუალურ ორიენტაციაში დავარწმუნე''.

ეჰ, ძვირფასო მამაკაცებო, მინდა წინასწარ ბოდიში მოგიხადოთ იმ შეკითხვისთვის, რომელსაც ახლა დაგისვამთ — თუ იცით, რას აკეთებენ თქვენი ცოლები მაშინ, როცა თქვენ მარტოობით ტკბებით? რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ გავკადნიერდები და გირჩევთ — იქნებ, ზოგიერთმა, ჩემი მომდევნო რესპონდენტის ნამბობი გაითვალისწინოთ. ის, ახალგაზრდა ქალბატონი გახლავთ. მართალია, ამ ნომრის ,,გზავნილები'' მამაკაცებს დავუთმეთ, მაგრამ აბა, ქალს როგორ გაჩერებთ ისე, რომ თავისი სიტყვა არ ,,ჩააკვეხოს''?

,,რქები ნელ-ნელა ამოეზრდება''...

,,ეჰ, მარი, მარი, ვიცი, ამ თემას ბევრი კაცი გამოეხმაურება და დაიწყებენ ბაქიაობას — მე ასე და მე ისეო... შესაძლოა, ჩემმა ქმარმაც დაგიმესიჯოთ და გიამბოთ, როგორ აბამდა მთელი 3 თვის განმავლობაში ვინმე ნატას, როგორ ისარგებლა იმით, რომ მე დასასვენებლად წავედი და ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გაჟიმ... ალბათ საგულდაგულოდ ეცდება კიდეც, რომ ეს ამბავი ჩემს ყურამდე არ მოვიდეს. მაგრამ მან არ იცის — მე ყველაფრის აზრზე ვარ და უკვე წინასწარ ვიცოდი, რაც მოხდებოდა. ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, როცა ძალიან დიდი თანხა მომცა და მითხრა — შეგიძლია, დასასვენებლად მარტო წახვიდე, ბავშვები კი დედაშენთან დატოვოო. ჩემი ქმარი სიტუნწით ცნობილია და მისი ასეთი ხელგაშლილობა უჩვეულოდ მომეჩვენა. ჯერ

მისი ბოლო თვეების ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მოვაგროვე. გავიგე, რომ ვიღაც გოგოს ეტრფოდა და ჭკუაზე არ იყო. შემდეგ ერთ გასათხოვარ დაქალს შევუჩნდი, დასასვენებლად წავიდეთ-მეთქი და ძლივს დავითანხმე, რადგან ფული არ ჰქონდა. ჩემს ქმარს მის გამო კარგა გვარიანი თანხა კიდევ დავამატებინე და ქობულეთისკენ მშვენიერი გუნება-განწყობილებით გავეშურეთ. ახლაც აქ ვარ. თავს მშვენივრად ვგრძნობ. პლაჟზე ორი მშვენიერი მამაკაცი გავიცანით, ყოველ საღამოს მათთან ერთად მივდივართ რესტორანში თუ დისკოთეკაზე და კარგ დროსაც ვატარებთ. ჩემი ძვირფასი მეუღლე კი ალბათ ისეა გატაცებული ნატათი, რომ აზრზეც ვერ მოვა, რქები ისე ნელ-ნელა ამოეზრდება... ასე რომ, კაცებო, როცა თქვენ სხვის ცოლებთან და ნაცოლარებთან ნებივრობთ, იცნებ, იმაზეც გეფიქრათ, ვინ ნებივრობს თქვენს ცოლებთან?..“

„ეჭვიანობას არ ვაპირებდი, მაგრამ...“

„ვიცი, რომ ჩემი ქმარი არ მოგწერთ ამ ამბავს, ამიტომ მე მოგიყვებით. ზღვიდან რომ დავბრუნდი, ქალური ინტუიციით ვიგრძენი, რომ რაღაც „ისე ვერ იყო“. ქმარი რომ ბაქანზე ყვავილებით დამხვდა, მივხვდი, რომ მიქარული ჰქონდა. თვითონვე დაიწვა თავი, თორემ, სულაც არ ვაპირებდი ეჭვიანობას. ერთი კვირის შემდეგ, სამსახურიდან დაღლილი დაბრუნდა, „დაიზმანა“ — და მივდივარო, — მითხრა. — უბანში გავიარ, ბიჭებს ვნახავო, — თან თავის „ნაშამორ“ ძმაკაცს ელოდებოდა. გოიმმა, ოდეკოლონიც კი იპკურა. აბა, „ბირჟაზე“ ისე ხომ არ წავიდოდა!.. თან დააყოლა — 10 საათზე იქ უნდა ვიყო. ქალი აბა, რის ქალია, რომ ვერ მიხვდეს საქმის ვითარებას?! სრული სიმშვიდით ვუთხარი — თუ ახლა შინიდან გახვალ, პაატას ცოლს დავურეკავ და მოვუყვები, როგორ გრიალებდით შენ და მისი ქმარი მაშინ, როცა მე ზღვაზე ვიყავი, თანაც, პაატას ცოლი ასეთ რაღაცებს არ აპატიებს-მეთქი. იცოცხლე, უცებ გაიხადა „არმანის“ პერანგი და ჩაუჯდა საინფორმაციო გამოშვებას. პაატასაც დაურეკა — უბანში გამოსვლა გადავიფიქრეო... ისე, მეც გვარიანად ვინერვიულე იმ დღეს. რომ არა ჩემი ინტუიცია, ხომ მეგონებოდა ჩემი ქმარი კუბოს კარამდე ჩემი ერთგული?“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

წერილი რობინზონ კრუზოსგან

„ნიკუშა სწორედ მაშინ გავიცანი, როცა მეგონა, რომ ჩემს ცხოვრებაში აღარაფერი შეიცვლებოდა. ზღვა ძალიან მიყვარდა. ახლა ის მხოლოდ ნიკასთან ასოცირდება. ნიკა ფეხ, უზომოდ მძულხარ, მაგრამ უსაშველოდ მენატრები, შენ ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენე. რატომ? მე ხომ მთელი სამყარო მოვიძულე იმისთვის, რომ შენ მყვარებოდი“...

„მე და ლაშას ერთმანეთი ურეკში შეგვიყვარდა, მაგრამ როდესაც გავიგე, რომ მას ცოლ-შვილი ჰყავდა, დავშორდი. შემეშინდა, რომ ის ადრე თუ გვიან, მათ დაუბრუნდებოდა. ლაშამ დაიფიცა: თუ ჩემი არ იქნები, არც სხვასთან ბედნიერების უფლებას მოგცემო. ხმა გაავრცელა, თითქოს მე მისგან ფეხმძიმედ ვიყავი და ბავშვი მოვიშორე. როდესაც დარწმუნდა, რომ თაყვანისმცემლები აღარ მყავდა, მოვიდა და შერიგება მთხოვა, მაგრამ მე სახელის გაგტეხა ვერ ვაპატიე, მუხედავად იმისა, რომ უზომოდ მიყვარდა. მან ხომ ჩემი ცხოვრება დაანგრია!..“

„მეგობრებთან ერთად ვისვენებდი ზღვაზე. ერთ დღეს, პლაჟზე ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი გავიცანით, რომელმაც თავი წყალბურთელად წარმოგვიდგინა. მას მართლაც, სპორტული აღნაგობა ჰქონდა და ეჭვიც არ შეგვპარვია, რომ სიმართლეს ამბობდა. მალე დავუახლოვდი გურამს და მის მიმართ გრძნობაც გამიჩნდა. ერთ დღეს ზღვაზე ნავით გასეირნება შემომთავაზა. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. როცა ზღვაში კარგა შორს შევცურეთ, მითხრა — მინდა, ავდგე და მთელი ქვეყნის გასაგონად ვიყვირო, რომ მიყვარხარო. ფეხზე წამოდგა თუ არა, ნავმა წონასწორობა დაკარგა და ამოვყირავდით. ცურვა კარგად ვიცი და არ შემშინებია. თან გურამიც ხომ გვერდით მყავდა!.. მოხდა ის, რასაც არ ველოდი. გურამი მაგრად ჩამებღაუჭა და — მიშველეო! — იყვირა. თურმე ცურვა არ სცოდნია და ლამის მეც დამახრჩო. კიდევ კარგი, იქვე ახალგაზრდა ბიჭები ცურავდნენ და მოგვეშველნენ. ძალიან გავბრაზდი. ვერ გავიგე, ტყუილი რაში სჭირდებოდა... მინდა, ეს მესიჯი გურამმა წაიკითხოს და სინდისის ქენჯნა იგრძნოს. მარი“.

„რეზ, ჩემო „პუტკუტუნავ“, ისევ ისე სიგიჟემდე მიყვარხარ. გათხოვებამ ვერ დამავიწყა შენი თავი. მაპატიე, იქნებ, ასე ვჯობდა. ნინო“.

„გამარჯობა. ჩემი სიტუაცია ცოლ-შვილს არა, მაგრამ მარტო დარჩენას კი უკავშირდება. 22 წლის ვარ. 5 წლის წინ, პირველად ვიყავი თბილისში მეგობართან ერთად, რომელმაც შეყვარებულს ჩამოაკითხა. უცებ გადაწყვიტა ცოლის მოყვანა. თანაც მაშინ, როცა ფული მთლიანად დავხარჯეთ და მხოლოდ 1 ლარი და 20 თეთრი გვქონდა დარჩენილი. ავტობუსის მძღოლმა, რომელსაც უნდა გავყოლოდით, გვითხრა — უფასოდ მხოლოდ 2 ადამიანს გამგზავრებთო. რა უნდა მექნა? დავრჩი თბილისში, დავიტოვე 60 თეთრი და „სიძეპატარძალი“ ქუთაისში გავაცილე. თბილისში ყველა ნაცნობს დავურეკე, მაგრამ არავის ეცალა ჩემთვის. ამასობაში ღამის 12 საათი გახდა. ქუჩაში ვიდექი, რადგან წასასვლელი არსად მქონდა. იქვე მდგარ „მარშრუტკის“ მძღოლს შევეცოდე და მითხრა — დასავლეთში მივდივარ და წაგიყვანო. ის ზესტაფონში მიდიოდა. იქიდან ბებიაჩემთან, სოფელში წავედი ფეხით. მთელი 10 კმ ვიარე. ახალი ჩაძინებული ვიყავი, როცა „სიძე-პატარძლის“ მშობლები დამადგნენ თავზე. მთელი ღამე მათ ძებნაში გავატარე, ბევრი ვიწვალე, მაგრამ არ ვნანობ, რადგან ჩემმა თბილისში მარტო დარჩენამ ერთი ლამაზი ოჯახი შექმნა“.

„მარი ბ-შვილო, როგორ შეიძლება გიორგისნაირი ბიჭის მიტოვება?.. გიო, შენც კიდევ, უთხარი, სად იყავი ამდენ ხანს. თქვენ რომ ერთად ვერ გნახოთ, ორივეს დაგხოცავთ. გოჭუ“.

„მე არა, მაგრამ ჩემი ქმარი კი მშვენივრად ისვენებს ზღვაზე. მე რაიონში „დამაგდო“ ბავშვებთან ერთად, თვითონ კი მშვენივრად ერთობა. აღარ ვიცი, რა ვქნა“.

„მთელი ოჯახი დასასვენებლად ვიყავით წასული. ჩემი ქმარი ადრე წავიდა თბილისში. ძალიან მინდოდა, რამდენიმე დღე კიდევ ყოფილიყო ჩვენთან ერთად და გული დამწყდა. ლეო, ძალიან მენატრები და მიყვარხარ. ამიტომ მიბრაზდები? კ...ი“.

„ცოლ-შვილი რომ ზღვაზე გავუშვი, იმ წუთში მეზობლის დიდმკერდიან და დიდგავიან ცოლს დავადგი თვალი და მაგრად ვხალისობთ კიდეც. 2 დღეში ცოლი ჩამოვა და როგორ დამთავრდება ეს ამბავი, არ ვიცი. დათო, ხონი“.

„3 დღეა, ცირა წავიდა და უკვე მენატრება. ის ხომ ჩემი სალოცავი ხატია, ჩემი ფუმფულა სიყვარული და ჭკვიანი გოგო! ახლა ვზივარ და თქვენ გწერთ მესიჯს, რომ მალე ჩამოვიდეს. ცირა ზ. მიყვარხარ. ჩემი მუზა ხარ... ბ. ტ.“

„ძალზე მენატრება თაკო ქ-ია, ივიე „კაქტუსი“. აზრზე არა ვარ, სად დამეკარგა ეს გოგო. არადა, დამამჟავა ამ სიცხეში ქუთაისში. ასეა, პატარა ბავშვებს რომ აჰყვები. იცი, როგორ მიყვარს?.. ძლივს გადავწყვიტე, გამემხილა და ახლა „გადამაგდო“. მგონი, არც კი ვევასები. მარი, გამომიქვეყნე, არ დამღუპო, ის „ეკლიანი“ გოგო დამაჭერინე, რა!“

„ჩემი პატარა ფერია, ჩემი ლუსი სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ის კი პეტერბურგში სწავლობს და წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ერთი თვით გვაქვს ერთად ყოფნის ბედნიერება... აი, ასე ვრჩები ხოლმე ქუთაისში მარტო 11 თვის განმავლობაში... მუმია“.

„იცით, როგორ მაინტერესებს, მარტოდ დარჩენილი ჩემი ქმარი რას აკეთებს?.. ამ კვირაში ურეკში მივდივარ და ვერ წარმომიდგენია, მარტო როგორ უნდა წავიდე. ნეტავ, ისეთ მობილურს არ გამოიგონებენ, ფარულად რომ ჩანდეს ყველაფერი?..“

„გაგო ც-ვა, იცი, როგორ მიყვარხარ?.. ნუ ხარ ასეთი ქალების მუსუსი და დროზე ჩამოდი ბათუმიდან, თორემ, მე სახლში კი არა, საგიჟეთში დაგხვდები. სოფო“.

„ქალაქის რა მოგახსენოთ, მაგრამ უკაცრიელ კუნძულზე კი დიდხანს მომიწია ყოფნამ და მხოლოდ პარასკევა მანუგეშება. რობინზონ კრუზო“.

„ქალაქში მარტოდ დარჩენილი მამაკაცი ვარ. მინდა ვუთხრა ურეკში მყოფ თათას, რომ ძალიან მენატრება. მის გარეშე ცხოვრებამ აზრი დაკარგა. თა, სიგიჟემდე მიყვარხარ. შალვა“.

„კაკრაზ“ საჩემო თემაა. ქალაქში წელსაც მარტო ვრჩები. უკვე 3 წელია, თბილისიდან არ გავსულვარ. მეგონა, წელს მაინც წავიდოდი, მაგრამ... სახლში რემონტი დავიწყე და... გკოცნით და ყველას გისურვებთ რემონტს“.

„როცა ცოლ-შვილს დასასვენებლად ვუშვებ და მარტო ვრჩები, იცით, რას ვაკეთებ? დღე და ღამე კომპიუტერს ვუზივარ და ინტერნეტში დავძვრები“. ხან ვჩატობ კიდეც. თუ ცოლი შინაა, სულ ჯუჯღუნებს და ჩხუბობს, დაწექი და დაიძინეო. ახლა კი თავისუფალი ვარ და რასაც მინდა, იმას ვიზამ“.

„ჩემი ცოლი რომ სადმე მიდის, დედამისი ჩემთან რჩება. ასე რომ, მირჩევნია, ისევ ცოლი იყოს ჩემთან ერთად. მისი მოტყუება გაცილებით იოლია. სიდედრს კი ვერაფერი გამოვაპარე. მაშინვე თავის შვილს ურეკავს და ყველაფერს უყვება. ყურში მარილს რომ ჩავაყრი, მერე ჩამიშვას, თუ მაგარია... თანაც, მინდა, ჩემსავით გაწამებულ სიძეებს რჩევა მივცე: ყურში მშრალი მარილი კი არ უნდა ჩააყაროთ, ჯერ — ცოტა მარილი, მერე — ცოტა თბილი წყალი და მერე — კბილის გამოსაჩიჩნი ხის ჩხირით უნდა მოურიოთ. სხვაგვარად ეფექტი არ ექნება... კარგად“.

„შინ მარტო რომ ვრჩები, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება. აღარავინ მაძალებს წვნიან საჭმელს და არც არავინ მეკითხება, სად მივდივარ ან საიდან მოვდივარ“.

„გაზეთში წავიკითხე ერთი ტურისტული სააგენტოს განცხადება. ჯერ სახელი ნახეთ — „დავეცი და არ ავდექი“... როგორია? ახლა განცხადების ტექსტი ნახეთ: „სოლიდური ტურისტული ფირმა გთავაზობთ მომსახურებას — აუზი, საუნა, ვახშამი, მასაჟი, სასწრაფო, რეანიმაცია, რიტუალების ბიურო...“ ჩემი ცოლი და სიდედრი სწორედ ამ ფირმის დახმარებით გავუშვი დასასვენებლად. სანამ ყველა მომსახურებას არ „გაივლიან“ მანამდე შინ მოსული არ ვნახო“.

თუ ვინმე ტურისტული ფირმა „დავეცი და არ ავდექის“ მისამართით დაინტერესდება, ჩვენი მკითხველი მზად არის, მოგაწოდოთ. ჩვენ კი დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სიურპრიზი ცხოვრებისგან. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა სასიამოვნო თუ უსიამოვნო სიურპრიზი მოგიწყოთ ცხოვრებამ. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

ამ ინტერვიუს მიზანი იყო, მკითხველისთვის წარმოგვედგინა გიგი წერეთლის ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც არც ეკრანიდან და არც საპარლამენტო დარბაზიდან არ ჩანს — ეი. პოლიტიკის მიღმაა. ვფიქრობ, ჩვენი ჩანაფიქრი ნაწილობრივ მაინც გამოგვივიდა და ბატონი გიგიც ჩვენთან საუბრისას, გულახდილი იყო.

„სანამ ცოცხალი ხარ, გამოწვევებისთვის მზად უნდა იყო...“

ნუცა თოფჩიშვილი

— თქვენი დაძაბული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, თავისუფალი დრო ალბათ ძალიან მცირე გრჩებათ...

— ჩემი კატეგორიის ადამიანებისთვის დამახასიათებელი, გავრცელებული და ბანალური მდგომარეობაა. ჩემი სამსახური ძალზე საპასუხისმგებლო და დაძაბულია. უამრავ გაჭირვებულ ადამიანთან მიწევს შეხვედრა და ეს უფრო რთულ მდგომარეობაში მაყენებს, ხშირად — მორალურადაც. გინდა, ყველას დაეხმარო, შესაძლებლობები კი, სამწუხაროდ, შეზღუდულია. მთელი ჩემი ცხოვრება ამგვარ ადამიანურ სირთულეებთან, ავადმყოფობასთან მქონდა შეხება. თითქოს უნდა შევჩვეოდი, მაგრამ ყოველი კონკრეტული ფაქტი ემოციურად მტვირთავს. ხშირად მინდა, დროზე მივიდე შინ, რათა ჩემს პატარა შვილს დაძინებამდე მივუსწრო, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

— უკანასკნელად გულიანად რაზე იცინეთ?

— ამ რამდენიმე დღის წინ, ჩემი უმცროსი შვილი, ნიკუშა, მეკითხება — მამიკო ბავშვებს მართლა ცვლიან ცხოველებშიო? არ ვიცი, მე არ გამიგონიამეთქი. აბა, ჩემზე რომ ამბობთ — ბენიში გავცვალეთო?.. ძალიან ბევრი ვიცინე. ლაბრადორის ჯიშის ძალიან კარგი ძაღლი გვყავდა. ნიკუშა რომ გაჩნდა, ძაღლი გავასხვისეთ: ახლობელს მივაბარეთ და დღემდე იქ ცხოვრობს. ბენი ყველას უყვარდა, ახლობლები რომ მოდიოდნენ და ვერ ხედავდნენ, კითხულობდნენ — სად არისო? მე კი ვეუბნებოდი — ნიკუშაში გავცვალეთ-მეთქი. ეს ეტყობა, რამდენჯერმე გაიგონა ნიკუშამ და დამწუხრებული მეკითხებოდა — მართლა ძაღლში ვარ გაცვლილიო? იმდენად იყო შეწუხებული, რომ ახსნა მომიხდა — კი არ გაგცვალეთ, ბეწვები სცვიოდა და სხვაგან წავიყვანეთ-მეთქი.

— გაიხსენეთ თქვენი ცხოვრების ერთი სასწაული — ბედნიერი დღე, როდესაც გითქვამთ — ნეტავ, ეს წუთები არ დამთავრდეს და უსასრულოდ გაგრძელდესო...

— ბედნიერი დღე ბევრი ყოფილა, რომლებიც რაღაც თარიღებს, რაიმე მოვლენის დასასრულს ან დასაწყისს, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებს ეხებოდა. ჩემი

ეს ახალი ცხოვრების მოლოდინი იყო...

აზრით, თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე ათიდან ცხრა მაინც გიპასუხებთ, რომ ეს დღე შვილების გაჩენასთანაა დაკავშირებული ან ქორწინებას, დიდ სიყვარულს ემთხვევა. ასეთი წუთები ნეტავ, არ დამთავრდეს და უსასრულოდ გაგრძელდესო, — ხომ ყველას გვითქვამს... არ მინდოდა, პოლიტიკას შევხებოდით, მაგრამ ასეთი დიდი განცდები ხომ წელიწად-ნახევრის წინ გვქონდა. საოცარი მუხტი იყო... ბათუმში, დილის 7 საათზე ჩასულსაც ასეთი გრძნობა გამიჩნდა. ზეიმი იყო ქუჩაში. ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხი პირდაპირ მიტაცებდა და მკოცნიდა, მეფერებოდა. მარტო მე კი არა, ჩემს მეგობრებსაც. საოცარი, ენით აუწერელი სიხარული იყო. ასევე იყო თბილისშიც. ეს ახალი ცხოვრების მოლოდინი იყო. თითქოს ყველაფერი ცუდი წარსულს ჩაჰბარდაო.

— ადამიანს ცხოვრება ხშირად გამოწვევას სთავაზობს, ისიც იღებს ამ გამოწვევას და არჩევანის გაკეთება უხდება. ასეთი მომენტი თქვენც ბევრი გქონიათ, არა?

— რასაკვირველია, გამოწვევების მეტი რა იყო — ცუდიც და კარგიც! ეს ეხება დამოუკიდებელ საქმეს, ბიზნესს. ჩემთვის გამოწვევა იყო, როდესაც საკმაოდ ახალგაზრდამ, 25-27 წლის ასაკში, გარკვეული გარემოებების გამო, უცხო ქვეყანაში დავიწყე ბიზნესი. ვფიქრობ, რომ ეს დიდი გამოწვევა იყო. დამოუკიდებლად, ნულიდან ვიწყებდი ყველაფერს. საკმაოდ მალე, რამდენიმე წელიწადში, წარმატებასაც მივაღწიე და ძალიანაც კმაყოფილი ვარ, რომ ეს გამოწვევა მივიღე. ასევე გამოწვევა იყო, როცა საქართველოში არეულობა დაიწყო, ყველაფერს თავი დავანებე, ჩამოვედი და იმ ადამიანების გვერდით დავდექი, ვისაც საქართველოსთვის საქმის გაკეთება უნდოდა. დღემდე ამ საქმეს ვაკეთებ იმ ადამიანებთან, ვისთან ერთადაც დავიწყე ჩემი პოლიტიკური ცხოვრება. გამოწვევა ბევრია... ოჯახში — როცა ამ ქვეყნიდან მიდის შენი სხეულის და გულის ნაწილი და მის გარეშე უნდა იცხოვრო, ეს ძალიან რთულია, თუმცა ამას ყველა ადამიანი გარკვეული დოზით ხვდება. ცხოვრება სავსეა სხვადასხვა გამოწვევით და სანამ ცოცხალი ხარ, ამისთვის მზად უნდა იყო.

— რა იყო თქვენი ყველაზე დიდი ოცნება, ნატვრა და თუ შეგისრულდათ?

— მე და ჩემს მეუღლეს, ისე, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე — იქორწინეს და წლისთავზე ბიჭი გაუჩნდათო, — პირველი შვილი შეგვეძინა. შემდეგ, 12 წლის მანძილზე, მეორე შვილი არ გვიჩნდებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა იყო — გვყოლოდა მეორე შვილი. მერე ნიკუშა მოევლინა ამ ქვეყანას და ძალიან დიდი სიხარული მოგვიტანა.

— ზოგჯერ, ხანში შესულ, ჭაღარა წყვილზე იტყვიან — მშვენიერი წამების მთელი მარადისობა იცხოვრეს ერთადო. თქვენი გარემოცვიდან ასეთი სამაგალითო წყვილის დასახელება თუ შეგიძლიათ?

— ჩამოთვლა ცოტა საფრთხილო საქმეა: ვინმეს არ ვაწყენინო. ისე, ჩემს ოჯახში მქონდა ასეთი მაგალითი. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, რეპრესიებისა, ციხეებისა, ომებისა და ტანჯვისა, ჩემი ბებიები და ბაბუები საოცარი ერთგულებით და სიყვარულით გამოირჩეოდნენ. თან თითქმის ყველა ბებია-ბაბუამ ოთხმოცდაათ წელს მიაღწია. ჩვენს საზოგადოებაშიც ვხედავთ ასეთ წყვილებს, წლების მანძილზე ერთად რომ არიან და სიყვარულით შეაბერდებიან ერთმანეთს. ასეთი წყვილები დიდ სიმპათიას და კეთილგანწყობას იმსახურებენ.

— ბებია-ბაბუა ახსენეთ. თუ გყავდათ გამზრდელი ბებია, როგორი შვილიშვილი იყავით და თუ შეგიძლიათ თქვათ, რომ ბოლომდე გაეცით სიყვარული?

— არ მინდა, ძალიან სენტიმენტალური გამოჩნდე, მაგრამ ბებიაზე ხშირად ვლაპარაკობ. სხვანაირად არ შემიძლია. იმდენად დიდი იყო ეს სიყვარული, იმდენად დიდი ამაგი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, რაც მე მახსოვს, ბოლო 40 წელი, იმდენად ჩემი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომ გულწრფელად პატივს ვცემ მის ხსოვნას. ბედნიერი კაცი ვარ, რომ დიდხანს გვერდით მყავდნენ ორივე მხრიდან ბებიებიც და ბაბუებიც. ჩემი გამზრდელი ბებია მაინც განსაკუთრებით მიყვარდა. საკმაოდ ხნიერი, ოთხმოცდაათს მიტანებული წავიდა ამ ქვეყნიდან. კუჭის პერფორაცია დაემართა. მაშინ საქართველოში არ ვიმყოფებოდი. გრძნობდა, რომ მდგომარეობიდან ვერ გამოვიდოდა, როცა საავადმყოფოში წაყვანა დაუპირეს, — ცოტა დავიცადოთ, გიგი აუცილებლად ჩამოვაო, — უთქვამს. მართლაც, ჩამოვუსწარი. მასთან რომ მივედი, სკამზე იჯდა პალტოთი და მე მელოდებოდა. რაც შემეძლო, ყველაფერი გავუკეთე. არაფერზე არ მწყდება გული... გამიბრაზებია კიდეც, მაგრამ სულ ვეუბნებოდი, ბედნიერი ადამიანი ხარ, ამდენი მოსიყვარულე ადამიანი რომ გახვევია თავსმეთქი. ჩემი ნატვრაა, ამ ასაკში ჩემი შვილებიც და შვილიშვილებიც ასევე მომეფერონ და მიპატრონონ, როგორც მას ვეფერებოდით.

— ბევრჯერ გამიბრაზებიაო, — ბრძანეთ. ცელქი ბავშვი იყავით? და თუ გახსოვთ, ბავშვობაში ყველაზე მკაცრად როდის დაგსაჯეს?

— მოუსვენარი ბავშვი ვიყავი. ერთხელ სახლში ფარდას ცეცხლი წავუკიდე და საკმაოდ მკაცრადაც დავისაჯე. მახსოვს, პატარა ვიყავი, 3 თუ 4 წლის, ბაკურიანში, ალბათ ბაზარში, ჩემმა მშობლებმა თაფლი იყიდეს. ციგით მიმასრიალებდნენ. როცა სხვა რაღაცას ყიდულობდნენ, თაფლის ლიტრიანი ქილა გავტეხე. თავიდან ფეხებამდე, პალტოიანად თაფლში ვიყავი ამოსვრილი. მე მგონი, გვარიანად მომხვდა *(იცინის)*...

ცოტა ტრაბახი, ცოტა ხმის დაბოხება და ძალის მომატება ღვინომ იცის...

— ბომონდისა და პოლიტიკური ელიტის ბევრი წარმომადგენელი თავისუფალ დროს, ნადირობითა და თევზაობით ერთობა...

— არა, ნადირობა მაინცდამაინც არ მიყვარს. სულ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. თევზაობა მიყვარდა და დავდიოდი კიდეც.

— სიმთვრალეში ტრაბახი თუ გიყვართ?

— როგორ გითხრათ... არა, არ მიყვარს. ცოტა ტრაბახი, ცოტა ხმის დაბოხება და ძალის მომატება ღვინომ იცის. თუმცა, სიმთვრალეში ძალიან არ ვკარგავ კონტროლს საკუთარ თავზე.

— თუ შეგიძლიათ, დაასახელოთ 5 რამ, რის გარეშე სიცოცხლეც ვერ წარმოგიდგენიათ?

— 5 რამ? ასეთი შეიძლება უფრო მეტი იყოს. აბა, დავიწყოთ ჩამოთვლა: ოჯახი, მეგობრები, შენი ქალაქი, სამშობლო, რომლის გარეშეც ვერ წარმომიდგენია სიცოცხლე. ეს ცოტა გამოდის. წიგნები. მაგრამ ინტერნეტს რა ვუყო *(იცინის)*? ტელეფონს რა ვუყო? მოდი, ასე დავყოთ: წიგნი, ტელეფონი, ინტერნეტი... არა, გადასცდა, ხუთზე მეტი გამოვიდა *(იცინის)*... ■

ქართველი ქალისგან განწირული გოგონა თურქეთ ბიზნესმენთან განსაცდელისგან იხსნა

ნინო 21 წლის, კარგი გარეგნობის გოგონაა. მისგან მესიჯი ჯერ კიდევ მაშინ მივიღე, როცა ის თურქეთში იმყოფებოდა. მწერდა — საქართველოში რომ ჩამოვალ, აუცილებლად შეგხვდები და საოცარ ამბავს მოგიყვებიო... ჩვენი შეხვედრა შედგა. აღმოჩნდა, რომ გოგონა ტრეფიკინგის მსხვერპლი გამხდარა. ვინმე ნანას ის თურქისთვის 3.800 დოლარად მიუყიდია, მაგრამ ბორდელში სულ რამდენიმე დღე დაყო. შემდეგ კი... რა მოხდა შემდეგ, ამას ნინოს ინტერვიუდან შეიტყობთ. ჩვენი საუბარი კი ცოტა შორიდან დავიწყეთ:

როცა ოთახში იავერი შემოვიდა, მე ამ დროს ჩუმად ვგიროდი. შევებრალე, რადგან კარგად იცოდა, როგორ ხვდებოდნენ ბიძამისთან გოგოები...

მარი ხაფარიძე

— 13 წლის ვიყავი, როდესაც ახალ ბინაში გადავედით საცხოვრებლად. იმავე სადარბაზოში ჩემზე 7 წლით უფროსი ბიჭი ცხოვრობდა. მანუჩარს დანახვისთანავე მოვწონებივარ. ერთ დღეს, სკოლიდან ვბრუნდებოდი, როცა დედამ ფანჯრიდანვე დამიძახა და მთხოვა, აფთიაქიდან მისთვის წამალი მომეტანა. უკან გავბრუნდი. ამ დროს ოთხმა ბიჭმა ხელი მტაცა და მიუხედავად იმისა, რომ ვყვიროდი და ვეწინააღმდეგებოდი, მანქანაში „ჩამტენა“. არც კი ვიცოდი, ვინ მიტაცებდა. ბოლოს, ბიჭებმა მანუჩარზე მიმითითეს — შენი ქმარი ეს იქნებაო. ის წინ, მძღოლის გვერდით იჯდა, მუხლებზე ჩემი სასკოლო ჩანთა ედო და წიგნებსა და რვეულებს ფანჯრიდან ყრიდა — შენი სწავლა-განათლება აქ დამთავრდაო, — მეუბნებოდა... მშობლებმა გვიან მომაგნეს. მამას ჩემი დატოვება არ სურდა, მაგრამ დედა ჩემი წამოყვანის წინააღმდეგი იყო და მამა დაიყოლია. მანუჩარს ძალზე კარგი ოჯახის წევრები ჰყავდა, ყურადღებიანი მამა, რომელთანაც მეგობრული დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა. მე და მანუჩარი ცალკე ვცხოვრობდით, მალე ვაჟი შეგვეძინა. პატარა 7 თვის იყო, როდესაც მეუღლის ბიძაშვილი და მისი უცხოელი ცოლი გვესტუმრნენ. ისინი ახალდაქორწინებულები იყვნენ. ვინაიდან საქართველოში სახლი არ ჰქონდათ, შევთავაზეთ, დროებით ჩვენთან ეცხოვრათ. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ახალგაზრდებმა მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს. მაგრამ როდესაც ისინი ქალაქის დასათვალიერებლად მიდიოდნენ, ხშირად, ბავშვის გამო, ვერ მივყვებოდი და შინ მიწევდა დარჩენა. მანუჩარის ბიძაშვილს რამდენიმე დღით რაიონში გამგზავრებამ მოუწია, მისი ცოლი ლოლიტა კი ჩვენთან დარჩა იმ მოტივით, რომ ბავშვის მოვლაში დამეხმარებოდა. შევნიშნე, რომ ჩემს ქმარსა და ლოლიტას შორის სხვაგვარი დამოკიდებულება ყალიბდებოდა. ამის დაჯერება მიჭირდა და მეგონა, უმიზეზოდ ვეჭვიანობდი. ჩემი ვარაუდი მამამთილს გავუმხილე და ვთხოვე, რამდენიმე დღით ჩვენთან გადმოსულიყო და მათ საქციელს დაჰკვირვებოდა.

— **რა თქმა უნდა, ამ დროს თქვენი მეუღლე ფრთხილად მოიქცეოდა.**

— დიახ. ბოლოს და ბოლოს, მამამთილმა მე გამამტყუნა. დავმშვიდდი, მაგრამ თურმე განგაში უნდა ამეტეხა. ლოლიტას მეუღლე დაბრუნდა და შემდეგ, ისინი ერთად წავიდნენ სოფელში ბებია-ბაბუასთან, ერთ მშვენიერ დღეს კი, მანუჩარმა რაღაც საქმე მოიმიზეზა და ქალაქგარეთ წავიდა. ორი დღის შემდეგ კი, მისი შეწუხებული ბიძაშვილი მომადგა კარს — ცოლი დავკარგეო!.. მე მაშინვე ვიეჭვე, რომ ისინი ერთად იყვნენ და მართალიც აღმოვჩნდი. გადავწყვიტე, ოჯახიდან წამოვსულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მამამთილი მეხვეწებოდა, მათთან მეცხოვრა, ვხვდებოდი, იქ დარჩენა არ ღირდა. დროებით მანუჩარის ბებიასთან გადავედი საცხოვრებლად. მეუღლემ დამირეკა და მითხრა — ლოლიტა მართლა გულით შემიყვარდა, მაპატიე, მაგრამ მასთან ცხოვრება მირჩევნიაო...

— **სად იმალებოდა შეყვარებული წყვილი?**

— ისინი სხვა ქალაქში იყვნენ. ერთხელ, გვიან ღამით კი, მეზობელმა დამირეკა და მითხრა — თქვენს სახლში საეჭვო ხმაურია, მგონი, მანუჩარი და ლოლიტა დაბრუნდნენო. აღარ დავაყოვნე და შუაღამისას შინისაკენ გავეშურე. იქ მისულს, მარტო ლოლიტა დამხვდა, რომელიც თავის ტანისამოსს ჩემოდანში ალაგებდა. რატომ მინგრევ ოჯახსმეთქი? — ვკითხე. პასუხად ქუსლიანი ფეხსაცმელი ფეხში ჩამაზილა. მეც აღარ მოვუთმინე და ისე ვცემე, რომ მისი სისხლი დღესაც ატყვია იმ ბინის კედლებს. ამის გამო მანუჩარისგან ძალზე დიდი საყვედური მივიღე და დამემუქრა კიდეც. ამის შემდეგ საცხოვრებლად მშობლებთან გადავედი. ჩემი ყოფილი მეუღლე და მისი ბიძაშვი-

ლის ყოფილი ცოლი კი, საზღვარგარეთ გაემგზავრნენ.

— **ამის შემდეგ მანუჩარი აღარ გინახავთ?**

— ყოფილ მეუღლეს აღარ შევხვედრივარ. ერთი წლის წინ, შეწუხებულმა დამირეკა, პატიება მთხოვა და შერიგება შემომთავაზა, მაგრამ ამ ამბის დავიწყება არ შემეძლო. ამიტომ უარი ვუთხარი.

— **თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა?**

— ვიშოვე სამსახური, მაგრამ დაბალი ანაზღაურება მქონდა. შვილის რჩენა მიჭირდა. გადაწყვიტე, საბერძნეთში წავსულიყავი ნათესავთან, რომელიც იქ წლების განმავლობაში მუშაობდა. მივადექი ერთ ოფისს, სადაც შემპირდნენ, რომ გარკვეული თანხის საფასურად (რომელსაც ადგილზე ჩასვლის შემდეგ, ჩემი ნათესავი გადაიხდიდა), საბერძნეთში ჩამიყვანდნენ. როგორც იქნა, გავემგზავრე. ჩემთან ერთად გახლდათ ფირმის წარმომადგენელი, ქალბატონი ნანა. ავტობუსში ჩემი ასაკის გოგონა, თამუნა გავიცანი. მოგეხსენებათ, იმისთვის, რომ საბერძნეთში მოხვდე, თურქეთის ტერიტორია უნდა გაიარო. იქ გავჩერდით და შევისვენეთ. ნანას ინიციატივით, სამივენი კაფეში ყავის დასალევად შევედით. საუბარს შევყევით და უცებ შევნიშნეთ, რომ ავტობუსი იქ აღარ იდგა. პანიკაში ჩავცვივდით, მაგრამ ნანამ დაგვამშვიდა — არა უშავს რა, ტაქსით დავეწევითო. მალე მანქანა მოიყვანა, ჩაგვსვა და ერთ საათში ყვითლად შეღებილ შენობას მივადექით, რომელიც ბორდელი აღმოჩნდა. გარედან სამოთხეს ჰგავდა, ლამაზფასადიან შენობას ულამაზესი ბაღი ერტყა გარს. მივხვდით, რომ ხაფანგში გავებით. თამუნა პანიკაში ჩავარდა, ხმამაღლა ყვიროდა და შველას ითხოვდა. ის გასათხოვარი, ქალწული გოგონა იყო. მეც არანაკლებ ვნერვიულობდი, მაგრამ შიშით ხმას ვერ ვიღებდი. გაგონილი მქონდა, რომ თუ ასეთ შემთხვევაში ძალზე გაჯიუტდებოდი ან სიცოცხლეს გამოგასალმებდნენ, ან წამალზე „შეგსვამდნენ“. კაიფის დროს კი, ყველაფერი სულერთი იქნებოდა და ნებისმიერი ადამიანი ადვილად დათანხმდებოდა მათ ყველა წინადადებას... პირველ რიგში, ამ დაწესებულების მეპატრონემ გვინახულა. ინვალიდი კაცი გახლდათ და სხვის დაუხმარებლად გადაადგილება არ შეეძლო. ტანისამოსი გაგვხადეს, შეგვამოწმეს, სისხლის ანალიზი აგვიღეს და ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში გაგვანაწილეს. უზრუნველყოფილი ვიყავით საკვებით, კარგი ხარისხის კოსმეტიკითა და ნაირნაირი ღამის პერანგით. ტანისამოსი იქ არაფერში გვჭირდებოდა... სულ 4 დღე დავყავი იმ დაწესებულებაში, უფრო სწორად — ჯოჯოხეთში. პირველსავე დღეს, ერთი კლიენტი შემომიგზავნეს. მეორე დღეს კიდევ — ერთი.

— **ასე უცებ შეურიგდით ბედს?**

— რას ამბობთ, ამასთან შერიგება როგორ შეიძლება?!. დღესაც მაკანკალებს, როცა ის დრო მახსენდება. გაგვაფრთხილეს, რომ თუ კლიენტს წინააღმდეგობას გავუწევდით, მას ჩვენი ცემის უფლებაც ჰქონდა. გვერდითა ოთახიდან მესმოდა კიდეც თურქული ყვირილის, რუსული ლაპარაკისა და ტირილის ხმა... ბოლოს, ყველა კლიენტი მაინც ისრულებს საწადელს. ამიტომ ცემა-ტყეპასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ვამჯობინე, მათ ნებას დავყოლოდი. მესამე დღეს, ჩემს ოთახში შემოვიდა ევროპული გარეგნობის, ძალზე სიმპათიური მამაკაცი. აღმოჩნდა, რომ ის ბორდელის მეპატრონის ძმისშვილი ყოფილა და ბიძას შეუტყობინებია — საქართველოდან ახალი „ტავარი“ მივიღე და სანამ არ გაბანძებულან, მოდი და კბილი გაუსინჯეო... როცა ოთახში იავერი შემოვიდა, მე ამ დროს ჩუმად ვტიროდი. შევებრალე, რადგან კარგად იცოდა, როგორ ხვდებოდნენ ბიძამისთან გოგოები და ხელი არ დამაკარა. ბიძამისიც გააფრთხილა, რომ ჩემთან კლიენტი არ შემოეშვათ... ვიცი, რომ ძალზე დიდი ფული გადაიხადა იქიდან ჩემს გამოსახსნელად. მე კი მითხრა — თუ არ გამექცევი და ჭკუით მოიქცევი, დედოფალივით გაცხოვრებო. ოღონდ იმ ჯოჯოხეთისთვის თავი დამეღწია, ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

— **რა თანხა გადაუხადა ბორდელის მეპატრონემ ნანას?**

— როგორც შემდეგ იავერისგან შევიტყვე, 3.800 დოლარად გავუყიდივარ, ხოლო ჩემმა მხსნელმა რა თანხა გადაიხადა, არ ვიცი.

— **ახლა თქვენ და იავერი ერთად ცხოვრობთ?**

— დიახ. ის სამშენებლო კომპანიის პრეზიდენტი გახლავთ. საკმაოდ შეძლებული ადამიანია. ვცხოვრობთ ანკარაში, ოთხსართულიან სახლში. სექტემბრის ბოლოს კი, ხელსაც მოვაწერთ და ოფიციალურად ვიქორწინებთ.

— **მისი ოჯახის წევრებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— შესანიშნავი. თავიდან დედამისმა ცოტა წინააღმდეგობა გაგვიწია, რადგან ქართველი რძალი არ უნდოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი დალაგდა. იავერს ერთი პირობა ჩამოვართვი —

იავერ სელ

მისი ბიძა ვერასოდეს მოვა ჩვენს სახლში სტუმრად. ამას წინათ, მეუღლემ მაუწყა — ბიძაჩემს საქართველოდან „საქონლის“ „ახალი პარტია“ მიუღიაო. სისხლი გამეყინა. ჩემი თავი წარმომიდგა თვალწინ. დიდი სურვილი მაქვს, დავეხმარო იმ გოგონებს, მაგრამ სამწუხაროდ, უძლური ვარ. იმ ბორდელში 104 ოთახი ყოფილა. ეს 104 გაუბედურებული გოგოს სამყოფელია, რომელთაც ერთმანეთთან კონტაქტიც კი აკრძალული აქვთ. გისოსებიანი ფანჯრის მიღმა, მხოლოდ ეზოს ხედავ. გარეთ გასვლის უფლება კი არ გაქვს.

— **გვიამბეთ თქვენი იქაური ცხოვრების შესახებ.**

— იცით, საქართველოში ცხოვრების პერიოდში მონატრებული ვიყავი ჩაცმა-დახურვას და კომფორტს. იავერმა თავიდანვე ძვირფასი ტანისამოსი მიყიდა და ახლაც მზად არის, ნებისმიერი კაპრიზი ამისრულოს. როცა იქიდან ტელეფონით შვილს ველაპარაკები, ყოველთვის ვტირი. იავერს ხშირად შემოუსწრია ჩემთვის ასეთ დროს. თავზე ხელს გადამისვამს ხოლმე და მამშვიდებს. მეხვეწება, რომ ბავშვი თან წავიყვანო და სამივემ ერთად ვიცხოვროთ. ჩემს ქმარს გერმანელი დედა ჰყავს და შესაბამისად, აზროვნებაც განსხვავებული აქვს, ვიდრე სხვა თურქებს. მე არ

ნდობის ტელეფონი

822-006-099

ქალაქის ტელეფონიდან დაკავშირება შესაძლებელია ტელეკომბარათებით

ზარი ფასიანია. 18 წლიდან

ვერევი მის საქმეებში. არ ვეკითხები, რამდენი ფული აქვს ან რა შემოსავალი ყოველთვიურად. დაკავებული ვარ მხოლოდ ჩემი თავის მოვლით. ხშირად დავყავარ რესტორანში, თავის მეგობრებთან ერთად. ასეთ დროს, ვალდებული ვარ, შევიმოსო ისე, როგორც მათ ადათს შეეფერება: აუცილებლად დახურული, გრძელსახელოიანი კაბა უნდა მეცვას, რომლის ქვეშაც, თუ სურვილი მაქვს, შარვალსაც ჩავიცვამ. მათი წესის მიხედვით, თავზეც უნდა მეფაროს, მაგრამ იავერს მიაჩნია, რომ თავსაბურავი არ მიხდება და არ მაძალებს.

მე ალბათ გამონაკლისი ვარ და მიმაჩნია, რომ ღმერთმა არ გამწირა... ხშირად ვფიქრობ ნანაზე. საინტერესოა, მისი შვილები როგორები არიან, როგორ ხარჯავენ დედის მიერ მიცემულ ფულს და როგორ ჭამენ ასეთი ფულით ნაყიდ საჭმელს...

— სარწმუნოების შეცვლა ხომ არ შემოუთავაზებია?

— არა, რას ამბობთ?! ერთხელ მან თქვა — შენ რომ ქრისტიანობა დათმო და ისლამი მიიღო, ეს შენი სარწმუნოების ღალატი იქნება; თუ ასეთ ღალატს შეძლებ, მაშინ თავს მოხვეული რწმენის ღალატიც არ გაგიჭირდებაო...

— თამუნას ბედით არ დაინტერესებულხარ?

— როდესაც ნანამ იმ ყვითელ სახლში მიგვიყვანა და ბორდელის მეპატრონემ შეგვათვალიერა, თამუნას რაღაც ფიზიკური, უმნიშვნელო ნაკლი აღმოუჩინა. ამის გამო ნანას ევაჭრებოდა და შეპირებულ თანხაზე გაცილებით ნაკლებს სთვაზობდა. მართალია, თურქული არ ვიცოდით, მაგრამ მათი ჟესტებისა და მიმიკის წყალობით, იოლად მიხვდებოდით, რაზე საუბრობდნენ. ბოლოს, შეთანხმდნენ. ოთახიდან ჯერ თამუნა გაიყვანეს. ამის შემდეგ ის აღარ მინახავს... როდესაც იავერმა თავის სახლში წამიყვანა, რამდენიმე დღის შემდეგ, გამბედაობა მოვიკრიბე და ვთხოვე, თამუნასაც დახმარებოდა. იმავე საღამოს მეუღლემ მითხრა — თამუნა იმ ბორდელში აღარ არის, მისი ასავალ-დასავალი ვერ შევიტყვეო. გოგონა იმუქრებოდა, თავს მოვიკლავო... არ ვიცი, იქნება, საკუთარ თავს რამე აუტეხა, იქნებ, ბორდელის მეპატრონემ „გაასაღა“ ან სხვა, მსგავს დაწესებულებას მიჰყიდა. იავერმა მირჩია, მასზე ფიქრი თავიდან ამომეგდო, მაგრამ თამუნა არასოდეს დამავიწყდება. მე არ ძალმიძს ყველა იმ გოგონას გადარჩენა, რომელიც მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება. თუმცა, ჩემი ნება რომ იყოს... ჩემს მეუღლეს ადრე ასეთი შემთხვევა ჰქონია: იმ ბორდელში ერთი ქართველი გოგონას დახმარება მოუწადინებია. მისთვის ოთახში მობილური ტელეფონი დაუტოვებია, რომ მუდმივად კონტაქტის საშუალება ჰქონოდა. იმ გოგოს პოლიციისთვის შეუტყობინებია — ასე და ასეა ჩემი საქმე და მიშველეთო, მაგრამ აბა, ვინ დაეხმარებოდა?.. პოლიცია ხომ ამ საქმის წილშია და ყველა ბორდელის „კრიშას“ თვითონ წარმოადგენს. მათ ბორდელის მეპატრონისთვის დაურეკავთ და უთქვამთ — შენი ბოზი გიჩივისო. ის გოგო იმ დღიდან გაქრა, იავერმა კი, ამის გამო ბიძისგან დიდი საყვედური მიიღო.

— თვითონ იავერი რას ამბობს ბიძის საქმიანობის შესახებ? მოსწონს?

— რა თქმა უნდა — არა. მაგრამ იქ ისეთი წესია, რომ ოჯახის წევრის საქმეში ვერ ჩაერევი. ყველას თავისი ბიზნესი და შემოსავლის წყარო აქვს და ვერავინ ჩაერევა. თვითონ ბორდელის მეპატრონეს აზერბაიჯანელი საყვარელი ჰყავს, რომელიც ქართველების მიმართ ძალზე აგრესიულადაა განწყობილი, თუმცა ქართულად მშვენივრად ლაპარაკობს.

— მოკლედ, იქ თუ მოხვდი, გამოქცევის შანსი არ არსებობს, ხომ?

— შეუძლებელია, რომ იმ სახლს თავი დააღწიო. ოთახში არც ერთი ისეთი საგანი არ არის, რომლითაც შეძლებ, საკუთარ თავს ზიანი მიაყენო. მჭრელ და ბასრ ნივთებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ოთახიდან გამოსვლა გეკრძალება. თუ ეზომდე მიაღწიე, გარეთ მაინც ვერ გახვალ, რადგან დიდი ძაღლები ჰყავთ... ამხელა ძაღლი არასოდეს მინახავს. თუ ოდნავ აჩქარებით გაიარე, გეცემიან და ერთ ლუკმად არ ეყოფი, ისე გადაგსანსლავენ. ტანისამოსი, რომელიც ჩვენ გვეცვა, განსაკუთრებული ნივთიერებით იყო გაჟღენთილი, რომლის სუნზეც ეს ძაღლები ჰყავთ დაგეშილი. შორი მანძილიდანაც კი იყნოსავენ. ძაღლებს თუ გადაურჩი, ორმეტრიანი, დაცვის თანამშრომლები იქვე მიგახვრეტენ... გოგონების უმეტესობა ეგუება თავის ყოფას. მათ რამდენიმე წლის განმავლობაში ამუშავებენ. რა თქმა უნდა, ერთ კაპიკსაც არ უხდიან. შემდეგ, თუ იციან, რომ გოგონასგან საფრთხე არ ემუქრებათ, ღამით გაიყვანენ უკაცრიელ ადგილზე და დატოვებენ, თუ არა და — მოკლავენ და ძაღლების საჯიჯგნად აქცევენ... მინდა, ყველა ქართველ გოგონას ვურჩიო — ფრთხილად იყვნენ და თაღლითის ბადეში არ გაებან, თორემ, საშინელი დღეებისა და ხშირ შემთხვევაში, წლების გადატანა მოუწევთ. მე ალბათ გამონაკლისი ვარ და მიმაჩნია, რომ ღმერთმა არ გამწირა. ქართველმა ქალმა გამწირა, თურქმა კი, ჯოჯოხეთისგან მიხსნა. ხშირად ვფიქრობ ნანაზე. საინტერესოა, მისი შვილები როგორები არიან, როგორ ხარჯავენ დედის მიერ მიცემულ ფულს და როგორ ჭამენ ასეთი ფულით ნაყიდ საჭმელს. ღმერთო, ყველა დაიფარე!.. ■

ფრაზა გენიალური

ქვეყნად ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც თავისუფლება არ უყვარს, ოღონდ, სამართლიან ადამიანს ყველასთვის უნდა თავისუფლება, უსამართლოს კი — მხოლოდ თავისთვის.

ლუდვიგ ბერნე

ბოლო დროს მოდაში შემოვიდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების სცენაზე გამოყვანა ან სხვა, მათთვის უჩვეულო ამპლუაში საზოგადოების წინაშე წარდგენა. ზოგი ასეთი პროექტი ამართლებს, ზოგიერთი კი — არა... ამას წინათ, კომპოზიტორმა ლილიკო ნემსაძემ მსახიობები აამღერა და ეს ჩანაფიქრი საკმაოდ კარგადაც განახორციელა. ლილიკოს ამ პროექტისა და მისი შემოქმედებითი ცხოვრების სხვა სიახლეებზე სასაუბროდ შევხვდი და ბევრი საინტერესო რამ შევიტყვე.

ლილიკო ნემსაძის საიდუმლო: გულში, ყველა სიმღერას ვიცავ ვუძღვნი...

ნათია ქივიძე

— ლილიკო, რატომ გადაწყვიტე, რომ შენი სიმღერების შესრულება მსახიობებისთვის დაგეკისრებინა?

— გასული წლის ზაფხულსა და ამ ზამთარში ჩამოსული იყო ყველასთვის ცნობილი მსახიობი, მერაბ ნინიძე, რომელმაც ჩემი 2 სიმღერა ჩაწერა: ერთი — რომანსი და მეორე — სამბა. მაშინ მან მითხრა — ყოველ ჩამოსვლაზე, შენს სიმღერას ჩავწერო... მე და მერაბს დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ძალზე გვიყვარს ერთმანეთი. ერთმანეთის შემოქმედებაც მოგვწონს. აქამდე, მის მიერ შესრულებული ერთადერთი სიმღერა მქონდა მოსმენილი, რომელიც დიდი ხნის წინ, ია ნინიძესთან ერთად იმღერა და, ჟარგონით რომ ვთქვა, მე მის გემოვნებას „ვავურტყი" და ზუსტად ისეთი სიმღერა დავუწერე, რომელიც მას შეეფერებოდა... სწორედ იმ პერიოდში, როცა მე და მერაბი ამ სიმღერებზე ვმუშაობდით, რამდენიმე მსახიობმა მთხოვა — მეც დამიწერე სიმღერაო. ისინი ჩემი მეგობრები არიან: ზურა შარია, ონისე ონიანი, ნანუკა ხუსკივაძე, ია შუღლიაშვილი და სხვები. რომ დავთვალე, 6 სიმღერა გამოდიოდა, საგანგებოდ მსახიობებისთვის დაწერილი. მაშინ გადავწყვიტე — ამ სიმღერების რაოდენობას 15-მდე გავზრდი და დისკს გამოვუშვებ-მეთქი. ამის მერე დავიწყეთ კონცერტზე მუშაობა, რომელიც ერთ-ერთ კლუბში ჩავატარეთ. სულ მალე, დისკიც გამოვა. კონცერტი არაჩვეულებრივი გამოვიდა. მსახიობები, რომლებისთვისაც სცენა მეორე სახლია, ამჯერად სცენაზე სულ სხვა ამპლუაში აღმოჩნდნენ. ვერ წარმოიდგენ, მათ ისე ეშინოდათ სცენაზე ასვლის და სიმღერის... ძალზე საინტერესო იყო მათთან ერთად სტუდიაში მუშაობა. მსახიობის ძირითადი დანიშნულებაა ისაა, რომ გარკვეული განწყობილება შეუქმნას პუბლიკას. წარმოიდგინე, რა საყვარლები იქნებოდნენ ისინი სიმღერაზე მუშაობისას: ყველას, შიშისგან გაფართოებული ჰქონდა თვალები. გოგოლა კალანდაძისა და ეკა კახიანისთვის სტუდია უცხო არ იყო, მაგრამ დანარჩენები საკმაოდ ნერვიულობდნენ. სხვათა შორის, თითოეულ მათგანს კარგი ხმა აქვს. ვიცი — როცა ადამიანი თეატრალურ ინსტიტუტში აბარებს, მას სიმღერისა და ცეკვის ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ამიტომ არის, რომ ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე და სხვა მათი კოლეგები, ნამდვილი მომღერლებიც იყვნენ. ახლა ჩვენ განებივრებული არ ვართ ბევრი სპექტაკლით და ამიტომაც, თანამედროვე მსახიობებს ხშირად სიმღერა არ უწევთ, მაგრამ რაც იციან, ისიც კარგია. ამასთანავე, მათგან სხვა, რაღაც ისეთი ემოცია მოდის, როგორიც შესაძლოა, პროფესიონალ მომღერალს არ ჰქონდეს. ეკა ნიჟარაძე ისე ნერვიულობდა, — ვაიმე, ლილიკო, როგორ მეშინია სცენაზე ასვლისო! — მითხრა. მე ვუპასუხე — ამდენი როლი გაქვს ნათამაშევი და სცენაზე ასვლის გეშინია-მეთქი?! ახლა, შენ რომ ჩემ მაგივრად რომელიმე როლი ითამაშო, არ შეგეშინდებაო? — მკითხა. ეს რომ წარმოიდგინე, რა თქმა უნდა, მივხვდი, რომ ძალზე ვინერვიულებდი, თუმცა კი რაღაცას მაინც მოვახერხებდი, რადგან ცოტა მსახიობური მონაცემები მაქვს.



სასტიკად ვაპროტესტებ, როცა ვიღაცა ერთ რამეს დახატავს და მას შეაგვრობას მიაწერენ ან ორ სიმღერას დაწერს და ის უკვე კომპოზიტორია (რეჟისორ ზაზა ორაშვილთან ერთად)

— როგორც ვიცი, ამ კონცერტში რამდენიმე მომღერალმაც მიიღო მონაწილეობა — მსახიობებთან ერთად დუეტები შეასრულეს.

— არ მინდოდა, ამ პროექტში მომღერლების დაკავება. მინდოდა, რომ დუეტიც და ტრიოც მსახიობებს შეესრულებინათ და არა მომღერლებთან ერთად. 17 მსახიობი მყავდა და იმის შესაძლებლობა მქონდა, რომ კონცერტი ერთფეროვანი არ ყოფილიყო. მაგრამ რამდენიმე მომღერლის მოწვევას მაინც ვერ ავცდი. ამას ცუდი გაგებით კი არ ვამბობ, პირიქით — ისინი ჩემი სურვილით მოხვდნენ ამ კონცერტზე. ესენი არიან: ლიზა ბაგრატიონი, თიკა ჯამბურია, „ქართული ხმები" და დათუნა სირბილაძე. კონცერტზე რაც სიმღერები შესრულდა, ყველა ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. ვინც პროექტში მყავდა, იმ მსახიობებს ძირითადად, ყველას კარგად ვიცნობ და ნანახი მაქვს მათ მიერ შესრულებული როლები. ამიტომ, ჩემი ინტუიციის წყალობით, ვიცოდი, ვისთვის რომელი სიმღერა უნდა მიმენდო. თქვენ წარმოიდგინეთ, კაბუც კი მონაწილეობდა ჩემს კონცერტში და მისთვის, ცხოვრებაში პირველად, რეპი დავწერე. თუმცა, ეს კოტე ნონიკოვის დახმარებით მოხდა: ის რომ არ მყოლოდა, ვერაფერს გავაკეთებდი. ძალიან მიყვარს კაბუ, მისი შემოქმედებაც მომწონს და ეს დუეტიც არაჩვეულებრივი გამოუვიდა, რომელიც ნანკა კალატოზიშვილთან ერთად შეასრულა. ახლო მომავალში ვაპირებთ, ეს კონცერტი გავიმეოროთ.

— როგორც ვიცი, შენს სიმღერებს, მსახიობების გარდა, ექიმებიც ასრულებენ. მათთან ერთადაც ხომ არ აპირებ რაიმე ახალი

პროექტის განხორციელებას?

— არა. არასოდეს ვაპირებ იმის გამეორებას, რომ ვინმეს, სხვა პროფესიის ადამიანს, რაღაც დავუწერო. მსახიობების პროექტსაც ჩემი დიდი წინასიტყვაობა უძღვის წინ: ესენი ჩემი მეგობრები არიან და ეს საჩუქარი მე მათ გავუკეთე... ძალიან ბევრი სხვა პროფესიის მეგობრები მყავს, მაგრამ ასეთი პროექტის განხორციელებას აღარ ვაპირებ. თიკა ხეცურიანი, გარდა იმისა, რომ კარგი ექიმია, მომღერალიც არის და ის, რა თქმა უნდა, ჩემს სიმღერებს კვლავაც იმღერებს.

ძალიან ბევრი სხვა პროფესიის მეგობრები მყავს, მაგრამ ასეთი პროექტის განხორციელებას აღარ ვაპირებ. (ბვიად ყიფიანთან და თიკა ხეცურიანთან ერთად)

— გამიგონია, რომ იშვიათად, სიმღერის ტექსტსაც წერ. როდის ხდება ეს და რა გიბიძგებს ხოლმე?

— ამ პროექტშიც ორი სიმღერის ტექსტი ჩემი დაწერილია. ამას კი ის გარემოება მაიძულებს ხოლმე, რომ იმ ავტორებს, რომლებიც სულ ჩემთან მუშაობენ (ირინა სანიკიძე და ნანა ცინცაძე), მაშინვე ვერ ვნახავ, სიმღერა კი სტუდიაში მეორე დღეს მაქვს ჩასაწერად მისატანი; საკუთარი თავის მობილიზებას ვახდენ და ტექსტს ვწერ... არ მიყვარს ასეთი რაღაც და ყოველთვის სასტიკად ვაპროტესტებ, როცა ვიღაცა ერთ რამეს დახატავს და მას მხატვრობას მიაწერენ ან ორ სიმღერას დაწერს და ის უკვე კომპოზიტორია. ასევე არ შეიძლება, რამდენიმე ლექსის ავტორს პოეტი ეწოდოს. ყველაფერს შესაბამისი განათლება სჭირდება. მე შემიძლია, რამდენიმე ლექსი დავწერო, მაგრამ ეს პოეტობას არ ნიშნავს. სხვათა შორის, ბავშვობაშიც მაქვს დაწერილი რამდენიმე ლექსი, რომელიც შენახული მაქვს და აღვნიშნავ, რომ ბავშვობის დროინდელი ლექსები უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისინი, რომლებსაც ახლა ვწერ, რადგან სიმღერას რთული ტექსტი არ სჭირდება.

— ტექსტის, უფრო მეტად კი — მუსიკის დასაწერად, რაიმე განსაკუთრებული განწყობა არ გჭირდება? თუ შენთვის საკმარისია, რომ შეკვეთა გაქვს მიღებული და ვალდებული ხარ, დაწერო?

— არა, მთლად ისეც არ არის საქმე, რომ სიმღერას ტექსტი სჭირდება და აუცილებლად უნდა დავწერო. საკუთარ თავს ამისთვის შევამზადებ ხოლმე და ყველაფერი ძალზე ადვილია. რაც შეეხება მუსიკის წერას — ალბათ გასაგებია, რომ ამისთვის მუზაა საჭირო. იცი, რა არის მუზა?.. მე რომ ადამიანი მიყვარს, მასაც რომ ვუყვარვარ, მე რომ მასთან კარგად ვგრძნობ თავს, იმ ადამიანით რომ ვხარობ, მისგან ბედნიერი ვარ, მისით ვარსებობ, ის კი ჩემ გამო ძალიან ბევრ კარგ რამეს აკეთებს, ჩვენ რომ ერთმანეთს ვავსებთ, — აი, ეს ყველაფერი იწვევს ჩემში ძალზე დიდ შთაგონებას. მეგობრები რომ მყავს, ჩემი ოჯახი და ძალიან ბევრი საყვარელი ადამიანი, ამიტომ ვარ წერის ხასიათზე და ამიტომ მაქვს ყოველთვის მუზა...

— ცუდ ხასიათზე ყოფნისას, სიმღერა არასოდეს დაგიწერია?

— რა თქმა უნდა, დამიწერია.

— სხვა ავტორებისგან განსხვავებით, შენ რატომ არ მღერი ხოლმე?

— რატომ უნდა ვიმღერო, როცა ჩემზე ბევრად უკეთესი შემსრულებლები არიან და არაჩვეულებრივად ართმევენ თავს ამ საქმეს?! მე ყოველთვის გავაკეთებ იმას, რისი გაკეთებაც შემიძლია და რაც ჩემი საქმეა. ყველამ აკეთოს თავისი საქმე.

— ძალზე ბევრ მუსიკალურ ჟანრზე მუშაობ. მათ შორის, უკვე — რეპზეც. როგორ ართმევ თავს სხვადასხვა სტილის მუსიკის წერას?

— მიმაჩნია, რომ ყველა დაიშტამპება, ვინც ერთსა და იმავე ჟანრში მუშაობს. სხვათა შორის, მეც მქონია ისეთი პერიოდი, როცა რამდენიმე დღის განმავლობაში უნდა მეწერა „პაპსა". როცა მივხვდები, რომ ამ ერთი და იმავეს წერით ძალიან ვწუხდები, ამ შემთხვევაში, სხვა რაღაცას ვკიდებ ხელს. ღმერთს ძალზე დიდ მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ ამის ნიჭი მიბოძა. იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა ერთ კვირას, კლასიკურ ნაწარმოებს ვწერ, მეორე კვირას — „პაპსას", მერე — საგუნდო ნაწარმოებს და ა.შ. განსაკუთრებით ფრთაშესხმული და ლაღი ვარ. ეს მაშინ ხდება, როცა ანსამბლებისთვის მრავალხმიან სიმღერას ვწერ. ამ დროს ერთფეროვნება კი არა, ძალზე დიდი მრავალფეროვნებაა და ეს კარგ განწყობილებას მიქმნის.

— პერსონალურად რომელიმე ადამიანისთვის თუ მიგიძღვნია სიმღერა?

— პერსონალურად ვინმესთვის რომ მეთქვა — ეს სიმღერა შენ მოგიძღვენი-მეთქი, — ასეთი რამ არ ყოფილა. მაგრამ გულში, ყველა სიმღერას ვიღაცას ვუძღვნი, ვიღაცისთვის ვწერ, ოღონდ, ამის აფიშირებას არ ვახდენ. მხოლოდ 2 სიმღერა მივუძღვენი ჩემს 2 მეგობარს და ამის შესახებ გამოვაცხადე კიდეც. ერთი მათგანი — შაკო მარკოზაშვილი 20 წლის იყო, როცა აფხაზეთის ომში დაიღუპა და მას 2 პატარა შვილი დარჩა. ეს სიმღერა გოგი დოლიძემ შეასრულა და სტუდიაში როცა გაიგო, თუ რატომ დაიწერა, თან მღეროდა და თან — თვალებიდან ცრემლები სდიოდა... მეორე სიმღერაც ამქვეყნიდან წასულ ჩემს მეგობარს — კობა ჩიტიაშვილს მივუძღვენი... სხვა შემთხვევაში, არასოდეს გამოვაცხადებ, რომ ესა თუ ის სიმღერა ვინმეს ეძღვნება. ეს ჩემში ქვეცნობიერად ხდება და ყველა სიმღერა ვიღაცას ეკუთვნის.

— როცა სადმე ხარ და შენი სიმღერა გესმის, რა შეგრძნება გეუფლება?

— თუ ის სიმღერა მომენატრა და დიდი ხანია, არ მომისმენია, მაშინ სიამოვნებით ვუსმენ, თუ არა და, მაშინ ვერიდები და გავდივარ იმ ტერიტორიიდან.

ესენი ჩემი მეგობრები არიან და ეს საჩუქარი მე მათ გავუკეთე. (მსახიობებთან ზურა ინგოროყვასთან და თემიკო ჭიჭინაძესთან ერთად)

ასეთი შემთხვევა ძალზე ხშირად ხდება, რადგან რადიო ყველგან ჩართულია და სადაც არ უნდა მივიდე — მაღაზიაში, ტრანსპორტში თუ სადმე, — თითქმის ყველგან ჩემი სიმღერა მესმის.

— შენ თუ უსმენ ხოლმე საკუთარ სიმღერებს?

— არა. ჩემი სიმღერა უკვე მაშინ არის ჩემთვის ძველი, როცა სტუდიიდან მოვიტან და დავდებ. მაშინ უკვე ახალ სიმღერაზე ვიწყებ ფიქრს.

— დაბოლოს: თუ გამოარჩევ საკუთარი სიმღერებიდან რომელიმეს?

— რა თქმა უნდა, გამოვარჩევ. ჩემი საყვარელი სიმღერაა — „თბილისის მზეს", რომელსაც „ფორტე" ასრულებს. ■

სიცხისგან შეწუხებული მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე ჩივის იმის გამო, რომ წელს დასვენებას საერთოდ ვერ მოახერხებს: ამ ზაფხულს, ნინი ბადურაშვილთან და ქრისტინე იმედაძესთან ერთად, საქართველოს მასშტაბით კონცერტების ჩატარება აქვს დაგეგმილი, რისთვისაც დიდი მონდომებით ემზადება. ამბობს, რომ ზღვა ერთადერთი ადგილია, სადაც შეუძლია, მაქსიმალურად დაისვენოს. უყვარს გრილი, წვიმიანი ამინდი და ამ დროს, ყოველთვის კარგ ხასიათზეა.

ნოსტალგიური ზაფხული, ასოციური მოსაფიქრებელი ნოსტალგიური სასმელი ჩუსარ რესტორანში...

ირინა უტარაშვილი

— თაკო, სად უფრო გიყვარს დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?

— ძირითადად, ზღვაზე ვისვენებ ხოლმე. ზღვაზე თუ არ დავისვენე, ვფიქრობ, რომ იმ წელს საერთოდ არ დამისვენია. შარშან, ბათუმში, გონიოსა და კვარიათში ვიყავი წასული ჩემი მანქანით, მეგობრებთან ერთად და ძალიან კარგი დრო გავატარეთ. წელს საკმაოდ დატვირთული ზაფხული მელის.

— „202“-ზე ისევ აგრძელებ მუშაობას?

— არა. „202“-ზე უკვე ამოვწურე ჩემი ტელეჟურნალისტური შესაძლებლობები. ვფიქრობ, რომ გაგრძელებას აზრი არა აქვს. ახლა სიმღერას უნდა მივხედო. თავიდან, როდესაც შალვა რამიშვილმა ტელევიზიაში მუშაობა შემომთავაზა, ვიფიქრე — ვცდიმეთქი. უკვე ნახევარი წელია, რაც ვმუშაობ და მივხვდი, რომ აღარ არის საჭირო ჩემი იქ ყოფნა. უფრო სერიოზულ საქმიანობაზე, ჩემს პროფესიაზე უნდა გადავერთო.

— საკმაოდ ბევრი თაყვანისმცემელი გირეკავდა. ალბათ, გული დასწყდებათ, ეკრანზე რომ ველარ გიხილავენ...

— კი. ეს უკვე ცნობილი ფაქტია. დღემდე მირეკავენ უცნობი პირები. ერთი საოცარი ბიჭი მირეკავს, საუბარს ასე იწყებს ხოლმე — ვაიმე, თაკო, როგორ ხარო? — და მერე, ახლობელივით მელაპარაკება. რამდენჯერაც არ უნდა გავუთიშო, მაინც მირეკავს. თან პატარა ბიჭიც არ არის, დიდია და ჯერჯერობით, მის ზარებს ვერაფერი მოვუხერხე...

ერთი საოცარი ბიჭი მირეკავს...

— საზაფხულო რომანები თუ გიზიდავს და თუ გქონია?

— არა და არც მქონია. ბავშვობიდანვე, შეყვარებული მყავდა და ნამდვილად არ მქონია არავისთან საზაფხულო რომანი. როდესაც ბავშვობიდან გიყვარს ვინმე, არა მგონია, კიდევ სხვაზე იფიქრო ან ვინმესთან იფლირტაო. ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. არ მიზიდავს პერიოდული რომანები.

— ამჟამად თუ არსებობს შენს ცხოვრებაში ისეთი პიროვნება, ვისზეც სერიოზულად ფიქრობ?

— არა. თან გადავწყვიტე, რომ საერთოდ აღარ ვილაპარაკო ჩემს პირად ცხოვრებაზე. არ არის საჭირო, რომ ყველამ გაიგოს, ვინ გიყვარს ან ვის უყვარხარ.

— როგორც ვიცი, საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ხარ ნამყოფი. ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდა?

— იაპონია. თითქმის ათ ქვეყანაში ვიყავი და ძალიან მომეწონა იქაური ხალხი, სისუფთავე და მათი ცხოვრების დონე.

— სად ინატრებდი დასასვენებლად წასვლას?

— ძალიან მინდა ამერიკაში წასვლა და შეიძლება, უახლოეს მომავალში წავიდე კიდეც. დიდი სურვილი მაქვს, რომ ესპანეთში დავისვენო.

— საღამოობით სად ერთობი?

— გასართობად კაფე-ბარებში ყოველდღე ნამდვილად არ დავდივარ. არ მიყვარს ხალხმრავლობა, ხმაური და სიგარეტის კვამლი. ასეთ ადგილას ვერ ვჩერდები. უფრო წყნარი ადგილი მიყვარს, სადაც ცოტა ხალხია, ნაკლებად მცნობენ და არც მე ვიცნობ ვინმეს. ერთ-ერთი ასეთი ადგილი, სასტუმრო „მერიოტია“ და კიდევ — „სოფლის სახლი“.

— ალკოჰოლური სასმელები გიყვარს?

— არა. ძირითადად, წვენებს ვსვამ. სპირტიან სასმელებს ვერ ვსვამ. ძალიან მიყვარს წითელი ღვინო, ოღონდ — ნატურალური წითელი ღვინო. სადაც არ უნდა მოვხვდე ქეიფზე, მე პირადად, მხოლოდ ლიმონათს ვსვამ. ერთადერთი კიდევ, რასაც ვერ გადავეჩვიე, ყავაა.

— რომელიმე ქართული კერძი თუ გიყვარს გამორჩეულად და თუ მოგნატრებია ოდესმე?

— მახსოვს, იაპონიაში გასტროლებზე ვიყავით: მე, ნინი და ნეკა და ძალიან გვენატრებოდა ქართული სამზარეულო. ჩვენს ქართულ სამზარეულოს მაინც არაფერი შეედრება. ხშირად დავდივარ ჩინურ და იაპონურ რესტორნებში. ძალიან მიყვარს თევზეული და ხანდახან, თუ ამის საშუალება მაქვს, სახლშიც ვამზადებ.

— დიეტას თუ იცავ ხოლმე ან თუ გქონია ოდესმე წონის პრობლემა?

— არა. გასუქების საშიშროება არასდროს მქონია. რა დროსაც არ უნდა ვჭამო, არც ერთ გრამს არ მოვიმატებ. ბავშვობაში უფრო პუტკუნა ვიყავი, რადგან ჭამა ძალიან მიყვარდა.

— თუ მისდევ ჯანსაღი ცხოვრების წესს, თუ ვარჯიშობ?

— საბოლოოდ, ახლა ამის დრო ნამდვილად არა მაქვს. ადრე უფრო ხშირად დავდიოდი აუზსა და სპორტულ დარბაზებში.

— ალბათ, დილით ადგომაც გიჭირს, ხომ?

— კი, თანაც ძალიან. ეს ჩემთვის დიდი პრობლემაა. რაც არ უნდა ადრე დავიძინო, მაინც გვიან მეღვიძება.

— როგორც ვიცი, საკუთარი მანქანა გყავს. როგორ მართავ?

— გიჟივით. ძალიან მიყვარს სიჩქარე და ნელა სიარული არ შემიძლია. 3 წელია, რაც მართვის მოწმობა მაქვს და ჯერ პრობლემა ნამდვილად არ შემქმნია.

— შენზე გაგებული ჭორები თუ გაღიზიანებს?

— არა. რეაქცია საერთოდ არ მაქვს. ჩემზე არანაირი ჭორი არ გამიგონია. ისედაც ყურადღების ცენტრში ვარ და ჭორებით ნამდვილად არ გავხდები პოპულარული. ■

ცივი სასწაული

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გოგონების საუკეთესო მეგობარი სინამდვილეში, ბრილიანტები კი არა — ნაყინია, განსაკუთრებით მაშინ, როცა სიცხეში ასფალტიც კი დნება. ცივი სასუსნავი გონზე მოგიყვანთ და განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

ამბობენ, რომ ნაყინის რეცეპტი ევროპაში მარკო პოლოს ჩამოუტანია, რომელიც აკვირდებოდა, თუ როგორ გრილდებოდნენ ჩინელი იმპერატორები ყინულოვანი სასუსნავით სავსე ჭიქებით ხელში. ან იქნებ, რეცეპტის გამომგონებელი, ნერონი იყო, რომელიც ულმობლად ერეკებოდა მონებს მთებისკენ, სუფთა თოვლის ჩამოსატანად, რათა მისგან გამაგრილებელი დესერტი დაემზადებინათ?.. ასეა თუ ისე, ჩვენთვის დღეს წარმოუდგენელია ზაფხულის ცხოვრება ნაყინის გარეშე. ყველაზე ჭირვეული ბავშვიც კი არ ამბობს უარს ამ სასუსნავზე. ყველა განათლებულმა მშობელმა კი იცის, რომ მისი პატარა, ნაყინისგან იმდენსავე სარგებლობას იღებს, რამდენსაც სიამოვნებას.

სრული სერიოზულობით – სასიამოვნოს შესახებ

ძროხის რძე, რომლისგანაც ნაყინის სახეობათა უმრავლესობა მზადდება, შეიცავს ჩვენი ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნივთიერებებს. ეს არის ცხიმები და ე.წ. შეუცვლელი ამინომჟავების შემცველი ცილები, ვიტამინები და მინერალური მარილები. რძის შაქარი იმით არის კარგი, რომ ნაწლავში ქმნის ისეთ გარემოს, რომელშიც ვერ მრავლდება ლპობითი მიკროორგანიზმები, სამაგიეროდ, კარგად გრძნობენ თავს სასარგებლო რძემჟავა ბაქტერიები. რძეში მრავლადაა ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური რეაქციების დამაჩქარებელი ფერმენტი, აგრეთვე – ჰორმონები, რომლებიც მონაწილეობს ცილოვანი, ნახშირწყლოვანი, ცხიმოვანი და წყალ-მარილოვანი ცვლის რეგულაციაში.

ხილი და კენკროვანები, რომელსაც ნაყინს უმატებენ, ადვილად ათვისებადი ნახშირწყლების, ორგანული მჟავებისა და პექტინის დამატებითი წყაროა, შოკოლადი კი ასტიმულირებს ტვინის აქტიურობას, გვეხმარება სტრესებისა და გადაძაბვის დროს.

დიეტისთვისაც არ არის ნაყინი ხელის შემშლელი ფაქტორი. ასეთ დროს, შეგიძლიათ მიირთვათ ნაკლები ცხიმიანობის მქონე ნაყინი. დღეს უკვე დიაბეტიანებისთვისაც გამოდის ნაყინის სპეციალური სახეობები.

მეტისმეტად მოდურია რძემჟავა პროდუქტების საფუძველზე დამზადებული, ლაქტო და ბიფიდობაქტერიებით მდიდარი ნაყინი. არსებობს აგრეთვე იოდის, ვიტამინებისა და სხვა სასარგებლო დანამატების შემცველი, ნაყინის სახეობები.

კალორიები დათვლით

მრავალფეროვნების მიუხედავად, ნაყინი სულ რამდენიმე სახეობისაა. მათ შორის განსხვავება, ცხიმის შემცველობასა და იმ კონკრეტული სითხის შემადგენლობაშია, რომელსაც თქვეფენ და ყინავენ, თან ამდიდრებენ სხვადასხვაგვარი დანამატით – თხილით, შოკოლადით, ხილით ან ბოსტნეულით.

ჩვენში ყველაზე პოპულარულია პლომბირი, რძის, ნაღების და ხილის ნაყინი.

რძის ნაყინში ცხიმი ცოტაა – 2,4-4%, მისი კალორიულობა 100 გ-ზე 137 კკალ-ს შეადგენს.

ნაღების ნაყინში ცხიმის შემცველობა უკვე 8-10%-ია, კალორიულობა კი – 100 გ-ზე – 190 კკალ.

კალორიულობის მიხედვით „ჩემპიონია“ პლომბირი, რომელსაც ნაღების კარაქს უმატებენ; ცხიმი მასში 12-15%-ია, კალორიულობა – 200-370 კკალ.

ხილის ნაყინი შაქრიანი სიროფისგან მზადდება. მასში 100-230 კკალ-ია.

დასავლეთის ქვეყნებში ნატურალური რძისგან დამზადებული ნაყინი მიეკუთვნება „პრემიუმის“ კატეგორიას და მას მაგარს უწოდებენ. იქ უფრო პოპულარულია რბილი სახეობები, რომლებშიც ცხოველური ცხიმის ნაცვლად, მცენარეული გამოიყენება. ითვლება, რომ ჯანმრთელობისა და ფიგურის შესანარჩუნებლად, ისინი უფრო სასარგებლოა. თუმცა, ზოგი დიეტოლოგი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ნაყინში არ უნდა იყოს მცენარეული ცხიმები. ■

რძე ტანადობისათვის

რაც უფრო მეტ რძეს სვამენ ბავშვები, მით უკეთესი ტანადობა აქვთ – დაასკვნეს იტალიელმა მეცნიერებმა. საიდუმლო იმაშია, რომ რძე შეიცავს დიდი რაოდენობით კალციუმს, რომელიც ასტიმულირებს ცხიმის წვას და ამავდროულად, ანელებს ცხიმოვანი უჯრედების ზრდას. ასე რომ, მოზარდები, რომლებიც წონის მატების გამო, რაციონიდან იღებენ რძეს, ყველსა და კალციუმით მდიდარ რძის სხვა პროდუქტებს, სწორად არ იქცევიან. ■

SMS-ით დაავადება



ავსტრალიაში დაფიქსირდა ახალი დაავადება – SMS-ტენდინიტი. 13 წლის გოგონამ ექიმებს უჩივნა შეშუპებული მარჯვენა წინამხარი. ანთება იმის გამო განუვითარდა, რომ იგი ყოველდღიურად აგზავნიდა 10 უსაშველოდ გრძელ SMS-ს, რომელსაც ყოველთვის მარჯვენა ხელის ცერა თითით კრებდა. პაციენტს დაენიშნა მკურნალობა და... SMS-ისგან თავის შეკავება. ■

თუ თქვენ გაწუხებთ...

...ათეროსკლეროზი

თქვენს სისხლძარღვებს ვარჯიში ესაჭიროება. ამისთვის ყოველდღიურად აკეთეთ ბუქნები და მიიღეთ გრილი შხაპი. დილის შხაპის შემდეგ, სისხლის მიმოქცევის სტიმულირებისათვის კარგია მასაჟი უხეში პირსახოცით. სასარგებლოა ენერგიული სიარული. სისხლის მიმოქცევას ასტიმულირებს ცხარე ბოსტნეული: წიწაკა, ნიორი, ხახვი, ბოლოკი, პირშუშხა. გარდა ამისა, ეს ბოსტნეული მნიშვნელოვნად აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

...შარდგამომყოფი სისტემის ანთება

რეკომენდებულია სითბო, თბილი საცვლები და დიეტა. ერიდეთ ყავას და ალკოჰოლურ სასმელებს. სვით, რაც შეიძლება მეტი სითხე. თუ ვერ გაუმკლავდებით ანთებით პროცესს, მას შეიძლება, უსიამოვნო გართულებები მოჰყვეს, თირკმლის ქრონიკული პათოლოგიების სახით. ამიტომ გირჩევთ, დროულად მიხედოთ თავს: გამოიყენეთ წოლითი რეჟიმი, სვით ბევრი სითხე (დღეში მინიმუმ 3 ლიტრამდე წყალი, ჩაი და ხილის წვენი).

...ვენების ვარიკოზული გაგანიერება

ამ დაავადებასთან ბრძოლის ძირითადი საშუალებები უნდა გახდეს: სისტემატური ფიზიკური ვარჯიში, სეირნობა, სამთო ტურიზმი, ცურვა, ველოსიპედით სიარული. წესად გაიხადეთ ყოველდღიურად ასეთი ვარჯიშის შესრულება: დაწექით ზურგზე, ასწიეთ ფეხები და გააქნიეთ 10-ჯერ; შემდეგ დაისვენეთ ერთი წუთი და გაიმეორეთ; ეს ვარჯიში 5 წუთის განმავლობაში აკეთეთ.

მოერიდეთ ფეხზე დიდხანს დგომას. მეტისმეტად მსუქანმა ადამიანებმა წონაში უნდა დაიკლონ. კვება მიმართული უნდა იყოს ვენების კედლის გამაგრებისაკენ. რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს თუთიის შემცველი პროდუქტები (ყველა სახის ღეროვანი ბოსტნეული, კომბოსტო, ძირხვენეული, აგრეთვე სიმინდი, სოია, ისპანახი, C ვიტამინი (ახალი, მომჟავო ხილით) და რუტინი (მას დიდი რაოდენობით შეიცავს წიწიბურა).

...შაკიკი

რომლის შეტევებსაც წინ უძღვის მომატებული აგზნებადობა, დაღლილობა. ტკივილისგან თავის დაღწევაში დაგეხმარებათ ბნელ ოთახში მოსვენება. შეგიძლიათ დალიოთ მცირე რაოდენობით სითხე: წვენი, ჩაი ლიმონით. შეტევისას მნიშვნელოვანია სიმშვიდე, სითბო, სუფთა ჰაერი და დაბნელებული ოთახი. C ვიტამინი, რომელიც მომჟავო ხილშია დიდი რაოდენობით, ასევე შეიძლება იქცეს ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად, რადგანაც ეს ვიტამინი ორგანიზმში ტკივილის ქსოვილოვან ჰორმონებს – პროსტაგლანდინებს ამუხრუჭებს.

მორიგი შეტევის თავიდან ასაცილებლად, ერიდეთ მკვეთრ, თვალისმომჭრელ სინათლეს. საჭიროების შემთხვევაში, ატარეთ მუქი სათვალე (უმჯობესია, მწვანე ან ყავისფერი მინებით). დააკვირდით, უპირატესად როგორი ამინდის დროს გეწყებათ შეტევა და ასეთ დღეებში გაუფრთხილდით თქვენს ორგანიზმს: ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, არ გადაიღალოთ, დროულად დაწექით დასაძინებლად. შაკიკის მიზეზი შეიძლება გახდეს ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვლილება და არახელსაყრელი გეომაგნიტური დღეები. ასეთ დღეებშიც მეტი დაისვენეთ.

...ბრონქიტი

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ჰაერი შენობაში, რომელშიც ხანგრძლივად იმყოფებით, საკმარისად ტენიანი იყოს. მშრალი ჰაერი აღიზიანებს ბრონქებს, იწვევს წვის შეგრძნებას. სასურველია, შენობაში სპეციალური დამატენიანებლების დაყენება. მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა არ არის, უფრო მარტივი საშუალებებიც არსებობს – მაგალითად, შეგიძლიათ, ოთახში ჩამოკიდოთ სველი ზეწარი. სასარგებლოა ცხელი შხაპი. ერიდეთ მკვეთრ ტემპერატურულ ცვლილებებს, განსაკუთრებით – ცივ, ტენიან ამინდს. გამწვავებისას, დაგეხმარებათ ინჰალაცია, ნახველის გამათხელებელი ბალახეული ნაყენები და ამოსახველებელი საშუალებები.

...დაბალი წნევა

დაგეხმარებათ სპორტი, ფიზიკური ვარჯიში, რომელიც ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას და ხელს უწყობს ძირითადი ჯგუფის კუნთების ტონუსის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ძალზე ეფექტურია კონტრასტული შხაპი და მასაჟი. ჰიპოტონიკებისთვის სასარგებლოა მარილიანი საკვები. საჭმლის მომზადებისას, უმჯობესი იქნება იოდიზებული მარილის გამოყენება. სისხლის წნევის ამწევი, მსუბუქი საშუალებაა, მაგარი, ახალმომზადებული ჩაი, რომელიც ბუნებრივ მატონიზებელ საშუალებებს შეიცავს. ძალზე სასარგებლოა სოიის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, რომლებიც C ვიტამინითაა მდიდარი. სასარგებლოა აგრეთვე თხილეული, მარცვლოვნები და მზესუმზირა.

...მეტეორიზმი

ერიდეთ ისეთ პროდუქტებს, რომლებიც გაზების წარმოქმნას იწვევს. ასეთია თითქმის ყველაფერი, რაც კუჭში დიდხანს ჩერდება. რძის შაქრის (ლაქტოზის) ინდივიდუალური აუტანლობა ასევე იწვევს მეტეორიზმს. ასეთ დროს, ლაქტოზა ვერ იშლება ნაწლავებში, მისი დამშლელი ფერმენტების არარსებობის გამო. მენიუში შეიტანეთ უხსნადი კვებითი ბოჭკოების შემცველი პროდუქტები. დაიცავით კვების რეჟიმი. მეტისმეტად ნუ დანაყრდებით.

წვნიანი ხილ-ბოსტნეული – კენკროვნები, ატამი, ნესვი, ალუბალი, ქლიავი, პომიდორი – ხელს უწყობს საკვები მასის სწრაფ გადაადგილებას ნაწლავებში, რაც ამსუბუქებს ან კურნავს კიდეც მეტეორიზმს. მცირე რაოდენობით მჟავე ხილის (კივი, გრეიპფრუტი, ლიმონი, მჟავე ვაშლი, მოცხარი) მიღება ჭამის წინ, აძლიერებს კუჭის ლორწოვანი გარსის მიერ სიმჟავის გამოყოფას, რაც ხელს უწყობს საჭმლის მონელების შემსუბუქებას და აფერხებს მეტეორიზმის განვითარებას. ■

როგორ ვებრძოლოთ თმის ცვენასა და ქერტლს

ბოლო პერიოდში თმის ცვენას და ქერტლს ბევრი ადამიანი უჩივის. მაშ, შესაძლებელია თუ არა ამ სენთან ეფექტურად შებრძოლება? რასაკვირველია, შესაძლებელია.

სოფო ჭონიშვილი

თუ მშრალი და გრძელი თმა გაქვთ, თვეში ერთხელ მაინც უნდა შეიჭრათ ბოლოები. თმას ძალიან აფუჭებს ფენის ხშირი გამოყენება. დღის განმავლობაში თმა 2-3-ჯერ უნდა ვივარცხნოთ 5-10 წუთის განმავლობაში. თმის მაგრად დაჭიმვა არ არის სასურველი (როცა შეკრული გაქვთ ან მაღლა გაქვთ აწეული). თმის შეღებვა უმჯობესია, თვეში ერთხელ. თუ სურვილი გაქვთ, თქვენი თმა ბზინავდეს, დაბანის შემდეგ შეგიძლიათ, გვირილის ნახარში გადაივლოთ: 3 ს/კ გამხმარი გვირილა ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში ერთ ლ წყალში, მერე გააცივეთ და გადაწურეთ. თუ მუქი ფერის თმა გაქვთ, კარგია ჩაის ნახარშის გადავლება: 3 ს/კ ჩაი ადუღეთ 1 ლ წყალში, გააცივეთ, გაწურეთ და დაბანის შემდეგ გადაივლეთ.

თუ მშრალი კანი გაქვთ და ქერტლი გაწუხებთ, გამოიყენეთ შემდეგი ნარევი: გახეხეთ რამდენიმე კბილი ნიორი, დასხით ზეითუნის ან ჩვეულებრივი ზეთი და ათქვიფეთ. მიღებული მასა შეიზილეთ თმის ძირებში და გაიჩერეთ ნახევარი

საათის განმავლობაში. სასურველია, ეს გააკეთოთ კვირაში ერთხელ, დაბანამდე 2 სთ-ით ადრე.

თუ ცხიმიანი თმა გაქვთ, 10 დღეში ერთხელ თავი დაიბანეთ შემდეგი ნაყენით: 0,5 ლ წყალში შეურიეთ ამდენივე ძმარი, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ჭინჭარი, ადუღეთ 20 წთ-ს, გააცივეთ, გადაწურეთ და ნახარში თმაზე გადაივლეთ.

შეღებილი თმა დაბანის შემდეგ უხეშდება. ეს რომ არ მოხდეს, ამისთვის 1 ლ წყალში შეურიეთ 2 ს/კ ძმარი და გადაივლეთ. ასევე კარგია და ეფექტური შეღებილი თმისთვის, თუ წყალში ახალგამოწურულ ლიმონს ჩავასხამთ და შემდეგ გადავივლებთ. სასურველია, თმის ჯანმრთელობისთვის, დღეში 7-8 ჩ/კ გაზგასული მინერალური წყალი დალიოთ.

როგორ ვიმკურნალოთ შხაპით

ჩვეულებრივ შხაპს შეუძლია, გაუმჯობესოს კანის მდგომარეობა. მთავარია, შხაპის მიღების დროს, სწორად შევარჩიოთ წყლის ტემპერატურა. ცხელი შხაპი შესანიშნავად ხსნის დაძაბულობას, დაღლილობას, ადუნებს სხეულს და ასუფთავებს კანს. ამასთანავე თუ ყოველდღე ძალიან ცხელ შხაპს მივიღებთ, კუნთები მოეშვება და არასასიამოვნო ფორმას მიიღებს. ცხელი შხაპის მიღება კარგია პირველი 5 წუთის განმავლობაში, შემდეგ უკვე გრილი წყლის ნაკადი უნდა გადაივლოთ.

ცივი შხაპი ჭიმავს კანს, მაგრამ აუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. ცივი შხაპის შემდეგ, კარგია ხაოიანი პირსახოცით ტანის შემშრალება. დაიზილეთ სხეული ენერგიულად, სანამ არ გახურდებით.

კონტრასტული შხაპი, ცხელი და ცივი წყლის ნაკადის სწრაფი მონაცვლეობა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ეფექტურად ებრძვის ცელულიტს. სასურველია, ბანაობის პროცედურა დაიწყოთ თბილი წყლით და ნელ-ნელა მოუმატოთ ტემპერატურას იმ დონემდე, სადამდეც გაუძლებთ. შემდეგ სწრაფად მოუშვით ცივი წყალი, ერთი წუთის განმავლობაში და ისევ ცხელზე გადადით. გაიმეორეთ რამდენჯერმე. პროცედურა აუცილებლად ცივი წყლით დაასრულეთ, რათა კანზე არსებული ფორები დაიხუროს.

ნეიტრალური შხაპი, რომელიც სხეულის ტემპერატურის შესაბამისია, საუკეთესო საშუალებაა ნერვების დასამშვიდებლად. ასეთი ტემპერატურის შხაპის ქვეშ დგომა 10-15 წუთი შეიძლება.

რა უნდა ვიცოდეთ სოლარიუმის შესახებ

ყველა ქალის ოცნებაა, გარუჯული და პრიალა კანი ჰქონდეს, ამისათვის ისინი ხშირად ზამთრის პერიოდში სოლარიუმებს სტუმრობენ. მაგრამ ყოველივე ეს მავნებელია ჯანმრთელობისთვის: სოლარიუმმა იცის შეჩვევა, ჭარბი სხივების მიღება კი, კანს სერიოზულ საფრთხეს უქმნის: ხდება მისი პიგმენტური სქემის დარღვევა, იწყება ანთებითი პროცესი და კანი, არცთუ ისე იშვიათად, ავადდება სიმსივნით. ■

| ყველაზე პატარა ფრინველი | | |

არასოდეს თქვა „არასოდეს"

საყვარელ ადამიანთან განშორება ძნელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ახალი ცხოვრების დაწყება კიდევ უფრო რთული გეჩვენებათ. „აღარ მჯერა მამაკაცების, აღარასოდეს აღარავის შევიყვარებ!" — ამბობთ სასოწარკვეთილი და ცდილობთ, წარსულს საბოლოოდ მიუხუროთ კარი, მაგრამ სანამ ასე მოიქცეოდეთ, კარგად დაფიქრდით, ყველაფერი ცივი გონებით აწონ-დაწონეთ და სიტუაცია ობიექტურად შეაფასეთ. თუ საბოლოოდ დარწმუნდით, რომ თქვენ და თქვენი პარტნიორი ერთმანეთს ვეღარ უგებთ, ან კიდევ უარესი — ერთმანეთის მიმართ გრძნობები გაგიცივდათ, გირჩევთ, დროს ტყუილად ნულარ დაკარგავთ და თამამად უთხარით — „მშვიდობით"! შემდეგ კი შეეცადეთ, რადიკალურად შეიცვალოთ ცხოვრების სტილი. ინტენსიურად იარეთ გასართობ ადგილებში, გაიცანით საინტერესო ადამიანები, გამხიარულდით და ახალი სიყვარულიც თავად მოგძებნით. თქვენ კვლავ შეიყვარებთ და დარწმუნდებით, რომ სიყვარულთან მიმართებაში არასოდეს უნდა თქვათ სიტყვა „არასოდეს".

რას გვირჩევენ ფსიქოლოგები

საყვარელ ადამიანთან განშორებისას ქალები ცრემლებს „ფრქვევენ" ხოლმე, მაგრამ თუ იმ მამაკაცს შორდებით, რომლის გვერდით ცხოვრება თავად აღარ გსურთ, ჯობს ზედმეტი ახსნა-განმარტებებისგან და მით უმეტეს, საყვედურებისგან თავი შეიკავოთ.

პირდაპირობა — ორივე მხარისთვის აუცილებელი პირობაა. ასევე აუცილებელია, ორივემ მშვიდად განიხილოთ, თუ რამ გამოიწვია თქვენი ურთიერთობის გაწყვეტა. გაითვალისწინეთ, დამნაშავე მხოლოდ მამაკაცი როდია... გაუსწორეთ სიმართლეს თვალი და საკუთარი შეცდომებიც აღიარეთ.

იყავით თავაზიანი — ეს ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა, თავაზიანმა ტონმა თქვენი სიმტკიცე არ უნდა შეარყიოს. შეეცადეთ, ისე ისაუბროთ, რომ თქვენმა პარტნიორმა „არაში" „ჰო" არ იგულისხმოს. თქვენი პოზიცია მარტივად ჩამოაყალიბეთ. ნუ გაიხსენებთ წარსულს, არც დათმოთ და არც უკან დაიხიოთ. მოიქეცით მხოლოდ ისე, როგორც თქვენთვის უმჯობესია.

იყავით დიპლომატიური და ტაქტიანი — ამით მის თვალში კარგ რეპუტაციას შეინარჩუნებთ, მაგრამ სულაც არ არის საჭირო, უთხრათ: „მოდი, უბრალოდ, კარგ მეგობრებად დავრჩეთ". ამით მას ურთიერთობის აღდგენის ცრუიმედს დაუტოვებთ და სავარაუდოა, რამდენიმე ხნის შემდეგ, ექსშეყვარებული ხელახლა შეეცადოს, სიყვარულში დაგარწმუნოთ და თავგზა აგიბნიოთ.

წინ, ბედნიერების საძებნელად!

უნდა გწამდეთ, რომ აუცილებლად შეხვდებით ღირსეულ ადამიანს და ის უსათუოდ გამოჩნდება. აბა დაფიქრდით — ხომ გსურთ, ბედნიერი იყოთ?! თუკი წარსულთან, კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა შეძელით, ე.ი. ისიც ძალგიძთ, რომ თქვენი ოცნების მამაკაცის გვერდით, თავიდან დაიწყოთ ცხოვრება — ეს კი არასოდეს არის გვიანი. ასე რომ, წინ, ბედნიერების საძებნელად: ვინც ეძებს, პოულობს კიდეც!

■

ჭველი: სათვალიანი ...	ცხოველის სამწყვდევი ზოოპარკში	ალჟირის ფულის ერთეული	მხატვრის ფუნჯი	ბუდიზმში: დალაი-...	სამაგიდო თამაში	... ფერსა — მადლი ღმერთსა
ბასკეტბალისტი						

...ფი	მოწონების შემახილი თეატრში	სიგრძის ფრანგული ერთეული	მწერალი თომას მაინ ...	ისტორიული ციხესიმაგრე თბილისში	მსახიობი ... ივოვიჩი	ნაკვერჩხლის ასაღები რკინის ორკეტი	მოდელი კლაუდია ...

„...რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა... და მრავალს აცდუნებენ...“

რა უნდა ვიკოდეთ მისნობასთან დაკავშირებით

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ბოლო დროს, საოცარი სისწრაფით მომრავლდნენ პარაფსიქოლოგები, მკითხავები, ნათელმხილველები, შემლოცველები თუ სხვა ჯურის მისნები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ღვთისგან ბოძებული უჩვეულო ნიჭის წყალობით, შესწევთ უნარი, ამოიცნონ ადამიანის აზრები, იწინასწარმეტყველონ მათი მომავალი, მიხვდნენ, გვაქვს თუ არა გაკეთებული ჯადო და დაგვეხმარონ ნებისმიერი ცხოვრებისეული პრობლემის მოგვარებაში — სიდუხჭირისგან თავის დაღწევა იქნება ეს, სნეულებათაგან განკურნება, ჯადოს მოხსნა, ბედის გახსნა, უშვილობის პრობლემის მოგვარება, საქმეში წარმატება თუ სხვა. მართლაც, იმდენად მრავალფეროვან მომსახურებას გვთავაზობენ, რომ ადამიანს ზღაპარში ეგონება თავი. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მათი მოსაცდელი ოთახები ყოველთვის სავსეა ადამიანებით...

მისნობა-მკითხაობა, ნათელმხილველობა, შემლოცველობა, სპირიტიზმი და ა.შ. წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ჯადოქრობადაა შერაცხული და კაცის კვლის ცოდვასთანაა გატოლებული. ეკლესია ძველთაგანვე ებრძოდა მკითხავებსა და სხვა სახის მჩხიბავებს, ამ საქმიანობისგან გარიდება ჯერ კიდევ „ძველი აღთქმის“ დროს უბრძანა ღმერთმა თავის ერს (ეი. ებრაელებს): „ნუ იქნება თქვენ შორის თავის ვაჟის ან ასულის ცეცხლში გამტარებელი, ჯადოქარი, მოძუსხველი, მარჩიელი, მსახვრალი, გრძნებით შემკვრელი, მესულთანე, მჩხიბავი და მკვდართა გამომკითხველი, რადგან საძაგელია უფლისთვის ყოველივე ამის გამკეთებელი“ (მეორე რჯ. 18, 10-12); „ნუ იჯადოქრებთ, ნუ **იმკითხავებთ**, ნუ **გაიუწმინდურებთ** თავს... თუ ვინმე ჯადოქრებს და მკითხავებს მიმართავს, რომ მათ კვალზე იუკულმართოს, მე პირს მივაპყრობ მას და მოვკვეთ ხალხის წიაღიდან... თუ ვინმე აღმოჩნდა თქვენში ჯადოქარი ან მკითხავი, კაცი იქნება თუ ქალი, უნდა მოკვდეს, ქვებით უნდა ჩაქოლოს“ (ლევ. 20, 6-27), — კითხულობთ „ძველ აღთქმაში“. ეი. „ძველი აღთქმის“ დროს, ჯადოქრობის მიმდევრები სიკვდილით ისჯებოდნენ, რადგან მათ გამო შეიძლებოდა, მრავალი ადამიანი დალუპულიყო. ამ საქმიანობას სასტიკად კრძალავს „ახალი აღთქმის“ ეკლესიაც. მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების თანახმად, ეკლესია ებრძვის მისნობას, როგორც სატანის საქმიანობას, რამეთუ ნებისმიერი სახის გრძნეულებების წარმმართველი ძალა, ბოროტი სული — ეშმაკია.

მიუხედავად იმისა, რომ უფალი სასტიკად კრძალავს მისნობით დაინტერესებას და სხვადასხვა ჯურის გრძნეულთან მისვლას, მაინც მრავალი ადამიანი მიმართავს მათ დახმარებისთვის, რათა მათი საშუალებით მოგვაროს ესა თუ ის ცხოვრებისეული პრობლემა. ხალხს მკითხავებისა და ნათელმხილველებისკენ ისიც იზიდავს, რომ ხშირად მათი ნათქვამი — ოჯახის წევრების ასაკის, მათი საქმიანობის ან მომავალში მოსახდენი მოვლენის შესახებ — სიმართლეს შეესაბამება. ამიტომაც, თუკი ჯერი გრძნეულთა ნებას აყოლილი ადამიანის შეგონებაზე მიდგება, ხშირად აქეთ შეგვედავებიან — ყველაფერი მართალი მითხრეს, როგორ არ დავიჯერო მათიო? რა შეიძლება ვუთხრათ მათ ამ საკითხთან დაკავშირებით?

როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი სახის მისნობა ეშმაკისგან მომდინარეობს, ამიტომ ყველა გრძნეული, ეშმაკის ძალით წინასწარმეტყველებს, მკურნალობს და გვამცნობს ფაქტებს — ეი. მათი ბაგეებით ბოროტისეული მეტყველებს. მაცხოვარიც და მოციქულებიც დემონებს დადუმებას უბრძანებენ მაშინაც, როდესაც ისინი სიმართლეს ლაპარაკობენ. „მოციქულთა საქმის“ თანახმად, ქალაქ ფილიპეში ყოფნის დროს, მოციქულ პავლესა და სილას შეხვდათ მისანი ქალი, რომელიც მისდევდა მათ და იძახდა: „ეს კაცები უზენაესი ღმერთის მონები არიან, რომლებიც გაუწყებენ თქვენი ხსნის გზებს!“ (საქ. მოც. 16, 17). ასე იქცეოდა რამდენიმე დღის მანძილზე. განრისხდა პავლე მოციქული, მიუბრუნდა უწმინდურ სულს (რომელიც მისანი ქალის ბაგეებით მეტყველებდა) და მიმართა: „უფლის საჯელით გიბრძანებ გამოხვიდე მისგან და იმწამსვე გამოვიდა“ (საქ. მოც. 16, 18). ეი. მიუხედავად იმისა, რომ მისანი ქალი სრულ სიმართლეს ამბობდა, პავლე მოციქულმა უარყო თვით ეს სიმართლეც, რადგან ის ეშმაკისგან მოდიოდა. ბოროტი სული თუკი სიმართლეს გვაუწყებს, მხოლოდ იმისთვის, რომ მოიპოვოს ჩვენი ნდობა, დავემონოს, დაგვამოროს ღმერთს და შემდეგ, თავის ჭკუასა და ნებაზე გვთამაშოს.

წმინდა იოანე ოქროპირი, მისნობაზე საუბრისას შეგვაგონებს: „ნუ დაუჯერებთ სისულელეებს, მისნები რომ გვიწინასწარმეტყველებენ ხოლმე. მეტყვით, მაშ, რატომაა, რომ რასაც გვეუბნებიან, ყველაფერი გვისდებაო. იმიტომ გისდებათ, რომ გჯერათ, თუმცა ისიც საკითხავია, მართლა გისდებათ თუ არა. მისანი გიმონებს, მთელი შენი ცხოვრების ბატონ-პატრონად იქცევა და როგორც უნდა, ისე გათამაშებს“.

მისანთა უმეტესობას შინ მოწყობილი აქვს ხატების კუთხე, ანთებენ სანთელს, იყენებენ ნაკურთხ წყალს, წარმოთქვამენ ლოცვებს და სხვა ეკლესიურ რიტუალებსაც აღასრულებენ. ხშირად, სწორედ ამით იზიდავენ ადამიანებს...

როდესაც მისნობასთან დაკავშირებით ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაგია არსებობს ორი სახით: თეთრი და შავი. შავი მაგია აშკარად ემსახურება ბოროტებას. ამიტომ, როდესაც ადამიანი შავი მაგიის წარმომადგენლებს მიმართავს დასახმარებლად, გაცნობიერებული აქვს, რომ ბოროტებას სჩადის და შეგნებულად უკავშირდება ბოროტ ძალას. თეთრი მაგიის წარმომადგენლები, სიკეთის საფარვლით შენიღბულნი მოქმედებენ, სინამდვილეში იმავე ბოროტ ძალას ემსახურებიან, რომელსაც შავი მაგია — ეი. თეთრ მაგიაში სატანა ნათლის ანგელოზის ხმით წარმოგვიდგება. ამით მის წარმომადგენლებს გაცილებით უადვილდებათ თავიანთი ბნელი, უკეთური საქმეების კეთება. ამიტომ არ უნდა გავიკვირდეს და ვკდუნდეთ, თუკი ნათელმხილველები, პარაფსიქოლოგები, შემლოცველები თუ სხვა მისთანანი ქრისტეს სახელით იმოქმედებენ — ივლიან ეკლესიაში, მიიღებენ მხოლოდ მონათლულთ, საუბრისას გამოიყენებენ ეკლესიურ გამოთქმებს, შინ იქონიებენ წმინდა ხატებს, ნაკურთხ წყალსა თუ სხვა სიწმინდეებს (ბევრი მათგანი იმასაც ამტკიცებს — მოძღვრისგან ან პატრიარქისგან მაქვს კურთხევაო). მათ ეს ყველაფერი იმისთვის სჭირდებათ, რომ საზოგადოების თვალში ნდობა მოიპოვონ, ხალხს თვალი აუხვიონ და მათთან მისულთ ეკლესიურ ადამიანად მოაჩვენონ თავი: „ასეთებს, წმინდა სამების სახელით რომ ლაპარაკობენ, წმინდანებსაც მოუხმობენ და პირჯვარსაც ისახავენ, უნდა გავეცალოთ და განვერიდოთ“, — გვაფრთხილებს წმინდა იოანე ოქროპირი, რათა სწორედ ასეთი შემთხვევებისგან დაგვიცვას. მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით, პირდაპირ გვაფრთხილებს უფალი: „ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცდუნებს თქვენ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან: მე ვარ ქრისტე და მრავალს აცდუნებენ“... და კიდევ: „ერიდეთ ცრუწინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შიგნიდან კი მტაცებელი მგლები არიან“... (მათ. 7, 15-16).

P.S. ითვლება თუ არ ცოდვად მხოლოდ გართობის მიზნით ყავაში ჩახედვა, კარტის გაშლა და სხვა მისთანანი? რა სასჯელი შეიძლება მოიწიოს საკუთარ თავზე, ადამიანმა, რომელიც მისნობითაა დაკავებული? — ამ და სხვა საკითხებზე გზის მომდევნო ნომერში გესაუბრებით. ■

ცხოვრება ადამიანს ათასგვარ სიურპრიზს უმზადებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღმართს ყოველთვის დაღმართი მოსდევს და — პირიქით. ალბათ ამიტომაც არის ცხოვრება მრავალფეროვანი და მით უფრო საინტერესო.

41 წლის **ნანა ჯანანაშვილს** უზრუნველი ბავშვობა და ახალგაზრდობა ჰქონდა. არც ახლა უჭირს რამე, თუმცა მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ნაბიჯები დეპუტატობიდან „კაგებეს“ აგენტობამდე და შემდეგ — მემაწვნეობამდე არცთუ ისე ადვილი გადასადგმელი იქნებოდა... თუმცა, ამ ყველაფერზე დაწვრილებით თავად ქალბატონი ნანა მოგვიყვება, რომელიც კვირაში სამჯერ, დილით გვაღვიძებს, მხიარული საუბრით მაწვნის ქილებს გვაწვდის და არც სხვადასხვა საკითხზე მსჯელობაზე ამბობს უარს. სწორედ მისი ენაწყლიანობის წყალობით შევიტყვე მისი საინტერესო ცხოვრების შესახებ და როცა ინტერვიუზე ჩამოვუგდე სიტყვა, უმალ დამთანხმდა.

მემაწვნე მაგდანას შთამომავალი, «აგენტი» მოგზაური და თავადაც მემაწვნე

ნათია ქივიძე

— კასპის რაიონში, სოფელ ხოვლისში დავიბადე. მამაჩემი, იანგი ჯანანაშვილი კინომექანიკოსად მუშაობდა, დედა დიასახლისი იყო. მყავს და — მარინე და ძმა — გოჩა. სკოლა 1981 წელს დავამთავრე, რის შემდეგაც, პუშკინის — ახლანდელ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში ვაბარებდი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ ჩავიჭერი. მერე, ერთწლიანი სასწავლებელი დავამთავრე, მაკარონის, ნახევარფაბრიკატებისა და მწნეხავების სპეციალობით, საიდანაც პრაქტიკაზე მაკარონის ფაბრიკაში გამანაწილეს. ასევე დავამთავრე მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი. პრაქტიკის შემდეგ, მე და ერთი გოგონა, თამრიკო მახარობლიძე დირექტორს მოვეწონეთ და აღარ გამოგვიშვა



ინდოეთში წასვლა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. ფილმებს რომ ვუყურებდი, სულ ვამბობდი, იქ აუცილებლად წავალ-მეთქი

იქიდან — სამსახური შემოგვთავაზა. მერე, თანდათან დავწინაურდი. ამირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად, ვიყავი 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სახალხო რაზმეულის წევრი, პროპაგანდისტი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმის წევრი — მოკლედ, ძალზე აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობდი და ამ დროს, მხოლოდ 18-19 წლის ვიყავი. 20 წლამდე მოვასწარი ეს ყველაფერი. 9 დირექტორი მაინც მყავს გამოცვლილი. ყველა მათგანს ალბათ, ჩემი შრომისმოყვარეობის გამო ვხვდებოდი თვალში. 1985 წლამდე, მაკარონის დამჭრელად ვმუშაობდი. ყველა ოპერაციას ვასრულებდი, რის შემდეგაც, ბრიგადირ-კონტროლიორად გადამიყვანეს. ცვლის უფროსადაც კარგა ხანს ვმუშაობდი. რაიონული საბჭოს დეპუტატობის შემდეგ, საქალაქო საბჭოს დეპუტატადაც ვიყავი არჩეული ორჯერ. სანიმუშო შრომისთვის დამაჯილდოეს და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოგზაუროდ გამიშვეს. ამის შემდეგ, თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარე: ვიყავი ბულგარეთსა და რუმინეთში, იუგოსლავიაში, თურქეთში, გერმანიაში. როგორც მოწინავე მუშა, ორჯერ უფასოდ გამიშვეს სამოგზაუროდ. სხვა დროს კი, ტურისტული ვიზები მოდიოდა სამსახურში და გასაუბრება ტარდებოდა, ვინც მეტ ხმას დააგროვებდა, ის მიდიოდა. მეც სულ ბევრ ხმას ვაგროვებდი და სამოგზაუროდაც ყოველთვის დავდიოდი... ინდოეთში წასვლა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. ფილმებს რომ ვუყურებდი, სულ ვამბობდი, იქ აუცილებლად წავალ-მეთქი. ინდოეთთან ერთად, ფაბრიკაში სხვა საგზურებიც მოვიდა: კრუიზი ხმელთაშუა ზღვაზე, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი. მაგრამ იმდენად დიდი სურვილი მქონდა ინდოეთის ნახვის, რომ დღემდე არ ვნანობ იქ წასვლას. ულამაზესი ქვეყანაა, მაგრამ ძალზე ბინძური. ჩვენ კარგი ცხოვრება და კარგი ბავშვობა გვქონდა და იქაურების შემყურე, სულ ვტიროდით, რადგან ათასობით ადამიანი ღია ცის ქვეშ, მიწაზე ცხოვრობს, სახლ-კარი კი არა, საკუთარი ნემსიც კი არ გააჩნია. ისეთ ადამიანებს ნახავ იქ, რომ მაშინვე ატირდები. მოკლედ, ძალზე გაჭირვებულად ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც ძალზე კმაყოფილი დავრჩი ამ მოგზაურობით.

— როგორც ვიცი, ინდოეთში მოგზაურობისას რაღაც იდუმალი მისიაც გეკისრათ...

— ეს ამბავი ცოტა კურიოზივით არის, თუმცა მაშინ ამის გამო ბევრი ცრემლი ვღვარე. ამ დროს, თბილისში ჩაწერილი არ ვიყავი, რის გამოც, იმ პერიოდში დიდი პრობლემები იყო. სამოგზაუროდ წასვლის წინ, ჩემი საბუთები რომ მიიღეს, შემოწმებაზე მოსკოვში გამგზავნეს, რადგან მაშინ ასეთი წესი იყო:

ტურისტულ ჯგუფში თურმე, 2 აგენტი ჰყავდათ ხოლმე, თუმცა, არც ერთმა არ იცოდა, მეორე ვინ იყო

იქ თუ რამე არ მოეწონებოდათ, აღარ გამიშვებდნენ. კადრების უფროსმა მითხრა — „კაგებეში“ გიბარებენო. გავგიჟდი. ალბათ ჩაუწერავი რომ ვარ, ამის გამო მიბარებენ და ინდოეთშიც არ გამიშვებენ-მეთქი, — ვიფიქრე და ხმამაღლა ავტირდი... წავედი და პირველ რიგში, რაიკომის მდივანთან მივედი. ვინ ხარო? — მკითხეს. ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი. — მოდი, მოდი, ნუ გეშინიაო, — გამიღიმა. მე კი მართლა შეშინებული თვალებით ვუყურებდი... ჩემი დახასიათება რომ წაიკითხა, რაიკომის მდივანმა მითხრა — შენ ვინ ყოფილხარ, ასეთი დახასიათებით, თანაც ასეთი პატარა, ჩემთან ჯერ არავინ მოსულაო. ალბათ ჩემმა დახასიათებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ „კაგებემ“ მაინცდამაინც მე ამირჩია... რაიკომში დამამშვიდეს და მითხრეს — ახლა „კაგებეში“ წახვალ, იქ ყველაფერს კარგად აგიხსნიან, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოო... მივედი და დავალებები მომცეს. ტურისტულ ჯგუფში თურმე, 2 აგენტი ჰყავდათ ხოლმე, თუმცა, არც ერთმა არ იცოდა, მეორე ვინ იყო. რა თქმა უნდა, ხალხმა იცოდა, ჯგუფში აგენტის არსებობის შესახებ, მაგრამ „კაგებე“ სპეციალურად ისეთ ადამიანებს არჩევდა, რომელთა აგენტობას ჯგუფის წევრები ვერ მიხვდებოდნენ. აბა, ჩემს აგენტობას ვინ წარმოიდგენდა?!. ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და ერთმანეთში რომ ჩურჩულებდნენ — ნეტავ, ვინ არის აგენტიო?.. — გულში მეცინებოდა. დავალება ასეთი იყო: ვინმეს ვინმესთვის წერილი არ უნდა გადაეცა, იქ არავინ უნდა დარჩენილიყო, არ უნდა ექურდათ და ა.შ.

„კაგებე“ სპეციალურად ისეთ ადამიანებს არჩევდა, რომელთა აგენტობას ჯგუფის წევრები ვერ მიხვდებოდნენ. აბა, ჩემს აგენტობას ვინ წარმოიდგენდა?!.

— არ გაგიჭირდათ, პატარა გოგონას, ამხელა საიდუმლოს შენახვა?

— არა. რა საიდუმლო იყო ისეთი, რომ ვერ შემენახა?.. იქ ქუჩაში დახლები იყო გაშლილი, სადაც გასაყიდი საქონელი ჰქონდათ გამოფენილი, თან ამ დახლებს ინდოელები ყურადღებას არ აქცევდნენ — ალბათ, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლებოდა, ვინმეს რაიმე მოეპარა. ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა საათი მოიპარა და მხოლოდ ეს ამბავი ჩამოვიტანე „კაგებეში“. პრინციპში, მეტი არც არაფერი მომხდარა.

— ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე რომელმა ქვეყანამ მოახდინა და რატომ?

— მოგზაურობა იუგოსლავიით დავამთავრე — მას შემდეგ, აღარსად ვყოფილვარ, რადგან ფაქტობრივად, მაშინ აირია ქვეყანა... ყველა ქვეყანა მომეწონა, განსაკუთრებით გერმანია, რადგან ძალზე სუფთაა. ქუჩაში ვაშლის ხეები იდგა, იმ ხიდან ვაშლი ძირს რომ ჩამოვარდებოდა, გამვლელი აიღებდა და ხის ძირას დადებდა. ასე აგროვებდნენ, მერე კი მანქანას მიჰქონდა. ჩვენთან ასე ხომ არ ხდება!.. 1981 წელს ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენთანაც იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო?!. საპირფარეშოში რომ შევსულიყავით, ფული უნდა გადაგვეხადა და მაშინ ეს ძალზე გვიკვირდა და გვიხაროდა, რომ ჩვენში ასეთ წვრილმანებში ფულს არ ვიხდიდით... თუმცა, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, მაინც ყველაზე დიდი მოწონება ინდოეთმა დაიმსახურა. მართლაც, ულამაზესი ქვეყანაა, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ იქ ხალხს ძალზე უჭირს.

ბებიაჩემიც მაგდანას პროტოტიპის შვილთაშვილი იყო. ნათესავები და მეგობრები მეხუმრებიან ხოლმე — გეტყობა, რომ შთამომავლობით გადმოგეცა მემაწვნეობაო...

— ახლა თქვენს ოჯახზეც მომიყევით...

— მე და ჩემმა მეუღლემ, ბორის გოგაშვილმა ერთმანეთი მაკარონის ფაბრიკაში გავიცანით. 9 წელი ვმუშაობდით ერთად. სხვათა შორის, ჩვენი დაოჯახება თანამშრომლების დამსახურებაა. პროფკავშირების თავმჯდომარე, ციალა ხუბუა იყო; დირექტორი, შარაბიძე გვყავდა; ისინი სულ გვეუბნებოდნენ — ორივე, შრომისმოყვარეები ხართ და ძალზე კარგ ოჯახს შექმნითო. მაშინ ჩემს მეუღლესთან ძალზე მეგობრული ურთიერთობა მქონდა და ვერც წარმოვიდგენდით, რომ მომავალში

ოჯახს შევქმნიდით. დამყავდა და ჩემს მეგობრებს ვაცნობდი, ხან რომელს ვურიგებდი და ხან – რომელს. ადრე მას ღორების ფერმა ჰქონდა და გოჭებს ყიდდა. ერთი გოჭი მეც ვიყიდე და წავიყვანე სოფელში. დედაჩემმა გაზარდა. მერე დავკალით და ლორი გამოვიყვანეთ, რომელიც ჩემს მომავალ მეუღლეს ჩამოვუტანე და გავასინჯე. ცოლად რომ გავყევი, მერე ვეუბნებოდი – ცეცხლი და ნავთი ჭამე, თუ შენ უნდა გამოგყოლოდი ცოლად, რატომღა ვყიდულობდი იმ გოჭს-მეთქი?!. ერთხელაც, თანამშრომლები ექსკურსიაზე ტაშკენტში წავედით. იქ გადაწყვიტეს – ახლა უნდა დაოჯახდეთო, – და ქორწილი გადაგვიხადეს – რა თქმა უნდა, ხუმრობით. იქიდან დაიწყო ჩვენი ამბავი. შეძახილმა ხე გაახმოო, – ხომ გაგიგონიათ!.. ახლა კი ვნანობ: რომ მცოდნოდა, ბოლოს და ბოლოს, ოჯახს შევქმნიდით, 9 წელს ხომ აღარ მოვიცდიდი და მანამდე გავყვებოდი!.. ახლა უფრო მოზრდილი შვილები გვეყოლებოდა... ამჟამად, ბორისი მეტროში პასუხისმგებელ მემანქანედ მუშაობს.



შეძახილმა ხე გაახმოო, – ხომ გაგიგონიათ!.. ახლა კი ვნანობ: რომ მცოდნოდა, ბოლოს და ბოლოს, ოჯახს შევქმნიდით, 9 წელს ხომ აღარ მოვიცდიდი...

გვყავს ორი შვილი: მარიამი, რომელიც მეოთხე კლასში სწავლობს და შალვა – მესამეში. ძალზე ცელქი ბავშვები არიან. ახლა სოფელ დიდ ლილოში ვცხოვრობთ.

— შვილები გეხმარებიან მაწვნის შედედებაში?

– არა. 10 სული საქონელი გვყავს და აქედან ოთხს ვწველი. ბავშვებს ვთხოვ ხოლმე – სანამ მე ძროხას მოვწველი, თქვენ ლაპარაკით გამართეთ-მეთქი. ისინი ამაზე ხალისით მთანხმდებიან. თან უნდათ, რომ მომეხმარონ და ხან ერთი ეწვალება ძროხის ცურს და ხან – მეორე. თავისებურად მეხმარებიან... ამას წინათ, შინ რომ დავბრუნდი, სუფრა გაშლილი დამხვდა. სიურპრიზი მოგიწყვეთო, – მითხრეს შვილებმა. კარგი ბავშვები არიან. ყურადღებიანები და თბილები.

— თქვენმა მეუღლემ თუ იცოდა თქვენი მოგზაურობების შესახებ?

– ჩემმა მეუღლემ ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა. ერთად ვმუშაობდით და ხედავდა, სადაც დავდიოდი. თვითონ საზღვარგარეთ არასოდეს ყოფილა. ამის გამო ჩვენ შორის პრობლემები არ ყოფილა. რა იყო აქ გასაბრაზებელი?.. საზღვარგარეთ კი არა, საქართველოს უმეტესი ნაწილიც არა აქვს ნანახი... ადრე უფრო იცოდნენ მუშის დაფასება, ახლა კი ნაკლებად არის დაცული ადამიანი. ჩემს მეუღლეს ცოლად რომ გავყევი, მაშინ ცხოვრება უკვე ძალზე ჭირდა. ფაბრიკაც დაიკეტა და არანაირი შემოსავალი არ გვქონდა. ერთადერთ საშუალებად, სოფლის მეურნეობა მივიჩნიეთ და გავიჩინეთ ძროხები. პირველად მაწონი რომ შევადედე, გადავწყვიტე – წავიღებ და გავყიდი-მეთქი. ოჯახში ამას მიუჩვეველნი რომ იყვნენ, თავიდან იუკადრისეს – მაწონი რატომ უნდა გაყიდოო?!. მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, თანაც ჩვენს სოფელში თითქმის ყოველი მეორე ოჯახი ამით ირჩენს თავს. დავიწყე მაწვნის გაყიდვა და უკვე მეათე წელია, დოლიძის ქუჩაზე ერთ-ერთ კორპუსში დამაქვს მაწონი. ამ კორპუსში ძალზე კარგი ხალხია. მართლა, ყველას მინდა, მადლობა გადავუხადო, რადგან ყველამ ოჯახის წევრივით მიმიღო და ძალზე თბილად მხვდება... სხვათა შორის, ბებიაჩემი (მამაჩემის დედა) ცნობილი მაგდანას შვილთაშვილი (ე.ი. კატოს შვილიშვილი), მარიამ კაციაშვილი იყო: ალბათ იცით, რომ მოთხრობა „მაგდანას ლურჯა“ ცხოვრებიდან არის აღებული და ბებიაჩემიც მაგდანას პროტოტიპის შვილთაშვილი იყო. ნათესავები და მეგობრები მეხუმრებიან ხოლმე – გეტყობა, რომ შთამომავლობით გადმოგეცა მემაწვნეობაო... მახსოვს, ერთხელ, თბილისში მომქონდა მაწონი და გაჩერებაზე ვიდექი, სამარშრუტო ტაქსის ველოდებოდი. ავტობუსი მეფარებოდა და ეტყობა, ამ ტაქსის მძღოლმა ვერ დამინახა, დაეჯახა ამ ჩემს მაწვნის ქილებს და სულ დამიმტვრია. ძალიან შემრცხვა ხალხის, თან გულში მეცინებოდა – მართლა რა მაგდანასავით მომივიდა-მეთქი!.. ჩვენს სოფელში ჩემი ასაკის არც ერთი მემაწვნე არ არის. 10 წლის წინ, 31-ის ვიყავი და ყველას უკვირდა, ამ ასაკის გოგო, მაწონს რომ ვყიდდი. თავიდან მეც მრცხვენოდა, მაგრამ ახლა ყველაფერს მივეჩვიე. საკუთარი შრომის საზღაურს ვიღებ და ამას უფრო მეტი დაფასება აქვს...

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

– ბავშვები ახლა პატარები არიან. რომ წამოვზრდი, ეს ქვეყანაც ალბათ, ცოტა დალაგდება და ჩემი პროფესიით ვიმუშავებ. მთავარია, პირველ რიგში, ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდეს. მერე ამ ჩანთებს დავაწყობ და მუშაობას დავიწყებ... ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს. რა თქმა უნდა, ძროხაც მეყოლება და ცხვარიც, სხვაგვარად სოფელში ვერც იცხოვრებ. მაგრამ მაწონს აღარ გავყიდი. ვნახოთ, ყველაფერი წინ გვაქვს...

ხალხმა იცოდა, ჯგუფში აგენტის არსებობის შესახებ, მაგრამ „კაგებე“ სპეციალურად ისეთ ადამიანებს არჩევდა, რომელთა აგენტობას ჯგუფის წევრები ვერ მიხვდებოდნენ.

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108



18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

ყველაზე ერთგული ჰოლივუდური წყვილი

ეს წერილი სახელგანთქმული მსახიობების — პოლ ნიუმენისა და ჯოან ვუდვორდის სიყვარულზე მოგვითხრობს. გარდა იმისა, რომ მათ არაერთი დაუვიწყარი ეკრანული სახე შექმნეს, ჰოლივუდის ვარსკვლავებისთვის ერთობ უჩვეულო თვისებით — საყვარელი ადამიანისადმი დიდი ერთგულებით გამოირჩევიან. თუმცა ჯოანამდე, პოლ ნიუმენს ცოლ-შვილი ჰყავდა, მასთან შეუღლების შემდეგ, ამ უამრავი ქალისთვის საოცნებო მამაკაცს, რომ იტყვიან, გვერდზე აღარ გაუხედავს... მანამდე კი, სანამ ჯოანთან შეუღლებას გადაწყვეტდა, პოლი დიდხანს ყოყმანობდა: მისი პირველი ცოლი, ჯეკი მეორე შვილს ელოდებოდა და ნიუმენმა მას აბორტზე ფიქრიც კი აუკრძალა... 4 წლის მანძილზე, ჯოანი და პოლი თავს არიდებდნენ ერთმანეთთან შეხვედრას, რომელიც ბოლოს და ბოლოს, გადასაღებ მოედანზე შედგა...

დასაწყისი იხ. „გზა“, №31

...დღის განმავლობაში პოლმა გამბედაობა ვერ მოიკრიბა, რათა ჯოანთან მისულიყო, მისთვის ხელი მოეკიდა და სათქმელი პირდაპირ ეთქვა, რომ დიდი ხანია უკვე დროა, ამ სულელურ თამაშს ორივემ თავი დაანებოს. მათ უნდა სძლიონ სიცრუესა და მოჩვენებითობას, სულელურ შიშებსა და ეჭვებს. ბოლოს და ბოლოს, თუკი ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, რატომ არ შეუძლიათ მათ ერთად ყოფნა? მან მშვენივრად იცის, რომ ჯოანი ახლა მარტოა, თავად მისი ოჯახი კი უკვე კარგა ხანია დანგრევის პირასაა მისული. საღამოობით, პოლს არ სურს შინ დაბრუნება და მუდმივად უკმაყოფილო ჯეკის ხილვა, რომელსაც უკვე აღარაფერი შერჩა იმ ნორჩი, უზრუნველი, მოხითხითე გოგონასი, ოდესღაც რომ იყო. მას ნებისმიერ რამეზე შეუძლია სკანდალის მოწყობა: იქნება ეს გასვლითი თუ ღამის გადაღებები, საწოლთან დაყრილი წინდები თუ გაურეცხავი ჭურჭელი. ის ბრაზობს იმაზე, რომ სამმა შვილმა და ოჯახზე ზრუნვამ, მისი სამსახიობო კარიერა სამუდამოდ დაასამარა, ქმრის წარმატებები კინოში (ხუთი წლის მანძილზე მან რამდენიმე ფილმში ითამაშა) კიდევ უფრო აღიზიანებს მას. ყველაზე უარესი კი მაინც ის არის, რომ მათი ჩხუბის შემსწრეები შვილები ხდებიან. გოგონები — სიუზენი და სტეფანია ჯერ კიდევ ძალზე პატარები არიან, მაგრამ სკოტი 8 წლისაა და უკვე ყველაფერს ხვდება. ღამღამობით ბიჭს კოშმარები აწუხებს, სკოლაში თანატოლებთან ურთიერთობაც უჭირს. ცოლი ამ ყველაფერში პოლს ადანაშულებს — მან შვილს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს, მაგრამ რა უნდა ქნას, თუკი ნიუმენი მსახიობია და დილიდან დაღამებამდე რეპეტიციებსა და გადაღებებზეა?..

...ჯოანმა ფეხსაცმელი გაიხადა და დივანზე ფეხმორთხმული მოკალათდა. მან გამოცდილებით იცის, რომ გადაღების პირველი დღე ყველაზე რთულია, მაგრამ დღეს მას მხოლოდ დაღლილობა როდი აწუხებს... როცა ჯოანმა პირველად მოჰკრა თვალი პოლს, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამდენ ტანჯვას სწორედ ის მიაყენებდა. მაშინ მან გაიფიქრა, რომ ის მამაკაცისთვის მეტისმეტად ლამაზი იყო, ლამაზნაკვთებიანი ბიჭები კი არასოდეს ხიბლავდნენ მას. სიყმაწვილეში ჯოანს ძალზე ამხიარულებდა ის აღფრთოვანებული გამომეტყველება, რომლითაც სკოლის აღიარებული ლამაზი ბიჭები საკუთარ გამოსახულებას უმზერდნენ სარკეში. ისინი სწორედ ისევე იქცეოდნენ, როგორც გოგონები... მაგრამ პოლი, მგონი, ვერც კი ამჩნევს როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ქალებზე. აი, მის ლაჟვარდოვან ცისფერ თვალებზე გამუდმებული საუბრები სასტიკად აღიზიანებს მას! ერთხელ, ნიუმენმა გულახდილად უთხრა მას: იმედი მაქვს, მაინც გავხდები კარგი მსახიობი, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თვალების ფერი შემეცვლება და თაფლისფერი გამიხდებაო... ჯოანმა იცის, რომ პოლის კარგი გარეგნობის მიღმა ლამაზი სული იმალება, რომ ის ყველაზე რომანტიკული მამაკაცია მათ შორის, ვინც ოდესმე შეხვედრია. თავად მას ხომ უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა და ამ წლების განმავლობაში სამჯერ სცადა გათხოვება, მაგრამ სამივე ნიშნობა ჩაშალა. მან ვერ შეძლო პოლის დავიწყება...

ჯოანი შეკრთა, როცა უეცრად ტელეფონის ზარი გაისმა. მან სწრაფად აიღო ყურმილი.

— საღამო მშვიდობისა, ჯოან, პოლი ვარ, — გაისმა ყურმილში უჩვეულოდ ხრინწიანი ხმა, — მოდი, შენი სახლის წინ მდებარე კაფეში შევხვდეთ.

— ხვალ? — მექანიკურად იკითხა ჯოანმა.

— არა, დღეს, ახლავე, — გაბედულად უპასუხა პოლმა.

ჯოანმა ლაბადა მოიცვა, ნაჩქარევად გადაივარცხნა თმა და სახლიდან გავიდა. კაფეში შესვლისას, მის შესახვედრად პოლი ადგილიდან წამოიმართა. უცნაურია, რომ მას ოდესღაც ლამაზი მამაკაცები არ მოსწონდა...

გადაღების მეორე დღეს მარტინ რიტმა შვებით ამოისუნთქა — მისი მსახიობები შესანიშნავად თამაშობდნენ, კინოსტუდიაში კი გავრცელდა ხმები, რომ პოლ ნიუმენს და ჯოან ვუდვორდს მხოლოდ სამსახურებივი ურთიერთობა არ აკავშირებდათ. თუმცა, გავრცელებული ხმების უარყოფას თავად მსახიობებიც არ ცდილობდნენ. ორივე მათგანი ერთურთით იყო შეპყრობილი და ქვეყნად სხვა არავინ და არაფერი აინტერესებდა. ნიუმენსა და ჯეკის შორის საკმაოდ მძიმე საუბარი შედგა. პოლმა უთხრა, რომ შვილების შენახვის ხარჯებს მთლიანად თავად კისრულობდა, მაგრამ მასთან ცხ-

ოვრებას აღარ აპირებდა, რადგან დიდი ხანია სხვა ქალი უყვარდა. შეურაცხყოფილი მეუღლე კატეგორიულად არ თანხმდებოდა გაყრას. პოლს მის გადასარწმუნებლად მთელი ექვსი თვე დასჭირდა.

...პოლ ნიუმენისა და ჯოან ვუდვორდის ქორწილი მათ საყვარელ ლას-ვეგასში შედგა. სასტუმრო „ელ რანჩოში" ძალზე ახლო მეგობრებმა მოიყარეს თავი. ულამაზესი საქორწინო ტორტი შემკული იყო ტრადიციული „ვალსის" მოცეკვავე ნეფე-პატარძლის ფიგურით. საქორწინო ცერემონიის დამთავრების შემდეგ, პოლმა ნეფე-პატარძლის ფიგურა ქორწილში ნაჩუქარ ზარდახშაში მოათავსა. არა, ის სულაც არ მიიჩნევდა საკუთარ თავს ცრუმორწმუნედ, უბრალოდ, რატომღაც გაიფიქრა, რომ თუკი ამ ფიგურებს შეინახავდა, ის და ჯოანი აუცილებლად ბედნიერები იქნებოდნენ. და თუკი იმ ზღაპრებში, რომლებსაც ის (მართალია, ძალზე იშვიათად) ძილის წინ თავის პაწია გოგონებს უკითხავდა, ზღაპრის გმირების ამბავი ბედნიერი ქორწილით მთავრდებოდა, 1958 წლის 29 იანვრის იმ მზიან და ქარიან დღეს მისი და ჯოანის ბედნიერი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ იწყებოდა...

წყვილს პირველი საერთო შვილი — ელინორ ტერეზა 1959 წლის აპრილში შეეძინა. ორი წლის შემდეგ ქვეყნიერებას მელისა მოევლინა, კიდევ რამდენიმე წლის მერე — კლერი. ნიუმენ-ვუდვორდის წყვილისათვის შვილების შეძენა დიდ სიხარულსაც უკავშირდებოდა, მაგრამ ამასთან ოჯახის სიმტკიცის გამოცდაც გახლდათ. არც ერთი მშობელი საკუთარ აქტიორულ ამბიციებზე უარის თქმას არ აპირებდა, რათა თავი მხოლოდ შვილების აღზრდისათვის მიეძღვნა. ნიუმენი ყოველწლიურად კარიერაში დიდ წარმატებებს აღწევდა. ჯოანი კი ხშირი ორსულობის გამო, ხანგრძლივი დროის მანძილზე რჩებოდა პროდიუსერებისა და რეჟისორების ყურადღების მიღმა. დაქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე, ვუდვორდმა როლის საუკეთესო შესრულებისათვის „ოსკარი" (ფილმისათვის „ევას სამი სახე") დაიმსახურა და რაღა თქმა უნდა, ჰოლივუდში თავისი წარმატების განმტკიცებას აპირებდა. მაგრამ გოგონები ავადმყოფობდნენ და კაპრიზობდნენ, ერთ ძიძას მეორე ცვლიდა, ქმარი გამუდმებით გადაღებაზე იმყოფებოდა, უმუშევარ და წონაში გვარიანად მომატებულ ჯოანს კი სულ უფრო და უფრო ითრევდა დეპრესიის მორევი... პოლი ცოლის გასართობად ძალისხმევას არ იშურებდა, მაგრამ საზოგადოებაში მათ იშვიათ ერთობლივ გასვლებს უკუეფექტი მოჰქონდა. ნიუმენის თაყვანისმცემლები შეტევაზე გადადიოდნენ: კაფეებში, რესტორნებში, ოფიციალურ მიღებებსა თუ წვეულებებზე ნებისმიერი ასაკის ქალებში პოლი არნახული პოპულარობით სარგებლობდა, თანაც ის, რომ მსახიობს გვერდს კანონიერი ცოლი უმშვენედა, სულაც არ აცბუნებდა ავტოგრაფებისა და მისი გულის მონადირების მსურველებს. ერთ დილას, როცა მეუღლეები სახლიდან გამოდიოდნენ, მათ თავს დაეცხრა 16 წლის გოგონა, რომელიც თავისი კერპის გამოსვლას მთელი ღამე მის ფანჯრებთან ელოდებოდა. ჯოანის დანახვაზე წყევლა-კრულვა გაუგზავნა ქალს და მოჭარბებული ემოციებისაგან ქვაფენილზე გულწასული დაენარცხა. ბუნებრივია, მსგავსი სიტუაციები ხელს არ უწყობდა ოჯახის განმტკიცებას — პირიქით, მეუღლეების შემდგომ თანაცხოვრებას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

მაშინ პოლმა გამოსავალი იპოვა: ის კატეგორიულად მოითხოვდა რეჟისორებისა და პროდიუსერებისაგან, რომ მასთან ერთად ჯოანიც გადაეღოთ ფილმებში. ცისფერთვალება მსახიობის სიჯიუტეს — ცრემლებამდე მიჰყავდა აგენტები, მაგრამ ის არ თმობდა. ცოლთან ერთად პოლი 14 სურათში გადაიღეს. მართალია, ყველა ეს ფილმი შედევრი არ იყო, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ნამუშევარი გახლდათ, რამაც ჯოანს თავდაჯერებულობა და საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნა. ერთხელ ნიუმენმა სპეციალურად ცოლისთვის, თავადაც გადაიღო ფილმი. ჯოანს ძალზე მოეწონა, მ. ლოურენსის რომანი — „ღმერთის ხუმრობა". ნაწარმოებში აღწერილი იყო პროვინციელი მასწავლებელი ქალის სიყვარულის ამბავი, მაგრამ ვუდვორდმა ვერ იპოვა რეჟისორი, რომელიც ამ არაკომერციული ამბის გადაღებაზე დათანხმდებოდა... მაშინ პოლმა გადაწყვიტა ცოლის დახმარება. ფილმის — „რეიჩალ, რეიჩალ" — გადაღების შემდეგ კრიტიკოსებმა ვუდვორდს დახვეწილი და სიღრმისეული აქტიორული ოსტატობის მქონე მსახიობის დახასიათება მისცეს. ეს სურათი „ოსკარზეც" იყო ნომინირებული, მაგრამ ჯილდო არ მიუღია. თუმცა ნიუმენისთვის ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. კინოაკადემიკოსები ჯიუტად უარყოფდნენ პოლის სამსახიობო დამსახურებას როგორც 60-იან, ასევე 70-იან და 80-იან წლებში. ის არ ცხოვრობდა ისე, როგორც ყველა, არ სურდა, რომ კოლეგებს დამსგავსებოდა, საკუთარ თავს გაუგონარი ფუფუნების უფლებას აძლევდა — მას ხომ ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონდა და არც მის საჯაროდ გამოთქმას ერიდებოდა.

კარიერის დასაწყისში პოლი ვერ იტანდა მარლონ ბრანდოს (კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ და ეს ძალზე აღიზიანებდა ნიუმენს), მაგრამ მოგვიანებით, ყველასათვის მოულოდნელად ძალზე დაუახლოვდა და დაუმეგობრდა მას. მსახიობები ერთად მიემგზავრებოდნენ ალაბამაში; მარტინ ლუთერ კინგის მეთაურობით ფერადკანიანთა უფლებების დასაცავად მოწყობილ საპროტესტო აქციაზე მერიის წინ, ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ; პოლიციის მიერ აქციის დარბევის შემდეგ ერთად ისხდნენ ბარში, წრუპავდნენ ვისკის და ერთხმად ლანძღავდნენ მსოფლიოში არსებულ უსამართლობასა და სისასტიკეს. ჯოანს დიდი ნერვიულობა შეხვდა მაშინაც, როცა პოლმა ჟურნალ „ნიუსუიკში" ღია წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც პენტაგონს აკრიტიკებდა. გამოჩნდნენ „კეთილმოსურნეები", რომლებმაც ჯოანს უთხრეს, რომ ამიერიდან მის ქმარს კარიერაზე ჯვარი უნდა დაესვა და აღარც „ოსკარს" აღირსებდა ვინმე. თითქოსდა ჰოლივუდში უკვე გავრცელებული იყო „შავი სია", რომელშიც ნიუმენი პირველ ადგილზე ეწერა. მაგრამ ყველაფერმა მშვიდობინად ჩაიარა. თავისი პირველი „ოსკარი" პოლმა „პირადი პატიოსნებისა და საკუთარი საქმისადმი ერთგულებისათვის" 1985 წელს მიიღო, 1986 წელს კი სურათში „ფულის ფერი" შესრულებული როლისათვის მეორე „ოსკარით" დაჯილდოვდა.

ჯოანს ქმრის კიდევ ერთ გატაცებასთან მოუხდა შეგუება, თანაც ბევრად უფრო საშიშ გატაცებასთან, ვიდრე საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების საჯარო დემონსტრირება გახლდათ. პოლი აღმერთებდა ავტორბოლას და საოცრად ამაყობდა იმით, რომ 52 წლის ასაკში რბოლაში მონაწი-



სიუზენიც მამის კვალს გაჰყვა. მამა-შვილი კომედიის — „მსურს, რომ ხელი ჩაგკიდო" — გადაღებაზე

ლეობისას, მეხუთე მივიდა ფინიშთან და უკან ჩამოიტოვა ბევრი მასზე უფრო ახალგაზრდა მეტოქე. საერთოდ, სპორტულ ჯილდოებს მის ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მართალია, ჯოანი, როგორც ჭეშმარიტი ქალი, ვერ იტანს ბენზინისა და ძრავას ზეთის სუნს, მას აღიზიანებს, რომ მეუღლე თავისუფალი დროის საკმაოდ დიდ ნაწილს გარაჟში ატარებს, ხოლო შემდეგ თავიდან ფეხებამდე ამოთხვრილი მის გაკრიალებულ სამზარეულოში ბრუნდება. მაგრამ რას იზამ? თავის მხრივ პოლსაც მოუწია ცოლის უცნაურობებთან შეგუებამ. მართალია, ფემინიზმის მოჭარბებულ სიყვარულთან გამკლავება, როგორღაც მოახერხა (უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სულაც არ გახლდათ იოლი – სცადეთ, ერთ-ნახევარი წლის განმავლობაში საკუთარ სასტუმრო ოთახში გავეშებული ქალების გაუთავებელი თავყრილობების ატანა), მაგრამ ჯოანის მანიაკალური მომჭირნეობის (ლამის სიძუნწეში გადასულის) მოულოდნელ გამოვლინებას პოლი დიდი ხნის მანძილზე ვერაფრით შეეგუა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ცოლმა მასაც და გოგონებსაც მოულოდნელად ძველი წერილების, მოსაწვევებისა და თეატრალური პროგრამების გადაყრა აუკრძალა. „დედაჩემის სახლში ტყუილუბრალოდ არასოდეს არაფერი იკარგებოდა“, – გამოაცხადა ერთ მშვენიერ დღეს ჯოანმა, სახლში არსებული უკვე გამოყენებული ფურცლები მოაგროვა, ოთხად გაჭრა და ყველას შესთავაზა, რომ ერომანეთისთვის წერილები – სად წავიდნენ, როდის დაბრუნდებიან და სხვა – სწორედ ამ ფურცლებზე დაეწერათ. შემდეგ თავისი მაღალყელიანი და პოლის დაბალყელიანი წინდებისგან ხალიჩების ქსოვას მიჰყო ხელი. მხოლოდ ხელსაქმით რომ დაკავებულიყო, აბა, ხმას ვინ ამოიღებდა, მაგრამ მის მიერ ფრიად ორიგინალური მასალისგან მოქსოვილ პატარა ნოხებს, ის ოჯახის ახლობლებს უძღვნიდა საჩუქრად... თავდაპირველად, ეს პოლს აცოფებდა, მაგრამ შემდეგ რაღაც-რაღაცები გააანალიზა და... დაწყნარდა. მას ხომ ნაკლებად აღელვებს, რას იფიქრებენ მასზე და მის ცოლზე ჰოლივუდში? თანაც, უკვე კარგა ხანია, რაც ის და ჯოანი არცთუ სახარბიელო რეპუტაციით სარგებლობენ ოცნებების ფაბრიკაში. დიდი ხანია ყველამ იცის, რომ ისინი ფრიად უჩვეულო ადამიანები არიან. ნუთუ, ნორმალურია ის, რომ ისინი უკვე 45 წელია, ერთად ცხოვრობენ და არც ერთ მათგანს სხვასთან რომანი არ ჰქონია? „აღიარეთ, პოლ, ოდესმე ცოლისთვის თუ გიღალატიათ?“ – ჰკითხა ერთხელ მსახიობს „პლეიბოის“ ლამაზმანმა ჟურნალისტმა. „მშვენიერო ქალბატონო, – უპასუხა პოლმა, – თავად განსაჯეთ: რაში მჭირდება ჰამბურგერი, როცა შინ მშვენიერი ანტრეკოტი მელოდება?“ ნიუმენის უცნაური პასუხით გაოცებულმა ლამაზმანმა თვალები ააფახულა. არა, ამ ადამიანებს არ ესმით, რომ მეუღლეებს შორის კარგი ურთიერთობების დამყარებას უდიდესი ძალისხმევა სჭირდება და რომ ოჯახის შენარჩუნება გონებისა და სულის სიმტკიცის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია.



პოლი უფროს ვაჟიშვილთან, სკოტთან ერთად

1978 წელს ნიუმენების ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ეს მოხდა ზაფხულში, როცა პოლი და მისი ქალიშვილები კონექტიკუტში ყოფნისას, შინ ქლიავის მურაბას ხარშავდნენ. პოლი განსაკუთრებულად ამაყობდა ამ სახლით – მან და ჯოანმა XVIII ს-ის თავლა საცხოვრებელ სახლად გადააკეთეს. სწორედ იქ აცნობეს ნიუმენს, რომ ნიუ-იორკში მისი უფროსი ვაჟიშვილი ნარკოტიკის ჭარბი დოზის მოხმარების შედეგად გარდაიცვალა... დაკრძალვისას ჯეკი ისტერიკაში იყო და მთელი ხმით ყვიროდა, რომ სკოტის სიკვდილში დამნაშავე პოლი გახლდათ, რომ ის ხორცშესხმული ეშმაკი იყო და მთელი ცხოვრება დაუნგრია მას. პოლი უბედურებისგან ალბათ ჭკუაზე შეიშლებოდა, რომ არა ჯოანი, რომელიც გამუდმებით გვერდით ედგა, ხელზე ხელს უჭერდა და ამხნევებდა ქმარს. კონექტიკუტში დაბრუნების შემდეგ პოლმა სმა დაიწყო, უარს ამბობდა როლებზე და კვირების განმავლობაში შინიდან არ გამოდიოდა. ის ცდილობდა, ჩასწვდომოდა, თუ რატომ მოხდა ეს, მის ბიჭუნას ხომ უკანასკნელ ხანებში ყველაფერი ნორმალურად აეწყო: სწავლა, გოგონები, მეგობრები... იქნებ, სკოტს რაიმე პირადი ტრაგედია ჰქონდა და ამას განიცდიდა, მამამისმა კი, რომელიც გამუდმებით დაკავებული იყო სამუშაოთი, რბოლებითა და დემონსტრაციებით, ეს ვერ იგრძნო? ნიუმენი გამუდმებით იქექებოდა საკუთარ წარსულში, რათა ამ შეკითხვებზე პასუხი ეპოვა, მაგრამ პასუხს მაინც ვერ პოულობდა. ორწლიანი კრიზისის შემდეგ, ამ მძიმე მდგომარეობიდან ქმარი ისევ და ისევ ჯოანმა გამოიყვანა. მან პოლის ყველა ქალიშვილს ერთად მოუყარა თავი, მათ შორის, სიუზენსა და სტეფანიას და ოჯახური თათბირი გამართა. საოჯახო საბჭოზე გოგონებმა ერთხმად დაადგინეს, რომ მამას მის საყვარელ იტალიაში დასვენება სჭირდებოდა. ჯოანმა მათთან ერთად გამგზავრება სთხოვა სიუზენს. ეს ძალზე გონივრული თხოვნა იყო, რადგან პოლი მთელი ამ წლების განმავლობაში სწორედ ჯეკისა და მისი შვილების წინაშე თვლიდა თავს დამნაშავედ. ნიუმენმა იტალიაში მშვენივრად გაატარა ზაფხული. ტემპერამენტიანი იტალიელი ქალები, როცა მაღალ, ჭაღარა სინიორში ცნობილ მსახიობს შეიცნობდნენ, ხელს უქნევდნენ, უცინოდნენ და უყვიროდნენ: „ო, პაოლო, ამორე, ამორე!“ თაყვანისმცემელთა გულწრფელმა სიყვარულმა და უფროსი ქალიშვილის კომპანიაში ყოფნამ, პოლზე ნებისმიერ ექიმზე და წამალზე კარგად იმოქმედა...

ამერიკაში დაბრუნებულმა ნიუმენმა დაღუპული შვილის ხსოვნის პატივსაცემად, მისი სახელობის ნარკომანიასთან ბრძოლის ფონდი დააარსა. ამ ფონდის თანხებით სისტემატურად უზრუნველსაყოფად, საჭირო იყო რაღაც ბიზნესის აწყობა, რომელიც საკმაოდ მოკლე დროში სოლიდურ მოგებას მოიტანდა. ერთხელ, როცა პოლი ცოლის ხელმძღვანელობით სამზარეულოში კომბოსტოს კეპავდა (ცოლქმარი ქალიშვილებსა და სტუმრებს

ელოდნენ და სალათების მზადებით იყვნენ დაკავებულნი), მას თავში მოულოდნელად იდეა მოუვიდა: კარგი იქნება, თუ სალათების სოუსების ფაბრიკას გავხსნითო. ნიუმენებმა საკმაოდ მოკლე დროში მოახერხეს ამ იდეის განხორციელება. კომპანია „ნიუმენს ოუნი“ უკვე ოც წელიწადზე მეტია, რაც არსებობს და 400-ზე მეტმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ მიიღო მისგან ასობით მილიონი დოლარის ჩეკი. „ჩვენი ლოზუნგია – ურცხვი ექსპლუატაცია საყოველთაო კეთილდღეობისათვის“ – სიცილით ამბობს მსახიობი. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ წლებთან ერთად, პოლი და ჯოანიც უფრო მსუბუქად უყურებენ ცხოვრებას. სამსახიობო კონკურენციის ოჯახური პრობლემები წარსულში დარჩა; დღეს ჯოანი კმაყოფილიც კი არის იმით, რომ არ გახდა ისეთივე ცნობილი და პოპულარული მსახიობი, როგორიც მისი ქმარი. ყოველ შემთხვევაში, მას სრულიად მშვიდად შეუძლია შევიდეს მაღაზიაში და მის დანახვაზე არც გამყიდველი ჩავარდება შოკში და არც მყიდველები – რასაც პოლზე ნამდვილად ვერ იტყვით. ჯოანმა ისიც კი აპატია ქმარს, რომ ოდესღაც მან („პლეიბოის“ ინტერვიუში) ანტრეკოტს შეადარა...

სხვათა შორის, საქორწინო ტორტის ნეფეპატარძლის ფიგურა პოლს დღემდე ზარდახშაში უდევს და საგულდაგულოდ აქვს ჩაკეტილი თავისი სტუმართმოყვარე სახლის სეიფში. თუმცა, თავის ოჯახურ ბედნიერებას ის ამ ფიგურებს სულაც არ უნდა უმადლოდეს. ამას წინათ, ჟურნალისტებმა კვლავ დაკითხვა მოუწყვეს მსახიობს: „მისტერ ნიუმენ, ორმოცდახუთწლიანი სანიმუშო ქორწინება! ნუთუ, ჩვენს დროში ასეთი რამ შესაძლებელია?“ „თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ხდება სასწაულები. თუმცა, რა შუაშია აქ სასწაული? ყოველივე ხომ მხოლოდ და მხოლოდ გონების წყალობით ხდება...“ ■



ჯოან ვუდვორდი და პოლ ნიუმენი – ორმოცდახუთწლიანი ერთგული თანაცხოვრების იდილია

„და ვინჩის კოდის“ გასაიდუმლოებული გადაღებები პარიზში



დენ ბრაუნის ბესტსელერის „და ვინჩის კოდის“ გადაღებები პარიზში, ერთი თვის მანძილზე, სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. კინოსტუდია Columbia-Sony-მ, პროექტის ყველა მონაწილეს ხელი მოაწერინა დოკუმენტზე, რომელიც მათ ფილმის გადაღებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალის საიდუმლოდ დაცვას ავალდებულებს. ყოველი მსახიობი, სცენარის მხოლოდ საკუთარ მონაკვეთს გაეცნო. გადასაღებ მოედანს კი არც ერთი ჟურნალისტი ახლოსაც არ გააკარეს. სურათს, რომლის ბიუჯეტიც 130 მლნ დოლარს შეადგენს, ამერიკელი რეჟისორი რონ ჰოვარდი იღებს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, რობერტ ლენგდონის როლს, ტომ ჰენკსი თამაშობს. კრიპტოლოგ სოფი ნევეს პერსონაჟს ოდრი ტოტუ განასახიერებს. ჟან რენო კი პოლიციის კომისრის როლში მოევლინება მაყურებელს. ფილმის გადაღებები პარიზის ოტელ „რიცში“ დაიწყო, შემდეგ კი, ორი კვირის განმავლობაში, ლუვრში გაგრძელდა. ცნობილი მუზეუმის დირექტორმა ანრი ლუარეტმა გადაღებების უფლება მხოლოდ ღამღამობით და სამშაბათობით მისცა კინოჯგუფს – როცა მუზეუმი მნახველთათვის დაკეტილია. როგორც ამბობენ, გადაღების ყოველი დღისთვის კინოსტუდიამ მუზეუმს 30 ათასი ევრო გადაუხადა. პარიზული გადაღებები ტაძარ ნოტრ-დამ-დე-ლორეტის მისადგომებთან დასრულდა. გადაღებები იქაც ღამღამობით მიმდინარეობდა და მიმდებარე ქუჩებიც ბლოკირებული გახლდათ. მას შემდეგ, რაც ვატიკანმა დაგმო „და ვინჩის კოდი“, რამდენიმე ეკლესიამ, მათ შორის, ლონდონის ვესტმინსტერის სააბატომ კინოსტუდიას საკუთარ ტერიტორიაზე გადაღებების უფლება არ მისცა. პარიზის შემდეგ, კინოჯგუფი გადაღებებს მალტაზე გააგრძელებს, სადაც ისტორიული სცენების გადაღებაა დაგეგმილი. სურათზე მუშაობა დიდ ბრიტანეთში 19 ოქტომბერს დასრულდება. ცნობილია მსოფლიო პრემიერის თარიღიც – 2006 წლის 17 მაისი. დენ ბარუნის რომანის გამოსვლის მომენტიდან (2003 წლის 18 მარტი), წიგნის ტირაჟმა 25 მლნ ეგზემპლარს გადააჭარბა. „და ვინჩის კოდი“ უკვე 44 ენაზეა თარგმნილი. ■

ბროდვეიზე ჯულია რობერტსის დებიუტი შედგება

ნიუ-იორკის ბროდვეის ერთ-ერთმა თეატრმა რიჩარდ გრინბერგის პიესის – „სამი წვიმიანი დღე“ – დადგმაზე ჯულია რობერტსი მთავარ როლზე მიიწვია. სპექტაკლის პრემიერა 2006 წლის მარტში შედგება, ბილეთების გაყიდვა კი უკვე ამა წლის ნოემბრიდან დაიწყება. მსახიობმა განაცხადა, რომ სცენაზე თამაში, მისი დიდი ხნის ოცნებაა. პიესის დამდგმელი, ჯო მანტელო (ბროდვეიზე განხორციელებული დადგმების) ბოლო წლების ყველაზე წარმატებულ რეჟისორად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ რობერტსს არანაირი თეატრალური გამოცდილება არ გააჩნია, მანტელო დარწმუნებულია, რომ ის დაკისრებულ როლს შესანიშნავად გაართმევს თავს. პიესა „სამი წვიმიანი დღე“ ბროდვეიზე არასოდეს დადგმულა, მაგრამ ინგლისურენოვანი სამყაროს თეატრალებისთვის ის კარგად ნაცნობია. პირველ აქტში ბავშვები მოულოდნელად შეიტყობენ ოჯახური საიდუმლოს შესახებ. მეორე აქტში იმავე ამბავს უკვე მშობლები ჰყვებიან. რობერტსის დებიუტი ბროდვეიზე, ჰოლივუდელი ვარსკვლავების ბროდვეისეულ დადგმებში მონაწილეობის ამ ცოტა ხნის წინანდელი ტალღის გაგრძელებაა: ამ სეზონში დენზელ ვაშინგტონი თამაშობდა შექსპირის „იულიუს კეისარში“, ჯესიკა ლანჟი – ტენესი უილიამსის – „შუშის სამხეცეში“, კეტლინ ტერნერი კი – ედვარდ ოლბის პიესაში – „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“ ■

ძასოყის ძეები

ლუბა ელიამვილი

(დასაწყისი „გზა“ №28-31)

ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა, რომელიც ახლა, მაგდა კრიხელის მიერ დაფუძნებულ რადიოში მუშაობს და დროებით, სანამ მაგდა ამერიკაშია წასული, მის სახლში მთაწმინდაზე ცხოვრობს, ცდილობს, დაადგინოს, თუ ვინ დაჭრა მისი ლაბრადორი ბონი და მართლა ეგდო ძაღლის გვერდით ადამიანის მოჭრილი თავი თუ ეს მას მხოლოდ მოეჩვენა... ნიორას უფროსი, ირაკლი მაღრაძე და მისი მეგობარი, გამომძიებელი ალეკო ბაღაშვილი ეჭვის თვალით უყურებენ მარიანას საგამომძიებლო შესაძლებლობებს... მაგდას მოსამსახურე, ნაზიკო, ნიორას უყვება მეზობელი გოგონას, 22 წლის ბაიას უცნაურობების შესახებ, რომელსაც მისი თქმით, მხატვარი ბაკური უყვარს.

თავისი რადიოგადაცემის მორიგ თემად ნიორა, მოჩვენებებს ირჩევს. ცოცხალი ეთერის დროს, მას ურეკავს კაცი, რომელიც ოიდიპოსის მეტსახელით წარუდგება და ეუბნება — მინახავს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მოჩვენება, რომელსაც წითელი კაბა აცვია და თავზე ვარდების გვირგვინი ადგას, ყელი აქვს გამოჭრილი და მუცელი გამოფატრულიო... მეორე დღეს, გამომძიებელი ალეკო ბაღაშვილი გაუმხელს, რომ მოკლული, ვინმე თამილა არდაშელიაა, რომლის მეზობელმა ქალმა, მეტსახელად შავმა მარომ, გამომძიებელ მირიან ბოკუჩავას უთხრა, რომ დაღუპულს ჰყავდა ამ სახელისა თუ მეტსახელის მქონე ნაცნობი... ალეკო ასევე გაანდობს ნიორას, რომ შავი მარო ახალგაზრდობაში ბებიაქალი იყო და ერთ-ერთი მშობიარის მოტყუების ბრალდებით გაასამართლეს. 40-ოდე წლის მარტოხელა ქალს უთხრეს — ჩვილი მკვდარი დაიბადაო; ახალშობილის ამყვანი შემთხვევით, მშობიარის ნათესავი აღმოჩნდა, სიმართლე გაირკვა და ბავშვი დედას დაუბრუნეს...

მარიანა წინა დღეების ამბებს იხსენებს: ძაღლთან ერთად სეირნობისას, ის ბაიას მამას, ლევან მანჯავიძეს ხვდება, რომელიც მოულოდნელად ეუბნება — თქვენი დახმარება მჭირდება და თუ შეიძლება, შინ გესტუმრებითო. მათ დიალოგს ბაკურ სანაძის გამოჩენა წყვეტს: როგორც კი მხატვარი, თავის ძაღლთან, რექსთან ერთად მათ მიუახლოვდება, ლევანი იქაურობას გაეცლება...

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვეულებრივად მშვიდი ბონი, რატომღაც გაგიჟდა: ყეფდა, იღრინებოდა და რექსის პატრონისკენ იწევდა. გერმანული ნაგაზიც დროდადრო პასუხობდა მის აგრესიას. გასაკვირი არაა, რომ ამ რია-რიაში ყურადღების კონცენტრირება ვერ მოვახერხე და შეცდომა დავუშვი — უხალისოდ წავბლაყუნდი წყაროსკენ. მართალია, ჩემმა დღევანდელმა აქციამ ის შედეგი გამოიღო, რომ ამ საღამოს ლევანი თავისი ფეხით მეახლება შინ, მაგრამ პროგრამა-მაქსიმუმი მაინც ვერ შევასრულე და ბაკური ხელიდან დამისხლტა. სულის მოსათქმელად წყაროსთან ჩამოვჯექი.

— ისევ მოხვედი აქ, შე ალქაჯო?! არ დაანებებ თავს ამ ბიჭსა? აუცილებლად სული უნდა წაუწყმიდო?! — გამომიხტა ბუჩქებიდან საფრთხობელასავით ჩაცმული არსება.

— თავი დამანებეთ, რას მერჩით! — დავიკვნესე მე და შიშისაგან ფეხზე წამოვხტი.

— რამდენჯერ გითხარი, აქ აღარ მოხვიდე, თორემ, შენც და მამაშენსაც თავებს გაგიჩეჩქვავთ და იმ გველაძუა დედაშენსაც ზედ მიგაყოლებ! — ბობოქრობდა ჟღალწვერა მოხუცი და ჯოხს მიღერებდა. არა, აქ აშკარად რაღაც შეცდომაა. მე იქნებ, პროფესიული საქმიანობის გამო, ცხოვრების რომელიღაც ვირაჟზე მართლაც გადავიმტერე ვინმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ, მაგრამ დადაჩემი ირა აბრამიშვილი და მამაჩემი პაატა ნიორაძე — ეს ორი მშვიდობის მტრედი, რომლებიც გაყრის შემდეგაც კი ტკბილ და ინტელიგენტურ ურთიერთობებს ინარჩუნებენ, წარმოუდგენელია, ვინმეს ასე სძულდეს, — გავიფიქრე და გული მომეცა.

— რა დაგიშავეთ, ბატონო, რას მერჩით? მე სულ არ გიცნობთ, ვინ ხართ? — რაც შეიძლება მშვიდად მივმართავდი ჩამოძონძილ მაწანწალას და თანდათან უკან ვიხევდი. ამ დროს, ბონიმაც მოირბინა, ჩემთვის მოღერებული ჯოხი არ მოეწონა და ღრენა დაიწყო.

— მგონი, მართლა შემეშალე, შვილო. ლევანასთან დაგინახე და მაგის წუპაკი გოგო მეგონე, — გამიცინა საფრთხობელამ. ახლა უკვე აღარ ჰგავდა არაადეკვატურ შეშლილს, ცისფერი თვალები ხალისიანად უცინოდა.

— მე თომა ვარ, აქა ვცხოვრობ, ხეზე, ჩიტივითა... — მისმა კეთილგანწყობამ გამბედაობა შემმატა.

— მე კი თქვენი ახალი მეზობელი ვარ, ძაღლს ვასეირნებ, — განვმარტე ჩემი აქ ყოფნის მიზეზი. — თუ გაწუხებთ, ახლავე წავალ.

— შენა, ანტონას სახლში რომ გადმოხვედი, ისა ხარ? — დაინტერესდა ჩემი ახალი ნაცნობი. — მაგათი ნინიკოს ცოდვაც მაგ ასპიტების კისერზეა. ბაჩო მიშლის, თორე, დიდი ხანია, ვუჩვენებდი სეირსა.

მწყრის სუნნაკრავი პოინტერივით დავდექი ნაბულზე:

— განა ნინიკომ თვითონ არ მოიკლა თავი? — ჩავეკითხე თომას.

— ხოო, თითონა, მაგრამ რატომა?.. მაგ როკაპმა უთხრა დედამისის ამბავი. ე ბიჭიც გამიუბედურა... — ხელი ჩაიქნია თომამ. — ჩემთან მოდი შენა. ერთ სურათს გაჩვენებ, ყველაფერს მიხვდები. ინტერესიანი გოგო ჩანხარ, — ეშმაკურად მოწკურა თვალები ჩემმა ინფორმატორმა. საათს დავხედე.

— ახლა არა მცალია, ხვალ დილას ამოვალ, თუ შეიძლება.

მართლა ძალიან მაგვიანდებოდა. ეგეც არ იყოს, ვიდრე ამ თომას სახლში წავყვებოდე, ერთი იმასაც გავარკვევ, უწყინარია თუ „ბუინი“; სულ ნორმაში რომ არ არის, ისედაც ცხადია.

— დილას არ იქნება, წირვაზე უნდა ვიყო ეკლესიაში. მზე რომ გადაიწვერება, მერე მოდი, აი, იქა ვცხოვრობ, ზემოდან რო გადმოხედავ, დაინახავ. ტოტებში შიფერი მოჩანს, — არ სწყენია ჩემი უარი თომას.

ერთი გასეირნებისათვის თავგადასავალიც ბევრია და შედეგიც, — გავიფიქრე და კმაყოფილი გავქანდი სამსახურში. გზაზე მე და ბონი მხოლოდ ერთხელ შევფერხდით, როცა რექსი ისევ დავინახეთ. იგი კვლავ პატრონის გარეშე იდგა ტყეში, მაგრამ ლაბრადორი ისე გულადად იქცეოდა, მივხვდი, ნაგაზი ხეზე იყო მიბმული და მეც აღარ შემშინებია. ცოტა ხანში ბაკურიც დავინახე, თავზე ყვითელი ლენტი შეეხსნა, ახლა უკვე ლურჯი ფორმა ეცვა და კლდიდან ეშვებოდა. მაგარი უცნაური ტიპია, — გავიფიქრე და გზა განვაგრძე.

იმ საღამოს ლევანი ზუსტად ცხრა საათზე გამომეცხადა, ხელში „ითი იდეალის“ გემრიელი ტორტითა და წითელი ვარდების თაიგულით. ბაღაშვილის ნაამბობი გამახსენდა, მოკლული ქალისა და წითელი ვარდების შესახებ და თაიგული ცივად მივაჩეჩე ნაზიკოს. მან მისაღებ ოთახში მოგვიტანა ჩაი და მორთმეული ტორტი დაგვიჭრა.

— მაპატიეთ, მარიანა, ჩემი დილანდელი საქციელი. თუ ნებას დამრთავთ, სახელს დაგიძახებთ, ქალბატონოს გარეშე, რაც არ უნდა იყოს, შვილად მეკუთვნით, — ვრცელი შესავლით დაიწყო სტუმარმა.

— რა შეემთხვა თქვენს ქალიშვილს? — პირდაპირ საქმეზე გადავედი მე.

— ღამე სახლიდან გაიპარა და უკვე მეორე დღეა, შინ არ დაბრუნებულა, — ისე სევდიანად მითხრა ლევანმა, ჩემი უხეშობის შემრცხვა.

— პოლიციისთვის არ მიგიმართავთ? — თანაგრძნობით აღსავსე თვალები შევანათე გულდათუთქულ მამას, მგონი, დამაჯერებლად გამომივიდა. მაწანწალა თომას სიტყვები, მათი ოჯახის ასპიტობის შესახებ, თავიდან არ ამომდიოდა და ხელს მიშლიდა ლევანის დარდის გულწრფელად გაზიარებაში.

— ჯერ გადავწყვიტე, თქვენთვის მეთხოვა დახმარება... იცით, საქმე ისაა, რომ ბაია ბოლო დროს, თავს კარგად ვერ გრძნობს, მე კი ამის შესახებ პოლიციასთან ლაპარაკი არ მსურს. თუ დამეხმარებით, პატივისცემის გარეშე არ დაგტოვებთ, — „მსუქანი“, თეთრი კონვერტი მორიდებულად დადო მაგიდაზე მოქანდაკემ. ნაზიკოს ნაამბობი გამახსენდა, მეზობელი გოგონას უცნაურ საქციელსა და სიყვარულზე.

— იქნებ, ცოლად გაჰყვა ვინმეს? გამორიცხული არ არის, ოცდაორი წლის ქალიშვილს საქმრო ჰყავდეს, — ბრიყვულად ვცადე უსიამოვნო დავალებისგან თავის დაძვრენა და კონვერტი ისევ მისკენ გავაჩოჩე. — იცით, სულიერი აშლილობა, შესაძლოა, გარდატეხის ასაკის თანამდევი მოვლენა იყოს და შემდგომში უკვალოდ გაქრეს. მე თუ მკითხავთ, პოლიციისთვის ამის თქმა სულაც არაა სირცხვილი. იქნებ, მას კვალიფიციური ფსიქიატრის დახმარება უფრო სჭირდება, ვიდრე ჩემი. დედა-ჩემი ფსიქოლოგია და გირჩევთ, ვისთან მიხვიდეთ...

— თქვენ, ალბათ, ვერ გამიგეთ... ჩემი გოგონა ნარკომანია და როცა სახლიდან წავიდა, უმძიმეს აბსტინენციაში იმყოფებოდა. დარწმუნებული ვარ, პოლიციაზე უკეთ, თქვენ გაართმევთ თავს ჩემს პრობლემას, თანაც გარეგნობითაც საოცრად ჰგავხართ ჩემს ბაიას... თქვენსავით ლამაზი მწვანე თვალები აქვს და ქერაა, — ქალიშვილის ფოტო გამომიწოდა მეზობელმა. — მარიანა, გემუდარებით, ნუ გამაწბილებთ!

ისევ თომა გამახსენდა, იმასაც მოეჩვენა, რომ ლევანის ქალიშვილს ვგავდი. მივხვდი, ძალაუნებურად უკვე დავინტერესდი ჩემთვის უცნობი გოგონას ბედით და მტკიცედ გამოვაცხადე:

— კეთილი, ვეცდები, დაგეხმაროთ, ოღონდ, ორი პირობით: ჯერ ერთი, ფულს არ ავიღებ და მეორე, ჩემს შეკითხვებს გულახდილად უნდა უპასუხოთ.

— სხვა რა გზა მაქვს!.. — უხალისოდ გამომართვა თავისი კონვერტი სტუმარმა.

— ბატონო ლევან, რა დაუშავეთ მაწანწალა თომას? რატომ არ უყვარს მთელი თქვენი ოჯახი? — ვაჯახე პირდაპირ. მოულოდნელობის ეფექტს აშკარად მივაღწიე: მანჯავიძეს სახე აელეწა და თვალები გაუფართოვდა.

— მე მეგონა, უფრო ბაიაზე ვილაპარაკებდით, მაგრამ რაკი შევთანხმდით, რომ თქვენს შეკითხვებს გულახდილად ვუპასუხებ, ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება. ამ ოცდახუთი წლის წინ, როცა თქვენ დაბადებულიც არ იქნებოდით, ჩემო ლამაზო ქალბატონო, ამ ქალაქში ორი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა, სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად. მშიერი კუჭის, გაფხეკილი ჯიბისა და ხატვისადმი უსაზღვრო სიყვარულის გარდა, მათ არაფერი ჰქონდათ საერთო, მაგრამ მაინც დამეგობრდნენ და მთაწმინდაზეც ერთად იქირავეს ბინა. ერთს, მეტად ამბიციურს, თავი ნიკო ფიროსმანაშვილის დარ გენიოსად მიაჩნდა და შემოქმედებითი ოლიმპის დაპყრობა სურდა. მეორე — უფრო ნაკლებპრეტენზიული იყო. მისი ოცნება, დედაქალაქში მყარად ფეხის მოკიდება, კარგი ოჯახის შექმნა და უზრუნველი ცხოვრება გახლდათ. მოკლედ, ერთი სულ ცაში დაფრინავდა, თავს მიმინოს ადარებდა, მხარზე უცნაური ხალი ჰქონდა, ფრთაგაშლილ ფრინველს ჰგავდა, აიხირა — ჩემი ტოტემის ნიშანია, თავისუფალი ჩიტი ვარ, გალიაში ვერავინ ჩამსვამსო... მოკლედ,

დარდიმანდი და ფანტაზიორი იყო. მეორე – საყრდენს მიწაზე ეძებდა, სასმელს არ ეტანებოდა, შრომა არ ეზარებოდა, სწავლაც უყვარდა და არც სიყვარული ეგონა გალია...

– ეს ორი ახალგაზრდა, თქვენ და ანტონ დარჩია იყავით? – თხრობა შევაწყვეტინე რომანტიკულ მოგონებებში ჩაფლულ მოქანდაკეს.

– არა, მე და თომა გოგოლაშვილი.

– ვი-ინ? – წარბები შუბლზე ამივიდა გაკვირვებისგან.

– აი, სწორედ ის თქვენი ნაცნობი, მაწანწალა თომა. ანტონ დარჩია უბნიდან დაგვიმეგობრდა, თბილისელი იყო, ჩვენზე ორი წლით უფროსი და უკვე აკადემიაში სწავლობდა. პირველად, სწორედ ანტონ დარჩიასთან გავიცანით „კნიაჟნა ტარაკანოვა", გულცივი მზეთუნახავი, რომელმაც ჩვენს მეგობრობას ბზარი გაუჩინა და ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთის მტრებად გვაქცია. მიუხედავად იმისა, რომ მე და თომას ბინა, თამარ სანაძის ბებიის, ნუცა დადიანის სახლში გვქონდა ნაქირავები, მას მხოლოდ შორიდან ვუცქერდით და „კნიაჟნა ტარაკანოვაც" მაშინ შეარქვა თომამ. ბებია ნუცას ოროთახიან ნახევარსარდაფში, პირველ სართულზე საწყალ სტუდენტებს ტარაკნები გვჭამდნენ, ჩვენი დიასახლისი კი ნამდვილი არისტოკრატივით ცხვირს სწევდა, თავს არ გვიყადრებდა, შვილიშვილს არ გვაკარებდა. ექვსი თვე ისე ვცხოვრობდით, თამარს მხოლოდ მეორე სართულის აივანზე თუ მოვკრავდით თვალს. თავმოყვარე თომას ძალიან აღიზიანებდა ბებიისა და შვილიშვილის ამპარტავნება და ეს მეტსახელი ქალიშვილს იმიტომაც მოუგონა. ნუცა დადიანის შესახებ მთაწმინდაზე ათასგვარ ლეგენდას ჰყვებოდნენ. ზოგი ამბობდა, ბერიას საყვარელი იყო, „ენკავედესთან" თანამშრომლობდა და ბოლშევიკებს იმიტომ გადაურჩაო, ზოგი – არაფერი თავადის ქალი არ არის, გვარი რომელიღაც ქმარმა „უსახსოვრაო". იმასაც ამბობდნენ, მუთაქაში მიურატების საგვარეულო ძვირფასეულობას თუ ნიკოლოზ მეორის ნაჩუქარ ოქრო-ვერცხლს ინახავსო. დღესაც არავინ იცის, რა იყო მართალი და რა – გამონაგონი. ერთი რამ ცხადია: ქალბატონ ნუცას არასდროს უჭირდა. მას შემდეგაც, რაც მისი ქალიშვილი სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა, შეძლებულად ცხოვრობდა. პატარა ბიჭიც კი იშვილა და გაზარდა. მერე, მათი ორსართულიანი ხუხულის ადგილზე, მაღალი კორპუსი წამოჭიმეს და იქ მიიღო ორი ბინა. ეგ მთაწმინდის ახალმშენებლობების ერთ-ერთი პირველი მაღალი სახლი იყო.

– ამ ყოველივეს, თქვენი და თომას ურთიერთობასთან რა აქვს საერთო? – მოგონებების ძაფი გავუწყვიტე ლევანს.

– რა და თამარმა, ბებიის სახლი სიყვარულის გამო დატოვა. თომას გაცნობისთანავე შეუყვარდა ქალი, სულ ოხრად დარჩა ოქროს გალიაზე მოგონილი თეორიები. ნუცა კი მათი ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყო... მოკლედ, ერთხელაც, ბებიამ მდგმურები – მე და თომა – სახლიდან გაგვყარა და თამარი შინ ჩაკეტა. ჩვენ, ჩემმა ახლანდელმა მეუღლემ, ესმამ შეგვიფარა. ერთ ღამეს, თამარი გამოგვეცხადა ჩემოდნით... ორი კვირა ტკბილად ვიყავით, მერე თომამ და თამარმა იჩხუბეს და ქალი მას შემდეგ კარგა ხანს აღარავის უნახავს, სადღაც გაქრა. ნუცა ბებიამ მილიციაც კი დაგვასია, მაგრამ ვერაფერში დაგვადანაშაულეს და თავი დაგვანებეს. თომამ თავის უსიამოვნებაში ბრალი მე და ჩემს შეყვარებულს, ესმას დაგვდო, მას მერე შეგვიძულა. ცოტა უცნაური ტიპი მაშინაც იყო, ამ ამბავმა კი სულ გააუკაცურა. ახლა ხომ ხედავთ, ქუჩაში ცხოვრობს. არადა, ისე ხატავდა, ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

– ნუცას და თამარს რაღა მოუვიდათ?

– დადიანის ქალი შვიდი წლის წინ გარდაიცვალა. სიბერეში, ანტონ დარჩიას გარდა, აღარავის ეურთიერთებოდა – ძველი სახლი რომ დაუნგრიეს, ის და ბიჭი ანტონმა შეიფარა თავისი ბარგი-ბარხანიანად და იმიტომ. ნუცა ამ, თქვენი სახლიდან, გაასვენეს, აქ გარდაიცვალა. ბებერი ალქაჯის სიკვდილის მერე, ანტონს დიდი უბედურება შეემთხვა – ნინიკომ თავი მოიკლა. ანტონის ბრალია, ეგ სატანის ნაშიერები თავის ქალიშვილთან ერთად არ უნდა ჰყოლოდა. ბიჭიც უჟმური გაიზარდა. ხომ ნახე, დილას გამარჯობაც არ მითხრა. თამარი კი, როგორც გავიგე, მოგვიანებით გამოჩნდა და ვიღაც ფოთელ არდაშელიას გაჰყვა ცოლად. ბებიამისს, ნუცა დადიანს არაფერი გაუტანებია მისთვის მზითვში, ეტყობა, სახლიდან გაქცევა არ აპატია. რაც ებადა, ბაკურს და ანტონს დარჩათ.

გვარი მეცნო, მაგრამ ბევრი აღარ ჩავეძიე. გამოდის, რომ ის ქერა ტიპია ნუცას მემკვიდრე, ვისმა ძაღლმაც შემაშინა დილას. ყურადღებით ვუსმენდი და დეტალებს ფურცელზე ვიწერდი, მაგრამ დიდად არ ვიყავი დარწმუნებული მათ რეალობაში. ამ ამბებს ლევანი ისეთი პაუზებითა და თვალის ცეცებით მიყვებოდა, მივხვდი, რაღაცას მალავდა და გადავწყვიტე, ამ ამბის დამალული ნაწილი თომასგან გამეგო. სამაგიეროდ, ბაიას გაპარვის შესახებ მამამისმა წვრილად მიამბო ყველაფერი. იმ ღამეს, ქალიშვილს ლევანის შინ არყოფნით უსარგებლია და სახურავიდან გადამძვრალა ეზოში. ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი, ვინ იყო ჩემი „ღამის მოჩვენება", მაგრამ ამ ამბავმა სულაც არ დამამშვიდა.

– თქვენ სად იყავით იმ ღამეს? – ვკითხე ლევანს უფრო, დროის გასაყვანად, თან გამალებით ვიხსენებდი ჩვენი საუბრის რაღაც მნიშვნელოვან დეტალს, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ყველაზე საყურადღებო ინფორმაცია გამომრჩა. ჩემდა გასაკვირად, ამ უწყინარმა შეკითხვამ მანჯავიძე უცნაურად აჭრა.

– იმას კი დაგპირდით, რომ გულახდილად გეტყოდით ყველაფერს, მაგრამ ნება მიბოძეთ, ჩემი პირადი ცხოვრების საიდუმლო შევინახო, მით უმეტეს, რომ ეს ბაიას გაუჩინარებას არ ეხება, – ცოტა უკმეხად მომიგო მან და წასასვლელად მოემზადა.

– ხომ არ იცით, ვინ უყვარდა ბაიას? – ვაჯახე, კართან მისულს.

– ვერ გეტყვით. ნინიკოს სიკვდილის შემდეგ, ძალიან ჩაიკეტა, გულჩათხრობილი გახდა, აღარაფერს მიამბობდა. მერე ნარკომანობაც შევამჩნიე და სულ გაგვიფუჭდა ურთიერთობა. ეს ერთი შვილი მყავს, ჩემი ესმა ვერ მოინელებს მის დაკარგვას, ძალიან მძიმედ არის ავად, გულის მანკი აქვს. არც კი ვიცი, რა ვუთხრა. ვატყუებ, რომ კლინიკაში დავაწვინე სამკურნალოდ. დამეხმარეთ, გთხოვთ, – ერთხელაც შემეხვეწა მეზობელი და გამეცალა.

საგონებელში ჩავარდნილმა, დაცვის პოლიციას დავურეკე და სასწრაფოდ მოვითხოვე სახლში დამატებითი ვიდეოკამერების დამონტაჟება. ნაზიკო უკვე წავიდა. მე კი ღამე სახლში მარტო დარჩენის პერსპექტივამ, ამ საუბრის შემდეგ, რატომღაც დამაფრთხო. გადავწყვიტე, საღამოს დარჩენილი ნაწილი დაცვის პოლიციელების საზოგადოებაში გამეტარებინა.

ილია და აკაკი მაშინვე გამოცხადდნენ, თან ვიღაც უცხო კაცი მოჰყვათ, როგორც აღმოჩნდა, სიგნალიზაციის სპეციალისტი. ღმერთმა დალოცოს საბაზრო ეკონომიკა, ახალმა შეკვეთამ დაცვის კომერციული დირექტორი ისე გაახარა, არც კი უკითხავს, ამ შუაღამეზე რა მეტაკა. სასწრაფოდ გამომიგზავნა თავისი თანამშრომლები. დილის ხუთი საათისთვის, ჰოლისა და უკანა კარის თავზე ოსტატურად ჩამონტაჟებული კამერები ამუშავდა. პოლიციელებს მადლობა მოვახსენე და მაგდას მის სახლში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ვუპატაკე. ის დამპირდა, რომ ამერიკაში ანტონ დარჩიას ქვრივს მოძებნიდა და

მისგან შეეცდებოდა ჩვენს სახლში მომხდარი ამბების დეტალების გარკვევას.

— სახლი მისი რწმუნებით აღჭურვილმა ადვოკატმა მოგვყიდა, თვითონ სადღაც აქაა, ამერიკაში. ადვოკატის კოორდინატები ვიცი, ის მაპოვნინებს მარინას, — ხალისით ჩაერთო ძიებაში ჩემი დაქალი. ამ ამბავმა გამამხნევა. გულარხეინად გამოვიძინე, ათ საათამდე. დღეს ეთერი არ მაქვს.

ხუთ საათზე სამსახურიდან შინ დაბრუნებულს, ნაზიკომ ჩემი საყვარელი ავოკადოს სალათა და შემწვარი ხორცის დიდი ნაჭერი დამახვედრა. თომასთან საინტერესო შეხვედრის მოლოდინში, კომპიუტერს მივუჯექი და ჩემი მასალის სისტემაში მოყვანას შევუდექი. უთავბოლოდ შეყრილი ინფორმაციის დალაგებას თითქმის ორი საათი დასჭირდა. საღამოს შვიდი საათისთვის მე და ნაზიკო ერთად გამოვედით შინიდან. სეირნობის მოყვარული ბონი საქმიანად მოცუხცუხებდა ჩემ გვერდით. წყაროზე ნაცნობ ქალებს გადავეყარე. დალი და ანანო ბოთლებით იყვნენ ამოსული წყლის წასაღებად.

— ხომ არ იცით, თომა სად ცხოვრობს? — ვკითხე ქალებს.

— იმ ფერდობს გადაივლი თუ არა, დაინახავ, ოდნავ ქვევით, ხევში, ხეზე აქვს სახლი მოწყობილი, — ხელით მიმანიშნა მიმართულება დალიმ.

— ახლახან შეგვხვდა, მინდვრის ყვავილების უზარმაზარი თაიგული ეჭირა. თქვენთვის ხომ არ დაკრიფა? — ეშმაკურად გამიღიმა ანანომ. — თომამ თქვენი პორტრეტის დახატვა თუ შემოგთავაზათ, არ დათანხმდეთ: ისეთს დაგანახვებთ თქვენს თავს, სიცოცხლე აღარ მოგინდებათ. მაგის პორტრეტებში საკუთარი თავი არავის მოსწონს, მაგრამ მაინც მაგარია.

— ეგ როგორ გავიგო? — ვკითხე ქალებს.

— აი, სურათებს რომ ნახავ, მაშინ გაიგებ...

აშკარად დაინტრიგებული გავუდექი გზას თომას „სახლისაკენ“. გზად ბონი მოვიკითხე, მაგრამ ვერსად ვნახე. სამაგიეროდ, თომას სახლი უპრობლემოდ ვიპოვე. ჩემთვის უცნობი ჯიშის ხის გატოტვილ ვარჯზე, მიწიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, ნამდვილი წკნელის სახლი იყო გამართული, ფიცრის იატაკითა და შიფერის სახურავით. ხეს შემოხვეულ სუროს სახლის კედლები მთლიანად დაეფარა. პატრონს ესთეტიკურ მხარეზეც ეზრუნა და ფასადზე წითელი ხვიარა ვარდი აეშვა. ტყის ქოხი ისეთი ლამაზი იყო, თითქოს კეთილმა ფერიამ გააჩინა ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით. შეუძლებელია, ამ სახლის პატრონი ბოროტი იყოს, — გავიფიქრე გულის დასამშვიდებლად და ჩუმად დავიძახე:

— ბატონო თომა, მოვედი.

არ მინდოდა, ჩემი ხმა ჭორიკანა ქალებსაც გაეგონათ. არავინ გამომხმაურებია. შევშფოთდი და ბონის დავუწყე ძახილი. თითქოს შორიახლო, მისი ყეფაც შემომესმა, მერე რაღაც ბრაგვანის ხმა გავიგონე.

— ბონი, მოდი ჩემთან! — გავძახე, რაც შემეძლო ხმამაღლა. პასუხად — ისევ სიჩუმე. გადავწყვიტე, მემოქმედა.

ხეზე შემოხვეულ სუროს მოვეჭიდე, ავძვერი და სახლში შევიჭყიტე: იატაკზე საძილე ტომარა და მწვანე მუთაქა ეგდო. მეორე კუთხეში, ხის დაბალ მაგიდაზე, მინის სამლიტრიან ქილაში მინდვრის ყვავილებისა და ტოტების ულამაზესი თაიგული ჩაედო სახლის პატრონს. იქვე დაბალი, სამფეხა სკამი იდგა. სახლის კედლები და იატაკი ზეთით, გუაშით და ფანქრით შესრულებულ უამრავ ნახატს აევსო. მათი ფერადი პალიტრა ჩამავალი მზის შუქზე თვალისმომჭრელს ხდიდა ქოხის ინტერიერს. ნაივური მხატვრობის ეს ნიმუშები უცნაური შუქით იყო გამთბარი. ფერწერის დიდი სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათი ავტორი აშკარად ნიჭიერი და არაორდინარული ადამიანია. ჩემი ყურადღება ერთმა სურათმა მიიპყრო: ბაღის სკამზე ჩამომჯდარ, ქერა, თმაგაწეწილ, სევდიან მამაკაცს, რომელიც ძალიან ჰგავდა თომას, მარჯვენა და მარცხენა მუხლზე ორი თავისივე ასლი, მომცრო ფიგურა, ეჯდა. ამ ფიგურათაგან ერთი — კეთილი და ხალისიანი იყო, მეორე კი — მოღუშული და ბოროტი. გაორებული ტიპის სურათმა კიდევ ვიღაც გამახსენა, მაგრამ ვერ მივხვდი, კონკრეტულად ვინ. დაპატიჟებული სტუმრის უფლებით ვისარგებლე და ქოხში კარგა ხანს გავჩერდი, თან სურათები ვათვალიერე. პორტრეტებში ერთი და იმავე ქალის გამოსახულება ჭარბობდა. ალბათ, ეს არის „კნიაჟნა ტარაკანოვა“. თომას პრიმიტივისტულ ნახატებში ქალი ხან ძალიან ნაზი და რომანტიკული ჩანდა, ხან კი — გოროზი და ბოროტი. როცა ლოდინით დავიღალე და ჩემი მასპინძლის ნახვის იმედი საბოლოოდ გადამეწურა, ბონის უშედეგო ძებნა განვაახლე. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე თომას მოკვეთილი თავი, რომელიც შემდეგ, საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა. ალბათ, ახლა უკვე გასაგებია თქვენთვის, რატომ ვარ თითქმის დარწმუნებული, რომ უსახლკარო მხატვარი ჩემმა ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ დაღუპა. გამახსენდა, როგორ ვაჯახე ლევან მანჯავიძეს — თომას რატომ არ უყვარხარ-მეთქი? — და ცრემლი მომერია. რადაც არ უნდა დამიჯდეს, ის უნამუსო კაცი უნდა ვამხილო. იქნებ, ვცდები, მაგრამ მგონია, ჩემთან საუბრის შემდეგ, ლევანს, თომას სახით, ცოცხალი მოწმე აღარ სჭირდებოდა; გასარკვევი ისაა, თუ რომელი დანაშაულის მოწმე. არავინ კლავს ადამიანს ოცდახუთი წლის წინანდელი წყენის გამო. იმ თამარ სანაძეს უნდა მივაგნო და ყველაფერი გაირკვევა. გაფიქრება ადვილია — გაკეთებაა ძნელი. ეგეც არ იყოს, მე ჯერ ბაია უნდა მოვძებნო. სხვა თუ არაფერი, ამ საბაბით მანჯავიძეების სახლში შელწევას და იმის გარკვევას შევძლებ, თუ სად იყო ბატონი ლევანი თომას დაღუპვის დღეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როგორ მოაგებინა დერიუგინმა საბჭოთა ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატი

გომელსკი „დინამოს“ „ცენტრს“ „ცეესკაში“ გადასვლის სანაცვლოდ ბინას სთავაზობდა

დერიუგინი კალათბურთიდან მიხეილ ქორქიას აცილებს

სპორტის სათამაშო სახეობებში ქართველებს მსოფლიო ჩემპიონი ბევრი ნამდვილად არ გვყავს და ერთ-ერთი მათგანი ნიკოლოზ დერიუგინი გახლავთ, რომელმაც კალათბურთში პლანეტის პირველობა 1982 წელს კოლუმბიაში მოიგო. ამ ტიტულის მფლობელი საქართველოში, დერიუგინის გარდა აწ გარდაცვლილი ზურაბ საკანდელიძე გახლდათ. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ბატონი კოლიას როლი ქართულ კალათბურთში ფაქტობრივად, უგულებელყოფილია და მისი ცოდნის გამოყენებას ჩვენი კალათბურთის ფედერაცია ნამდვილად არ ცდილობს...

გიორგი ლანჩავა

თბილისის „დინამოთი“ დასრულებული, ავტოინსპექტორის იდეა

– 6 წლის ვიყავი, როდესაც ქუთაისში ჩვენი საცხოვრებელი სახლის ეზოში, მამაჩემმა ალექსანდრე დერიუგინმა კალათბურთის ფარი ჩამოკიდა და დილიდან საღამომდე იქ ვთამაშობდი. ერთხელ, ადგილობრივმა ავტოინსპექტორმა შემამჩნია, რომელმაც ჩემში ეტყობა, რაღაც ნიჭი დაინახა და მამას შესთავაზა, კალათბურთის სექციაში სავარჯიშოდ მწვრთნელ ზაურ ჩარკვიანთან მივეყვანე. ასე დავკავდი სპორტის ამ სახეობით, თუმცა ჩარკვიანთან მხოლოდ 6 თუ 7 თვე ვივარჯიშე, რის შემდეგაც წვრთნა სულიკო თორთლაძესთან გავაგრძელე, რომელმაც თავად მოისურვა ჩემი წაყვანა. თორთლაძეს ქუთაისის მწვრთნელებს შორის საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. კალათბურთელებს ამზადებდა და როდესაც ნიჭიერ მოთამაშეს შეამჩნევდა, მთელი ყურადღება პერსონალურად ერთ კალათბურთელზე გადაჰქონდა. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა და რესპუბლიკური მასშტაბის საბავშვო ასპარეზობისას, გუნდის ყველა მოთამაშეს უყვიროდა: დერიუგინზე ითამაშეთო!.. იგი თავიდან ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე მათამაშებდა და კარიერის მანძილზე ჩემთვის ბევრს უთქვამს: თორთლაძეს „ცენტრად“ რომ არ დაეყენებინე, სხვა ამპლუის მოთამაშე იქნებოდიო. როდესაც მე-9 კლასში გადავედი, უკვე თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში მოვხვდი, სადაც ლევან მოსეშვილმა და ამირან სხიერელმა მიმიწვიეს. ეს 1979 მოხდა. მათ საკალათბურთო სკოლებს შორის გამართულ რესპუბლიკურ პირველობაზე მოვეწონე, სადაც ქუთაისის გუნდის ღირსებას ვიცავდი. თბილისში რომ ჩამოველი, საცხოვრებლად დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ერთ-ერთი ოთახი გამომიყვეს. კურატორად ამირან სხიერელი დამინიშნეს, რომელიც იქვე, დიღომში ცხოვრობდა და მას ევალებოდა, დილით გავეღვიძებინე, რათა მევარჯიშა. მაგრამ როცა სხიერელი მოდიოდა, მე უკვე ვარჯიში დაწყებული მქონდა და მოედნის გარშემო ფეხშიშველი დავრბოდი. სხვათა შორის, იმ პერიოდში მხოლოდ ერთი წყვილი სპორტული ფეხსაცმელი მქონდა და მას ძალიან ვუფრთხილდებოდი. „დინამოში“ კალათბურთელებმა კარგად მიმიღეს. მიშა ქორქიამ და ლევან ქარაბაკმა, როდესაც გაიგეს ქუთაისელი ვიყავი, ძალიან გაუხარდათ. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, გვერდზე დამდგომოდნენ. იმ პერიოდში, ბონდო ბოლქვაძე უკვე კარიერას ამთავრებდა და იგი ყოველი წვრთნის დასრულებისას რჩებოდა, რათა ვევარჯიშებინე. მაშინ სხვებზე 11-12 წლით უმცროსი ვიყავი და ყველა მიყურებდა, როგორც ბავშვს. უხაროდათ, რომ რასაც მასწავლიდნენ, უმალვე ვითვისებდი.

ადგილი მზის ქვეშ

– „დინამოში“ ახალი გადასული ვიყავი, როდესაც ლევან მოსეშვილს „ლევანი ბიძია“ დავუძახე, მან გამაფრთხილა – უბრალოდ „ლევანით“ მიმმართა. ამან ჩემზე დადებითად იმოქმედა. სხვათა შორის, მოსეშვილმა თავიდანვე მითხრა, რომ იგი სულიკო თორთლაძე არ გახლდათ და „დინამოში“ მზის ქვეშ საკუთარი ადგილის დამკვიდრება თავად მომიწევდა... ბატონი ლევანი საკმაოდ ნორმალური სპეციალისტი იყო, რომელმაც მსოფლიო საკალათბურთო არენაზე გამიყვანა, რაც შემდეგ, თავადაც დაუფასდა, ვინაიდან როცა მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, მას საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს. მოსეშვილს ყველაზე დადებითი თვისება ის ჰქონდა, რომ გუნდში დისციპლინის დამყარება შეეძლო და ერთხელ დაიყვირებდა თუ არა, ყველა „სმენაზე“ ვიდექით... 1975 წლიდან მოყოლებული, 6 თვის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩებში მოსეშვილს შეცვლაზე შევყავდი, ხოლო გუნდიდან იური ძიძიგურის წასვლის შემდეგ, 1976 წლიდან, უკვე „დინამოს“ პირველ ხუთეულში დავმკვიდრდი. აღსანიშნავია, რომ ძიძიგური ბოლო პერიოდში თამაშის განმავლობაში მხოლოდ 2 ან 4 ქულას აგროვებდა და მე მის შემცვლელად ნახევარი წლის განმავლობაში მამზადებდნენ.

გინესის რეკორდი და შედეგიანი ჩქმეტა

– 1977 წელს, მოსკოვში „ცეესკას“ ვეთამაშებოდით და ის მატჩი ჩემთვის კარიერის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. მაშინ 17 წლის ბიჭმა, ისეთ გრანდთან, როგორიც არმიელთა ცენტრალური კლუბი იყო, 59 ქულა მოვაგროვე. მართალია, შეხვედრა 100:110 დავთმეთ, მაგრამ 40 წუთის განმავლობაში მოპოვებული ქულათა მარაგით, გინესის რეკორდების წიგნში მოვხვდი. თან „ცეესკაში“ ისეთი საქვეყნოდ აღიარებული კალათბურთელები გამოდიოდნენ, როგორებიც სერგეი ბელოვი და ევგე-

ნი კოვალენკო იყვნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმ პერიოდში, სამქულიანი ტყორცნები ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. მართალია, ჩემ შემდეგ, ზოგიერთმა კალათბურთელმა 60 ქულაზე მეტიც დააგროვა, მაგრამ მიხარია, რომ ასეთი შედეგის ჩვენება პირველმა შევძელი... იმავე წელს, თბილისში კიევის „სტროიტელთან" გვქონდა შეხვედრა, რომლის რიგებში ვლადიმერ ტკაჩენკო გამოდიოდა. მატჩის წინ, მოსეშვილმა მითხრა, რომ მას კიეველებთან ჩემ მიერ მოგროვებული ქულები არ სჭირდებოდა და მთავარ ამოცანად ტკაჩენკოს მოედნიდან გაძევება დამისახა. მაგრამ შეხვედრა ისე წარიმართა, რომ „სტროიტელის" ლიდერი სამწამიან ზონაში ფაქტობრივად, არ შემოდიოდა, ძირითადად, საშუალო მანძილიდან ახორციელებდა ტყორცნებს და მის პროვოცირებას ვერ ვახერხებდი. მატჩის მსვლელობისას ტკაჩენკოს მხოლოდ ორი გაფრთხილება მივაღებინე და თან „სტროიტელი" 15 ქულით გვიგებდა. მოსეშვილი სათადარიგოთა სკამიდან მეძახდა – „კოლია, გააგდე!.." – რაც წუთშესვენების დროსაც გამიმეორა. თამაშის ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯს ვაკვირდებოდი და როდესაც მან მოედანზე ისეთი პოზიცია დაიკავა, საიდანაც როგორც მე, ასევე ტკაჩენკოს კარგად გვხედავდა, ჩემკენ ზურგით მდგომ ვოლოდიას საჯდომზე მთელი ძალით ვუჩქმიტე. ეს ისე ძლიერად გამომივიდა, რომ ტკაჩენკოს ძალიან ეტკინა და ხელი დამარტყა. მეც ზუსტად ამას ველოდი და წაქცევისას სამი სალტო გავაკეთე. იმ დროს უკვე „თეატრალური ვარდნის" ოსტატი ვიყავი... მსაჯმა კი ჩასტვინა, მაგრამ ცოტა ხანს ფიქრობდა, რა გადაწყვეტილება მიეღო. ბოლოს, მან ორივე გავგაძევა მოედნიდან და „დინამომ" ის თამაში მოიგო. ეს ამბავი შემდეგ ანეკდოტად დადიოდა და იგი ტკაჩენკოსაც შევახსენე, როდესაც 2 წლის წინ, თბილისში იყო ჩამოსული.

მწვრთნელის შეცდომა და გარდატეხის შემტანი დერიუგინი

– საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში 1975 წელს მოვხვდი და იმ წელს, ათენში გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მოვიპოვე. სხვათა შორის, მე 1959 წელს ვარ დაბადებული და ნაკრებში ასპარეზობამ ჩემზე ერთი წლით უფროსებთან მომიწია, მაშინ გუნდში გენადი კაპუსტინიც გამოდიოდა. 1976 და 1977 წლებში, ევროპის პირველობა ზედიზედ ორჯერ ესპანეთში ჩატარდა, სადაც ასევე ჩემპიონები გავხდით. აქვე გეტყვით, რომ 1977-ში ნაკრებში თამაში ზურაბ გრძელიძესთან გვერდიგვერდ მომიხდა. „ცეესკასთან" თამაშისას დამყარებული რეკორდის შემდეგ, საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებშიც მიმიწვიეს, მაგრამ ბელგიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე არ წამიყვანეს, რადგან გუნდის მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ გომელსკიმ ჩათვალა, რომ ამისთვის ჯერ ახალგაზრდა ვიყავი. იმავე მიზეზით მან არც 1979 წელს ფილიპინებში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე ჩამრთო გუნდის შემადგენლობაში. სხვათა შორის, გომელსკი შემდეგ თავის მოგონებებში წერდა, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ნაკრების ოფიციალურ თამაშებში მონაწილეობის საშუალება უფრო ადრე არ მომცა. 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის წინ, გუნდთან ერთად მოსამზადებელი პერიოდი გავიარე. კოსტიუმიც კი შემიკერეს საბჭოთა კავშირის გერბით, თუმცა ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ჩემი ნაკრებში ყოფნის საკითხი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ამის გამო ძალიან ვინერვიულე და ბოლოს, მგონი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევით გადაწყდა, რომ ოლიმპიადაში მივიღებდი მონაწილეობას. არადა, მოსკოვის „დინამოს" კალათბურთელი ფესენკო, რომელიც გუნდში ჩემს კონკურენტად ითვლებოდა, ნამდვილად არ იყო იმ დონის კალათბურთელი, რომ მწვრთნელს ჩვენ შორის ასარჩევად ჰქონოდა საქმე. ოლიმპიადაზე ნაკრების შემადგენლობაში პირველი ოფიციალური თამაში ბრაზილიელთან ჩავატარე, რომელთა ლიდერი ოსკარ შმიდტი კი ცდილობდა პერსონალურად ავეყვანე, მაგრამ 17 ქულის მოგროვება მაინც მოვახერხე. მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩემპიონები რომ ვერ გავხდით, ჩვენი თავდაჯერებულობის ბრალია, რადგან გვეგონა, ამერიკელების არყოფნაში ყველა გუნდს „გადავუვლიდით". როგორც იცით, ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის გამო, ე.წ. კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მოსკოვში სპორტსმენების გამოგზავნაზე უარი თქვეს. იუგოსლავიელებთან ნახევარფინალის წინ, გომელსკიმაც შეცდომა დაუშვა, რადგან გვითხრა, რომ ამ შეხვედრის მოგების შემთხვევაში, თითოეულ კალათბურთელს ავტომანქანა „გაზ 24"-ის ტალონებს დაგვირიგებდნენ. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ოქროს მედლები უკვე ჯიბეში გვედო და ამისათვის იუგოსლავიასთან ორთაბრძოლისას დავისაჯეთ. და საბოლოოდ, ოლიმპიადაზე მხოლოდ მე-3 ადგილი დავიკავეთ. მინდა გითხრათ, რომ იუგოსლავიელების წინააღმდეგაც საკმაოდ კარგად ვითამაშე და მათი ერთ-ერთი ლიდერი, კრასიმირ ჩოსიჩი, მიხეილ ქორქიას ეკითხებოდა კიდეც – ეს ქართველი ვინ არისო? ის და ქორქია ერთმანეთს მანამდე იცნობდნენ. მოსკოვის ოლიმპიადაზე კი, ჩოსიჩს მეც დავუმეგობრდი და ორკილოიანი ქილით ხაზილალაც კი „ვუშოვე". 1982 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში კოლუმბიაში მსოფლიო ჩემპიონობა მოვიპოვე. მაშინ ფინალში ამერიკელები დავამარცხეთ და გომელსკიმ მოედანზე მეორე ტაიმში გამომიყვანა, როდესაც მეტოქესთან 3 ქულით ვაგებდით. მახსოვს, ტრიბუნაზე მჯდომმა ლევან ჩხიკვაძემ დამიძახა – „კოლია მიდი!" – მეც 6 წუთში 6 ქულა დავაგროვე და ჩვენი გუნდი დაწინაურდა. ამან გომელსკის მოგების იმედი ჩაუსახა და ჩემ მაგივრად, ტკაჩენკო ჩართო თამაშში. ფინალი საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დასრულდა და გომელსკიმ შემდეგ თავის ინტერვიუებში არაერთხელ აღნიშნა – გარდატეხა მატჩში დერიუგინმა შეიტანაო. გომელსკის კოლუმბიაში არვიდას საბონისიც ჰყავდა წამოყვანილი, რომელსაც მოედანზე არც ერთი წუთი არ გაუტარებია, მაგრამ წახალისების მიზნით, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მაინც მიანიჭეს. არვიდასი იმ დროს 16 წლის გახლდათ და 212 სანტიმეტრი სიმაღლის იყო. 1985 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებში სწორედ მან შემცვალა.

„დინამოს" ცენტრალურ თავდამსხმელს ბურთი ძველებურად ემორჩილება

ქორქიას დახმარების ხელი თეორეტიკოსი გომელსკის ნაკრებში

– გომელსკიცა და კონდრაშინიც, რომლებთან მუშაობამაც მე არ მომიწია, რადგან 1976 წელს მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ მოხსნეს, დიდი მწვრთნელები იყვნენ.

თუმცა, კონდრაშინი უფრო კარგი პრაქტიკოსი გახლდათ, ხოლო გომელსკიმ ბევრი რამ წიგნებიდან ისწავლა. თუ კონდრაშინს თაობები ჰყავს გაზრდილი, გომელსკის „ცეესკაში“ უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშეები მიჰყავდა. ნამდვილად ვიცი, რომ „სტროიტელიდან“ „ცეესკაში“ ტკაჩენკოს გადასაყვანად, ვოლოდია, რომელიც კიეველებთან ერთად კვიპროსზე მიდიოდა, საზღვარზე ვალუტის გადატანისთვის მოსკოვის აეროპორტში დაიჭირეს, ყველაფერი წინასწარ იყო მოწყობილი და მებაჟეებმა ისიც კი იცოდნენ, თუ რომელ ჯიბეში ედო ტკაჩენკოს 300 ამერიკული დოლარი. ამის შემდეგ მას განუცხადეს, რომ ან „ცეესკაში“ უნდა გადასულიყო, ან სამწლიან დისკვალიფიკაციას მისცემდნენ და საბჭოთა კავშირის საზღვრებსაც ვერასოდეს გასცდებოდა. ბუნებრივია, მან კიევიდან მოსკოვში წასვლა არჩია. გომელსკი 1977 წელს „ცეესკაში“ თამაშს მეც მთავაზობდა და მოსკოვში სამოთახიან ბინასაც დამპირდა. მეტი დამაჯერებლობისთვის, მან სახლის გასაღებიც კი მანახვა, თან ისიც მითხრა, რომ თუ „ცეესკაში“ არ გადავიდოდი, შემეძლო, მოსკოვის „დინამოში“ მეასპარეზა, რომელსაც მისი ძმა წვრთნიდა... 1977-1979 წლებში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყოფნისას, ძალიან ბევრი რამ მასწავლა მიშა ქორქიამ, რომელიც „დინამოშიც“ და ქვეყნის პირველ გუნდშიც, ჩემი მასწავლებელიც იყო და მეგობარიც. ამ ორი წლის განმავლობაში, შეკრების დროს, ერთ ოთახში ვცხოვრობდით და მისი დამსახურებაა, რომ ნაკრების შიდასამზარეულოში კარგად გავერკვე, თორემ, თამაშის მსვლელობისას, ერთი ბურთიც რომ ამეცილებინა, გომელსკი უკვე სხვა თვალით მიყურებდა. სწორედ ქორქიას წყალობით შევითვისე ის სათამაშო ჟინი, რომელიც ამ კალათბურთელს ყოველთვის ახასიათებდა. მიშა მოედანზეც და მის გარეთაც არაორდინარული პიროვნება იყო. როგორც ვიცი, ერთხელ, საბჭოთა კავშირის ნაკრები ტურნირზე პერუში იმყოფებოდა, სადაც 5 თუ 10 დოლარად ქორქიამ და რამდენიმე კალათბურთელმა მასიური ოქროს ძეწკვები შეიძინეს. მოსკოვში ჩამოსვლისას, საბაჟო კონტროლი პირველმა, ალექსანდრ ბელოვმა გაიარა, რომელსაც პერუში მოგებული თასი ეჭირა ხელში. ამასობაში, ვიდრე მებაჟეები ბარგს ათვალიერებდნენ, კალათბურთელებმა, მათ შორის ქორქიამაც, ძეწკვები კისრიდან მოიხსნეს და ვითომ ვარჯიშობდნენ, ოქროულობას სათითაოდ ბელოვს ესროდნენ, რომელიც მათ თასით იჭერდა. სხვათა შორის, ეს ის ბელოვი იყო, რომელმაც 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებს ფინალში ამერიკელებთან მოაგებინა. იგი ჯერ კიდევ აქტიური სპორტსმენი იყო, როდესაც გულის მანკით გარდაიცვალა და ექიმებმა ისიც თქვეს: რომ არ ევარჯიშა, უფრო ადრე დაიღუპებოდაო.

„ამერიკელ“ ქუთაისელთა შეთავაზება

— საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენჯერმე ვიყავი ჩასული და ერთი-ერთი ასეთი ვიზიტისას, იქ მცხოვრები ქუთაისელები გავიცანი. როდესაც გაიგეს, რომ „ცეესკასთან“ მატჩში 59 ქული მოვაგროვე, ამერიკაში დარჩენა შემომთავაზეს და თან შემპირდნენ, რომ დამმალავდნენ. როგორც მათ ამიხსნეს, თუ ასეთ ნაბიჯს გადავდგამდი, სასამართლო შედგებოდა და შტატებში ლეგალური ცხოვრების უფლებას დამრთავდნენ, ამის შემდეგ კი, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რომელიმე კლუბში თამაშის საშუალებაც მომეცემოდა. მაგრამ ამერიკაში ჩემი დარჩენა გამორიცხული იყო, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, შოთა გორგოძეს გაფრთხილებული ვყავდი: სადმე დარჩები და შენს მშობლებს დავიჭერთო... ნაკრებში ე.წ. „წითელი კუთხეც“ გვქონდა და ჩვენთვის არც პარტიული კრება იყო უცხო.

ნიკოლოზ დერიუგინი თბილისის „დინამომი“

კომუნისტი ლიდერებიც ხშირად გვსტუმრობდნენ და გვმოძღვრავდნენ, ჩინოვნიკები კი გვეუბნებოდნენ, რომ საზღვარგარეთ ქუჩაში ერთად გვევლო და უცხოელებთან კონტაქტი არ დაგვემყარებინა...

ნაადრევად შეწყვეტილი და ცალი ფეხით გაგრძელებული ჯარიერა

— 1986 წელს, საბჭოთა კავშირის თასზე მინსკის „ერტეის“ (რადიოტექნიკური ინსტიტუტის გუნდს) ვხვდებოდით. მე მეტოქეთაგან კრავჩენკო მმეურვეობდა. ერთ მომენტში, მინსკელთა ფარისკენ მოძრაობისას, მუხლში ე.წ. ჯვარედინი იოგი გამიწყდა. ოპერაცია მოსკოვში ცნობილი ქირურგის ზოია მირონოვას ვაჟმა, სერგეი მირონოვმა გამიკეთა. მეორე თუ მესამე დღეს, ნაოპერაციებ ფეხში ინფექცია შემეჭრა და 20 დღის განმავლობაში, წვეთოვანით სისხლს მისხამდნენ. ამ შემთხვევაში, იმაზე უკვე არავინ ფიქრობდა კალათბურთს ვითამაშებდი თუ არა — ექიმების მთავარი მიზანი იყო, რომ ფეხი მოსაჭრელი არ გამხდარიყო... ფეხის მოჭრას გადავურჩი, მაგრამ თბილისში ჩამოსულს, ორ დღეში ჭრილობა გამეხსნა და ჩირქი წამომივიდა. ამის გამო, ისევ მოსკოვში დაბრუნება და ისევ ოპერაციის გაკეთებამ მომიწია. როგორც შემდეგ მირონოვმა ამიხსნა, პირველი ოპერაციის დროს, მუხლში სინთეტიკური მყესი ჩამიდგეს, რომელიც ჩემმა ორგანიზმმა არ მიიღო. თურმე, ასეთ დროს, ადამიანთა 50% სინთეტიკას ეგუება, 50 კი — ვერა. იმ ოპერაციიდან მოყოლებული, 4 წლის განმავლობაში, კალათბურთი აღარ მითამაშია. 1990 წელს, ნოდარ ჯორჯიკიამ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე „თბილისში“ მიმიწვია, რომლის მოთამაშემწვრთნელი გახლდათ. იმ წელს, საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ თბილისის „ვითას“ ჩამოვრჩით და მეორე ადგილი დავიკავეთ. ისე მოხდა, რომ მაშინ თბილისში გენადი კაპუსტინი ჩამოვიდა, რომელიც 2 წელი უნგრეთის ქვედა ლიგის კლუბში თამაშობდა. როდესაც გაიგო, რომ კალათბურთს დავუბრუნდი, უნგრეთში წასვლა შემომთავაზა. ამ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი და ერთი სეზონი უნგრულ „მაიფცში“ გავატარე, რომელიც სტუდენტური გუნდი გახლდათ. სამწუხაროდ, კლუბმა მეორე სეზონისთვის სპონსორი ვეღარ იშოვა და იძულებული გავხდი, თბილისში დაბრუნებულიყავი. მალევე სანქტ-პეტერბურგელი მწვრთნელი, ანატოლი ცედრიკი დამიკავშირდა, რომელსაც ჩემი ამბავი კაპუსინისგან შეეტყო და მან სლოვაკეთის „პეზინოკში“ მიმიწვია. ამ გუნდში 1994-1995 წლის სეზონი გავატარე და სლოვაკეთში მოასპრეზე ლეგიონერებს შორის, საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი გავხდი. „პეზინოკში“ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ აღარ გავჩერებულვარ, რადგან „ვითამ“ გაცილებით სარფიანი კონტრაქტი შემომთავაზა.

■

Logan მოვლენა

ფრანგულ ავტოკონცერნ „რენოს“ წარმომადგენლებმა ამ ცოტა ხნის წინ გამოაცხადეს, რომ სამოდელო რიგის – Logan – გაზრდას აპირებენ. მაგალითად, საგაისოდ, 5-კარიანი ჰეჩბეკის წარმოებაა დაგეგმილი; ცოტა მოგვიანებით, კომერციული ფურგონის გამოშვებას აპირებენ, რომელიც დღეს პოპულარულ Renault Kangoo-ს შეცვლის; ამჟამად კი, კონცერნის შვილობილი რუმინული ფირმის – Dacia-ს კონვეიერიდან სედანისძარიანი Logan გადმოდის.

აღნიშნული სამოდელო რიგის გაფართოება ფრანგული ავტოგიგანტის იმ სტრატეგიული პროგრამის ნაწილს წარმოადგენს, რომლის შესაბამისადაც, 2010 წლისთვის, კონცერნი წარმოების მოცულობის გაზრდას (წელიწადში 1 მლნ მანქანამდე) აპირებს. „რენოს“ კონკურენტები Logan-ს, ფინანსური თვალსაზრისით ძალზე სერიოზულ კონკურენტად აღიქვამენ: მისი ფასი 10.000 ევროს არ აღემატება. საინტერესოა, რომ „ფოლკსვაგენმა“ უკვე დაიწყო ბრაზილიის ქარხანაში წარმოებული Fox-ის ევროპაში გაყიდვა, „ოპელმა“ იაფფასიანი Corsa-ს გამოშვებას მიჰყო ხელი, ხოლო „ფორდი“ მომხმარებელს მოდელს – Ka Student-ს სთავაზობს. ■

ღიდეხები და აუტსაიდეხები

იაპონური მარკის – Lexus – ავტომობილები ყველაზე საიმედოდ დაასახელეს იმ 36 მოდელს შორის, რომლებიც ამერიკულ ბაზარზე იყიდება. ასეთი შედეგი დაფიქსირდა ყოველწლიური რეიტინგით, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია – J.D.Power ადგენს.

მისმა ექსპერტებმა 62000 მომხმარებელი გამოჰკითხეს, რომელსაც 2005 წლის სამოდელო წლის ნიმუშები უნდა შეეფასებინა. ექსპლუატაციის პირველი 90 დღის მანძილზე, „ლექსუსის“ 100 მანქანას სულ 81 ტექნიკური ხარვეზი აღმოაჩნდა; საგულისხმოა, რომ ამერიკული ბაზრის საშუალო მაჩვენებელი 118-ს შეადგენს.

ხარისხის რეიტინგის მეორე საფეხურზე Jaguar აღმოჩნდა: მისი მაჩვენებელია, 100-დან 88; მესამეზე, გერმანული კონცერნის – BMW-ს მანქანებია – 100-დან 95. ორ მარკას – Mercedes-სა და Cadillac-ს ერთნაირი მაჩვენებელი აქვს – 104 ტექნიკური ხარვეზი ყოველ 100 მანქანაზე და ამის შედეგად, მათ მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყვეს. ათეულში შევიდნენ აგრეთვე: Toyota (Lexus-ის გარეშე), Audi, Nissan-ის ბრენდი – Infiniti, Hummer და Hyundai, რაც ექსპერტთა აზრით, კორეული ავტომწარმოებლის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მათივე გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ზემოთ მოყვანილ ნუსხაში ვერ მოხვდნენ: Volvo (140 ხარვეზი), Porsche, Volkswagen, Land Rover და Mazda. რეიტინგის აბსოლუტურ აუტსაიდერად მოგვევლინა Suzuki-ს ნაწარმი, რომელსაც ყოველ 100 მანქანაზე 151 ტექნიკური ხარვეზი აღმოაჩნდა და ბოლო – 36-ე ადგილზე გავიდა. ბოლოს დავძენთ, რომ J.D. Power გამოკითხვას მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე ატარებს

და ახალი მანქანის მფლობელის მიერ მისი შეძენიდან 3 თვეში გამოთქმულ შეხედულებას ეყრდნობა. ■

Latina-ს სტილში შესხულებული Fiat





როგორც ჩანს, იტალიურმა კონცერნმა გადაწყვიტა, შეახსენოს ავტომოყვარულებს, რომ ის ოდესღაც, მოხდენილი სტილის მქონე სპორტულ მანქანებს აწარმოებდა. ცოტა ხნის წინ, იტალიელებმა ბარსელონაში წარმოადგინეს კონცეპტუალური მოდელი – Sportive Latina, რომელიც ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება: Alfa Romeo-ს სტილის აგრესიული ცხვირითა და კუპეს ელეგანტური მოყვანილობით იპყრობს ყურადღებას. ახალი მანქანის კარი ზემოთ იღება, სალონი 4 მგზავრისთვისაა გათვალისწინებული. Sportive Latina სრულამძრავიანია, 4,2 ლ სამუშაო მოცულობის 8-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 440 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. მას ნახევრად ავტომატურ გადაცემათა კოლოფი აქვს; გადაცემათა გადართვა საჭეზე მოთავსებული სპეციალური კლავიშებით ხდება.

ახალი სპორტული მანქანის შემდგომი ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია: სერიულ წარმოებაში მისი ჩაშვების საკითხი, საავტომობილო სამყაროს რეაქციაზეა დამოკიდებული. ■

მოდელი ნინო ორდენიძე ბევრჯერ ყოფილა გატაცებული, ფლირტის მოყვარულ ქალს, ბევრი მამაკაცის ყურადღება მიუქცევია. მაგრამ ჯერ-ჯერობით არ გამოჩენილა ისეთი პიროვნება, ვის გვერდითაც მთელი ცხოვრების გატარებას მოისურვებდა. ნინო ისეთ მამაკაცზე ოცნებობს, რომელსაც გონების დაკარგვამდე შეუყვარდება...

სპორტსმენი ბიჭების მოყვარული ნინო ორდენიძე ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიტიკოსძა დაინტერესა

მერი კობიაშვილი

— პირველი თაყვანისმცემელი, 5 წლის რომ ვიყავი, მაშინ მყავდა. ვერაზე კერძო საბავშვო ბაღში დავდიოდი. ჩემს ჯგუფელ ვატო ფიფიას მოვეწონე ძალიან (სამწუხაროდ, ვატო მერე, დაიღუპა. ამის გამო ძალიან მეტკინა გული). ერთ მშვენიერ დღეს, ბაღიდან შინ მისულმა, დედაჩემს გამოვუცხადე — ვთხოვდები, ცოლად ვატოს უნდა გავყვე-მეთქი. ეს ბავშვური გატაცება სკოლაში მისვლისთანავე დამთავრდა.

— **პირველი პაემანი როგორ გახსენდება?**

— მეშვიდე კლასამდე ბიჭები არ მაინტერესებდა. მთელი დღეები კალათბურთის და ფეხბურთის თამაშით ვიყავი დაკავებული. სკოლას რომ ვამთავრებდი, ერთი ბიჭი შემიყვარდა. ძალიან კარგი ბიჭი იყო, მაგრამ პატარები ვიყავით და ერთმანეთს ვერ გავუგეთ. არასდროს დამავიწყდება, პირველ პაემანზე როგორ წამიყვანა. სახლში გამომიარა, მითხრა, მამიდაჩემი უნდა გაგაცნოო და „ქართველის დედასთან" ამიყვანა. იქ მითხრა, რომ ძალიან მოვწონდი.

— **ის ბიჭი როგორ გაიცანი?**

— ძალიან საინტერესო სასიყვარულო ამბავი გვქონდა: 2 თვის მანძილზე, ტელეფონზე მირეკავდა. მე ვერაფრით ვხვდებოდი, ვინ იყო ჩემი იდუმალი თაყვანისმცემელი. ხმა შეცვლილი ჰქონდა. ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა, იმასაც კი მეუბნებოდა, იმ დღეს რა ტანსაცმელი მეცვა...

— **პირველ პაემანზე წასვლის წინ, ძალიან ინერვიულე?**

— მახსოვს, ზამთარი იყო. მამიდაჩემთან, კეკელიძეზე ვიყავი სტუმრად. ჩემს რჩეულს 7 საათისთვის უნდა გამოეცალო ჩემთან. ბოლო ერთი საათის მანძილზე ფანჯარას ვერ მოვშორდი. ყოველი მანქანის გამოჩენაზე ტაქიკარდია მემართებოდა და ცხელი ოფლი მასხამდა. ფანჯარასთან რომ ვიდექი, ხელში ტუჩის „ბლესკი" მეჭირა, ლამის ყოველ წუთას ვისვამდი... სანამ პაემანზე წავიდოდი, 125-ჯერ მაინც წავისვი პომადა. ბოლოს და ბოლოს, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ჩემი შეყვარებული მოვიდა. მასთან ჩვეულებრივი სახით ჩავედი, ისე, თითქოს არც ვნერვიულობდი. მან კომპლიმენტი მითხრა — რა ლამაზი ქვედაბოლო გაცვიაო!.. ის ქვედაბოლო ძალიან მოკლე იყო. კომპლიმენტი ისეთი ტონით მითხრა, მივხვდი, არ მოეწონებოდა, მომავალშიც იმავე სიგრძის კაბას კიდევ თუ ჩავიცვამდი... ასე ვნერვიულობდი პირველ პაემანზე. სიმართლე რომ გითხრა, პაემანზე უკვე ძალიან დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. ეს არცაა გასაკვირი: პაემანი ხომ დღეს, პაექრობამ შეცვალა!..

— **ამ პაექრობაში ხშირად გამოდიხარ გამარჯვებული?**

— ვერ გეტყვი. შეიძლება, მე მგონია ხოლმე, რომ ეს პაექრობა ჩემი გამარჯვებით მთავრდება და ასე სულაც არ არის... მე ბედისწერის ძალიან მჯერა. რატომღაც მგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი მოვა... იცი, იმ ჩემს პირველ შეყვარებულს ცხენი მართლა ჰყავდა, თან — ორი; ერთ-ერთი, თეთრი იყო. ის ბიჭი რამდენჯერმე შეეცადა, ჩემთვის ცხენზე ჯდომა ესწავლებინა, მაგრამ უშედეგოდ.

— **ბიჭების საქციელში ყველაზე მეტად რა არ მოგწონს ხოლმე?**

— არ მიყვარს, როცა ბიჭი ჩემ გამო გადაირევა, ყოველ წუთას მირეკავს და მეუბნება — უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია, აუცილებლად უნდა განახოო, — ეს მაღიზიანებს. მე თვითონ რთული ადამიანი ვარ. ადვილად მოპოვებული არაფერი მიყვარს. თუ ჩემ გარშემო პრობლემები არ არის, მე თვითონ ვიქმნი ხოლმე. ამიტომაა, რომ ბიჭებთან ურთიერთობა მიფუჭდება.

— **არასდროს გიცდია ხასიათის შეცვლა?**

— არ არსებობს. ჩემს თავს ვერ ვუბრძანებ, შეიცვალე-მეთქი.

— **სტუდენტობისას ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა...**

— უნივერსიტეტში დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ჩემი სტუდენტობის დროს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პირდაპირ, თუ არ ვცდები, პირველი კაფე — „ექსცესი" გახსნეს. მე და ჩემი ჯგუფელები ლექციების მერე სულ იმ კაფეში ვისხედით. ჩემი დეკანი ამბობდა — ორდენას ჩათვლის წიგნაკში ნიშანი რომ დავუწეროთ, „ექსცესში" უნდა გადავიდეთო... უნივერსიტეტში, რა თქმა უნდა, ყველას გვყავდა თაყვანისმცემლები. ძირითადად, ერთი და იმავე „სასტავის" ადამიანებს უყვარდებოდათ ერთმანეთი.

— **თქვი, რთულად ასატანი პიროვნება ვარო. ყველაზე დიდხანს ვინ გიყვარდა?**

— ერთი ბიჭი 3 წლის მანძილზე მიყვარდა. ის იყო კარგი ქართველი და კარგი ოჯახის შვილი. მაგრამ ჩვენ შორის შავმა კატამ გაირბინა და ერთმანეთს დავშორდით. დღესდღეობით მე და ის ბიჭი კარგი მეგობრები ვართ. ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ.

— **ბოლო 4 წელი თურქეთში ცხოვრობდი. იქაური ბიჭები შენ**

მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ?

— თურქეთში ერთ ბიჭს ძალიან მოვწონდი, მას ედგარ ავჯანი ერქვა. წარმოშობით ქართველია. ჩემ მიმართ სერიოზული მიზნები ამოძრავებდა. მაგრამ მე თურქეთში დარჩენა და იქ გათხოვება არ მინდოდა, ამიტომ ედგარს ვუთხარი — ჩვენ შორის მხოლოდ მეგობრობა შეიძლება იყოს-მეთქი.

ერთი ცნობილი ქართველი ჩინოვნიკი მომწონს. მან კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს, ჩემი ყურადღება რომ მიიპყროს...

— ერთხელ მითხარი — ფლირტის მოყვარული ადამიანი ვარო...

— ოჰ, კი, ვგიჟდები ფლირტზე. ახლა ამ ბარში *(შარდენის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბარში შევხვდით ერთმანეთს. — ავტ.)* ჩვენ წინ მჯდომ ორ მამაკაცსაც ვეპრანჭები...

— მართლა? ისინი ხომ გოგონებთან ერთად არიან!.. რამ მოგხიბლა მათში?

— ბარში თოთხმეტი გოგო და ორი ბიჭი ესხედვართ. მე ვეცდები, იმ ბიჭების ყურადღება მივიპყრო, მაგრამ ეს ფლირტი აქვე დამთავრდება და მას არანაირი გაგრძელება არ ექნება...

— შენს ცხოვრებაში ფლირტით დაწყებული ურთიერთობა სერიოზულში არასდროს გადაზრდილა?

— არა. ჩემს შემთხვევაში, უფრო ხშირად, ტელეფონით დაწყებული ურთიერთობა გადადის ხოლმე სერიოზულში.

— რა უნდა გააკეთოს ბიჭმა, შენი ყურადღება რომ მიიპყროს?

— ამ ბოლო დროს, პოლიტიკოსი ბიჭებით დავინტერესდი. ერთი ცნობილი ქართველი ჩინოვნიკი მომწონს. მან კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს, ჩემი ყურადღება რომ მიიპყროს.

— მის ვინაობას ვერ გაგვიმხელ?

— მის სახელს და გვარს ვერ გეტყვით. მაღალი თანამდებობა უკავია და ჩვენი ფლირტის შესახებ ხმამაღლა რომ ვილაპარაკო, მეშინია, არ ჩამოაქვეითონ. იყოს დაწინაურებული...

— ასე მკვეთრად გემოვნება რატომ შეგეცვალა? ადრე ამბობდი, რომ სპორტსმენი ბიჭები მოგწონდა.

— ვერ ვიტყვი, მთელი ცხოვრება მარტო ფეხბურთელი და კალათბურთელი ბიჭები მომწონდა-მეთქი. ვინც პირველად შემიყვარდა და ვისთან ერთადაც პირველად წავედი პაემანზე, ე.წ. „კაი ბიჭი“ იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი, პოლიტიკით დავინტერესდი...

— როგორი მამაკაცი გინდა, რომ შენი ცხოვრების თანამგზავრი გახდეს?

— ბავშვობიდან არ მევასება ქერა ბიჭები. ვგიჟდები ეშხიან, შავგვრემან და მაღალ ბიჭებზე, მრავლისმეტყველი თვალები რომ აქვთ.

— ბიჭებს უყვართ ხოლმე სიყვარულის ორიგინალური ხერხით დამტკიცება. ალბათ, შენს ცხოვრებაშიც ყოფილა მსგავსი შემთხვევები. რომელიმე მათგანს ხომ ვერ გაიხსენებდი?

— ერთხელ, ჩემმა თაყვანისმცემელმა თურქეთში ლამაზი ყვავილებით ჩამომაკითხა... ერთხელ, თბილისიდან სტამბოლში მივფრინავდი. თვითმფრინავში ვიღაცამ მკაცრი ტონით მკითხა — უკაცრავად, გოგონი, თქვენ გვერდით ადგილი ჩემი უნდა იყოსო. მივიხედე და ჩემი თაყვანისმცემელი დავინახე, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ჩემს გამცილებლებს შორის იყო.

— შენ თვითონ თუ ჩაგიდენია ბიჭის გამო რაიმე სისულელე?

— ხომ გითხარი — ერთი ქართველი ჩინოვნიკი მომწონს-მეთქი. ერთ დღეს გადავწყვიტე, მისთვის სიურპრიზი მომეწყო. ვიცოდი, რომელ ქალაქშიც მიფრინავდა და უკან გავყევი. ერთი დღის მანძილზე, სამჯერ გადავფრინდ-გადმოვფრინდი, მაგრამ — უშედეგოდ, ის ბიჭი ვერ ვნახე.

— შეგიძლია, შენთვის მოძღვნილი ყველაზე ძვირად ღირებული საჩუქარი გაიხსენო?

— სიყვარული ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საჩუქარია. ფულით ხომ არ იზომება ეს ცხოვრება!.. ჩემთვის „შოპარდის“ საათიც უჩუქებიათ, მაგრამ მე ის მალევე გავაჩუქე.

— პაემანზე გაუთვალისწინებელ სიტუაციაში ხშირად აღმოჩენილხარ?

— ისეთი ტიპი ვარ, ყველგან ვიგვიანებ ხოლმე, მათ შორის — პაემანზეც. თუმცა, ამაზე ბიჭები თვალს ხუჭავენ. თბილისში რამდენიმე წლის წინ, ფრჩხილების დაწებების მოდა შემოვიდა. მეც, რა თქმა უნდა, ავყევი მოდას. ერთხელ პაემანზე მისული, შეყვარებულს ვეჩხუბე. გამწარებულმა ხელებით დავიწყე ლაპარაკი. მოულოდნელად დავინახე, რომ ჩემი სანაქებო წითელი ფრჩხილი, ფეხსაცმელზე ეგდო. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ის ფრჩხილი შეუმჩნევლად ამეღო. იმ ბიჭს ეს მომენტი რომ დაენახა, მაგრად დამცინებდა...

— ჩვენი საუბრის ბოლოს, ერთ ფილოსოფიურ კითხვას დაგისვამ: შენი აზრით, სიყვარული რა არის?

— სიყვარული გიჟური რამეა. ჩემი აზრით, ცოდვაა ის ადამიანი, ვისაც ეს გრძნობა ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ ეწვევა. გოგონებს კი ვურჩევდი, სულ შეყვარებულები იყვნენ. ეს გრძნობა ყველას ძალიან ალამაზებს, განსაკუთრებით — გოგონებს.

■

სიყვარული სასიამოვნოს ხდის მორჩილებას.

ბუასგი

ფრაზები გენიალური

ცოტა ხნის წინ, ბელორუსიაში სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა „Славянский базар"-2005, სადაც მოზარდებს შორის პირველი ადგილი 10 წლის ია ორჯონიკიძემ დაიკავა. სასიხარულოა, რომ შარშანაც ამ კონკურსში, ნორჩ მომღერლებს შორის ქართველმა — ქეთი ჩაჩხიანმა გაიმარჯვა. იას, დიპლომთან ერთად, ბრინჯაოს ქანდაკება, პროფესიონალური მიკროფონი და ფულადი ჯილდო — 3.000 დოლარი გადასცეს.

ფესტივალზე მიღებულ შთაბეჭდილებებს გამარჯვებულ გოგონასთან ერთად, დედამისი — ქალბატონი მედეა გვიზიარებს.

სიმღერაზე ნორჩებს შორის მოხვედრილია ია ორჯონიკიძე პირველი ჯილდო მიიჯვა

ეკა მინდაძე

— ფესტივალის პროგრამაში 2 კონკურსი შედიოდა — მოზარდებსა და ბავშვებს შორის. დიდების კონკურსი 19 წელია ტარდება, პატარების კი უკვე მესამე წელია. ფესტივალის ჟიურიში სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები შედიოდნენ. საქართველოდან ჟიურის წევრი გახლდათ ბატონი ჯემალ სეფიაშვილი. მომღერლებიდან კი, ფესტივალში ვერიკო ტურაშვილიც მონაწილეობდა. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ მომღერლები ვერიკოს ძალიან ძლიერ კონკურენტად თვლიდნენ. და რომ არა ის ინციდენტი, რომელიც სცენზე მოხდა (ვერიკოს გამოსვლისას, ორკესტრმა აურია), ის საკმაოდ სერიოზულ პრიზს აიღებდა. ამის გამო კი, სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა. რას ვიზამთ? — ყველაფერი ხდება. ის კვლავ აპირებს მონაწილეობას ფესტივალებში და ბევრგან დაამტკიცებს, რომ ნამდვილი მომღერალია... რაც შეეხება პატარების კონკურსს — იქ ჟიურის თავმჯდომარე ნიკოლაი ბინევი იყო. საქართველოდან ჟიურიში მამუკა საკაშვილი (კომპანია 5 Laines Production-ის დირექტორი და იას პროდიუსერი) გახლდათ. 18 ქვეყნიდან ჩასული 21 ბავშვი მონაწილეობდა. გრან-პრი ბელორუსიელმა გოგონამ აიღო, პირველი ადგილი იამ დაიკავა, მეორე — რუსმა და ყაზახმა ბავშვებმა გაინაწილეს, მესამეზე კი, ასევე ორი მომღერალი — ბელორუსიელი და რუმინელი ბავშვები გავიდნენ.

— რა სიმღერით წარდგა ია მაყურებლის წინაშე?

— სიმღერა — „სამშობლო" ხალხური მუსიკის მოტივებზე შექმნილი კომპოზიცია გახლავთ. იას ამ სიმღერის შესაფერისი ეროვნული კაბა ეცვა, ოღონდ — გათანამედროვებული, რომელიც დამწყებმა მოდელიერმა თამუნა ერაძემ შეუკერა.

— მანამდე თუ მიუღია რომელიმე კონკურსში მონაწილეობა?

— კი და ეს მონაწილეობა მაშინ კარგით დასრულდა. ია საქართველოში გამართულ კონკურსზე გამოვიდა, შეგნებულად არ ვასახელებ — რომელზე. ალბათ მისი ორგანიზატორები თვითონ მიხვდებიან ამას. იას გამოსვლა ისე მოეწონა ყველას, რომ წინასწარ მილოცავდნენ მომდევნო ტურში მის გასვლას. მაგრამ მეორე დღეს, შევიტყვე, რომ ბავშვი მეორე ტურში ვერ გავიდა, რადგან ძალიან დაბალი ქულები მიუღია. არ ვიცი, რა მოხდა, ჟიურიში პროფესიონალი მუსიკოსები შედიოდნენ. მეც მოვკიდე ხელი ამ შედეგებს, მივუტანე იაკოს პროდიუსერს, მამუკა საკაშვილს და ვუთხარი: აქ ასეთი კრახი რომ განიცადა, განა ღირს, ბელორუსიაში წასვლა-მეთქი?.. მიხარია, რომ ფესტივალზე იაკოს შესაძლებლობები სათანადოდ წარმოჩნდა და დაფასდა.

— ია, როდის გადწყვიტე, რომ სიმღერა შენი საყვარელი საქმიანობა იყო?

— 3 წლის ასაკიდან ვმღერი. თავიდან, მშობლებმა „ბასტი-ბუბუს" სტუდიაში მიმიყვანეს, სადაც 2 წლის განმავლობაში, სცენაზე გამოსვლას და თავისუფლად მოქცევას მივეჩვიე. სერიოზულად სიმღერის შესასწავლად, მასწავლებელთან — ნანა ჟღერიასთან 5 წლიდან დავდიოდი. სწორედ მისი წყალობით გამიცნო ბატონმა მამუკა საკაშვილმა, ჩემი პროდიუსერიც გახდა და „სლავიანსკი ბაზარზეც" გამგზავნა, სადაც ჩემი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი მომეცა.

— დარბაზში ქართველებიდან ბევრი გგულშემატკივრობდა?

— დიახ. იქ იყვნენ ჩემი მეგობრები: ოთიკო ანდრიაძე, თათია კობალაძე, ქეთი ჩაჩხიანი; უფროსებიდან მხარს მიჭერდნენ: ჯემალ სეფიაშვილი, მისი მეუღლე, ქალბატონი მანანა, ქალიშვილი — ცისანა სეფიაშვილი და მისი ბიჭი, ნინა მახარობლიძე, ნინა წკრიალაშვილი, ზურა დოიჯაშვილი, პიკასო, ირმა სოხაძე და თამრიკო გვერდწითელი. მახსოვს, სცენაზე რომ ვმღეროდი, თამრიკო გვერდწითელი კულისებიდან მგულშემატკივრობდა, ხოლო როცა შემხვდა, ძალიან შემაქო. ასევე ძალიან მეფერებოდა ბატონი ჯემალიც. სულ იმას გაიძახოდა — ბავშვი არ დამიჩაგრონო *(იცინის)*!..

— კონკურსანტებს შორის, ყველაზე მეტად რომელს დაუახლოვდი?

— ყველაზე კარგი ურთიერთობა, გრან-პრის მფლობელ ბელორუსიელ ბავშვთან დავამყარე.

სცენაზე რომ ვმღეროდი, თამრიკო გვერდწითელი კულისებიდან მგულშემატკივრობდა, ხოლო როცა შემხვდა, ძალიან შემაქო

რომ არა ის ინციდენტი, რომელიც სცენაზე მოხდა, ვერიკო ტურაშვილი საკმაოდ სერიოზულ პრიზს აიღებდა

— კონკურსის მსვლელობისას როგორ გრძნობდი თავს?

— თავიდან ძალიან მეშინოდა, მეგონა, ვერ გავიმარჯვებდი. მაგრამ პირველსავე რეპეტიციის შემდეგ დავრწმუნდი, რომ რაიმე პრიზს მაინც ავიღებდი. ისე, მე რომ ჟიურიში ვყოფილიყავი, გრან-პრის ჩემს თავს მივცემდი. პირველ ადგილზე ყაზახს გავიყვანდი და მეორეზე — ბელორუსიელ გოგონას, რომელმაც გრან-პრი აიღო. მინდა გითხრათ, რომ იქ ტიტულების გარეშე არც ერთი მონაწილე არ

იყო, ჩემ გარდა. წამყვანიც ამას ამბობდა — იას თქვენი მხარდაჭერა სჭირდება, რადგანაც ეს მისთვის პირველი ნაბიჯია საერთაშორისო სცენაზეო.

— ყველაზე მეტად ფესტივალის რომელი დღე დაგამახსოვრდა?

— ფესტივალის პირველი დღე დამამახსოვრდა. ჩემი სიმღერა ისე მოეწონათ, სცენაზე მეორედ გამიყვანეს. იმ დღეს, ქუჩაში გასულს, ხალხის რეაქციაც დამამახსოვრდა. დამინახავდნენ თუ არა, მაშინვე — „ლალე-ლალეს“ მეძახდნენ. მართლა ძალიან მოეწონათ ჩემი სიმღერა, განსაკუთრებით ეს ნაწილი: „ლალე-ლალე, დივლი-დალა-ლალე, ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე!“ მარტო იმაზე მწყდება გული, რომ ჩემთან მოსულ ადამიანებს პირადად ვერაფერს ვერ ვეუბნებოდი, — რუსული ენის არცოდნის გამო. მათ მხოლოდ ჩემი მასწავლებლის საშუალებით ვცემდი პასუხს.

— თუ გაქვს მიწვევები სხვა კონკურსებზე?

— დიახ, მაქვს ბევრი მიწვევა, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რას ვიზამ. ალბათ ამას ჩემი პროდიუსერი გადაწყვეტს.

— მომავალში ვინ გინდა რომ გამოხვიდე?

— ალბათ, მომღერალი. ძალიან მინდა, საზღვარგარეთ გავაგრძელო მოღვაწეობა და გავხდე ძალიან ცნობილი მომღერალი. ■

ჯგუფ „ცეცეს“, რომელიც რეგის სტილში მღერის და ბობ მარლის თაყვანისმცემელია, პროდიუსერი არ ჰყავს. მათი სტუდია (რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში) უცნაურადაა მოწყობილი — ოთახის კედლებზე გაკრულია კვერცხის ჩასაწყობი ე.წ. „ლატოკები“. შესვლისთანავე, სტუდიის დიზაინი რატომღაც მათი ჯგუფის სახელს — „ცეცეს“ დავუკავშირე, თუმცა აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად... ამის მიზეზი უფულობაა. სტუდიაში ჯგუფის 5 წევრიდან მხოლოდ ორი — სოსო სუხიაშვილი და ალეკო კუჭუხიძე დამხვდნენ.

ოქტინეტისან თუ ერთ ჯგუფ „ცეცე“ მიჯეთ?

სტილი, რომელიც ზღვას, გართობას, მანდილოსანს და თავისუფლებას უკავშირდება

ლიკა ქაჯაია

ალეკო:

— ჩვენი ჯგუფი 2001 წლიდან არსებობს. თავიდან 4-ნი ვიყავით. სოსო მერე შემოგვიერთდა. სანამ ჩვენთან მოვიდოდა, ჯგუფ „სარკეში“ მღეროდა, რომელიც დაიშალა. უკვე 3 წელია, რაც ერთად ვართ.

— რატომ დაარქვით ჯგუფს — „ცეცე“?

— სახელთან დაკავშირებით ბევრი იდეა გვქონდა, მაგრამ მამუკა ბერიკამ (რომელთანაც ადრე კარგი ურთიერთობა გვქონდა და გვეგონა, რომ ჩვენი შემოქმედებითი კონტაქტი გამყარდებოდა, თუმცა სულ ტყუილად) რატომღაც „ცეცე“ გვირჩია

გვტკივა, ვწყურია, გვიხარია თუ ა.შ. ყოველ საღამოს, „ცეცეს“ ბიჭები სტუდიაში ვიკრიბებით

და ჩვენც ისე უცებ ავიტაცეთ — არც კი დავფიქრებულვართ. დღეს კი, ეს სახელი ყველას მოგვწონს და გვიყვარს.

— თქვენთან მოსვლამდე მეგონა, რომ ჯგუფის სახელი რაღაცით ბუზთან იყო დაკავშირებული და ამაში უფრო დავრწმუნდი, როცა სტუდიაში შემოვედი...

სოსო:

— არა, არანაირად არ ვაიგივებთ ბუზ ცეცესთან, არც მასავით ვიკბინებით ჩვენი სიმღერებით...

— რაიმე მუსიკალური განათლება თუ გაქვთ მიღებული?

ალეკო:

— მუსიკალური სასწავლებლის შვიდწლედი მაქვს დამთავრებული. დანარჩენი ბიჭები (*მამუკა ჯაბუა, ირაკლი ჩხიკვაძე, გოგა ჯღარკავა.* — *ავტ.*) ხალხური მუსიკის ანსამბლ „ჩაკრულოში“ მღეროდნენ.

— რა სტილის სიმღერებს მღერით და რამდენად ახლოსაა თქვენი დღევანდელი სიმღერის სტილი — ხალხურ სიმღერებთან?

— რეგის სტილში ვმღერით. მისი ხალხურ სიმღერებთან დაკავშირება ძნელია, თუმცა, რაღაც ელემენტები შეტანილი გვაქვს. მაგალითად, ხმის გაშლა და ა.შ. და ეს ჩვენ ძალიან მოგვწონს, საზოგადოებას კი არ ვიცი, რადგან მათი უდიდესი ნაწილი არ გვიცნობს.

ტესტი ერუდიციაზე

1. საქართველოში ძველად, ვინმესთვის თოფის თხოვება ითვლებოდა...

ა) ...მეგობრობის ნიშნად;
ბ) ...დაზავების ნიშნად;
გ) ...დამოყვრების სურვილის ნიშნად.

2. რას ეძახის იუმორისტი მიხაილ ზადორნოვი ლუკაშენკოს?



ა) ბურატინოს;
ბ) ტარზანს;
გ) ჩიპოლინოს.

3. რომელი ქვეყანა ითვლება განანის სამშობლოდ?

ა) ეგვიპტე;
ბ) ინდოეთი;
გ) მექსიკა.

4. რომელ მსახიობს უთხრა მაიკლ დუგლასმა „ზოროს“ პრემიერაზე — დიდი სურვილი მაქვს, თქვენი შვილების მამა გავხდეო?

ა) ანჯელინა ჯოლის;
ბ) კეტრინ ზეტა-ჯონსს;
გ) ბარბრა სტრეიზანდს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— უკვე თითქმის მეხუთე წელია, რაც ჯგუფი „ცეცე“ არსებობს. რატომ ვერ მოახერხეთ საკუთარი თავის პოპულარიზაცია?

— ამ შეკითხვას ყველაზე უკეთ შენ გასცემ პასუხს. რა გინდა ახლა — მე ვილაპარაკო?

სოსო:

— პროდიუსერი არ გვყავს.

ალეკო:

— კარგი, რა, წუწუნი გამოგვივა... კარგად მოგეხსენება, საქართველოში გავარსკვლავება როგორც ხდება (ამ დროს, ნიჭს უპირატესობას არავინ ანიჭებს) და ამიტომაც, ის გვაკმაყოფილებს, როგორც ვართ.

სოსო:

— ყოველ შემთხვევაში, გვაქვს ჩვენი პატარა სამყარო — სტუდია...

ალეკო:

—...და ამისთვის უფალს მადლობას ვწირავთ... გვტკივა, ვწყურია, გვიხარია თუ ა.შ. ყოველ საღამოს, „ცეცეს“ ბიჭები სტუდიაში ვიკრიბებით — განვლილ დღეს ვანეიტრალებთ, ვაბალანსებთ...

— როგორც გავიგე, ალბომის გამოშვება მოახერხეთ...

სოსო:

— არა, ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ მალე გამოვუშვებთ.

— რამდენი სიმღერაა თქვენს რეპერტუარში?

ალეკო:

— სიმღერა ძალიან ბევრი გვაქვს, მაგრამ აქედან, საკონცერტო მხოლოდ რვაა. სცენაზე მხოლოდ ის სიმღერები გამოგვაქვს, რომლებიც მსმენელისთვის ადვილად მისაღები იქნება. თუმცა, თვით რეგი ისეთი სტილია, რომელსაც ყველა თაობა სიამოვნებით მოუსმენს. იგი მსუბუქია და ზღვას, გართობას, მანდილოსანს, თავისუფლებას უკავშირდება.

— თქვენს რეპერტუარში გარეგიქსებული სიმღერები ჭარბობს?

სოსო:

— მხოლოდ 2 რიმეიქი გვაქვს. დანარჩენი სიმღერების ტექსტიც და მუსიკაც ჩვენია.

— კონცერტებზე მიწვევები თუ გაქვთ?

— შემოთავაზებები, კლუბურ ვარიანტებში გვაქვს. რაც შეეხება კონცერტებს — რუსთავში ვმონაწილეობთ... ეს იმის გამო ხდება, რომ პროდიუსერი არ გვყავს. თუ რამე გაგვიკეთებია ან ვაკეთებთ, მხოლოდ ჩვენი დამსახურებაა.

ალეკო:

— ჩვენ არ გვინდა, ჩვენი სიმღერა ხალხს ზედმეტად მოვახვიოთ თავს. გვინდა, გვყავდეს საკუთარი მსმენელი — სხვა არაფერი.

— მერე გყავთ თუ არა?

სოსო:

— არ ვიცი, მაგრამ სადაც კი გამოვსულვართ, ყველგან და ყოველთვის მსმენელი ჩვენით კმაყოფილი რჩებოდა.

— რაში გამოიხატებოდა მათი კმაყოფილება? ქართველი მსმენელი ხომ, დღეს ყველაფერზე ტაშს უკრავს?

— ასე ძირთადად, ტინეიჯერები იქცევიან. მომღერალი ყოველთვის ხვდება — მსმენელი კმაყოფილია თუ არა.

ალეკო:

— არა მარტო აპლოდისმენტებით. მათი აღტაცება შემოხედვითაც შეიძლება შეამჩნიო... როცა სცენაზე დგახარ, მსმენელს შენი მუხტი უნდა გადასცე და პირიქით — მისგანაც მიიღო. ერთი კონცერტი გამახსენდა, მაგრამ ვერ გეტყვით, ამ კონცერტს საზოგადოების რა ფენა ესწრებოდა. მაგრამ მთავარია, რომ გულდასმით გვისმენდნენ...

სოსო:

— ვფიქრობ, რომ ვისაც ორჯერ ვუნახავვართ, სურვილი უჩნდება, კიდევ გვნახოს და მოგვისმინოს.

— კლიპის გადაღებასაც ხომ არ აპირებთ?

— კლიპის გადაღებას შემოდგომისთვის ვაპირებთ.

— დაბოლოს, არსებობს თუ არა საქართველოში შოუბიზნესი და საერთოდ, რა არის მუსიკა თქვენთვის — ჰობი თუ პროფესია?

ალეკო:

— მუსიკა ჩვენთვის ყველაფერია... რაც შეეხება შოუბიზნესს — საქართველოში ამ სფეროს სხვა სახელი უნდა ერქვას. დაფიქრდი — რამდენი ნიჭიერი მომღერალი წავიდა საქართველოდან? ეი. სხვაგან უკეთესობაა იმ სფეროში, რასაც შოუბიზნესი ჰქვია... და ქართველი ხალხი იძულებულია, აქ დარჩენილებს მოუსმინოს. ■

რობინიო – „სამეფო ჯლუბის“ ახალი სუპერვარსკვლავი



სრული სახელი: რობსონ დე სოზუა რობინიო

დაბადების თარიღი: 1984 წლის 21 იანვარი

დაბადების ადგილი: სან-ვისენტე (სან-პაულუ)

სიმაღლე: 172 სმ

წონა: 60 კგ

ამპლუა: თავდამსხმელი

2002 წელი: ბრაზილიის ჩემპიონატი (29 მატჩი, 9 გოლი).

2003 წელი: ბრაზილიის ჩემპიონატი (32 მატჩი, 9 გოლი), სან-პაულუს შტატის ჩემპიონატი (6 მატჩი, 0 გოლი), ლიბერტადორესის თასის გათამაშება (14 მატჩი, 3 გოლი).

2004 წელი: ბრაზილიის ჩემპიონატი (37 მატჩი, 21 გოლი), სან-პაულუს შტატის ჩემპიონატი (10 მატჩი, 7 გოლი), ლიბერტადორესის თასის გათამაშება (8 მატჩი, 4 გოლი).

2005 წელი: ბრაზილიის ჩემპიონატი (5 მატჩი, 3 გოლი), სან-პაულუს შტატის ჩემპიონატი (14 მატჩი, 11 გოლი), ლიბერტადორესის თასის გათამაშება (9 მატჩი, 6 გოლი).

რობინიო ბრაზილიური ფეხბურთის ახალი მარგალიტია, რომელსაც ზოგიერთი სპორტული მიმომხილველი და ქომაგი უკვე პელესაც ადარებს. რობინიო ბრაზილიური სკოლის ჭეშმარიტი წარმომადგენელია, ტყავის ბურთის ჯადოქარი, რომელიც თავისი თავბრუდამხვევი ფინტებით მეტოქეებსაც და მაყურებელსაც აღაფრთოვანებს. ასაკის მიუხედავად, რობინიომ სამშობლოში ტრიუმფს უკვე მიაღწია და ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა. მომავალი სეზონიდან კი, ის მადრიდის „რეალის“ მაისურით გააგრძელებს თამაშს. მისგან ევროპაშიც უკვე ძალიან ბევრს ელიან. ბევრი მიიჩნევს, რომ ის სწორედ ბებერ კონტინენტზე შეძლებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. ერთი სიტყვით, ამომავალ სამხრეთამერიკელ ვარსკვლავზე უკვე ბევრი ითქვა, ახლა ჯერი თავად მასზეა.



რობსონ დე სოუზა, ანუ უბრალოდ, რობინიო 1984 წლის 21 იანვარს სან-პაულუს მოკრძალებულ გარეუბან სან-ვისენტეში დაიბადა, სადაც 300 ათასამდე კაცი ცხოვრობს. სექტემბრის ქუჩაზე მდებარე №30 სახლის მცხოვრებლები მალევე დარწმუნდნენ, რომ პატარა დე სოუზას საყვარელი სათამაშო ბურთი იყო. რობინიო იქვე ახლოს მდებარე მტვრიან მოედანზე ერთთავად ბურთს აგორებდა, თანაც ისევე, როგორც სხვა არაერთი ბრაზილიელი ბიჭუნა, ისიც ფეხშიშველი თამაშობდა ფეხბურთს. 6 წლის ასაკში „რეალის“ ამომავალი თავდამსხმელი უკვე გამოირჩეოდა თანატოლებში. 1993 წელს, 9 წლის ასაკში რობინიომ ბავშვთა გუნდ „პორტუარიოშში“ თამაშისას, რომელთან ერთადაც სან-პაულუს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა, 73 გოლი გაიტანა. „არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ფეხბურთის სათამაშოდ მოევლინნენ ქვეყანას. სწორედ ასეთი ნიჭით დააჯილდოვა ღმერთმა რობინიო“, – უთქვამს ერთხელ ვუნდერკინდის ერთ-ერთ მასწავლებელს, ბეტინიოს.

რობინიოს ტექნიკამ და ფინტებმა მალე ბრაზილიური ფეხბურთის გრანდთა – „კორინთანსის“, „სან-პაულუსა“ და „პალმეირასის“ ყურადღება მიიპყრო, თუმცა ყველაზე მიზანსწრაფული „სანტოსი“ აღმოჩნდა. ფეხბურთელი კლუბის ბავშვთა სკოლაში ჩაირიცხა. ცოტა ხნის შემდეგ, მან თავის პირველ წარმატებასაც მიაღწია: გუნდთან ერთად 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის, სან-პაულუს შტატის ჩემპიონი გახდა. რობინიოს მხიარული და შეიძლება ითქვას, ბავშვური ხასიათი და უჩვეულო ნიჭი ყველას აღაფრთოვანებდა, მათ შორის, პელესაც. ერთხელ, მშობლიური „სანტოსის“ საწვრთნელ ბაზაზე ვუნდერკინდის თამაშის ნახვის შემდეგ, „ფეხბურთის მეფეს“ უთქვამს – ეს ბიჭი უდიდეს სიამოვნებას მოგვანიჭებსო. სულ მალე რობინიო „სანტოსის“ მთავარ გუნდში გადაიყვანეს. მისმა უჩვეულო ნიჭმა ბრაზილიის ჩემპიონატში პირველად 2002 წლის 15 დეკემბერს გაიბრწყინა, როდესაც „სანტოსი“ „კორინთანსს“ ხვდებოდა. ის დაუვიწყარი ეპიზოდი ფეხბურთის მილიონობით ქომაგმა იხილა მთელი მსოფლიოს მასშტაბით: მეტოქის კარისკენ მიმავალმა რობინიომ რვაჯერ გააბრიყვა „კორინთანსის“ მცველი, რომელსაც ბოლოს ისღა დარჩენოდა, რომ „თავხედი“ ოინბაზი წაექცია. თერთმეტმეტრიანი დარტყმა თავად დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა. იმავე მატჩში, რობინიოს უშუალო მონაწილეობით „სანტოსმა“ კიდევ ორი გოლი გაიტანა, გაიმარჯვა და „კორინთანსი“ ტიტულის გარეშე დატოვა. ბრაზილიის ჩემპიონატში ეს დე სოუზას პირველი გამარჯვება გახლდათ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში რობინიო „სანტოსის“ ნამდვილ ლიდერად იქცა. მას ადგილობრივმა სპეციალისტებმა ბოლო წლების ყველაზე ნიჭიერი ბრაზილიელი ფეხბურთელი უწოდეს. 2004 წელს დე სოუზამ „სანტოსთან“ ერთად ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა, რის შემდეგაც ის ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს. ყვითელმაისურიანთა გუნდში მას რობ-

ერტო კარლოსი, რონალდო, ემერსონი, კაფუ, რონალდინიო, კაკა დახვდნენ. ამჯერად რობინიოს ევროპულმა გრანდებმაც მიაპყრეს ყურადღება. ფეხბურთელმა კი, არჩევანი მალევე გაკეთა. ის ყოველთვის ოცნებობდა „რეალში“ თამაშზე. ფეხბურთელს ეს ოცნება უკვე აუხდა, თუმცა ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინ, მისი „რეალში“ გადასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშებაში ასპარეზობის შემდეგ, სადაც რობინიომ მსოფლიო მასშტაბით პირველად გაიბრწყინა, მან მშობლიურ „სანტოსში“ დაბრუნება აღარ ისურვა. ახალგაზრდა ფორვარდმა ვარჯიშზეც უარი თქვა და საქვეყნოდ განაცხადა – თამაშს მხოლოდ „სამეფო



კლუბში“ გავაგრძელებო. ბრაზილიური გრანდის ხელმძღვანელობას კი, ჯერ არ სურდა რობინიოს გასხვისება. საბოლოოდ, მაინც ფეხბურთელმა იმარჯვა და ევროპაში გადმობარგდა. „ის უფრო მეტს მიაღწევს, ვიდრე რონალდომ და რონალდინიომ მიაღწიეს“, – დასძენს ვუნდერკინდის ახალი თანაკლუბელი, რობერტო კარლოსი. „რონალდოსა და რობერტო კარლოსთან ერთად თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი, ხოლო ამისი მადრიდის „რეალში“ გაკეთება ჩემთვის საერთოდ წარმოუდგენელი რამ გახლდათ. „რეალი“ ხომ მსოფლიოში საუკეთესო კლუბია“, – აცხადებს თავად ახალგაზდა ფორვარდი, რომელსაც ზემოთ ხსენებულმა ბეტინიომ ფეხბურთის პრინცი უწოდა: „თუ ფეხბურთის მეფე პელეა, მაშინ რობინიოს მისი პრინცი უნდა ვუწოდოთ!..“

■

ბუფონი ფილოსოფოსზეა შეყვარებული

„იუვენტუსის“ გოლკიპერმა, ჯანლუიჯი ბუფონმა რამდენიმე თვის წინ თავისი ოცნების გოგონა, რუსული ფესვების მქონე ჩეხი მოდელი, ალენა სერედოვა გაიცნო, რომელმაც პორნოჟურნალებში ფოტოსესიით გაითქვა სახელი. მიუხედავად კრისტიან ვიერის მიერ ალენას შესახებ მიცემული მეტისმეტად უარყოფითი რეკომენდაციისა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ასევე ხვდებოდა სერედოვას, ჯანლუიჯიმ მაინც არ დაიშალა და ამ უკანასკნელთან რომანი გააბა. თანაც, იტალიური ბულვარული პრესის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ უახლოეს მომავალში წყვილი დაქორწინდება კიდეც. ალენა და ჯანლუიჯი ხომ ერთმანეთს წუთითაც არ შორდებიან. მათ პაპარაცების გააქტიურება დისკომფორტს სულაც არ უქმნის. საგულისხმოა ისიც, რომ მეკარისთვის, რომელსაც საშუალო სკოლაც არ დაუმთავრებია, ქორწინება ორმაგად სასარგებლო იქნება. ალენა ხომ არაჩვეულებრივ ფიგურასთან ერთად, ფილოსოფიურ მეცნიერებათა მაგისტრის წოდებასაც ფლობს. ასე რომ, მასთან ბუფონი ნამდვილად არ მოიწყენს.

■

ფეხბურთის ვარსკვლავთა ბრძოლა სერფინგისტებთან

შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ დევიდ ბექჰემის, რობერტო კარლოსის, რონალდინიოს, რაულისა და ტიერი ანრის მონაწილეობით გადაღებული ცნობილი გამაგრილებელი სასმლის ვიდეორგოლი, გასული წლის დეკემბრის ცუნამის გამო, გარკვეული დროის განმავლობაში თაროზე იყო შემოდებული. კლიპი ეკრანებზე ტრაგედიიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ გამოჩნდა. ცოტა ხნის წინ კი, ფეხბურთელებმა კლიპის გადაღებები გაიხსენეს, რომელიც სწორედ დეკემბერში ესპანეთის ერთ-ერთ პლაჟზე მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, რომ ვიდეორგოლის დასაწყისში მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები ქვიშაზე მშვიდობიანად თამაშობენ ფრენბურთს, უცაბედად გამოჩენილი სერფინგისტები კი ვარსკვლავებს პაექრობაში იწვევენ. ვიდრე ერთ-ერთი მათგანი ბექჰემს უჩვენებს ტრაფარეტს – „მხოლოდ სერფინგისტებისთვის“, – მეორე ბურთს იპარავს და წყლისკენ მიექანება. „შეურაცხყოფილი“ ვარსკვლავები მათ გამოედევნებიან და ზღვაში ბურთს ისევ იბრუნებენ, თანაც ბრძოლისას თავიანთ საფეხბურთო ოსტატობის დემონსტრირებასაც ახდენენ. „ძალიან რთული იყო წყალში საფეხბურთო ფინტების შესრულება, – ამბობს ბექჰემი, – მაგრამ ვიდეორგოლი მაინც წარმატებული გამოვიდა.“ სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ,დევიდმა კლიპის შემკვეთ კომპანიას არასასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო: მეუღლესთან ერთად იგი პაპარაცებმა სწორედ მაშინ აღბეჭდეს ფოტოფირზე, როდესაც ზემოთ ხსენებული ვიდეორგოლის შემკვეთი კორპორაციის მთავარი კონკურენტი კომპანიის მიერ წარმოებულ გამაგრილებელ სასმელს მიირთმევდა. ამიტომ ამჟამად ვერავინ გეტყვით, გაუგრძელებს თუ არა ინგლისელ ნახევარმცველს კონტრაქტს მისგან იმედგაცრუებული ფირმა.

■



მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი ქვების და აქსესუარების მოყვარულ ადამიანებს დღეს არ უჭირთ სასურველი სამკაულის, საკუთარი გემოვნებისა და ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით შეძენა. მათ შორის, ვინც ქალბატონებს საინტერესო ნიმუშებს სთავაზობს, დიზაინერ-იუველირი, სოსო ასლამაზიშვილი გახლავთ. ის 15 წელია, ამ სფეროში მუშაობს, ქმნის ძვირფას ნივთებს, სამკაულებს, ცდილობს, შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს მომხმარებლის გემოვნება. ამავე დროს, დიზაინერი გვაფრთხილებს — თუ გაქვს პრეტენზია, ატარო კარგი და ძვირფასი სამკაული, თანხის გადახდაც არ უნდა დაგენანოსო...

გაქვთ პრეტენზია, კარგი და ძვირფასი სამკაული ატაროთ? თანხის გადახდაც არ უნდა დაგენანოთ...

სოფო ჭონიშვილი

— სკოლის დამთავრების შემდეგ, თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, კერამიკისა და ფაიფურის ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. მისი დამთავრების შემდეგ, პრაქტიკაზე მოვხვდი ეროვნულ ზარაფხანაში. რამდენიმე თვის განმავლობაში, ძვირფას ქვებთან და მეტალებთან მუშაობის ტექნოლოგია კარგად შევისწავლე და სამსახურიც იქვე დავიწყე. უკვე 15 წელია, ამ სფეროში ვმუშაობ. ამჟამად კერძო საქმიანობას ვეწევი — საიუველირო სალონში, რომელიც ჩემმა მეგობარმა დაფუძნა, მთავარი იუველირ-დიზაინერი გახლავართ.

— ძირითადად, რომელ ლითონებზე მუშაობთ?

— ყველაზე ხშირად, ოქროსა და ვერცხლზე.

— ძვირფასი ნივთების შესაქმნელად მასალა საიდან ჩამოგაქვთ?

— მასალის შეძენა ახლა უკვე თბილისშიც შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, შემკვეთს თვითონ მოაქვს მასალა, ჩვენ ვურჩევთ დიზაინს და ვუმზადებთ.

— სად ამზადებთ სამკაულებს, თქვენი საკუთარი სახელოსნო გაქვთ?

— ჩვენს საიუველირო სალონში, გვაქვს ყველანაირი პირობა ნივთების დასამზადებლად.

— თქვენ ამ ნივთების მარტო დიზაინს ქმნით თუ თავადვე ამზადებთ?

— არა, დიზაინსაც ვქმნი და ვამზადებ კიდეც.

დიზაინსაც ვქმნი და ვამზადებ კიდეც

— პოპულარული ადამიანები თუ დადიან თქვენს სალონში? დაგიმზადებიათ მათთვის რაიმე აქსესუარი?

— დიახ, ძალიან ბევრისთვის დამიმზადებია. ყველას ახლა ვერ ჩამოვთვლი. ეროვნულ ზარაფხანაში მუშაობის პერიოდში, ინგლისის დედოფლისთვის დამამზადებინეს „ოქროს საწმისი“. ეს ნივთი სახელმწიფოს მიერ იყო შეკვეთილი.

— რა ღირებულებისა იყო „ოქროს საწმისი“?

— „ღვაწლი საქართველოსთვის“ — ეწერა ამ საწმისის უკანა მხარეს, რომელიც დაახლოებით 80-გრამიანი იყო. ფასს ზუსტად ვერ გეტყვით. ვიცი, რომ ძალიან ძვირად ღირებული ნივთი იყო.

— კიდევ რა ძვირფასი სამკაული დაგიმზადებიათ?

— მაგალითად, ბრილიანტის კოლიე. მის ღირებულებასაც ვერ გეტყვით — ფასზე ინდივიდუალურად ვუთანხმდებით ხოლმე შემკვეთებს.

— მაინც, რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთან სამშვენისის შეკვეთა?

— როდესაც პრეტენზია გაქვს, კარგი და ხარისხიანი ნივთი გქონდეს, რა თქმა უნდა, თანხაც უნდა გადაიხადო.

— როგორ აფასებთ თქვენ მიერ შექმნილ ნაკეთობას?

— პირველ რიგში, ვაფასებ, ჩემი ხელობიდან გამომდინარე: იმისდა მიხედვით, თუ რამდენად რთული დიზაინის ნივთია, რა ზომისაა. ვამზადებ ნამდვილი, ხარისხიანი ოქროსგან. აქედან გამომდინარე, ნაკეთობაც ხარისხიანია და ფასიც შესაბამისი აქვს.

— როგორი ოქროს სამკაულებია წელს მოდაში — ნაზი და პატარა თუ რთული დიზაინის?

— ეს თითოეული ინდივიდის გემოვნებაზეა დამოკიდებული, გაჩნია, ვის როგორი მოსწონს. ყველანაირ შეკვეთას ვიღებთ. ამიტომ გამორჩეულად ვერ გეტყვით, რომელი უფრო მოდურია.

— ოქროსა და ვერცხლის კომბინაციით თუ გაგიკეთებიათ სამკაული?

— საერთოდ, მე არ მიყვარს ოქროსა და ვერცხლის ურთიერთშერწყმა, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა შეუკვეთიათ ასეთი კომბინირებული ნაკეთობა. დროთა განმავლობაში, ოქრო და ვერცხლი ერთმანეთს ჭამს. ვერცხლი შავდება, ამიტომ ოქროსთან შეხამების დროს, ლამაზად არ ჩანს. ზოგჯერ ხდება, რომ ოქროს სპეციალურად ვაშავებთ, რომ ძველებური იერი მიიღოს. სამკაულებს, ძირითადად, ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით გვიკეთებენ. მომხმარებელს აინტერესებს, თუ რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულმა ადამიანმა რომელი ქვა უნდა ატაროს. და რომელია მაცხოვრის მოწაფეთაგან მათი ზოდიაქოს მოციქული.

ვერძის ნიშნის *ქვეშ დაბადებულთათვის ზოდიაქოს მოციქულია — ფილიპე, ქვა — იასპი*

იასპის შეფერილობებია: მწვანე, მოწითალო, აგრეთვე წინწკლებიანი ან ზოლიანი მწვანე. სწორედ მწვანე ტონალობისა ფასობს განსაკუთრებით. იასპი ადამიანს ანიჭებს სიბრძნეს, წინასწარჭვრეტის უნარს, სიმტკიცეს უბედურების ჟამს. მფლობელს იცავს ავი თვალისგან, აწესრიგებს ნერვულ სისტემას.

კურო

ზოდიაქოს მოციქული — მთე, ქვა — საფირონი

საფირონი სამეფო ქვად მიიჩნევა. „სამეფო საფირონი“ ღრმა ცისფერია, თავის მფლობელს ერთგულების უნარს ანიჭებს. ლოცვის დროს, გულმოდგინებას უწყობს ხელს. ამიტომ საფირონს ზოგჯერ „მონაზონთა ქვას“ უწოდებენ. ეს პატიოსანი თვალი აცხრობს ვნებებს, მფლობელს იცავს ავი თვალისგან, ანელებს დაბერებას, კურნავს ბრონქული ასთმის, რევმატიზმის, ინფექციური დაავადებებისგან.

ტყუპები

ზოდიაქოს მოციქული — თომა, ქვა — აქატი

აქატს ტონალობის თვლად მოიხსენიებენ, კერძოდ: სპილოსძვლისფრად, ლურჯად,



ვამზადებ ნამდვილი ხარისხიანი ოქროსგან. აქედან გამომდინარე, ნაკეთობაც ხარისხიანია და ფასიც შესაბამისი აქვს

ვარდისფრად და ხავსისფრად. ეს თვალი მფლობელს იცავს ავი თვალისგან, რგებს ნერვულ სისტემას, მკერდზე ტარებისას, მეტუბერ დედას რძეს მატებს, ჩერებს სისხლდენას, კურნავს თვალის დაავადებებს, აუმჯობესებს მეხსიერებას, კურნავს იმპოტენციას, ებრძვის უშვილობას, აწესრიგებს გულისცემას.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲒᲘ

ზოდიაქოს მოციქული — ბართოლომეო, ქვა — ზურმუხტი

ზურმუხტი მწვანე ფერის ქვაა, მასში სარკის მსგავსად აირეკლება ყველა საიდუმლო და მომავალი. ძველად, ზურმუხტი ზღვაოსნების თილისმად მიიჩნეოდა. ეს სიყვარულის მფარველი ქვაა. გამოირჩევა სხვადასხვა სამკურნალო თვისებით: კურნავს თვალის სნეულებებს, ეპილეფსიას, კეთრს, აქვს გველის შხამის საწინააღმდეგო თვისება.

ᲚᲝᲛᲘ

ზოდიაქოს მოციქული — იაკობი, ქვა — ფრცხილი

ეს ქვა წითელი ფერისაა. ფრცხილი განდევნის ბოროტ სულებს, ადამიანს იცავს ღალატისა და ტყუილისაგან, მატებს მას სიმამაცეს; იგი უმახვილებს სმენას მათ, ვისაც მუსიკალური ნიჭი აქვს. ფრცხილი რგებს ადამიანს ჭვალის, წყლულის, დაქვეითებული სმენის დროს, კურნავს ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებს.

ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ

ზოდიაქოს მოციქული — იოანე ღვთისმეტყველი, ქვა — სარდიონი

სარდიონი სისხლისფერია, ამ თვალს ბუნებრივი ბზინვარება ამშვენებს და სიმსივნის, მუწუკებისა და მახვილით მიყენებული ჭრილობების სამკურნალოდ იყენებენ — ჩაწნიან წყალში და უსვამენ წყლულზე. მას სისხლის გაქვავებულ წვეთებს უწოდებენ. ტრადიციულად ითვლება, რომ სარდიონი განამტკიცებს ცოლქმრულ სიყვარულს, ჯანმრთელობას და მატებს ადამიანს გაბედულობას.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ

ზოდიაქოს მოციქული — პეტრე, ქვა — ძოწი

ძოწი ივიგე მარგანია, ამ ქვის ფერია წითელი, მეწამული და ბროწეულის ყვავილის ფერი. იგი მფლობელს მშვიდ ძილს ანიჭებს, ხელს უწყობს წარმატებების მიღწევაში, მატებს სულიერ ძალებს და ანიჭებს მოვლენების წინასწარჭვრეტის უნარს.

ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ

ზოდიაქოს მოციქული — პეტრე, ქვა — ბივრილი

ბივრილი ნათელი შეფერილობის მწვანე თვალია, თუმცა არსებობს ყვითელი ფერისაც. გამოიყენებოდა შუა საუკუნეების მედიცინაში; მისგან დღესაც ამზადებენ მალამოს და მკურნალობენ თვალის სნეულებებს, კეთრსა და შეუხორცებელ ჭრილობებს. ვერცხლთან ერთად პირის ღრუში ბივრილის ჩადება ამაგრებს კბილებს; ის აგრეთვე აწესრიგებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს მეხსიერებას.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ

ზოდიაქოს მოციქული — ანდრია პირველწოდებული, ქვა — ტოპაზი

ტოპაზი, მსგავსად სარდიონისა, მეწამული ფერისაა. ყველა გამჭირვალე და ყვითელ ქვას ტოპაზს უწოდებენ. ტოპაზი იშვიათ ქვად არ ითვლება. მისი შეფერილობის ვარიანტებია: ვარდისფერი, ყვითელი, უფერული, ცისფერი, ალუბლისფერი, ყავისფერი.

ᲗᲘᲡ ᲠᲫᲐ

ზოდიაქოს მოციქული — იაკობი, ქვა — ლიგვირიონი

მის მისტიურ თვისებად ითვლებოდა მშობიარობისას, ქალისათვის მოთმინების, ძალის მინიჭება და მშობიარობის გაადვილება. ლიგვირიონი მფლობელს იცავს ავი თვალისგან, შურისგან, ცილისწამებისგან, უფრო ამტანს ხდის მას.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ

ზოდიაქოს მოციქული — თადეოზი, ქვა — იაკინთი

სულხან-საბა ორბელიანის თანახმად, იაკინთი იგივე იაგუნდია. ადამიანებში ძველთაგანვე არსებობდა იმის რწმენა, რომ იაკინთი იცავს ჰალუცინაციებისა და ბოროტ ძალთა მზაკვრობისა და ძალადობისაგან. მფლობელს იცავს ავი თვალისგან, დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ფსიქიკური დაავადებების, ეპილეფსიის დროს, შვებას ანიჭებს გულის ტკივილით, სახსრებისა და კანის დაავადებებით შეწუხებულ ადამიანებს.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ

ზოდიაქოს მოციქული — სიმონი, ქვა — ამეთვისტო

ძვირფასი ქვა — ამეთვისტო ისფერი ან იასამნისფერი არსებობს. ამ ქვის სახელწოდება ნიშნავს „დათრობის საწინააღმდეგოს“, „უთრობს“. ანტიკურ ეპოქაში გავრცელებული იყო აზრი, რომ ადამიანი, რომელიც ამ ქვას ატარებს, არ თვრება და არა აქვს ბოროტი ზრახვები. ამეთვისტოს ტარების ღირსნი ძალიან მაღალი სულიერების მქონე ადამიანები არიან. ■

წინასწარმეტყველებათა ლაბირინთში

ადამიანს საკუთარი მომავლის შეცნობის სურვილი ჯერ კიდევ ადრეულ წარსულში გაუჩნდა. წინასწარმეტყველები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ძველ ეგვიპტეში, შუმერში, ძველ სპარსეთში, ძველ რომში, ანტიკურ საბერძნეთში, ცინისა თუ ჯუნგოს იმპერიებში (ჩინეთი), შუა საუკუნეების ევროპაში. უხვად მოიძებნებოდნენ ისინი მონარქებისა თუ იმპერატორების კარზე და უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ სახელმწიფოთა პირველი პირები სარგებლობდნენ წინასწარმეტყველთა მომსახურებით.

დღესაც არის შემორჩენილი ის წიგნები თუ მათი ფრაგმენტები, რომლითაც უძველესი ქურუმები მომავალს უცდომლად ჭვრეტდნენ. მაგალითად, ძველეგვიპტური „მკვდართა წიგნი“, ჩინური „ი-ძინი“ („ცვლილებათა წიგნი“), სომხური „ეფრემ-ვერდი“.

წინასწარმეტყველებს „ბიბლიაშიც“ ვხვდებით, კონკრეტულად კი — „ძველ აღთქმაში“. ბარუქი, ეზეკიელი, დანიელი, ოსია, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქა, ნაუმი, აბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია, მალაქია — აი, არასრული სია ბიბლიური წინასწარმეტყველებისა. იმავე ეზეკიელის წინასწარმეტყველების გაშიფვრის შემდეგ, ამერიკელმა მეცნიერებმა გამოაგნებელი დასკვნები გააკეთეს — ეზეკიელის საუბარი უცნაურ ფრინველებსა და მათ ელვარებაზე სხვა არაფერია თუ არა... კოსმოსური ხომალდების ხსენება.

XVI საუკუნის ევროპამ მსოფლიოს მიშელ ნოსტრადამუსით დაამახსოვრა თავი. ექიმი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ასტროლოგი, წინასწარმეტყველი — ეს ყველაფერი ამ ერთ კაცში იყო თავმოყრილი. ნოსტრადამუსი მარტოდმარტო დადიოდა იმ ქალაქებში, სადაც შავი ჭირი მძვინვარებდა და ხალხს ამ სენისგან კურნავდა. მან ფეხით მოიარა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, სპარსეთი.

ნოსტრადამუსმა საფრანგეთის მეფის, შარლ მეცხრისა და მისი დედის, ეკატერინე მედიჩისგან მიიღო მიწვევა – ის მეფის პირადი ექიმი და ასტროლოგი გახდა. მან მიიღო უფლება, ემუშავა წინასწარმეტყველებათა წიგნებზე, რომლებიც „ალმანახების“ სახელწოდებით გამოდიოდა. შემდგომში აღმოჩნდა, რომ მისი წინასწარმეტყველებები აბსოლუტური სიზუსტით ხდებოდა. მან განჭვრიტა მსოფლიოს ბედი 3797 წლამდე...

XX საუკუნის ცნობილი ბულგარელი მისანი, ვანგა წელიწადში... 100000-მდე ადამიანს იღებდა. ვანგასთან არა მარტო უბრალო ხალხი მიდიოდა, არამედ მთელი რიგი ქვეყნების პირველი პირები (მისი ხშირი სტუმარი იყო ფიდეს დღევანდელი პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი).



მაინც როგორ ხდება წინასწარმეტყველება და სად გადის ზღვარი ჭეშმარიტ და ცრუწინასწარმეტყველებას შორის?.. ამის დასადგენად ძალზე უბრალო ხერხი არსებობს, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, აქაც ნამდვილმა წინასწარმეტყველებამ დროს უნდა გაუძლოს...

ამ თემის გავრცობა უსასრულოდ შეიძლება. უფრო საინტერესო იქნება, გავეცნოთ წინასწარმეტყველებათა სხვადასხვა მიმართულებას, რომლებსაც ადამიანები ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა დროს:

აერომანტია – წინასწარმეტყველება ციურ მოვლენებზე (ქარი, წვიმა, ღრუბელი, ელვა).

ალეკრომანტია – წინასწარმეტყველება ცომში გამომცხვარ დაშიფრულ ქაღალდებზე.

ალეკრომანტია – წინასწარმეტყველება ქათმის ან მამლის კრიახზე.

აპანტომანტია – წინასწარმეტყველება გზაზე შემხვედრ საგნებსა და არსებებზე.

არიფმომანტია – წინასწარმეტყველება ციფრებზე.

ასტრაგალომანტია – წინასწარმეტყველება ძვლებზე.

ასტრაგირომანტია – წინასწარმეტყველება ციბრუტზე (სწაფად მბუნავ საგანზე).

აუსპიცი – წინასწარმეტყველება გარეულ ფრინველთა ფრენაზე და მათ გალობაზე.

აქსინომანტია – წინასწარმეტყველება ნაჯახზე.

ბელომანტია – წინასწარმეტყველება ისრის საშუალებით.

ბელონომანტია – წინასწარმეტყველება ნემსის საშუალებით.

ბიბლიომანტია – წინასწარმეტყველება წიგნზე.

გალომანტია – წინასწარმეტყველება მარილზე.

გეომანტია – წინასწარმეტყველება მიწაზე დახაზულ ფიგურებსა და წერტილებზე.

გირომანტია – წინასწარმეტყველება მიწაზე დახაზულ ასოებზე.

დაქტილომანტია – წინასწარმეტყველება ბეჭედზე.

ეიერომანტია – წინასწარმეტყველება ცხოველთა შიგნეულზე.

კავსიმომანტია – წინასწარმეტყველება ცეცხლში ჩაყრილ ნივთებზე.

კალნომანტია – წინასწარმეტყველება კვამლზე.

კატოპტრომანტია – წინასწარმეტყველება სარკეზე.

კეროსკოპია – წინასწარმეტყველება ცვილზე.

კლედიომანტია – წინასწარმეტყველება ძაფზე დაკიდებულ გასაღებზე.

კლერომანტია – წინასწარმეტყველება კენჭისყრის საშუალებით.

კოსკინომანტია – წინასწარმეტყველება საცერზე.

კრისტალომანტია – წინასწარმეტყველება ბრწყინავ საგნებზე.

ქსილომანტია – წინასწარმეტყველება ხის ნაჭრებზე.

ლეკანომანტია – წინასწარმეტყველება ჯამში ჩასხმულ წყალზე.

ლიტომანტია – წინასწარმეტყველება ძვირფას ქვებზე.

მალიეიდომანტია – წინასწარმეტყველება დამდნარ ტყვიაზე.

მარგარიტომანტია – წინასწარმეტყველება მარგალიტზე.

ოინომანტია – წინასწარმეტყველება ღვინოზე.

ოკულომანტია – წინასწარმეტყველება თვალებზე.

ონიხომანტია – წინასწარმეტყველება ფრჩხილებზე.

ონომანტია – წინასწარმეტყველება ადამიანის სახელსა და ნივთებზე.

ოომანტია – წინასწარმეტყველება ქათმის კვერცხზე.

პალმისტრია – წინასწარმეტყველება ხელისა და თითების ფორმებზე.

პეგომანტია – წინასწარმეტყველება წყლის ნაკადზე.

პირომანტია – წინასწარმეტყველება ცეცხლის ალზე.

რავდომანტია – წინასწარმეტყველება კვერთხზე.

რაფლიომანტია – წინასწარმეტყველება ქვიშაზე.

რუნომანტია – წინასწარმეტყველება სკანდინავიური იეროგლიფებით.

სიდერომანტია – წინასწარმეტყველება აალებულ თივაზე.

სიკომანტია – წინასწარმეტყველება ხის ფოთლებზე.

სპოდომანტია – წინასწარმეტყველება მურზე ან ნაცარზე.

სტოლიზომანტია – წინასწარმეტყველება ტანსაცმელზე.

ტარო – წინასწარმეტყველება განსაკუთრებულ ბანქოზე (არკანებზე).

ტასეოლოგია – წინასწარმეტყველება ყავის ნალექზე.

ქიამეომანტია – წინასწარმეტყველება ლობიოზე.

ქირომანტია – წინასწარმეტყველება ხელისგულზე განთავსებულ ხაზებზე.

ხარტომანტია – წინასწარმეტყველება ჩვეულებრივ ბანქოზე.

ჰელოსკოპია – წინასწარმეტყველება ვინმეს სიცილზე.

ჰიდრომანტია – წინასწარმეტყველება წყალზე.

მოამზადა რამაზ გიგაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(11 - 17 აგვისტო)

ვერძი — 21/III-20/IV

უნდა შეძლოთ, ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენოთ. ნუ გადაუხვევთ ადრე აღებულ კურსს და არ შეჩერდეთ (თქვენი შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფვა სწორედ ახლა დაგიფასდებათ). ერთადერთი, რამაც შეიძლება, თქვენი წინსვლა შეაფერხოს, ახლობელთა რჩევებისადმი უყურადღებობა იქნება. ურთიერთობები პოზიტიურია თხის რქასა და მერწყულთან, ნეგატიური — კუროსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 13, 15. **ნეგატიური დღეები:** 16, 17.

კუნრუ — 21/IV-21/V

შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ თქვენი საქმეები მკვდარი წერტილიდან არ იძვრის, მაგრამ ეს მცდარი შთაბეჭდილება იქნება. გარკვეული შეუთავსებლობა გელით ოჯახურ და სამსახურებრივ საქმეებში. შესაძლოა, ოჯახის წევრთა დაუმსახურებული საყვედურებიც კი მიიღოთ, მაგრამ ნუ გაღიზიანდებით. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური — ვერძსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 14, 17. **ნეგატიური დღეები:** 11, 13.

მარჩხვი — 22/V-21/VI

საკუთარ თავზე ინიციატივის აღება გმართებთ. ამ პერიოდში ახლობლებს ლიდერის როლში უნდა მოევლინოთ, მით უმეტეს, რომ ამის უნარი შეგწევთ. მიზანმიმართული მოქმედებით საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. ურთიერთობები პოზიტიურია მერწყულსა და თევზებთან, ნეგატიური — ქალწულსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 12, 15. **ნეგატიური დღეები:** 13, 17.

კირჩხიბი — 22/VI-22/VII

ამ კვირიდან, თქვენთვის შედარებით მძიმე პერიოდი დაიწყება. ამიტომ თავი აარიდეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას, მძიმე და არაფრის მომცემ დიალოგს. გაზრდილია კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა. გირჩევთ, არ გადადგათ სარისკო ნაბიჯები (შესაძლებელია, ტრავმის მიღების რისკის გაზრდაც). ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ვერძსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 14, 15. **ნეგატიური დღეები:** 12, 13.

ლომი — 23/VII-23/VIII

მოსალოდნელია მნიშვნელოვანი წინსვლა თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი მათ გაუმართლებს, ვინც სამხედრო სფეროსა და სპორტში მოღვაწეობს. მნიშვნელოვნად გაძლიერდება თქვენი სასიცოცხლო ენერგია, თუმცა შესაძლოა, ეს ზედმეტ ამბიციურობასა და სითავხედეშიც კი გადაიზარდოს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური — კუროსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 14, 16. **ნეგატიური დღეები:** 11, 17.

ქალწული — 24/VIII-23/IX

ნუ გადაუხვევთ ადრე არჩეულ გზას, მიუხედავად გარკვეული ცდუნებებისა. შესაძლოა, იფიქროთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაღაც ახალი იწყება, მაგრამ უმჯობესია, ძველი კურსის ერთგული დარჩეთ — ასე იოლად აარიდებთ თავს შეცდომებს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — მარჩხვსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 15, 16. **ნეგატიური დღეები:** 13, 17.

სასწორი — 24/IX-23/X

არ გირჩევთ, ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების შეტანას, რადგან შესაძლოა, შეცდომები დაუშვათ. ეცადეთ, უშეცდომოდ გაიაროთ მომდევნო ერთთვიანი პერიოდი. მოსალოდნელია ფარული მტრების გააქტიურება, ამიტომ, მაქსიმალური სიფრთხილე გმართებთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხვსა და მერწყულთან, ნეგატიური — ქალწულსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 12, 17. **ნეგატიური დღეები:** 13, 14.

ღრიანკალი — 24/X-22/XI

ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი სიმტკიცე გამოიჩინოთ, თუმცა, გირჩევთ, არ გამოიყენოთ დიქტატორული მეთოდები. პირიქით, იყავით გულისხმიერი და ყურადღებიანი — ეს იმ ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებაში დაგეხმარებათ, ვინც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თქვენს პროფესიულ წინსვლაში. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თხის რქასთან, ნეგატიური — ლომსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 15, 17. **ნეგატიური დღეები:** 11, 13.

მშვილდოსანი — 23/XI-21/XII

უეჭველად გაგიმართლებთ, მაგრამ ამავე დროს, იმპულსურად მოქმედების სურვილიც გაგიჩნდებათ. ყური დაუგდეთ ირგვლივ მყოფებს — მათი რჩევები ძალიან გამოგადგებათ. წინა პლანზე წამოიწევს კარიერასა და პროფესიონალურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხვსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ვერძსა და კუროსთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 13, 14. **ნეგატიური დღეები:** 15, 16.

თხის რქა — 22/XII-20/I

გარკვეული პრობლემები შეგექმნებათ, ძირითადად — ოჯახური. გირჩევთ, არ აჩქარდეთ და არ ინერვიულოთ, მშვიდად მიუდექით თითოეული საკითხის გადაჭრას. ამავე დროს, გადაწყვეტილების მიღებისას, ინტუიციას მიენდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თხის რქასთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 14, 17. **ნეგატიური დღეები:** 13, 16.

მერწყული — 21/I-19/II

ეცადეთ, ეს კვირა რაც შეიძლება მაჟორულად დაიწყოთ და ყველა მნიშვნელოვანი საქმეც დააგვირგვინოთ. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს — ისინი ძალზე საჭირო დახმარებას გაგიწევენ. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართეთ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხვსა და სასწორთან, ნეგატიური — ღრიანკალსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 12, 14. **ნეგატიური დღეები:** 13, 17.

თევზები — 20/II-20/III

მიუხედავად ნეგატიური პერიოდისა, ინერციით გაგრძელებთ წინსვლას. მეგობრებისთვის დახმარების გაწევა მოგიწევთ. შესაძლებელია, მოხვდეთ გაურკვეველ სიტუაციაში, რაც თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს. ნუ აჰყვებით ემოციებს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ლომსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 14, 16. **ნეგატიური დღეები:** 13, 15.

სარწმუ-ნოება, რჯული
ალბინისტებ-ის კაპუშონიანი ქურთუკი
აშშ-ის პარლამენ-ტის ზედა პალატა
ლანგარი
დარაკი, გუშაგი
ნახშირბა-დის ნაერ-სახეობა
სახლეულივ ახლო ადმოსავ-ლეთში
მოფარდვა, მოფარდ-ავება
ზევსის ცოლი
გამოშვე-ბული ნაწარმის ტიპი
პლანეტა იუპიტერის თანამგზა-ვრი
დიდი, მსხვილი ჯოხი
ტიბეტური ხარი
ლითონის სიფრიფანა ფურცელი
იტალიის ფეხბურ-თის გუნდი
ცალი ფეხის თითზე შეჩბრუნება ბალეტში
წყალ-ქვეშა კლდე
ქიმიური ელემენტი
ცეცხლის ღვთაება
მუსლიმან-თა ღმერთი
სამხედრო საავადმყ-ოფო
მდინარე ევროპაში
პატარა საზოგა-დოებრივი ბაღი
თვითმკვ-ლელობის წესი იაპონიაში
ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის
ბოსტნეუ-ლი
საუკეთესო ხარისხის ბროლი
დიდი გომბეშო
ხურდა ფული აშშ-ში
სითხის საცავი დიდი რეზერვუარი
აშშ-ის კინოაკა-დემიის ჯილდო
რქებ-დახრილი ხარი
შიგნითა პატარა ეზო
ცეცხლგამ-ძლე კარადა
არაფის გასაზავებელი გაზიანი სასმელი
აშშ-ის შტატი
კენესუელ-ის ფულის ერთეული
მოკრივე ... ტაისონი



54-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ; 4-ბ.

ანეკდოტები

***

— გავიგე, თქვენი ცოლი რეჟისორია.
— დიახ.
— ახლა სად და რაზე მუშაობს, თუ საიდუმლო არ არის.
— შინ მუშაობს... ოჯახურ სცენებს დგამს...

***

თუ წონაში მომატების გეშინიათ, ჭამის წინ 100 გრამი არაყი მიიღეთ — შიშის გრძნობას მოგიკლავთ.

***

ყველამ დამღალა, მარტოს მინდოდა ცხოვრება... — თავს იმართლებდა წყალბადის ბომბის გამომგონებელი.

***

ხანდაზმული წყვილი ლოგინშია.
— ოდესღაც, ძილის წინ შუბლზე მკოცნიდი.
კაცი მკლავს დაეყრდნო და ქალის შუბლს ძლივს მისწვდა.
— ოდესღაც, ძილის წინ ყელში მკბენდი...
კაცი წამოდგა, ფლოსტები მოძებნა და წაჩოჩიალდა.
— საით?!.
— კბილებს მოვიტან.

***

დაქალები საუბრობენ:
— გუშინ, პარკში მანიაკი დამესხა თავს.
— სექსუალური?!..
— როგორ გითხრა, არც მაინცდამაინც...

***

მიხო ეუბნება ჯამლეტას:
— ბუჯო, გუშინ შენი ძმაკაცი ვნახე, გოგია, წვერები ჰქონდა მოშვებული... გაბურძგნილი, რაცხა საშინელება იყო.
— ხოო... მაგას მამა მოუკვდა.
— მერე ამხელა კაცი თავისით ვერ გაიპარსავს?..

***

სამშობიაროში ახალგაზრდა მამა ჩვილს სხვადასხვა რაკურსით სურათებს უღებს. მთელი ფირი 10 წუთში დახარჯა. მედდა ეკითხება:
— პირველი შვილია?
— არა, შვილი მესამეა... ფოტოაპარატია პირველი.

***

კაცი მატარებლის კუპეში თავის თანამგზავრ ქალს ეკითხება:
— გათხოვილი ხართ?
— კი.
— ბავშვები გყავთ?
— კი, 23 წლის ბიჭი.
— ძილი ნებისა.

***

საუბრები ქუთაისში:
— გუშინწინ რომ ფული გასესხე, ხომ არ დაგავიწყდა?
— ცოტა ხანი მაცალე, შე კაცო და დამავიწყდება.

***

პაციენტი ექიმთან მივა, ექიმი ეუბნება:
— უი, რაღაც სახეზე არ მომწონხარ!
პაციენტი:
— უჰჰ, რას ამბობ, შენ ხომ მყავხარ კალმით ნახატი, რაა...

***

ბიჭიკია ეკითხება მაგრად ჩაზმანულ ჭიჭიკიას:
— ბიჭო, ვისია მაი შარვალ-კოსტუმი?
— ვისია და „პიერ-კარდენის", — ამაყად უპასუხა ჭიჭიკიამ.
— რავა სულ ნათხოვარით უნდა დადიოდე, შე უბედურო.

***

კახელს ცოლი შესჩივის:
— კაცო, ამ ბალღს რამე მოუხერხე, არაფერს მიჯერებს.
— მოდი აქა, — დაუძახა მიხომ შვილს, — ვითომ რატო არ უჯერებ, შე მობელძაღლო, რა... ჩემზე მაგარი ხარ?!.



***

ლოთის ფილოსოფია:
რაც უფრო მეტს ვსვამ, მით უფრო მიკანკალებს ხელები. რაც უფრო მიკანკალებს ხელები, მით მეტი ღვინო მეღვრება. რაც მეტი ღვინო მეღვრება, მით უფრო ნაკლებს ვსვამ. ზნაჩიტ, რაც უფრო მეტს ვსვამ, მით უფრო ნაკლებს ვსვამ.

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს. ერთი ამბობს:
— გუშინ ერთი შტანგისტი გავიცანი. ჯერ რესტორანში დამპატიჟა, მერე მასთან წავედით სახლში.
— მერე, როგორი შეგრძნება გქონდა?
— აბა, რა გითხრა... წარმოიდგინე უზარმაზარი კარადა და მის საკეტში პა-ა-ატარა, პა-ა-ა-ტარა გასაღები...

***

— როგორ ყიდი დეიდა კვერცხს?
— ცალი ლარი.
— რავა, შენი დადებულია?!

***

დიალოგი ლანჩხუთის ავტოსადგურში:
— აქანე ნუ ეწევით, ჩააქრეთ სიგარეტი.
— კი, მაგრამ ამწუთას თქვენთან არ ვიყიდე? თუ აქ მოწევა არ შეიძლება, რატომ ყიდით?
— მასთე, მე აქანე ტუალეტის ქაღალდსაც ქე ვყიდი...

***

პატარა მაიზერი დედას ეხვეწება:
— დედიკო, შეიძლება, ეზოში ჩავალ და გიგლას ვეთამაშები?
— არა, ის ცუდი ბიჭია.
— მაშინ ჩავალ და ვცემ!..

***

გურულები მშვიდობის სადღეგრძელოს სვამენ:
— მოდი, ძმა, ახლა, რაც კი დედამიწაზე ატომური ბომბია, მშვიდობით აფეთქებულიყვეს...

***

ორი მელოტი ქუთაისელი კამათობს:
— რაჟღენა, შენ ჩემზე უფრო მელოტი ხარ.
— რატომ... ორივეს არც ერთი ღერი თმა არ გვაქვს თავზე.
— ზატო, შენ უფრო დიდი თავი გაქვს.

გადაიხდით თუ არა ვერცხლის ქორწილს?



ჟურნალის წინა ნომერში შემოგთავაზეთ ტესტი, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის ანუ ცოლებისთვის იყო განკუთვნილი; ამჯერად გთავაზობთ ისეთსავე ტესტს მამაკაცებისთვის, უფრო სწორად კი ქმრებისთვის. ტესტის მეშვეობით გაარკვევთ, როგორი შანსები გაქვთ იმისათვის, რომ თქვენს ძვირფას მეორე ნახევართან ერთად იზეიმოთ ვერცხლის ქორწილი. ქვემოთ მოცემულ სიტუაციებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემაა საჭირო.

1. ცოლს მიაჩნია, რომ ჩემს სამსახურზე ვარ შეყვარებული და ჩვენ შორის არსებულ ურთიერთობას საკმარის დროსა და ყურადღებას არ ვუთმობ.

2. ცოლს არ მოსწონს, როცა დროს მეგობრებთან ვატარებ ან სპორტულ გადაცემას ვუყურებ ტელევიზორში.

3. ცოლი ხშირად ბრაზობს ჩემზე.

4. როგორც თავად ჩემი ცოლი ამბობს, ის როგორღაც ახერხებს ჩემი „ყმაწვილკაცური" გამოხდომების ატანას.

5. ცოლი მიიჩნევს, რომ ჩვენ მოვალეობები თანაბრად გვაქვს გადანაწილებული.

6. ჩემს ცოლს ნერვები არ ეშლება, როცა ზოგჯერ ვინმესთან ურთიერთობისას არც ისე თავდაჯერებულად ვიქცევი და შესაბამისად, დიდად სახარბიელოდაც არ გამოვიყურები.

7. ცოლი ისე მექცევა, როგორც ერთგულ მეგობარსა და სატრფოს.

8. ისეთი საიდუმლოებებიც მაქვს, რომელთა შესახებაც ცოლმა რომ შეიტყოს, ალბათ არ მომიწონებს.

9. ცოლს მიაჩნია, რომ კარგი მამა ვარ.

10. ჩემს ამა თუ იმ ნაკლზე ცოლი ხშირად მითითებს ხოლმე.

11. ვგრძნობ, რომ ცოლის მოლოდინს ბოლომდე ვერ ვამართლებ.

12. მას სურს, რომ უფრო რომანტიკულად მოვექცე.

13. ვგონებ, რომ საბოლოო ჯამში, ცოლს ესმის ჩემი.

14. ხშირად ვფიქრობ, რომ ცოლი ჩემ მიმართ მეტისმეტად კრიტიკულადაა განწყობილი.

15. ჩემს ცოლს წინასწარ აწუხებს აზრები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ოდესმე მთლიანად მასზე აღმოვჩნდე დამოკიდებული.

16. ცოლი ისე მიქმნის ყველა პირობას და ისე ზრუნავს ჩემზე, რომ შესანიშნავად ახერხებს მეორე ნახევრის ამპლუის შენარჩუნებას და ზედმიწევნით მზრუნველი „დედის" როლში არ აღმოჩნდება ხოლმე.

17. ცოლს აკმაყოფილებს ჩემი გარეგნობა.

18. ჩვენ შორის არსებული ინტიმური ურთიერთობითაც კმაყოფილია.

19. ცოლი ნაკლებად ემოციურ ადამიანად მიმიჩნევს.

20. ცოლი თავის თანასწორად მიმიჩნევს.

21. მისი აზრით, ცოლქმრული ურთიერთობა მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.

22. ცოლს, ჩემთან დაკავშირებით, არანაირი ილუზიები არ აქვს, მას ისეთი ვუყვარვარ, როგორიც სინამდვილეში ვარ.

23. ცოლი სიამოვნებით იზიარებს ზოგიერთ ჩემს გატაცებას.

24. ზოგჯერ, ის ჩემდამი მტრულ დამოკიდებულებას ავლენს — მას შეუძლია სხვების თანდასწრებით დამამციროს.

25. ცოლს ღრმად სწამს ჩემი.

26. ცოლს უყვარს ჩემი მეგობრები და მათ საზოგადოებაში მშვენივრად გრძნობს თავს.

27. ის იმ შემთხვევაშიც ეჭვიანობს, როცა ამის საფუძველი საერთოდ არ აქვს.

28. ცოლი გაგებით ეკიდება იმას, რომ ამა თუ იმ საკითხზე ჩვენ შესაძლოა განსხვავებული მოსაზრება გვქონდეს, თანაც ამას ისე ახერხებს, რომ თავი დამნაშავედ არ ვიგრძნო.

29. ჩემი მეგობრული და საქმიანი (და არა რომანტიკული) ურთიერთობები სხვა ქალებთან ჩემს ცოლს არ აშფოთებს.

30. მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ჩემს მშობლებთან.

დაანგარიშეთ ქულები:

ყოველ დადებით პასუხში: 4, 5, 6, 7, 8, 9, 13, 16, 17, 18, 20, 22, 23, 25, 26, 28, 29, 30 შეკითხვებზე დაიწერეთ 1 ქულა; ასევე ერთი ქულა დაიწერეთ უარყოფითი პასუხებისთვის: 1, 2, 3, 10, 11, 12, 14, 15, 19, 21, 24, 27 შეკითხვებზე.

ტესტის შედეგები

26-30 ქულა: თქვენ უბედნიერესი ადამიანი ხართ. ცოლს უყვარხართ და მოსწონხართ ისეთი, როგორიც ხართ. ასეთი უსაზღვრო და უანგარო სიყვარული ნამდვილად დასაფასებელია. აგრძნობინეთ ცოლს, რომ მისი სიყვარული და მხარდაჭერა ძალზე ძვირფასია თქვენთვის. მასთან ერთად არამცთუ ვერცხლის, არამედ ოქროს ქორწილის გადახდის პრესპექტივაც გაქვთ.

21-25 ქულა: ცოლის მხრიდან საოცარ მზრუნველობასა და ყურადღებას გრძნობთ. დაკმაყოფილდით იმით, რომ თქვენი ხასიათის უამრავი თავისებურებას ცოლი შემწყნარებლურად და გაგებით ეკიდება. იმ თვისებებზე კი, რომლებსაც ის გაგებით არ ეკიდება, ყურადღების გამახვილებას არ გირჩევთ... დააფასეთ, მას ხომ გულწრფელად უყვარხართ და ესმის თქვენი.

16-20 ქულა: ცოლის მხრიდან თქვენდამი უნდობლობასა და კრიტიკულ დამოკიდებულებას აშკარად გრძნობთ. ამგვარმა დაძაბულმა ურთიერთობამ მუდმივი ხასიათი რომ არ მიიღოს, გირჩევთ, გულახდილად დაელაპარაკოთ ცოლს ამ პრობლემაზე და გაარკვიოთ მისი თქვენდამი უნდობლობის მიზეზი. მაგრამ მანამდე, სანამ ცოლს გადაჭარბებულ ეჭვიანობაში დასდებდეთ ბრალს, საკუთარ საქციელს ჩაუფიქრდით და დარწმუნდით, რომ მიუღებელსა და სამარცხვინოს არაფერს აკეთებთ.

15 ქულაზე ნაკლები: გამუდმებით ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოსდა ალყაში ხართ მოქცეული. ცოლის მხრიდან ვერც სიყვარულს გრძნობთ და ვერც გაგებას. საკუთარი ქორწინების გადასარჩენად დაუყოვნებლივ გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართოთ, თორემ მერე უკვე გვიან იქნება.

ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ... ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

72 წლის მალაზიელმა მამაკაცმა – კამრუდინ მოჰამედმა – 53-ედ იქორწინა. მორიგ (შესაძლოა, უკანასკნელ) ცოლად მან თავისი პირველი თანამეცხედრე შერთო. კამრუდინის თქმით, ადრე მას სიყვარულში ბედი არ წყალობდა. ერთ-ერთ მეუღლესთან ერთად მან სულ ორიოდე დღე გაატარა. არც სხვა ქორწინებები გამორჩეულა დიდი სიმყარით – ერთის გარდა, რომელიც მანამდე გაგრძელდა, სანამ კამრუდინი არ დაქვრივდა. მისი „ახალი“ ცოლი – 74 წლის ხადიჯა უდინი ამბობს, რომ მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა ქმარყოფილთან კვლავ შეუღლებას, რაც მან შეჰფიცა, რომ მექალთანეობაზე ხელს აიღებდა. „კამრუდინი დამპირდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ჩემი ერთგული იქნება“, – დასძინა მან. თავად ახალშეუღლებულმა კი, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: „მე პლეიბოი როდი ვარ – უბრალოდ, ძალიან ლამაზ ქალებს ვეტრფი. მოხარული ვარ, რომ ბედმა კვლავ შემახვედრა ხადიჯას“.

„ᲛᲝᲜᲝᲠᲔᲚᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲐ – ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲐ“



ამ ლოზუნგის მიხედვით, ამგვარი რკინიგზის აგებას ბევრი ქვეყნის დიდი ქალაქის ხელმძღვანელობა აპირებს. ითვლება, რომ ტრანსპორტის ეს სახეობა მეგაპოლისებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას გადაჭრის. კერძოდ, მოსკოვში აპირებენ გაიყვანონ კიდული რკინიგზა, რომელიც შერემეტიევოს აეროპორტს ქალაქთან დააკავშირებს. თავისთავად ცხადია, რომ მატარებელი მგზავრთათვის ზედმიწევნით მოსახერხებელი იქნება, მაგრამ მასზე განსაკუთრებული იმედების დამყარება მაინც არ ღირს. მაგალითად, ფოტოზე გამოსახულმა, გერმანიის ქალაქ ვუპერტალის მონორელსიანმა რკინიგზამ – რომელმაც ცოტა ხნის წინ 100-წლიანი იუბილე აღნიშნა – მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ პერიოდის მანძილზე შესანიშნავად ფუნქციონირებს, სრულებითაც ვერ გადაჭრა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები.

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲰᲘᲢᲘ ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲮᲕᲚᲘᲙᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

სათამაშოების ერთ-ერთმა წამყვანმა კონცერნმა – Tomy Co-მ პუბლიკას თავისი უახლოესი გეგმები გააცნო. იაპონელი სათამაშოების მწარმოებლების აზრით, სეზონის ჰიტი გიგანტური ხვლიკის მინიატიურული მოდელი იქნება. მიუხედავად მინიატიურულობისა, მოდელის სიგრძე 1 მ-ს აჭარბებს და როგორც მისი შემქმნელები ამბობენ, ხელოვნური ინტელექტითაც გამორჩევა: ხელთნაკეთი ურჩხულის ელექტრონული ტვინი პატრონის მხრიდან უყურადღებობაზე მკვეთრად რეაგირებს – ხვლიკი ყურის წამღებ ღრიალს იწყებს და შესაძლოა, თავის მფლობელს მწარედ უკბინოს კიდეც.



შევა თუ არა კომპლექტში ხვლიკის საბელი და ალიკაპი, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, მაგრამ მარკეტოლოგები ირწმუნებიან, რომ სათამაშოზე დიდი მოთხოვნილება იქნება. მაღაზიების დახლებზე მოდელი ნოემბრიდან გამოჩნდება და დაახლოებით 120 დოლარი ეღირება.

ᲐᲕᲢᲝᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ – ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სიდნეიში გაიხსნა სათამაშოების გამოფენა სახელწოდებით: Big Boy Toys, რასაც შეიძლება დაახლოებით ასე ვუწოდოთ: „სათამაშოები მოზრდილთათვის“.



იქ წარმოდგენილ უამრავ ექსპონატს შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოდელმა, სახელწოდებით Skycar. ეს გახლავთ ავტომობილის და თვითმფრინავის თავისებური ჰიბრიდი. ამ საინტერესო შედეგის ავტორმა – ამერიკელმა პოლ მელერმა იდეის ხორცშესხმას ორმოც წელზე მეტი მოანდომა და ამ საქმეს 200.000.000 მილიონი დოლარი შეალია.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად Skycar-ის საცდელი ნიმუში გამოცდას ამერიკულ არმიაში გადის, გამომგონებელი დარწმუნებულია, რომ სიახლე გამოყენებას არა მარტო სამხედრო საქმეში ჰპოვებს, არამედ ფართო მოხმარების საგნადაც იქცევა. როგორც მელერი ამბობს, 10 წლის შემდეგ, მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედი რეგულარულად ისარგებლებს „ავტომფრინავით“.

რამდენად გამართლდება მისი პროგნოზი, მოსახლეობისთვის ათი წლის შემდეგ გახდება ცნობილი.



ᲗᲣ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲨᲔᲘᲛᲝᲡᲔᲗ...

25-დან 500-მდე ევროს დანაკარგი ემუქრება იმას, ვინც ზოგიერთ იტალიურ კურორტზე საცურაო კოსტიუმის ამარა გამოჩნდება.

იტალიის ბევრ საკურორტო ქალაქში, გარეგნულ მხარესთან დაკავშირებული ახალი წესები შემოიღეს: კერძოდ, ვისაც პლაჟიდან გასვლის წინ, მაისურის გადაცმა დაავიწყდება, პოლიციისგან ჯარიმა არ ასცდება.

ფოტოკუთხეები



-55
b 63/18

ცოდოთოდცი გაცცილითობა

ზაფხულის სიცხეში

წიგნები „კვირის პალიტრის" საგამომცემლო სახლისგან

ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მკითხველისთვის